



ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ბუნებისმეტყველების ფაკულტეტი

საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი

ალექსანდრე ბოშიშვილი

ქართლის სამეფოს სამხრეთის საზღვარი
და სამხრეთის პროვინციები
(XV-XVIII სს.)

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი
საქართველოს ისტორიის ინსტიტუტი

ალექსანდრე ბოშიშვილი

**ქართლის სამეფოს სამხრეთის საზღვარი
და სამხრეთის პროვინციები
(XV-XVIII სს.)**

გამომცემლობა „მერიდიანი“
თბილისი
2015

ნაშრომში განხილულია ქვემო ქართლის სამხრეთის მხარეები: ყაიფული, ტაშირი, სომხითი, ბამბაკი, ყაზახი, ბორჩალო და სხვ. შესწავლილია ქვემო ქართლის ტერიტორიაზე მომთაბარე თურქმანული ტომების (ბორჩალო, დემურჩი ასანლუ, შამშადილუ, ბაიდარი და სხვ.) ჩამოსახლება, მათი დამკვიდრება და შემდგომი თავგადასავალი.

წარმოჩენილია, ქართველი მეფეების ღვაწლი, თუ როგორ მოახერხეს XV-XVIII საუკუნეების ქართლის სამეფოში ირანის შაჰების მიერ სამტროდ და ქართველების გადაშენების მიზნით ჩამოსახლებული უცხოტომელების ქვეყნის სამხედრო და ეკონომიკურ საქმიანობაში ჩართვა. ჩამოსახლებულთა არაერთმა წარმომადგენელმა ქვეყნისთვის ბრძოლისა და მშენებლობის საქმეში გამოიჩინა თავი.

წიგნი განკუთვნილია როგორც სპეციალისტებისთვის, ისე საქართველოს ისტორიის საკითხებით დაინტერესებული მკითხველისათვის.

რედაქტორი: აპოლონ თაბუაშვილი

კორექტორი: ეკა კვიციანი



პროექტი „ქართლის სამეფოს სამხრეთი საზღვარი და სამხრეთის პროვინციები (XV-XVIII სს.): მიწისმფლობელობა, სოციალური ურთიერთობები, ადგილობრივი მმართველობა (ყაიფული, ტაშირი, ბამბაკი, სომხითი, ბორჩალო, ბაიდარი და სხვ.)“ განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდში მოპოვებული გრანტის (№52/22) მეშვეობით.

არაკომერციული გამოცემა

© გამომცემლობა „პერიდიანი“, 2015

© ალექსანდრე ბოშიშვილი, 2015

ISBN 978-9941-10-974-4

სარჩევი

შესავალი	5
თავი I. ქართლის უკიდურესი სამხრეთ დასავლეთი პროვინცია – ყაიყული (აბოცი)	9
თავი II. ტაშირი	44
თავი III. ბაზბაკი	63
თავი IV. თურქმანული ტომების ჩამოსახლება და მათი თავგადასავალი ქვემო ქართლში (XV-XVIII სს.)	71
ელის მოსახლეობა ქვემო ქართლში	71
„ბრძოლა მტკერის დაბლობის დაუფლებისთვის“	75
შამშადილოს „სახანო“	84
ყაზახის „სახანო“	102
ბორჩალოს „სახანო“	122
ბაიდარის „სასულთნო“	143
დემურჩი ასანლუს „სასულთნო“	150
ქვემო ქართლში დასახლებული სხვა ტომები	155
ქვემო ქართლში მიწისმფლობელობის წესის შეცვლის უშედეგო მცდელობა – სოიურღალის საკითხი	164
სოციალური ურთიერთობები, მიწისმფლობელობა და მოსახლეობა	170
Southern Border and Southern Districts of Kartli Kingdom (15 th -18 th cc.) (Summary)	183
საძიებლები	184

შესავალი

ერთიანი საქართველოს დამლის შემდეგ ცალკე სამეფოდ ჩამოყალიბებული ქართლის სამეფო კიდევ უფრო წვრილ ერთეულებად, დიდ და მცირე სათავადოებად დაიშალა, მაგრამ სამეფოს გარკვეულ ადგილებში სათავადოები არ ჩამოყალიბებულა. უმთავრესად ეს ენება ქვემო ქართლის სამხრეთ ოლქებს, რომლებიც მეფის უშუალო საგამკეოს, ანუ სამეფო სახასო მამულებს წარმოადგენდნენ.

ნაშრომში საუბარია XV-XVIII საუკუნეების ქართლის სამეფოს სამხრეთი საზღვრის, თავდაცვის სისტემის სამხრეთის მიმართულების და ზოგადად ქვემო ქართლის სამხრეთის მხარეების: ყაიყულის, ტაშირის, სომხითისა და ბამბაკის ისტორიის შესახებ. რადგან ეს მხარეები უმთავრესად მეფის დომენს წარმოადგენდნენ, შესაბამისად, მეფე მათ მოურავების საშუალებით განაგებდა. ნაშრომში აგრეთვე განხილულია ამ მხარეებში არსებული სოციალური ურთიერთობები, ასევე ქვემო ქართლში მომთაბარე ბორჩალოს, შამშადილოს, დემურჩი ასანლუსა და სხვა ტომების ისტორია.

XV-XVIII საუკუნეებში ქვემო ქართლის სამხრეთის, ანუ საზღვრისპირა პროვინციები იყო: ყაიყული (ძველი აბოცი), ტაშირი, სომხითი (მელიქის მამულის გარდა), ლორე, ბამბაკი, ასევე, ქვემო ქართლში მომთაბარე ტომების, ე.წ. ელის განსახლების ადგილები (ლორეს, ბამბაკის, ბორჩალოს, ყაზახის „სახანოები“).

ქართლის სამეფოში თურქულენოვანი მოსახლეობის ჩამოსახ-

ლების ისტორია და შემდგომი თავგადასავალი საინტერესო საკითხს წარმოადგენს. პროცესი თავიდანვე ქართლის თავდაცვის სამხრეთის ზღუდის მორღვევას ემსახურებოდა. ქვემო ქართლის სამხრეთ-აღმოსავლეთით „თათარი ელების“ ჩამოსახლება XV საუკუნის II ნახევრიდან უზუნ ჰასანის (1453-1478 წწ.) ლაშქრობების შემდეგ დაიწყო. ქართლზე ყოველი ახალი თავდასხმის შემდეგ, მტკვრისპირა დაბლობზე თურქმანთა ახალი ნაკადი სახლდებოდა. ბოლოს კი, XVI საუკუნის შუა ხანებში, ირანის შაჰმა, თამაზ I-მა (1514-1576 წწ.), იქ სახანო დააარსა, რომელიც თურქმანი მოსახლეობის მიუხედავად, უმეტესად ქართლის მეფის მორჩილებაში იმყოფებოდა და ისტორიაში ყაზახის „სახანოს“ სახელით არის ცნობილი.

შაჰ აბას I-მა (1587-1629 წწ.) 1604 წელს ქართლის მეფეს დებედას ხეობა და მისი მიდამოები ჩამოართვა, სადაც სახანო შეიქმნა. შემდგომში იგი ირანული გავლენის მყარად დამკვიდრებისა და სამხრეთიდან ქართლში როგორც სამხედრო ძალის, ისე სპარსული კულტურული გავლენის ადვილად შემოსვლის საფუძველი უნდა გამხდარიყო. ამისათვის ირანის შაჰმა XVII საუკუნის დამდეგს ქვემო ქართლში ორი გეგმა განახორციელა: მეფის ყოფილი დომენის ტერიტორიაზე, მდ. დებედას ხეობაში, შექმნა ლორეს „სახანო“, იგივე სამელიქო, რომელიც საკმაო ტერიტორიას მოიცავდა. მუსლიმი მელიქი შაჰის დიდი მხარდაჭერით სარგებლობდა. მეორე, შაჰ აბას I-მა ქვემო ქართლში თურქმანული მომთაბარე ტომი ბორჩალოც იმ დროს ჩამოასახლა.

ბორჩალოს, შამშადილოს თუ სხვა თურქმანული ტომის საცხოვრის სწორედ ქვემო ქართლის მეფის დომენის ტერიტორია წარმოადგენდა. ეს იყო ძირითადად ყაზახი, ბორჩალო, შამშადილო, ბაიდარი (ანუ „წყალთაშუა“, მდ. ქციასა და მდ. მტკვარს შორის ტერიტორია), ასევე, ყაიყულში მათ სეზონურ სადგომებად ჩანს ყაზახი

და სხვა სოფლები. მომთაბარეების მოძრაობის პარალელურად ადგილობრივთა სოფლებიც იყო შემორჩენილი, რომლებიც თანდათან დაიწყალა, როგორც ჩანს, ქართველები უფრო ჩრდილოეთით გადმოსასხლდნენ.

ქართლის მეფე განსაკუთრებულად ზრუნავდა და ხელს უწყობდა ქვემო ქართლის სამხრეთის მხარეებში მოსახლეობის მომრავლებას. მაგალითად, გიორგი XI-მ (1675-1688; 1703-1709 წწ.) და ერეკლე I-მა (1688-1703 წწ.) დიდი ყურადღება მიაქციეს ყაიყულს. მათ მიერ გაცემული არაერთი საბუთიდან ჩანს, თუ როგორ ცდილობდნენ ცენტრალური ხელისუფლების გაძლიერებას და არსებული თუ ახლად დამკვიდრებული მოსახლეობისთვის საცხოვრებელი პირობების შექმნას. ხოლო ვახტანგ VI-მ (1703-1712; 1716-1724 წწ.) ახლად დასახლებულებს ერთი წლით გადასახადები გაუუქმა. „ახალი მოსული კაცი ერთს წლამდინ თარხანი იყოს, ნურას სთხოვენ“.

ქართლის მეფეების დამოკიდებულება გასაგები უნდა იყოს, რადგან ქვემო ქართლის სამხრეთი ოლქები, ერთი მხრივ, საზღვრისპირა მხარეებს წარმოადგენდა და მეორე მხრივ, სახელმწიფოსთვის ეკონომიკური სარგებლის მოტანაც შეეძლო. ვახუშტის მიხედვით, აქ კარგად მოდიოდა მარცვლოვანი კულტურები, ასევე, ვრცელი საძოვრების გამო ხელსაყრელი პირობები იყო მესაქონლეობის განვითარებისათვის.

როგორც ჩანს, ქართლის მეფეთა ღვაწლით ყაიყული, ბამბაკი და ქვემო ქართლის სხვა ოლქები თანდათან მოშენდა, თუმცა ამ მხარეებს საბოლოოდ ნადირ შაჰის (1737-1747 წწ) ლაშქრობა დაატყდა თავს. ვახუშტის ცნობით, 1735 წელს ოსმალებთან გამარჯვების შემდეგ ნადირმა ყაიყული და ბამბაკი ერთიანად ირანში გადაასახლა, „კუალად აჰყარა ყაიყული სრულიად და წარგზავნა ხვარასანს“.

საბოლოოდ შეიძლება ითქვას, რომ ყველა დამპყრობელი მოსაზღვრე ოლქების საქართველოსგან მოწყვეტას ცდილობდნენ,

მათი მიზანი ქვეყნის თავდაცვის ზოლის შემცირება და მისი მაქსიმალურად შიდა მხარეებისკენ გადანაცვლება იყო. მაგ., ყაიყული/აბოცის შემთხვევაში გარკვეულწილად ეს მოახერხეს კიდეც, ამის შემდეგ მოსაზღვრე ხდებოდა ჯაგახეთი და თრიალეთი. თუმცა ქართველი მეფეები ამ მხარის მოშენება მომძლავრების საქმეს ცდას არ აკლებდნენ.

დღეს ამ მნიშვნელოვანი მხარების მცირე ნაწილია დარჩენილი საქართველოს ფარგლებში. უმეტესობა კი მეზობელი სახელმწიფოების საზღვრებშია მოქცეული: ყაიყული (დას. ნაწილი თურქეთშია, აღმ. ნაწილი სომხეთში), ტაშირი (სომხეთში), სომხთი (სამხ. ნაწილი სომხეთში), ბამბაკი (სომხეთში), ყაზახი (სომხეთსა და აზერბაიჯანში), შამშადილო (აზერბაიჯანში).

ამრიგად, საქართველოში XV საუკუნიდან დაწყებული პროცესი, თურქმანული ელის დასახლება, ძირითადად საქართველოს გადაშენებისკენ იყო მიმართული. დამპყრობთა მიზანი არა მარტო მოსახლეობის სრული შეცვლა, არამედ ადგილობრივი მიწისმფლობელების წესების შეცვლაც იყო. თუმცა ქართველმა მეფეებმა მოახერხეს და ჩამოსახლებული უცხო ტომელები სახელმწიფოს სამსახურში ჩაეყენეს. მათმა არაერთმა წარმომადგენელმა თავი გამოიჩინა ქვეყნისთვის ბრძოლისა და ქვეყნის აღმშენებლობის საქმეში.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ავტორი სპეციალისტებისა და საკითხით დაინტერესებული მკითხველისაგან მიღებულ ყოველ საქმიან შენიშვნას და წინადადებას მაღლიერებით მიიღებს და აუცილებლად გათვალისწინებს შემდგომ საქმიანობაში.

თავი I

ქართლის უკიდურესი სამხრეთ დასავლეთი პროვინცია – ყაიყული (აბოცი)

ყაიყული, ეს არის ისტორიული მხარის, აბოცის გვიანდელი სახელწოდება, რომელიც ფეოდალური ეპოქის ქართულ და უცხოურ ისტორიულ წყაროებში არაერთხელ არის მოხსენიებული.

ყაიყული მდებარეობდა ქვემო ქართლში, უფრო ზუსტად კი იგი ქვემო ქართლის უკიდურესი სამხრეთ-დასავლეთ მხარეს წარმოადგენს. ყაიყული ჯერ სამცხე-საათაბაგოს, ხოლო მოგვიანებით კი ახალციხისა და ყარსის საფაშოების მოსაზღვრე ოლქი იყო. ყაიყული ყველა მხრიდან მთებით არის გარშემორტყმული, რაც მთელი ისტორიის მანძილზე თითქოს მის დაცვაში მთავარი ფაქტორი უნდა ყოფილიყო და მისი საზღვრებიც უცვლელი დარჩენილიყო. თუმცა რეალურად პირიქით ხდებოდა, რადგან აბოცი, გვიანდელი ყაიყული, ირანიდან ოსმალეთისკენ მიმავალ გზაზე მდებარეობდა, ამიტომ მრავალჯერ იქნა აოხრებული და მისი მოსახლეობაც აყრილი და ხელმეორედ მობრუნებული.

ვახუშტი ბატონიშვილი თავის ნაშრომში წერს, რომ „ტაშირს, აბოცსა და ბერდუჯ-ბამბაკსა ჰყოფს მთა ირჯანისა და აწ ყარაღაჯად წოდებული. და არს მარადის თოვლიანი, და უტყეო, და კალთათა ბა-

ლახოვანი, ყუაგილიანი, წყარონი მრავალნი კეთილნი. მდებარებს სამკრიდამ ჩრდილო კერძ. აქა ითხრების თეთრი ქვა, მკზავსი მარმარილოსი. ამ მთის დასავლით კერძ არს აბოცი, აწ ყაიყულად წოდებული, გარმონხვეული სრულიად მთითა და შუაში ვაკე, და მთის კერძად გორიანი, მოსავალ მოუცდელნი...“¹

პროფ. დევი ბერძენიშვილი ყაიყულის საზღვრებს ასე ახასიათებს: „ეს მთებით მოზღუდული ზეგანი (იგულისხმება ყაიყული – ა. ბ.) ტაშირის დასავლეთით მდებარეობდა და მისგან ყარაღაჯის მთით იყო გამოყოფილი. ჩრდილოეთიდან მას ნიალისყურის მთა საზღვრავდა, დასავლეთიდან – აღაბახისი, სამხრეთიდან კი – ბამბაკ-ერევნის მთები“.²

* * *

ყაიყულის ისტორია ქართლის ცხოვრებაში არაერთხელ ნახსენები აბოცის სახელწოდებიდან უნდა დაეწყოთ. ლეონტი მროველის მიხედვით, ქართლოსის ცოლმა „გაჩიოსს მისცა ორბისციხე და სკვრეთის მდინართგან ვიდრე თავადმდე აბოცისა“.³ მოგვიანებით, ძვ. წ. III საუკუნეში, ქართლის პირველმა მეფე ფარნავაზმა, როდესაც ქართლის სამეფო ადმინისტრაციულ ერთეულებად დაყო, სამშვილდის ერისთავს „მისცა სკვრეთისა მდინართგან ვიდრე მთამდე, რომელ არს ტაშირი და აბოცი“.⁴

¹ ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 313-314.

² დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ქვემო ქართლი, ნაკვ. I, თბ., 1979, გვ. 53.

³ ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართუელთა მეფეთასა და პირველთაგანთა მამათა და ნათესათა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით, სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 9.

⁴ ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართუელთა მეფეთა, გვ. 24.

ხოლო „მეფენი ქართლისანი მცხეთით გაემართოდან სომხითს ვხასა აბოცისსა, და მარადის ესრეთ ჰკირთებდეს ქართველნი“.¹ ამ ამბებიდან მალე, ძვ. წ. II საუკუნეში, აბოცი მთელ ვოგარენესთან ერთად სომხებმა დაიპყრეს და იგი საქართველოს სხვა ოლქებზე ვეიან, VII საუკუნეში, დაუბრუნდა.²

აბოცი სომხურ წყაროებში აბოცის სახელით არის მოხსენიებული (მოსე ხორენაცი, ავათანგელოსი და სხვ.).³ მოსე ხორენაციის მიხედვით III-IV საუკუნეების მიჯნაზე აბოცი ისევ სომეხი მეფის ხელში იყო, „აბოცის უფლად და ტაშირის სეპუჰად⁴ ვალარშაკმა ჰაიკიანი ვუშარის შთამომავალი განამწესა“.⁵

ქართული წყაროების მიხედვით კი, IV საუკუნეში ქართლის მეფე ბაქარ მირიანის ძემ რანის ერისთავს ფეროზს „გაუცვალა ქუეყანა... და მისცა მის წილ სამშუღლითგან მიღმართ ქუეყანანი ვიდრე თავადმდე აბოცისა“.⁶ პროფ. დევი ბერძენიშვილის ვარაუდით, „თავადმდე აბოცისა“ აბოცსაც გულისხმობს, ეს ჩანს ზემოთ უკვე მოხმობილი ჩანაწერიდან. გამოდის, რომ IV საუკუნეში ლეონტის ცნობის მიხედვით, ქართლს აბოცი დროებით დაუბრუნებია, მაგრამ სომხური წყაროებით, აბოცი ამის შემდეგაც სომხეთის შემადგენ-

¹ ლეონტი პროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, გვ. 48.

² დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ქვემო ქართლი, გვ. 53.

³ იხ. დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ქვემო ქართლი, გვ. 53.

⁴ „სეპუჰ“ ისევ, როგორც ქართული ზებურ-ი ირანული წარმოშობის სიტყვაა („გვარიშილი“, „სახლის შვილი“). სომხეთში სეპუჰებს უწოდებდნენ სანაზარარო სახლის წევრებს, ნასარართა ძმებს, შვილებს. ადრეფეოდალური ხანის შემდეგ ტერმინმა სეპუჰმა ძველი სოციალური შინაარსი დაკარგა და სამოქალაქო, ან სამხედრო სამსახურთან დაკავშირებული თანამდებობის აღმნიშვნელ ზოგად ცნებად იქცა (იხ. მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმანა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ალექსანდრე აბდალაძემ, თბ., 1984, გვ. 264).

⁵ მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, გვ. 106.

⁶ ლეონტი პროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, გვ. 131.

ლობაში ჩანს“.¹

მოგვიანებით, ჯუანშერის მიხედვით, VIII საუკუნის შუა ხანებში, ქართლში მეფე არჩილის დროს, ქვემო ქართლში ერთ-ერთი სამთავრო იყო საპტიანხშო. იგი მოიცავდა თრიალეთს, ტაშირს და აბოცს. ჯუანშერი წერს, რომ არჩილმა თავისი ძმის ერთ-ერთი ასული მიათხოვა „პატიანხშსა, ნათესავსა ფეროზისსა, რომელი მთავრობდა თრიალეთს, ტაშირს და აბოცს“.²

არაბების შემოსევების დროს საპტიანხშომ თავისი ძველი პოზიციები საბოლოოდ დათმო და IX საუკუნეში არაბებთან ბრძოლით ამ მხარის დაპატრონება უკვე ბაგრატიონების ოჯახის წევრს, გუარამ მამფალს მოუწია. „მატიანე ქართლისაჲს“ მიხედვით, „გუარამს დაეპყრა ჯავახეთი, თრიალეთი, ტაშირი და აბოცი და არტანი. და ჰბრძოდა სარკინოზთა“. შემდგომ ეს ქვეყნები გუარამს ძმებისთვის გაუყვია, ხოლო ცოლის ძმას, სომეხთა მეფეს გაუყო აბოცი: „ხოლო გუარამ განუყვნა ქუეყანანი ძმათა თუსთა ადარნასეს და ბაგრატს, და აბოცი განუყო ცოლის ძმასა თუსსა, სომეხთა მეფესა“.³

მალე აბოცი ტაშირ-ძორაგეტის სამეფოს შემადგენლობაში მოექცა. ტაშირ-ძორაგეტის სამეფო X საუკუნის 70-იან წლებში გურგენმა, ანუ კვირიკემ, ანისის მეფე სუმბატ II ბაგრატუნის თანხმობით დაარსა ქვემო ქართლში. დამაარსებლის სახელიდან გამომდინარე მას კვირიკიანთა სამეფოსაც უწოდებდნენ. კვირიკიანების დინასტია ანისელი ბაგრატუნების პირდაპირი შტო იყო, რომელიც მოყვრობით იყო დაკავშირებული ბაგრატიონებთან, ასევე, ქართულ და

¹ დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ქვემო ქართლი, გვ. 54. იხ ასევე, ლ. ჯანაშია, ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1962, გვ. 188.

² ჯუანშერი, ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით, სიმონ ფაუნჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 241.

³ მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით, სიმონ ფაუნჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 257.

სომხურ ფეოდალურ სახლებთან.¹ მოგვიანებით ტაშირ-ძორაგეტის სამეფო თურქ-სელჩუკების ხელში აღმოჩნდა. საბოლოოდ კი, ქვემო ქართლის სხვა მხარეებთან ერთად აბოციც დავით აღმაშენებელმა (1089-1125 წწ.) დაუბრუნა საქართველოს.²

ერთიანი ფეოდალური საქართველოს დროს აბოცის მხარე მეფის სახასო უნდა ყოფილიყო. ხოლო მისი აოხრება და მოსახლეობისგან დაცლა მონღოლებისა და განსაკუთრებით თემურ ლენგის გამანადგურებელი ლაშქრობების გამო მოხდა.

XV საუკუნის ბოლოს ერთიანი საქართველო საბოლოოდ დაიშალა. ამასთან, დაშლის პარალელურად ახლადწარმოქმნილ პოლიტიკურ ერთეულებში მიმდინარეობდა კიდევ უფრო წვრილი ერთეულების, დიდი და მცირე სათავადოების, ჩამოყალიბება. ქართლის სამეფოში ჩამოყალიბდა ბარათაშვილების, ციციშვილების, ამილახვრების და სხვ. სათავადოები, მაგრამ სამეფოს გარკვეულ ტერიტორიაზე სათავადოები არ ჩამოყალიბებულა, უმთავრესად ეს ეხება ქვემო ქართლის სამხრეთ ოლქებს, რომელიც მეფის უშუალო საკუთრება, ანუ სამეფო სახასო იყო.

XV-XVIII საუკუნეებში ქვემო ქართლის სამხრეთის, ანუ საზღვრისპირა პროვინციები იყო: ყაიყული (ძველი აბოცი), ტაშირი,

¹ ვარდან არეველცი, მსოფლიო ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნეს ნოდარ შიშიაშვილმა და ეკა კვაჭანტირაძემ, შესავალი, კომენტარები და საძიებლები დაურთო ეკა კვაჭანტირაძემ, თბ., 2004, გვ. 211; ლეონ მელიქსეთ-ბეგი, „ჩრდილო მხარეთა სომეხთა მოძღვარი“ და მათი ვინაობა, სომეხ-ქართველთა ურთიერთობის საკითხებთან დაკავშირებით (ცდა ისტორიულ-ლიტერატურული გამოკვლევისა), ტფ., 1928, გვ. 25; იხ. ასევე, დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ქვემო ქართლი, გვ. 70, ქ. ქუთათელაძე, ქვემო ქართლი, პოლიტიკური ისტორიის საკითხები (ტაშირ-ძორაგეტის სამეფო, ორბელთა გვარის ისტორია), თბ., 2001, აღ. ბოშიშვილი, ლორე ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება: დავით აღმაშენებელი და მისი ეპოქა, თბ., 2012, გვ. 90-106.

² დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ქვემო ქართლი, გვ. 54.

სომხითი (მელიქის მამულის გარდა), ლორე, თრიალეთი, ბაშბაკი, ასევე, ქვემო ქართლში მომთაბარე, თათრული, ე.წ. ელის განსახლების ადგილები (ბორჩალოს, ბაიდარის, შამშადილოს, დემურჩი ასანლუს, ყაზახის „სახანობი“ და „სასულთნობი“).

ისტორიული აბოცის ადგილზე დაახლოებით ამავე პერიოდში უნდა გაჩენილიყო ყაიყულის დასახლება, იგი მომთაბარე თურქმანების მიერ უნდა იყოს შერქმეული. სავარაუდოდ, ეს უნდა ყოფილიყო აბოცის ტერიტორიაზე დასახლებული მსგავსი სახელწოდების ტომის სახელი. ერთ-ერთ დოკუმენტში ყაიყული დაფიქსირებულია ყაიყულეს¹ ფორმით,² რაც კიდევ გვარწმუნებს ამ აზრის სისწორეში, რადგან სახელის დაბოლოების ფორმა სწორედ მომთაბარე თურქმანული ტომებისთვის არის დამახასიათებელი (მაგ., ბორჩალუ, შამშადილუ, არუხლუ, სარაჯლუ და სხვ.).

ყაიყულზე ოსმალეთიდან ირანისაკენ მიმავალი გზა გადიოდა.³ ხოლო მათ შორის წარმოებული ომების დროს ხშირად სწორედ ყაიყულზე ხდებოდა დიდი სამხედრო ძალების მოძრაობა,⁴ რაც ამ მხარის მულმივ აოხრებას იწვევდა. ყაიყულის სამხრეთით მდებარეობდა

¹ მკვლევარ ზურაბ შარაშენიძის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, მსგავსი სახელის ტომი „ყაიყულ“ ასთრბადის ვაჯართა ტომის ერთი ჯგუფის „ეშაყე ბაშის“ განშტოება იყო. ავტორი მათ ყაიყულთან არ აკავშირებს, თუმცა, ვფიქრობთ, სახელის მსგავსება საინტერესო დამთხვევა უნდა იყოს იმის დასადასტურებლად, რომ მსგავსი სახელების წარმოშობა უფრო თურქმან ტომებთან უნდა იყოს კავშირში (იხ. ზ. შარაშენიძე, ირანი XVIII საუკუნის მეორე ნახევარში, თბ., 1970, გვ. 7, სქოლიო 4).

² საქართველოს სიძველენი, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, ექ. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტ. I, ტფ., 1899, გვ. 488.

³ XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნის დასაწყისში საქართველოს ტერიტორიაზე ფრანგმა მოგზაურმა და ბუნებისმეტყველმა ჟოზეფ პითონ ტურნეფორმა იმოგზაურა. იგი წარსიდან თბილისში სწორედ ყაიყულ-ყაზანჩის ვაკლით ჩამოვიდა (იხ. ფ. პ. ტურნეფორი, მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, ფრანგულიდან თარგმან, შესავალი და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ., 1988, გვ. 19).

⁴ მაგალითად, ჯავახეთში მყოფი ნადირ შაჰის „აიყარა ჯავახეთით, გარდმოიარა ყაიყული და ჩამოვიდა ტაშირს...“ (იხ. პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელენე ცაგარეიშვილმა, თბ., 1981, გვ. 89).

შურაგელი. როგორც პროფ. დევი ბერძენიშვილი აღნიშნავს, „აბოცის ცენტრი ამავე სახელწოდების დაბაში იყო, რომელიც სწორედ საქართველოდან სომხეთში გამავალ გზაზე მდებარეობდა. XVI საუკუნის ირანელი ავტორები მას შურაგელსაც უწოდებდნენ. ხოლო გვიან საუკუნეებში მხარეს ყაიყული, მის ცენტრს კი ყაზანჩი ერქვა“.¹ ყაზანჩი მცირე ქალაქი იყო.² დღეს კი მის ადგილას სომხეთის რესპუბლიკაში შირაკის მხარეში მდებარეობს ქალაქი ღაზანჩი. არის ასევე, ქალაქი აშოცქი.³ შურაგელი კი თურქეთის რესპუბლიკის ყარსის გუბერნიის პატარა ქალაქის აქიაქას (Akyaka) ადგილას იყო. იგი თურქეთისა და სომხეთის რესპუბლიკების საზღვართან ახლოს მდებარეობს და 1922 წლამდე შურეგელი (Şuregel) ერქვა.⁴

* * *

XV-XVII საუკუნეებში, ქართლის სამეფოში შექმნილი რთული პოლიტიკური სიტუაციის გამო ყაიყული მოსახლეობისგან დაიცალა. როგორც ჩანს, ცენტრალური ხელისუფლება ამ მხარის მოვლა-პატრონობას სათანადოდ ვერ უზრუნველყოფდა.

XVII საუკუნის შუა ხანებში ყაიყულში და მის ირგვლივ არსებული საძოვრებში მცხეთის საკათალიკოსო მამულებიც იყო. 1648 წლის ახლო ხანების საბუთში ჩამოთვლილია მცხეთის საკათალიკო-

¹ დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ქვემო ქართლი, გვ. 54.

² „ყაზანჩი იყო, ქალაქი მცირე“ (იხ. ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 314).

³ აღრინდელი სახელწოდება კიზილ-კოჩი იყო. იგი 1825 წელს ოსმალეთიდან, ქ. მუშიდან, გადმოსასლებულმა სომხებმა დაარსეს. საბჭოთა პერიოდში თანამედროვე აშოცქს ლუქა ზიანი ერქვა.

⁴ მოგვიანებით, ტერიტორიის თურქეთის რესპუბლიკის შემადგენლობაში გადასვლის შემდეგ, 1922-1961 წლებში, კიზილ-ჩაქჩაქიც (Kızılçakçak) ერქვა.

სო მამულები, სადაც სხვა კუთხეებთან ერთად დასახელებულია: „...საბარათიანო, სომხითი, ტაშირი, თრიალეთი, ჯავახეთი, ყაიყული, მისი გარეშამო და იალათი“.¹

ქართლის მეფე ყაიყულის მხარეს მოურაგების საშუალებით განაგებდა, იქ არსებულ ყველა სოფელს თავისი მოურაგი ჰყავდა. ყაიყულში უმეტესად მოურაგებად თავადი დოლენჯიშვილი, თავადი ორბელიანი, ანუ ყავლანიშვილი, ანდა აზნაური საგინაშვილი იყო.

1686 წელს გიორგი XI-მ (1675-1688; 1703-1709 წწ.) ზაალ დოლენჯიშვილს უბოძა ყაიყულის „მებალახეობა“, ანუ საძოვრების სარგებლობისათვის გადასახადის აკრეფაზე პასუხისმგებლობა. დოლენჯიშვილი ყაიყულში მცხოვრებ მეცხვარეებს ყოველ 50 ცხვარზე საძოვრისათვის ერთს გამოართმევდა, ხოლო 200-ზე ერთს შიშლიკად.² და ამასთან, მეფე მას მკაცრად აფრთხილებდა, რომ ამას გარდა გლეხებისთვის სხვა არაფერი გამოერთმია – „მეფეთ-მეფემან, კელმწიფემან, პატრონმან გიორგიმ... ვისმინეთ აჯა და მოხსენება თქუენი, შევიწყალეთ და ვიბოძეთ ამასალათ ყაიყულუს საბალახოს მკრეფელობა, ამ წესით საჩუენით ორმოცდაათ სულზედ ერთს ცხუარს საბალახეთ აიყუანდე და ორას სულზედ ერთს ცხუარს შიშლი-

¹ ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ახსნილი და გამოცემული თედო ჟორდანას მიერ. ტ. II, ტფ., 1892, გვ. 453; გარეჯის ისტორიული დოკუმენტები, XIII-XVIII სს. ნაკვეთი I, გამოსაცემად მოამზადეს დოდო ლომიძემ, მანანა ჭუმბურიძემ და ზაზა სხირტლაძემ, ზეინაბ გურჯიძის და ლევან ბუკიას მონაწილეობით, თბ., 2008, გვ. 58.

² შიშლიგი თურქული სიტყვაა, იგი საბალახე გადასახდელთან არის დაკავშირებული, „მობალახე“ ბატონის მოხელე იყო, რომელიც საბალახეს გადასახდელს შიშლიგს აგროვებდა. ზოგან ნატურით იყო, მაგალითად, ცხვარი, მწყემსავდა, ე.ი. უვლიდა მას. მოსახლეობას ჰქონდა შეწერილი შიშლიგი. ზოგან ასზე ერთი ცხვარი იყო, თრიალეთში ასზე ორი ცხვარი იყო. ყაიყულის შემთხვევაშიც გვაქვს გადასახადის შეღავათი (იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ხელმწიფის კარის გარიგება, დასტურლამალი, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ივანე სურგულაძემ, თბ., 1970, გვ. 836-837).

კათ გამოართმედე, და სსუა რიგათ გლესს ძალას არ უზემდე“.¹

დოლენჯიშვილები ქართლის მცირე თავადების რიცხვში ითვლებოდნენ, ისინი წარმოშობით მესხი დიდებულები იყვნენ. XVII საუკუნეში დოლენჯიშვილების ერთი შტო ქართლის მეფესთან გამოვიდა² და მის სამსახურში ჩაღვა.³ მათ მესხურ წარმოშობას ხაზგასმით აღნიშნავს ვასუშტი ბატონიშვილიც „დოლენჯიშვილი აწ ჩამოსულნი მესხიდა“.⁴

დოლენჯიშვილები XVII საუკუნის მიწურულს ქართლის სამეფოში ახალად დაწინაურებულები იყვნენ. რადგანაც ისინი მესხეთიდან იყვნენ, ქართლის მეფე ოსმალეთთან მოსაზღვრე ყაიყულში აძლევდა სამოხელეო ტერიტორიებს. ყაიყულის დასავლეთით უკვე ახალციხის საფაშო იყო, სადაც დოლენჯიშვილების მესხეთში ყოფნის დროს მათი სამკვიდრო მამული მღებარეობდა.

1688 წელს ქართლის მეფე ერეკლე I, ანუ ნაზარ-ალი ხანი (1688-1703 წწ.) გახდა. მან 1692 წელს ყაიყულში ერთი სოფლის – ბეთლემის – მოურავობა იასე დოლენჯიშვილს უბოძა.⁵

¹ საქართველოს სიძველენი, ტ. I, გვ. 488; ქართული სამართლის ძეგლები, ტ. II, საერო საკანონმდებლო ძეგლები (X-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ისიდორე დოლიძემ, თბ., 1965, გვ. 230.

² დოლენჯიშვილების, საგვარეულოს ერთი ნაწილი ოსმალთა სამსახურში ჩამდგარა (იხ. თურქული წყაროები XVI ს. I მეთხედის სამცხე-საათაბაგოს ისტორიისათვის, თურქული დოკუმენტები ქართული თარგმანით, გამოკვლევისა და შენიშვნებით გამოსცა ცისანა აბულაძემ, თბ., 1983, გვ. 43-44, 54; გურჯისტანის ვილაიეთის დიდი დაფთარი, თურქული ტექსტი გამოსცა, თარგმანი, გამოკვლევა, კომენტარები და წინასიტყვაობა ქართულ რუსულ ენებზე დაურთო სერგი ჯიქიაშვილმა, ტ. II, თბ., 1941, გვ. 337).

³ ალ. ბოშიშვილი, მესხი დიდებულის დოლენჯიშვილის ოჯახი, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომების სპეციალური გამოშვება, „კლარჯეთისა დიდებულთა უდაბნოთა“, თბ., 2012, გვ. 145-146.

⁴ ვასუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 34.

⁵ საქართველოს სიძველენი, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, ექვ. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტ. II, ტფ., 1909, გვ. 359.

ამრიგად, ქვემო ქართლის მცირე თავადები, დოლენჯიშვილები, თითქმის მთელი საუკუნის განმავლობაში ყაიყულში „საბალახოს მკრეფელობისა“ და ზოგიერთი სოფლის მოურაობის პატივი ჰქონდათ. ხოლო XVIII საუკუნის 80-იანი წლების დასაწყისში, იოანე დოლენჯიშვილის გარდაცვალების შემდეგ, მათი სათავადო ფაქტობრივად გაუქმდა. მამულები, სამოხელეო ტერიტორიები და შემოსავალი საგინაშვილმა მიიღო იმ პირობით, რომ მის შვილებს „დააბინავენდა“,¹ ხოლო ნაწილი სიძეს, ამილახვრების საგვარეულოს წარმომადგენელს, ნინიას, ღარჩა.²

ერეკლე I-მა ყაიყულის მოურავობა XVII საუკუნის მიწურულს ქაიხოსრო საგინაშვილს უბოძა.³

საგინაშვილები კახეთში თავადის, ხოლო ქართლში აზნაურის პატივით სარგებლობდნენ. მათ მამულები ქვემო ქართლში ჰქონდათ,⁴ ხოლო ყაიყული დოლენჯიშვილების მსგავსად საგინაშვილებისთვისაც სამემკვიდრეო სამოხელეოდ იყო გადაქცეული.

XVII საუკუნის ბოლოს ერეკლე I, ნაზარ-ალი ხანი (1688-1703 წწ.), ყაიყულის მოურავს, ქაიხოსრო საგინაშვილს, გაუწყრა და 1699 წელს თანამდებობიდან გადააყენა. მის ნაცვლად კი ბარათაშვი-

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, სასამართლო არზა ოქმები და კრონო-სამართლებრივი აქტები, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ისიდორე დოლიძემ, თბ., 1985, გვ. 776-777; საქართველოს სიძველენი, ტ. I, გვ. 401-402.

² ალ. ბოშიშვილი, მესხი დიდბუღის დოლენჯიშვილის ოჯახი, გვ. 148.

³ მ. შებუა, საქართველოს მეზეუმის სპარსული ფირმანები და ჰოქმები, I, თბ., 1949, გვ. 26.

⁴ რ. თოფჩიშვილი, საქართველოს თავად-აზნაურთა გვარების ისტორია, თბ., 2011, გვ. 290-292; პირთა ანოტირებული ლექსიკონი, XI-XVII სს. ისტორიული საბუთების მიხედვით, მასალები შეკრიბეს და გამოსაცემად მოამზადეს, გიორგი ოთხმეზურმა, გულიკო მჭედლიძემ, მზია სურგულაძემ, დავით ფლენტმა, ანა ბაქაძემ, თინა ენუქიძემ და ღარუჯან კლდიაშვილმა, ტ. IV, ტომი შეადგინეს მზია სურგულაძემ და ღარუჯან კლდიაშვილმა, თბ., 2007, გვ. 112-121.

ლების საგვარეულოს წარმომადგენელი ოთარი დაადგინა.¹

ოთარი XVII საუკუნის II ნახევარში მოღვაწე ასლან ბარათაშვილის შვილი იყო. ისინი ბარათაშვილების ორბელიანთა განშტობას ეკუთვნოდნენ. ასლანი ქართლის მეფეებისგან დაწინაურებული იყო და სამეფო კარზე მოღარეთუხუცესის თანამდებობა ეკავა, ქვემო ქართლში კი მეფის სასასო მამულების ნაწილის მოურაობა ევალებოდა.²

ქაიხოსროს გადაყენების მიზეზი ის გახდა, რომ მეფე მას თავის სამონღოლ მხარეში, ყაიყულში, ჩადენილ დანაშაულს ედავებოდა. „...ქაიხოსრო საეინაშვილმა ყაიყულის მხარეში, სადაც თვით იყო ტარულად და აღნიშნული კუთხის ხასადრად, მოკლა აღმატებულთა უაღმატებულეს ნავაბე ირანმოდარი ეთემად დოვლეს რამდენიმე მსახური, რომლებიც გართული იყვნენ სავაჭრო საქმიანობაში“. ამის შემდეგ ქაიხოსრო იძულებული გამხდარა ოსმალეთში გადასულიყო, „არჩია რა ლტოლვა, უბადრუკი თურქეთის ქვეყნისაკენ გაიქცა“. ამიტომ, ბრძანებდა ნაზარ-ალი ხანი: „ჩამოერთვას ხასადრობა ხსენებული მხარისა და ტარულობა სოფლებისა ყიზილქილისისა და ურთულისა და ბოძებულია შეწყნარების თანაგრძნობით წარჩინებულთა შორის რჩეულ ოთარ-ბეგისადმი, ასლანბეგ ბარათაშვილის ძისადმი...“.³

ქართლის მეფემ ახლადდადგენილ ყაიყულის მოურავს მხოლოდ თანამდებობა კი არ დაუმტკიცა, არამედ მითითებებიც მისცა, თუ როგორ უნდა იქცეოდეს ყაიყულის მოურავი თავის საგამგეოში. „ზრუნავდეს ხასადრობისა და ტარულობის წესებით საჯოს და აჯარიმოს დამნაშავენი დანაშაულის შესაბამისად, ხოლო გლეხებთან ბეჩავებთან

¹ მ. ხუბუა, საქართველოს მეზეუმის სპარსული ფირმანები და პოქმები, გვ. 26.

² იხ. პირთა ანოტირებული ლექსიკონი, XI-XVII სს. ისტორიული საბუთების მიხედვით, გამოსაცემად მოამზადეს: დ. კლდიაშვილმა, მ. სურგულაძემ, ე. ცაგარეიშვილმა, გ. ჯანდიერმა, ტ. I, თბ., 1991, გვ. 396.

³ მ. ხუბუა, საქართველოს მეზეუმის სპარსული ფირმანები და პოქმები, გვ. 26.

და უმწეობებთან გამოიჩენს ისეთ კეთილგანწყობილებას, რომ ყველა ისინი იმყოფებოდნენ სიმშვიდესა და სიწყნარეში...“¹

ეს ბოლო მითითება, რომელსაც მეფე მოუწავს ავალებდა, ადგილობრივი მოსახლეობის მოძლიერებისა და დამკვიდრების მიზნით უნდა გაეკეთებინა. XVIII საუკუნის დასაწყისიდან კი ქართლის მეფეებმა ყაიყულის მხარის მოშენებაზე განსაკუთრებული მზრუნველობა დაიწყეს.

მეფის ხელისუფლება ყაიყულის მხარეში სოფლების მოშენებას ყველანაირად ხელს უწყობდა. XVIII საუკუნეში ვახტანგ VI-ის მიერ შედგენილ ქართლის სამეფოს მოწყობის დოკუმენტში, „დასტურლამალში“, ყაიყულის შესახებ აღნიშნულია, რომ ყაიყულში ახლად დამკვიდრებულები გადასახადებისგან უნდა გათავისუფლებულიყვნენ. სახელმწიფოს ვალდებულებებისგან, ასევე, თავისუფლდებოდა გლეხი, რომელიც გაქცეულების ადგილას დასახლდებოდა. „ახალი მოსული კაცი ერთს წლამდინ თარხანი იყოს, ნურას სთხოვენ... აყრილის კაცის სახლში რომ სხვა მოსული გლეხი შევიდეს, იმის ნახნავ-ნათესს ნუ წაართმევენ... ერთი კაცი რომ დაბერებულიყოს და იმის შვილები მალს იღებდნენ, იმ ბერს კაცს დავთარში ნუ ჩააგდებენ და ნულარც მალსა სთხოვენო“²

როგორც წყაროებიდან ჩანს, ყაიყულს განსაკუთრებული ყურადღება ვიოორგი XI-მ (1675-1688; 1703-1709 წწ.) მიაქცია, მან მიზნად დაისახა, რომ მხარე, რომელსაც საუკუნეთა განმავლობაში ქვეყნის ისტორიაში მნიშვნელოვანი ფუნქცია ეკისრებოდა, ხელახლა მოეშენებინა და გაემდიერებინა.

მეფის აღნიშნული მიზანი რამდენიმე ფაქტორით იყო განპირობებული. პირველ რიგში, ეს იყო სტრატეგიული და პოლიტიკური

¹ მ. ხუბუა, საქართველოს მუზეუმის სპარსული ფირმანები და პოქმები, გვ. 26.

² დასტურლამალი, გვ. 612.

ფაქტორები, რადგან ყაიყული ოსმალეთთან მოსაზღვრე პროვინცია იყო, საზღვრის დაცვა და გამაგრება ნებისმიერი სახელმწიფოსთვის ერთ-ერთი მთავარი სტრატეგიული მნიშვნელობის იყო, და ასეა დღესაც. ამასთან, ყაიყულზე გადიოდა ოსმალეთისა და ირანის დამაკავშირებელ გზა. როდესაც ისინი ერთმანეთთან ომებს აწარმოებდნენ, უმეტეს შემთხვევაში სწორედ ყაიყულზე გადიოდა ოსმალთა თუ ირანელთა არმიები. ამ მხარის აოხრების ერთ-ერთი უმთავრესი მიზეზიც, როგორც ზემოთაც აღინიშნა, სწორედ ეს პროცესები იყო.

და მეორე მიზეზი, რის გამოც ყაიყულის მოშენება აუცილებელი იყო, ესაა ეკონომიკური ინტერესი. ყაიყულში შესანიშნავი პირობები იყო როგორც საზაფხულო საძოვრებისთვის, ისე სხვადასხვა კულტურების, მაგალითად, სელის მოსაყვანად. ამასთანავე, ცნობილია, რომ მოკვიანებით ყაიყული ტაშირთან ერთად ქართლს ზეთით მომარაგებდა უზრუნველყოფდა, რომელსაც იყენებდნენ როგორც სათბობად, ისე განათებისთვის.¹ ვახუშტი კი იქაური მცხოვრებლების დახასიათებისას აღნიშნავს, რომ ისინი არიან „მკვლენი ზეთისანიო“.²

მთავარი მიზეზი კი ის იყო, რომ მეფეს კარგად ესმოდა, გაპარტახებულ, დაცლილ და უკაცრიელ მხარეს საქართველოსგან საბოლოო გაუცხოვებაც დაემუქრებოდა. ყაიყული მიტოვებული იყო და მხოლოდ საძოვრად იყო ქცეული, მას მხოლოდ ირველივ მომთაბარე თურქმანული ტომები იყენებდნენ სეზონურად.

სავარაუდოდ, სწორედ ამ მიზეზთა გამო ქართლის მეფეებმა გადაწყვიტეს ყაიყულის საკითხისათვის მეტი ყურადღება დაეთმობოდა და მასზე განსაკუთრებული ზრუნვა გამოეჩინათ. პროცესის შესახებ მოგვითხრობენ იმ დროს გამოცემული ისტორიული დოკუმენტები, რომელთა მიხედვით, გიორგი XI ყაიყულში სხვადასხვა მოხელეებს

¹ მ. ქიქოძე, სამეურნეო ცხოვრების წინსვლა XVIII ს. პირველ მეოთხედში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 389.

² ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 314.

ადგენს და თანამდებობებს უბოძებს. ასევე, „დასტურლამალში“ აღწერილია ის საკანონმდებლო სამუშაოები, რომელიც მან ყაიყულში დასახლების მსურველთათვის ჩაატარა. რომლებიც დიდ შეღავათებს ითვალისწინებდა. ასევე, მეტად საინტერესოა და იქნებ უპრეცედენტოც, რომ ყაიყულის ტერიტორიაზე მსუბუქ დანამაჟულზე გარკვეული შეღავათები იყო დაწესებული, ანუ ყაიყულის სოფლებში მცხოვრებ მოსახლეობას გიორგი XI-მ სხვა სამართალი დაუდგინა.

ქვემოთ უფრო დაწვრილებით განვიხილოთ „დასტურლამალში“ ყაიყულის შესახებ შეტანილი ცნობები:

„კარი 36. ყაიყულის გამოსაღებისა და მათის მოკვლევებისა“

დასაწყისში ჩამოთვლილია ყაიყულის მხარის სოფლები მათი მოურავების დასახელებით.¹ „დასტურლამალის“ მიხედვით ჩანს, რომ საუბარია მოშენებულ სოფლებზე, რომლებზეც ცენტრალური ხელისუფლება ზრუნავდა. შემდეგ იქვე დასახელებულია ნასოფლარებიც: „ყაიყულს აუშენებელი ნასოფლარი – ყორყორა, ნასოფლარი რძიებისა, კიდევ იქვე ერთი ნასოფლარი – ანაყიზოღლისა. ტბის გარშემო ნასოფლარი ექესი“.²

„დასტურლამალის“ მიხედვით, ყაიყულში გიორგი XI-ის მიერ სპეციალური წესებია დადგენილი. მათში დაწვრილებით არის წარმოდგენილი ყაიყულის მოურავის სარგო და შემოსავალი, ვლენებზე დადებული გადასახადები, ასევე, ყაიყულში წარმოებული სამართლის წესები და ნორმები, განსაზღვრულია იქ ჩადენილ დანამაჟულზე სასჯელები. ჩანს, რომ მეფის მიერ შემოღებული წესები და გადასახადები მნიშვნელოვნად იყო შერბილებული.

დაწვრილებითი აღწერა ასეთია:

„ყაიყულს მეფის გიორგის გარიგებული სამოურავო საქმე ასრე

¹ დასტურლამალი, გვ. 608-610.

² დასტურლამალი, გვ. 610.

არის, განაჩენი აქვსთ, მოურავისა სამი ფოხალი¹ პური, სამი ფოხალი ქერი,² კომლის თავს წელიწადში უნდა მოსცენ, რომ იქნების სამი კოდი³. საჩექმე, თუ იმავე ალაგის კაცმან ქალი წაიყვანოს, ექვსი შაური მოურავს და ორი შაური ნაცვალს, და თუ სხვას ალაგის კაცმან წაიყვანოს, სამს აბაზს მოურავს მისცემდეს და ორ შაურს ნაცვალს.“

საინტერესოა გადასახადები ოჯახების გაყრის დროს: „გასამყრელო კაის გლეხზედ მოურავს ერთი ძროხა, მცირეს გლეხზედ – ერთი ცხვარი. ნაცვალს, ვისაც ძროხა გამოუვილოდეს აბაზსა, და ვისაც ცხვარი გამოუვილოდეს ორ შაურს მისცემდეს“.

გადასახადებთან ერთად, როგორც ზემოთ აღინიშნა, საინტერესო ის არის, რომ წერილმან დანამაულზე მხოლოდ ყაიყულისათვის განსაზღვრული სპეციალური კანონმდებლობა არსებობდა. ქვემოთ დანამაულის ჩამდენთათვის ის სასჯელის ზომები და სამართლის ნორმები წარმოდგენილი, რომლებიც გიორგი XI-მ ყაიყულისთვის დააწესა:

„თავის გასამტეხლო ხუთი აბაზი – მოურავსა. კბილის ჩამოდებინებისათვის ოცდაათი შაური. ვინც ბოზობა ქნას – ხუთი მინალოთუნი. ფურზედ – ერთი სტილი ერბო“.

„ქურდობა თუ საქართველოს მამულში შეაჩნდეს შვიდეულად

¹ ფოხალი ძველად 20 კგ-ს უდრიდა (იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, მთ. რედ. არნ. ჩიქობავა, თბ. 1986, გვ. 448). სულხან საბას მიხედვით, ფოხალი ნახევარი კოდი იყო (იხ. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. II, ავტორგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებითი ლექსიკონის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, თბ., 1993, გვ. 198).

² დასტურლამალი, გვ. 610.

³ კოდი დასტურებით 3-4 ფუთი უნდა ყოფილიყო (იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, გვ. 448). უფრო დაზუსტებულ მონაცემებს გვთავაზობს, ივანე სურგულაძე, „კოდი მარცვლეულის საწყაო სხვადასხვა ზომისა ქვემო ქართლში ოთხი ფუთი, ან რვა ჩანახი, ზემო ქართლში ხუთი ფუთი და ათი ჩანახი და ა.შ. (იხ. დასტურლამალი, გვ. 798).

აზღვევინოს მოურავმან და ერთი-ორად პატრონს მისცეს, და სხვა საბატონოდ მოვიდეს.

თუ სხვის ქვეყნის ქურდობა შეაჩნდეს, ერთი-ორად აზღვევინონ: ერთი პატრონს მისცენ და ერთი საბატონოდ მოვიდეს“.¹

აქ საინტერესო ის არის, რომ ღამნაშავეს „სხვის ქვეყანაში“ ქურდობის შემთხვევაში უფრო ნაკლები საზღაური აქვს გადასახდელი.

მოურავის სარგოს, ანუ მოურავის სასარგებლოდ გადახდილი გადასახადი, მნიშვნელოვნად შერბილებულია. შედარებისათვის, იქვე, დაახლოებით ისეთივე ბუნებრივი პირობების მქონე თრიალეთში გაცილებით მეტია მოურავის გადასახადი.

„მოურავმან ძროხაზედ აბაზი აიღოს საიასულო, და რასაც საბატონოდ მოვიდეს ხუთისთავს იმისგან მოურავი აიღებდეს.

სახდელად თვითო შეგლებაზედა თვითო ჩარექს ზეთს მისცემენ.

მოურავი ორას ცხვარზედ თვითოს შიშლივს² აიყვანდეს.

საქერივო ძროხა ბატონის არის, ცხვარი მოურავისა.

ჩვენს სამსახურზედ მოურავს ულაყს ათხოვებდნენ“.³

„დასტურლამალი“, ასევე, წარმოდგენილია, ვანტანგ VI-ის (1703-1712; 1716-1724 წწ.) მიერ ყაიყულისთვის დადგენილი გარკვეული წესები. საუბარია გიორგი XI-ის შემდეგ კანონების შედარებით გამკაცრებაზე, რადგან „მაშინ (გიორგი XI-ის დროს – ა. ბ.) ყაიყული თავად ახალი მოშენე ყოფილა და მაშინდელი რივი მართა-

¹ დასტურლამალი, გვ. 611.

² შიშლივი თურქული სიტყვაა, იგი საბალახე გადასახდელთან არის დაკავშირებული. „მობალახე“ ბატონის მოხელე იყო, რომელიც საბალახეს გადასახდელს შიშლივს აგროვებდა. ზოგან ნატურით იყო, მაგალითად, ცხვარი, მწყემსავდა, ე.ი. უვლიდა მას. მოსახლეობას ჰქონდა შეწერილი შიშლივი. ზოგან ასზე ერთი ცხვარი იყო, თრიალეთში ასზე ორი ცხვარი იყო. ყაიყულის შემთხვევაშიც გვაქვს გადასახადის შეღავათი (იხ. დასტურლამალი, გვ. 836-837).

³ დასტურლამალი, გვ. 612.

ლი არის, ისრე იქნებოდა“. ვახტანგის დროს კი ყაიყულში გარკვეული სტაბილური მდგომარეობისთვის მიუღწევიათ. ხალხი მომრავლებულა და, შესაბამისად, დანაშაულზეც შეღავათებს ვეღარ დაუშვებდნენ და ეკონომიკურად მოძლიერებულ მოსახლეობას გარკვეულწილად მეტი გადასახადის გადახდაც შეეძლო.

„დასტურლამალის“ მიხედვით, ყაიყულის მოსახლეობას თვითონ მოუთხოვია, მათთვის დაწესებული კანონებისთვის გადაეხედათ: „რა ქვეყანა მომრავლდების, ერთმანეთში ბევრი რამ ძალი.¹ და ურივო მოხდების, ამისთვის თვითონ ყაიყულელნი მოვიდნენ და ბატონიშვილს ჯანიშინს შემოეხვეწნენ და ასრე გაარიგებინეს, უფროსი ერთი უწინდელივ გარიგებული არის ამაში, მაგრამ ასრე უნდა იქნებოდეს.

არის ბატონისათვის ძალი თავზედ ექესი შაური. ამას გარდა, თავზედ ერთი შაური კიდევ სხვა აილების. ამისგან ნახევარ შაური მოურავისა არის, ნახევარ შაური სახლთხუცისა და მდივნებისა.

ერბო ფურზედ ხუთი სტილი გამოიღონ...“ და სხვ.

რამდენიმეწლიანი შეღავათების შემდეგ უკვე დამკვიდრებულ მოსახლეობას აღნიშნული გადასახადების გადახდა არ უნდა გასჭირვებოდა.

ისე არ უნდა წარმოვიდგინოთ, რომ ძველი შეღავათები ყველასთვის გაუქმდა. იქვე ცალკეა გამოყოფილი მუხლი, რომელშიც საზგასმით არის აღნიშნული, რომ ყაიყულში ახლად დასახლებული ადამიანი ერთი წლის განმავლობაში ყველანაირი გადასახადისგან ისევე თავისუფალი იქნებოდა. ეს მუხლი აჩვენებს, რომ მეფის პოლიტიკა, ყაიყულში დამკვიდრების მსურველ ახალმოშენებს კვლავ ხელს უწყობდა.

„ახალი მოსული კაცი ერთს წლამდინ თარხანი იყოს, ნურას

¹ დასტურლამალი, გვ. 612.

სთხოვენ, საბატონო ულაცი არა სდებია და ნურც სთხოვენ¹.¹ მეფეთა ასეთი მონღომება, ალბათ, ისევ იმითაა გამოწვეული, რომ, როგორც ითქვა, ყაიყული ქართლის უკიდურეს სამხრეთ-დასავლეთ საზღვრის-პირა ოლქს წარმოადგენდა, ქვეყნისა და მისი საზღვრების უკეთ დაცვისათვის მნიშვნელოვანი და აუცილებელი იყო იქ მოსახლეობის დამკვიდრება.

როგორც ითქვა, ყაიყულში ყმა-მამული სახასო იყო და იგი ქართლის მეფეს და მის ოჯახს ეკუთვნოდა. მეფე ამ მხარეს მის მიერ დადგენილი მოურავების საშუალებით განაგებდა. მიუხედავად იმისა, რომ მეფე აქ უდიდესი მფლობელი იყო, XVIII საუკუნეში სხვადასხვა მებატონეების ყმების საერთო ჯამმა მეფის ოჯახის ყმების რაოდენობას გადააჭარბა.² „დასტურლამალის“ შედგენის მომენტისთვის ყაიყულის სოფლებში მოურავებად იყვნენ დადგენილი შემდეგი პირები: აბედინასშვილი; აზიზასშვილი; აღიხანა; ამირ ოღლი ალიყულა; მდივანი გივი თუმანიშვილი; გოგობაშვილი; დოღენჯისშვილი; დურმიშხან ფალავანხოსროშვილი; ვეზირი; ვეზირის ძმა; მამულა; მანუჩარ ყაფლანიშვილი; მერაბ აღა; მზეჭაბუკ ყაფლანიშვილი; მოლა აბდულასშვილი; ნური; მდივანი ოთარ თუმანიშვილი; რამაზ სარდლისშვილი ყაფლანიშვილი; როსტომ ნამანგლეღვისშვილი; ბესპაზ სავინაშვილი; სავინაშვილი ფარემუზის შვილი ბეჟანი; უზბაში; პაატა; ფირამადა; ფირამადასშვილი; ფარა; ოთარ ყაფლანიშვილი; შარაფადინა; ფათა; ხალილა; ქეშალუ ყოჯა.

წყაროებით დასტურდება, რომ ქართველი მეფეების, გიორგი XI-ისა და ვახტანგ VI-ის, მიერ ყაიყულის მოშენებაზე ზრუნვას გარკვეული შედეგისთვის მიუღწევია. თუმცა, ეს პროცესი „ოსმალბის“ (1728-1735 წწ.) დროს შეფერხებულა, რადგან მოსახლეობას

¹ დასტურლამალი, გვ. 613.

² იხ. დ. ბურძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ქუთაისი ქართლი, გვ. 97.

შელაგაობები გაუუქმდა და ისინიც ისე დაიბეგრნენ, როგორც ქართლის დანარჩენი მცხოვრებნი.

1723-1735 წლებში თბილისი და მთლიანად ქართლი ოსმალებს ჰქონდათ დაპყრობილი. ვერც ქართლის მეფე ვახტანგ VI-მ და ვერც დასუსტებულმა ირანმა ოსმალების აღმოსავლეთ საქართველოში გაბატონებას წინააღმდეგობა ვეღარ გაუწია, ვახტანგი იძულებული გახდა 1724 წელს რუსეთში წასულიყო.

ქართლში ოსმალური ადმინისტრაცია შეიქმნა. ქართლს „თბილისის ვილაიეთი“ უწოდეს, მოგვიანებით უფრო მცირე ერთეულებად, ნაპიებად, ლივებად და კაზებად დაყვეს.¹ 1728 წელს თბილისის ვილაიეთი მთლიანად აღწერეს და ოსმალური გადასახადები დააწესეს. ვილაიეთის გამგებელი, ანუ ვალი წარმოშობით ქართველი ისაყ ფაშა² იყო.

„ოსმალბის“ დროს „ყაიყულის ნაპი“ „თბილისის ვილაიეთში“ იყო გაერთიანებული. „სსენებელი ნაპიეს სოფლები და სათესველები მთლიანად სამეუფეო ხასები“ იყო. ყაიყულის ცენტრი, სოფელი „კაზანჯი“, სამ ნაწილად ყოფილა დასახლებული: საკუთრივ ყაზანჯი, „ქეშიშის დასახლება“ და „სარქისის დასახლება“. აქ იმ დროს 190 კაცი ცხოვრობდა. შემდეგ ჩამოთვლია სოფლები, დაახლოებით იგივე დასახელებებია, რაც „დასტურლამალში“.

ყაიყულის მოსახლეობის საერთო რაოდენობა „ოსმალბის“ დროს 1400 კაცი ყოფილა. იქვე დაწერილებით არის აღწერილი საზღვრები და აღნიშნულია, რომ მას ესაზღვრება საყაფლანიშვილო სათაფალო,³ ჯავახეთი, ჩილდირი, ყარსი, შურაგელი, ერევნის სასანო,

¹ 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. სერგი ჯიქიაშვილი და პროფ. ნოდარ შენგელიამ, წ. I, თბ., 2009.

² ისაყ ფაშა წარმოშობით მესხეთიდან, ჯაყელთა საგვარეულოდან იყო.

³ დავთარში იგი დასახელებულია, როგორც „ყაფლანიშვილების სამეფო“.

ბორჩალო და ტაშირი.¹

ცნობილია, რომ მოგვიანებით ქართლის მოსახლეობა ოსმალებს აუჯანყდა და ირანელებთან ერთად ოსმალების წინააღმდეგ რამდენიმე მნიშვნელოვანი ბრძოლაც აწარმოა, რასაც საბოლოოდ „ოსმალობის“ დასასრული მოჰყვა. ოსმალების ქართლიდან განდევნის საქმეში მაინც უმთავრესი როლი თამაზ ხანმა, მომავალმა ირანის შაჰმა, ნადირმა, შეასრულა.

1735 წლის გაზაფხულზე, როგორც ვახუშტი გადმოგვცემს, თამაზ-ხანმა² განჯა დატოვა, გამოიარა სომხითი და დმანისი, ყაიყულის გავლით ჩავიდა ყარსში. „შემოვლო სომხითი, და დმანისი, გარდავლო ყაიყულს და მივიდა ყარსს“. იქ სერასკერი ქოფრული³ დიდი ჯარით დახვდა და ამიტომ „ვერარაის მყოფელი ყარსს თამაზ-ხან მოიქცა და დადგა ერევანს ზეით“.⁴ მესამე დღეს ქოფრულიც მივიდა ერევანთან და დიდი ბრძოლა გაიმართა, სადაც ირანელებმა ქოფრული მოკლეს და ოსმალებიც გააქციეს: „იქმნა მუნ ბრძოლა ძლიერი, მოკლეს ქოფრული და იელტოღნენ ოსმალნი, რამეთუ ერთი ასთა შეიპყრობდა.“ ამიტომ ოსმალებმა ირანელებს დაუთმეს ერევანი, განჯა,

¹ მოსახლეობის საერთო რაოდენობა გამოთვლილია დავთარში შეტანილი დასახლებული პუნქტების მცხოვრებთა რაოდენობის დაჯამების შედეგად. გამოცემაში ყაიყულში მცხოვრებთა რაოდენობად დასახლებულია 16920, რაც გადაჭარბებული უნდა იყოს, შესაძლოა გამოცემისას დაშვებული ხარვეზია. იხ. 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. I გვ. 562-563.

² ნადირ შაჰი ხანამ შაჰი გასდებოდა თამაზის სახელით იყო ცნობილი.

³ ქოფრულ აბდულა ფაშა (Köprülü Abdullah Pasha), ირან-ოსმალეთის დაპირისპირებისას ოსმალების სარდალი იყო, ოსმალეთის დიდი ვეზირი და სერასკერი კი ალი ფაშა ჰეკიმოღლუ (Hekimoğlu Ali Pasha) იყო, რომელსაც ეს თანამდებობა 1732 წლის 12 მარტიდან, 1735 წლის 12 ივლისამდე ეკავა, ხოლო ნადირ შაჰთან დამარცხების გამო სულთანმა მაჰმუდ I-მა (1730-1754 წწ.) გადააყენა და შემდეგ იმავე წლის 25 დეკემბრამდე ოსმალეთის სერასკერი იხმაილ ფაშა გურჯი (Gürcci İsmail Pasha) იყო. მოგვიანებით ალი ფაშამ მცირე ხნით მოახერხა დაებრუნებინა დიდი ვეზირის თანამდებობა.

⁴ ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 514.

ლორე, ტფილისი. „ამის მხილველმა ოსმალთა მისცეს ერევანი, განჯა, ლორე, ტფილისი და ღაიპყრა თამაზ-ხან.¹

ამ გამარჯვების შემდეგ ნადირ შაჰმა ყაიყულის მოსახლეობა მთლიანად ხორასანში გადაასახლა. „კუალად აჰყარა ყაიყული სრულიად და წარგზავნა ხვარასანს“.² მათთან ერთად გადაასახლა დემურჩი ასანლუს ტომიც, რომელიც ქვემო ქართლში მომთაბარეობდა და „ყარაიის ჭაღას ქუეით, მტკურის კიდეს ესახლნენ“, ხოლო ზაფხულში, საძივრებისთვის, ყაიყულის მთაზე ადიოდა, „ზაფხულს ავლენან ყაიყულისა და პალაკაციოს მთასა ზედა“.³ ნადირმა ჯარი გაავზავნა არაგვის ხეობაშიც, რომელიც ბარძიმ ერისთავმა დაამარცხა. ყაიყულის გარდა, „ზემო ქართლს და საციციანოს აჰყარა სულნი მრავალნი და წარგზავნა ხორასანს... ხილხილიდამ ინჯამდე სამასი დედათაგან მოგდებულნი ჩჩულნი ეყარნენ მკუდარნი“. მალე „სრულიად აოკრებისა ქართლისა განმზრახნა“ ნადირ შაჰმა დარუბანდში არეულობის შესახებ შეიტყო, ამიტომ იძულებული გახდა უკან წასულიყო, „ჩაგლო კახეთი ოხრებით“ და აჯანყებულებიც მალე დაამარცხა და მულანის ველზე მისული შაჰდაც ეკურთხა.⁴

ნადირ შაჰის მიერ ჩატარებული გასახლების შემდეგ ყაიყულში ქართველმა მეფეებმა მოსახლეობის დამკვიდრება, როგორც ჩანს, ვეღარ მოახერხეს. 1744 წელს ნადირ შაჰი ყარსში იმყოფებოდა, როდესაც უკან, ირანში, დაბრუნება გადაწყვიტა. ყაიყულში მას მის მიერ ქართლის მეფედ ცნობილი თეიმურაზი დახვდა. „შაჰ-ნადირ ყარსით გამობრუნდა, ჰსცნა ესე მეფემან თეიმურაზ და წინ მიეგება აბოცს (რომელ არს ყაიყული), იქედამ მობრძანდა ბორჩალის და დებედის

¹ ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 514.

² ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 515; 313.

³ ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 332.

⁴ ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 515.

პირზედ“.¹

ომან ხერხეულიძის ეს ცნობა რამდენიმე კუთხით არის საინტერესო, პირველ რიგში, საინტერესოა, რომ ქართველთა შორის ტოპონიმი აბოცი ბოლომდე დაკარგული არ იყო და კარგად ახსოვდათ, რომ ყაიყული იგივე აბოცი იყო. ასევე, ის, რომ ყაიყული შაჰის სამხედრო ძალების მოძრაობის გზაზე მდებარეობს და ნადირ შაჰს ყარსისკენ ყველა გადასვლისას სწორედ ყაიყულის გავლა უწევდა. ამ პირობებში კი შეუძლებელი იყო მოსახლეობის დიდი ხნით დამკვიდრება, ამიტომ ქართველმა მეფეებმა ყაიყული ისევ მომთაბარე თურქმანული ტომების საძოვრებად დატოვეს. ერეკლე II-მ ყაიყულში ადრე მომთაბარე დემურჩი ასანლუს ტომის დაბრუნებაც მოახერხა. ერეკლემ თავის წინააღმდეგ მებრძოლო ბორჩალოს ძველი „ხანი“ 1758 წელს შეიწყალა და ძველი თანამდებობაც დაუბრუნა. მან კი სანაცვლოდ ქართლის სამეფოს საზღვრებს გარეთ გასული ელები დააბრუნა, მათ შორის იყო დემურჩი ასანლუს ელიც. „ქორონიკონსა უმე (1758 წ.) მოვიდა ბამან-ხან, ქართველს ბატონს შეურიგდა, მისცეს ბორჩალოს ხანობა. განჯას რაც ქართლის ელები იყო ყაზახ-ბორჩალო-დემურჩიასანლუსი, სულ მოიყვანა“.²

„ყიზილბაშობის“ და შემდგომ ხანებში ყაიყული ძირითადად ქვემო ქართლში მომთაბარე თურქმანული ელი მოსახლეობის, უმეტესად დემურჩი ასანლუსა და ბაიდარის „სასულთნოების“, სეზონური სადგომი იყო.

1756 წელს მეფე თეიმურაზი დიდი ლაშქრით ახალციხეში სათაღალოდ მდგომი ლეკების მიერ შეშინებული და წასვლის მსურველი ელი მოსახლეობის დასაწყენარებლად ყაიყულს გაემართა. რადგან „საქართველოს ელებს“ ლეკების გამო მოსვენება არ ჰქონდათ, გა-

¹ ომან ხერხეულიძე, მეფობა ირაკლი მეორისა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკლევა, ლექსიკონი და სამიხედელი დაურთო ლელა მიქიაშვილმა, თბ., 1989, გვ. 45.

² პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, გვ. 245.

დაწვევით, რომ ირანის ტერიტორიაზე გადასულიყვნენ. „საქართველოს ელემენტები ერთად, რომელნი იდგნენ ოსმალის ქვეყანასა, დადგეს პირი და ფიცი, „ნუღარ მივალთ საქართველოში, ნუღარ ვემსახურებით ქართველ ბატონსაო, წავიდეთ ერანის ქვეყანაშიო“. ქართველმა მეფემ და მისმა მხედრობამ „გარდაიარეს თრიალეთი, გარდავიდნენ ყაიყულს, იქ მიეგებნენ დემურჩიასანლისა და ბაიდარის ქეთხულები, ჩვენი ერთგულება თავს დაიდგეს და ბელადობა. უბანა წყალობა.“ ამის შემდეგ თეიმურაზმა ყარასუზე გადასული ელემენტები წამოიყვანა „...ჩამოიარეს ტაშირზე, დმანისის ციხის პირდაპირ და მოიყვანეს და დააყენეს სოღანლულსა.“¹

* * *

რადგანაც ყაიყულის მხარე ზღვის დონიდან საკმაოდ მაღალზე მდებარეობდა, იქ არც ტყე არსებობდა და არც ხეხილის ბაღები, ყაიყულში მხოლოდ საზაფხულო საძოვრები და მარცვლეულის ყანები იყო. თუმცა ვახუშტის მიხედვით, ხშირად მოსავალი დაპურებას ვერც ასწრებდა („მოსავალ მოუცდელნი“).

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობების მიხედვით, ყაიყულში ბევრი ყოფილა საძოვრები და პირუტყვის გამოსაკვები თივა; ცოტა თევზი, მხოლოდ კალმახი; მარცვლეული კულტურებიდან კი მოჰყავდათ: შვრია, ხორბალი, სელი, ქრთილი, ანუ შემოდგომით დასათესი ქერი და სხვ.

„არს აბოცი, აწ ყაიყულად წოდებული, გარმოხვეული სრულიად მთითა და შუაში ვაკე, და მთის კერძად ვორიანი, მოსავალ მოუცდელნი: ხორბალი, ქრთილი,² სელი, შვრია, სხვა არარა, არცა ხილნი და მტილოვანნი. პირუტყუთა სიმრავლე არს თივის სიბევრი-

¹ პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, გვ. 241-242.

² ქერი, რომელსაც შემოდგომაზე სთესდნენ. „გაზაფხულ ნათეს ქერი ეწოდება, ხოლო შემოდგომისასა ქრთილი“ (იხ. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. II, გვ. 220).

სათჳს. თეჳზი მცირედ, და იეიცა კალმახი“.¹

ყაიყულში მოყვანილი სელისგან ადგილობრივები ზეთს ხდიდნენ. ვახუშტი ცნობას ამის შესახებაც გვაწოდის „...ესენიცა [ვითარცა ტაშირელნი] მკდელნი ზეთისანი“.² ქართლის სამეფოში, ყაიყულსა და ტაშირის მხარეებში, სელისგან მიღებულ ზეთს იყენებდნენ როგორც საკვებად, ისე გასანათებლად. თბილისის ბაზარზე უმთავრესად ტაშირისა და ყაიყულის ზეთი შემოდოდა, რომელსაც ღიდი რაოდენობით მომხმარებელი ჰყოლია.³

ყაიყულში ყოფილა სამღებროებიც. XVIII საუკუნეში, ისევე როგორც სხვაგან, ყაიყულის სამღებროებიც ღელოფლის საკუთრებას წარმოადგენდა, „სადაც სამღებრო არის, – ქართლსა თუ საბარათაშვილოში, თუ ყაიყულს, სულ სადღელოფლო არის“.⁴ იგი თბილისის მღებართუხუცესის ხელში ყოფილა.⁵

* * *

ყაიყულში მცხოვრებთა შესახებ ვახუშტი ბატონიშვილი გვაწოდის ცნობებს, იგი აღწერს მათ სარწმუნოებას, ჩაცმულობასა და ყოფას. ყაიყულის მოსახლეობა „იყენენ სომეხნი,⁶ კაცნი ჰეროვანნი და ტანოვანნი, არამედ უშუერად მოსილნი, ვითარცა ტაშირელნი, გარნა ბრძოლასა გამოუსადეგნი, და ესენიცა მკდელნი ზეთისანი“.⁷ როგორც ჩანს, მათი „უშუერად მოსვა“ სწორედ საქმიანობას, ზეთის

¹ ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 313.

² ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 313-314.

³ მ. ქიქოძე, სამეურნეო ცხოვრების წინსვლა XVIII ს. პირველ მეოთხედში, გვ. 389.

⁴ დასტურლამალი, გვ. 717.

⁵ დასტურლამალი, გვ. 717; ნ. ბერძენიშვილი, სამღებროთა შესახებ XVIII ს. საქართველოში, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. IV, თბ., 1967, გვ. 315-316.

⁶ სომეხნი აუცილებლად ეროვნებით სომეხს არ გულისხმობს, აქ საუბარია უფრო რელიგიურ კონფესიურ კუთვნილებაზე. რადგან როდესაც ეროვნულ კუთვნილებას აღნიშნავს, ვახუშტი ბატონიშვილი წერს: „ტომით სომეხნი“.

⁷ ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 313-314.

გამოხდას უნდა უკავშირდებოდეს.

რაც შეეხება ყაიყულის მხარეში მცხოვრებთა რაოდენობას, მის შესახებ 1728 წელს „ოსმალბის“ დროს ჩატარებული აღწერის დაეთარი გვაწვდის ინფორმაციას. იმ დროს მოსახლეობის საერთო რაოდენობა ყაიყულში 1400 კაცი ყოფილა (მათგან 190 მცირე ქ. ყა-ზანჩის მცხოვრები).¹ ხოლო 1735 წელს ნადირ შაჰის მიერ მათი გადასახლების შემდეგ მკვიდრად დასახლებული მოსახლეობა აღარ ჩანს.

XVIII საუკუნის მეორე ნახევარში ყაიყული მუდმივი მოსახლეობისაგან მთლიანად დაცლილია. 1770 წელს შედგენილ ქართლ-კახეთის მოსახლეობის დემოგრაფიულ ნუსხაში² წარმოდგენილია, ქართლის მოსახლეობის შესახებ ზოგადი ციფრები. ყაიყულის შესახებ აღნიშნულია, რომ მრავალი სოფლისა და „ფრიად კეთილი“ ადგილების მიუხედავად, იგი მოსახლეობისგან დაცლილი და აოხრებული ყოფილა. „ქ. არს აოკრებული ყაიყული უმკვიდრო ქმნილი ქვეყანა ფრიად კეთილი და სოფელი მრავალი“.³

ყაიყულის მხარეში არსებული სოფლები სხვადასხვა დროს იცვლებოდა, მათი სრული სიები დაცულია ვახუშტი ბატონიშვილის

¹ მოსახლეობის საერთო რაოდენობა გამოთვლილია დეთარში შეტანილი დასახლებული პუნქტების მცხოვრებთა რაოდენობის დაჯამების შედეგად. 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დეთარი, წ. I, გვ. 524-563.

² დოკუმენტში წარმოდგენილი მონაცემების სანდობის შესახებ მეცნიერებს გარკვეული ეჭვი აქვთ გამოთქმული, რადგან საბუთში მოცემული მონაცემები დამძიმებულია. სადაც ციფრებია წარმოდგენილი, იქაც მხოლოდ დამრგვალებული რიცხვებია მითითებული. როგორც ჩანს, იგი 1770 წელს გაიგზავნა რუსეთის მთავრობისათვის, სამხედრო დახმარების თხოვნასთან ერთად და, სავარაუდოდ, სახელდახელოდ არის შედგენილი, ამიტომ მასში წარმოდგენილი ციფრები შეიძლება არ შეესაბამებოდეს სი-ზუსტეს (იხ. ვ. გამრეკელი, ზ. ცქიტიშვილი, 1770 წლის 5 აპრილის დემოგრაფიული ნუსხა, „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, თბილისი, 1973 წელი, №1, გვ. 144-155; გ. აკოფაშვილი, ქართლ-კახეთის სახელმწიფოს საშინაო პოლიტიკა, საქართველოში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 518-519, და სხვ.)

³ ვ. გამრეკელი, ზ. ცქიტიშვილი, 1770 წლის 5 აპრილის დემოგრაფიული ნუსხა, გვ. 153.

გეოგრაფიაში და მის მიერ შედგენილ რუკებზე, ვახტანგ VI-ის მიერ შედგენილ „დასტურლამალსა“ და 1728 წელს ოსმალების მიერ ჩატარებული აღწერის დავთარში, ასევე, XVIII საუკუნის ბოლოსა და XIX საუკუნის დასაწყისში იოანე ბატონიშვილის „ქართლ-კახეთის აღწერაში“, რომელიც ვახუშტის მონაცემებს იმეორებს. მხოლოდ „სოფელი იელდიოღლი“ (იელდაღი) და „ხოზია“ (ხოსის სოფელი) აქვს ოდნავ შეცვლილი. ხოლო სიახლეს წარმოადგენს „ხურუტის სოფელი“, რომელიც მანამდე არსებულ სიებში არსად არ დასტურდება.¹

ქვემოთ წარმოდგენილია ყაიყულის სოფლები სხვადასხვა წყაროების მიხედვით, მათი რიგი დალაგებულია „დასტურლამალის“ ცნობების მიხედვით, რომელსაც ემატება მოურავების სახელები. ტოპონიმები შედარებულია ვახუშტი ბატონიშვილისა და 1728 წელს „ოსმალბის“ დროს ჩატარებული აღწერისას გაკეთებულ სიებზე. 1728 წლის დავთარში მოსახლეობის რაოდენობის აღმნიშვნელი ციფრებიც გარკვეულ წარმოდგენას შეგვიქმნის ყაიყულში მცხოვრები მოსახლეობის რაოდენობაზე. რომელი სოფლის სახელსაც ვერ ვარკვევთ, ისინი ბოლოშია დართული.

„დასტურლამალის“ შედგენის დროს ყაიყულში არსებობდა: 38 დასახლებული სოფელი და 9 ნასოფლარი (მათ შორის: 3 ნასოფლარი სახელებით და ტბასთან 6 უსახელო); ვახუშტი ბატონიშვილის სიის მიხედვით, ყაიყულში – 38 სოფელი, 3 ნასოფლარი იყო;² ხოლო 1728 წელს ოსმალების მიერ აღწერილი დავთარის მიხედვით, 49 პუნქტი იყო წარმოდგენილი, აქედან 34 დასახლებული სოფელი

¹ იოანე ბატონიშვილი, ქართლ-კახეთის აღწერა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თინა ენუქიძემ და გურამ ბელოშვილმა, თბ., 1986, გვ. 54.

² ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, საქართველოს გეოგრაფია, თ. ლომოურის და ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1941, გვ. 192.

იყო, მათგან ერთი (ყაზანჩი) სამ სოფელს აერთიანებდა, ხოლო 15 სოფელი მოსახლეობისგან დაცლილი იყო (სულ 1400 მცხოვრებით).

„დასტურდამალი“		ვახუშტის სია		1728 წლის დავთარი	
მორავე	სოფელი	№	სოფელი	სოფელი	მცხოვრებთა რაოდენობა
აბედინასშვილი	დინარზას სოფელი	178	დინარზი	დინარზა, ცარიელია რეიასაგან	0
აზიზასშვილი	შუკერის სოფელი			სოფელი აზიზ ოლლი	21. მეციშ ლალ ეები 10
ალიზანა	საკას სოფელი	185	საკას სოფელი	სოფელი საპაკ ქენდი	13
ამირ ოლლი ალიყულა	ბანჯარ-კუტი	177	ფენჯარკუტი		
მდივანი გივი თუმანიშვილი	ბეგქანთი	207	ბეგის სოფელი	ბეგ ქენდი	60
გოგიბაშვილი	სარქისას სოფელი			ყაზანჩის შემადგენლობაში	
დოღეზისშვილი	ჯიგრაშენი ბეთლემი			ჯიგრაშენი	33
დურმიშხან ფალაენსოხრო შვილი	მარქარას სოფელი			სოფელი მარქარა, მეორე სახელია ალაჰქერდი	42
ვეზირი	სატანას სოფელი	206	სატანის სოფელი	სოფელი მარტიროსი, მეორე სახელი	32

				თაზი ქენდი და შეითანი	
ვეზირის ძმა	ტაშქორფი	211	ტაშქორფი	სათესველი თაშ ქოფრუ უწინ სოფელი ყოფილა	0
მაძულა	ყარაჩის სოფელი			სოფელი კილანა ¹	25
მანუჩარ ყაფლანიშვილი	მელიქ ბეგის სოფელი	188	მელიქბეგის სოფელი	სოფელი ბეგ მელიქ ქენდი	40
	კირაკოზას სოფელი	192	კირაკოზას სოფელი	კირაკოზი	8
				სათესველი კირაკოზი, ადრე სოფელი ყოფილა სელიმ ქენდი სოფლისათვის სათესველად გამოსადეგი	0
მერაბ ალა	სელიმას სოფელი	209	მერაბ ალას სოფელი	სელიმ ქენდი	27
მზეჭაბუკ ყაფლანიშვილი	მისირას სოფელი			მასარ ქენდი	47
მოლა აბლულასშვილი	დევაგოზას სოფელი,	194	დევაგოზი	დევე გოზი, მეორე სახელია მაზი	51
	დევაგოზი				
ნურია	აშულის სოფელი	212	აშულას სოფელი	აშიკი, მეორე სახელი ნური ქენდი	29

¹ „დასტურლამალის“ ზოგიერთ ნუსხაში სოფელი „ყარაჩი“ დასახელებულია, როგორც „კილანი“, ამიტომ დასაშვებად მიგვაჩნია, რომ მას სოფელი „კილანა“ უნდა შეესაბამებოდეს (იხ. დასტურლამალი, გვ. 610, სქოლიო 16).

მდივანი ოთარ თუშანიშვილი	ხატის სოფელი	181	ხატის სოფელი		
რამაზ სარდლოსშვილი ყაფლანიშვილი	შანაზარას სოფელი	180	შანაზარას სოფელი		
როსტომ ნამანგლუქევის შვილი	ბანოს სოფელი			სოფელი ბანუსი	33
ბესპაზ საგინაშვილი	ყაზანჩი	191		სოფელი კაზანჯი; ქეშიშის დასახლება; სარქისის დასახლება	190
	ქემო ორთლუ	190	ორთლუ	სოფელი დიდი ორთალუი; კარიჯას ეკლესია	85
საგინაშვილი ფარეშუზის შვილი ბეჟანი	ფორცხლუ	215	ფარჩუხლუ		
უზბაში	ფირმაძას სოფელი				
პაატა	თაფალას სოფელი				
ფირმაძადა	ზემო ორთლუ	189	ორთლუ	სოფელი შუა ორთალუი	57
ფირმაძასშვილი	ყაზის სოფელი				
ფარა	მონთის სოფელი			მინათი, ცარიელია რეიასაგან	0
ოთარ ყაფლანიშვილი	წყაროს სოფელი	193	წყაროს სოფელი	ბულაქ ქენდი	7
	გოლის	201	გოლი	გული, მეორე	63

	სოფელი			სახელწოდება აკვარი	
	ოქსუზი	197	ოქსუზი	ოქსუზ ქენდი	25
	ყურუჩაი			კური ჩაი	51
	ფანოსას სოფელი	182	ფანოზას სოფელი		
შარაფადინა	თიქმატაში	204	თიქმატაში		
ფათა	თოფალას სოფელი				
ხალილა	დერძლო	205	დერძი ოღლის სოფელი	სოფელი თერზი ოღლი	კაცები: მუს ლიმე ბი 5, დაუქ ორწ ინებ ლები 30
ქეშალუ ყოჯა	ხუცის სოფელი ¹				
	6 ნასოფლარი ტბის გარშემო	183	ნასოფლარი		
			ნასოფლარი		
		215	ნასოფლარი		
	ნასოფლარი ყორყორა	199	ყორყორა	ქვედა ვვარყვარე	31
		200	ყორყორა	პატარა ყვარყვარე	17

¹ დასტურლამალი, გვ. 430-431.

	ნასოფლარი რძიებისა				
	ნასოფლარი ანაცი ზოლლი				
		210	ძოლა აბლეკას სოფელი (რუკაზე ძოლა ბუღას სოფელი)	აბდალაკა ქენდი	0
		179	ძირის სოფელი	სოფელი მერინჯე, მერე სახელია იუზბანი	45
		184	ალიხანას სოფელი		
		202	გოლი (მერე)		
		203	იელდიოღლი		
		213	კარა კოზას სოფ. მერე		
		198	ოქსუზი მერე		
		195	რევაზის სოფელი		
		196	სოფელი (რუკაზე არაა)		
		186	ფარემუზას სოფელი		
		187	ფარემუზას სოფელი მერე		
		208	ჭალის სოფელი		
		183	ხოზიას		

			სოფელი		
		214	ხურუტას სოფელი (რუკაზე ხუსტა ოღლის სოფელი)		
				სოფელი ჯოს ქენდი, მეორე სახელია ბანი	50
				სოფელი გელითი, ცარიელია რეიასაგან, იგი ანლოსა კარა ჩაირთან	0
				სოფელი ალუ ფეთე ცარიელია რეიასაგან, იგი ანლოსა ქუჩუქ ჯებელ ბაბასთან	0
				სოფელი კასაბ ქენდი	მუს ლიში 6. ქაფი რი 10
				სოფელი აზიზ ბეგ გუნი ანლოსა კარა ჩაირთან, ცარიელია რეიასაგან	0
				სოფელი გურდ გუნი, იგი ანლოსა	0

				კაბირის გორასთან, ცარიელია რეიასაგან	
				იალალი კარა ჩაირი, ახლოსაა თუქლუ ბურუნ შურაგელის საზღვართან სრულდება	0
				კოგირი	34
				ჰაჯე ქენდი	58
				კიზილ კოჯა	146
				ქეშიშ ქენდი	30
				ცისკარა	0
				ჩაკო ქენდი, ცარიელია რეიასაგან	0
				დემურჯი ქენდი, ცარიელია რეიასაგან	0
				ბაბაჯად ქენდი, მეორე სახელი ბოლაზი საადი	0
				მეორე კილაჩე	7
				აკ ბულაღი	28
				სოფელი ოჰან	0
				კული ქენდი	14

აქვე უნდა დასახელდეს შურაგელის სოფლებიც, რომელნიც უშუალოდ ყაიყულის გაგრძელებას წარმოადგენდნენ და რომლებზეც, ასევე, ქართლ-კახეთის მეფეთა გავლენა ვრცელდებოდა. მაგ., გიორგი ბატონიშვილმა 1790 წელს სპეციალური ბრძანება გამოსცა შურაგე-

ლის მოსახლეობისთვის ხენა-თესვის მოწესრიგების შესახებ.¹

შურაველის პუნქტების სია იოანე ბატონიშვილის მიხედვით

„ქ. შორაგალი, რომელიც არფაჩაის ხეობაზედ დგას. ყარსის

მომიჯნავე სამეფო:

ქ. სოფელი ანუ ობა 7

ქ. გუმრი

ქ. ყარაქილისია

ქ. არტივი

ქ. ყიფჩალი

ქ. სონავერდი

ქ. გორუმი

ქ. ბაშქანთი

ქ. ლორქეჩანი

ქ. ჯილოვხანი

ქ. ყაფლი

ქ. ანისი, ძველად დიდი ქალაქი

ქ. ესენი ჩვენ დროს შენად იყო“.²

* * *

სახლოდ შეიძლება ითქვას, რომ ყველა დამპყრობელი ყაიყულის, როგორც უკიდურესი მოსაზღვრე ოლქის, საქართველოსგან მოწყვეტას ცდილობდა. მათი მიზანი ქვეყნის თავდაცვის ზოლის შემცირება და მისი მაქსიმალურად შიდა მხარეებისკენ გადაანაცვლება იყო. ყაიყული/აბოცის შემთხვევაში გარკვეულწილად ეს მოახერხეს კიდეც. ამის შემდეგ მოსაზღვრე ხლებოდა ჯავახეთი და თრიალეთი.

¹ აღმოსავლეთ საქართველოს მეფეების, ბატონიშვილების და ხანების მიერ გაცემული სპარსული საბუთები, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლითა და კომენტარებით გამოსაცემად მოამზადა ნუგზარ დუნღუამ, თბ., 2010, გვ. 16.

² იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, გვ. 58.

თუმცა ქართველი მეფეები ამ მხარის მოშენება მომძლავრების საქმეს ცდას არ აკლებდნენ.

ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის მიერ დაპყრობის შემდეგ ყაიყულის მხარე თბილისის გუბერნიაში, ალექსანდროპოლის მაზრაში იყო გაერთიანებული 1849 წელს შეიქმნა ერევნის გუბერნია, რომელსაც ალექსანდროპოლის მაზრა მთლიანად მიაკუთვნეს. მოგვიანებით მისი ნაწილი ყარსის ოლქში შედიოდა. საბოლოოდ, ეს ძველი ქართული ოლქი, რომელიც საზღვრისპირა პროვინციას წარმოადგენდა დღეს სომხეთისა და თურქეთის რესპუბლიკების შემადგენლობაშია.

თავი II

ტაშირი

ტაშირი მდინარე დებედას მარცხენა ნაპირზე ტაშირის წყალზე, მდებარეობს. ეს იყო ზეგანი, რის გამოც მას იოანე დრასხანაკერტცი ტაშრაჭაფსაც ე.ი. ტაშირის ველს უწოდებდა.¹ ჩრდილოეთიდან მას ლოქის მთა ესაზღვრებოდა, ჩრდილო-აღმოსავლეთიდან – ლელვარისა, დასავლეთიდან ყარაღაჯის, ხოლო სამხრეთიდან – ბაბაკის მთები.²

ტაშირი მოხერხებული გეოგრაფიული მდებარეობის გამო (ქართლის სამხრეთით არსებული ზეგანი) სხვადასხვა მხარეს მიმავალი გზებით იკვეთებოდა. დებედას ხეობის გზის გარდა, იგი ქართლის სხვა მხარეებს უკავშირდებოდა – მგლის კარის უღელტეხილით, ბოლნისისა და შულაერისხევის გზებით; ასევე, ლოქის უღელტეხილით და ლოქისწყლის ხეობით; გზა მიდიოდა ირგანჩაის უღელტეხილიდან დმანისისკენ, საიდანაც სამშვილდეში, ან თრიალეთში ჩასვლა იყო მოსახერხებელი. ხოლო ყარაღაჯის მთის გადაკვეთით

¹ იოანე დრასხანაკერტელი, სომხეთის ისტორია (786-925 წწ.), სომხური ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევითა და საძიებლებით გამოსცა ელენე ცაგარეიშვილმა, თბ., 1965, გვ. 103.

² დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ქვემო ქართლი, ნაკვ. I, თბ., 1979, გვ. 51.

გზები მიდიდა ჯავახეთის ახალქალაქისაკენ და ყაიყულ/აბოცისაკენ, ბეზობდალის მთებით კი სომხეთის მთებს უკავშირდებოდა.¹

ქართული და სომხური წყაროები ტაშირს, ქვემო ქართლის ამ განაპირა მხარის სახელწოდებას, ზოგჯერ უფრო ფართო მნიშვნელობით იყენებენ და მასში ქვემო ქართლის სხვა ნაწილებსაც აერთიანებენ, ხშირად კი მთლიანად ქვემო ქართლის აღმნიშვნელ სახელადაც მოიაზრებენ.

როგორც პროფ. დევი ბერძენიშვილი აღნიშნავს, თავისი პირველადი, ვიწრო მნიშვნელობით, ტაშირი ტაშრატაფის პლატო უნდა ყოფილიყო, რომელიც ლოქის მთის სამხრეთით ბამბაკის მთებამდე და ყარაღაჯის მთების აღმოსავლეთით მდინარე დებეღამდე ვრცელდებოდა.²

ტაშირს თრიალეთთან ერთად იხსენიებს პლინიუსი³ მოსე ხორენაცის მიხედვით, „ტაშირის სეპუჰად ვალარშაკმა ჰაიკიანი გუშარის შთამომავალი განამწესა.“⁴ V საუკუნის სომეხი ავტორი კორიუნი თავის ნაშრომში „ტაშირელთა მთავარს აშუშას“ იხსენიებს, რომელთანაც მისულ მამტოცს თავისი მოძღვრება უქადაგია და ტაშირის გუგარი (კევი) „სამეფო სახლის ეპისკოპოს“ სამუელისთვის⁵ ჩაუბარებია.⁶ მოსე ხორენაცი იმავე ამბების გადმოცემისას აღნიშნავს,

¹ დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ქვემო ქართლი, გვ. 51.

² დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ქვემო ქართლი, გვ. 51; საქართველოს ისტორიული რუკა. აკად. ივანე ჯავახიშვილის რედაქციით. თბ. 1923.

³ იხ. დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ქვემო ქართლი, გვ. 56.

⁴ მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმანა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ალექსანდრე აბდალაძემ, თბ., 1984, გვ. 106.

⁵ მესრობ მამტოცი სამუელს ვერ ნახავდა, რადგან თვითონ გაცილებით ადრე გარდაიცვალა.

⁶ დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ქვემო ქართლი, გვ. 29.

რომ „გუგარელთა¹ პიტიახშმა, აშუშამ² მიიწვია [მესროპი], იგივე საქმისათვის მის სამთავროშიც, ტაშირის გავარში,³ მისულიყო. მივიდა იქ და საფუძვლიანად დამოძღვრა ისინი...“⁴

სომხური წყაროებიდან ჩანს (მოსე ხორენაცი), რომ ტაშირი აღრეფეოდალურ ხანაში „სასეპუჰოს“ თუ სამთავროს წარმოადგენდა ცენტრით ოძენში, სადაც იოანე ოძენელის მიერ VIII საუკუნეში აგებული ცენტრალურგუმბათიანი ტაძარი დღესაც დგას.⁵ როგორც წყაროებიდან ჩანს, X საუკუნის შუა ხანებამდე ქვემო ქართლის ეს მხარე ქართველი და სომეხი დიდებულების ხელიდან ხელში გადადიოდა. ხოლო X საუკუნის 70-იან წლებში ტაშირი ქვემო ქართლის სხვა მხარეებთან ერთად (აბოცი, ბამბაკი, სამშვილდე და სხვ.) ახლადდაარსებულ ტაშირ-ძორაგეტის სამეფოს შემადგენლობაში მოექცა.⁶

¹ სომეხ მემკვიდრეებს და მათ შორის ხორენაცს გუგარეთი (სომხური წყაროების გუგარქი) მიუხედავად იმისა, რომ მას სომხეთის საპიტიახშოდ მიიჩნევენ, მაინც ქართულ ქვეყანად ესახებათ, ხოლო გუგარელები ქართველებად (იხ. მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია. გვ. 264, შენ. 46; გვ. 281. შენ. 9).

² არშუშა (აშუშა) გუგარეთის, ანუ ქვემო ქართლის პიტიახში V საუკუნის 20-იან წლებში. ცნობილი ვარსკენ პიტიახშის მამა.

³ საინტერესოა, თუ რატომ იხსენიება სომხურ წყაროებში (კორიუნი, ხორენაცი) აშუშა ტაშირის მთავრად, აკად. დავით მუსხელიშვილი მიიჩნევს, რომ სათანადო ცნობა „აშუშას მფლობელობის გაორებულ სასიათს გულისხმობს: როგორც ფეოდალი, იგი მეძველიერობით მფლობელია, მთავარია ტაშირისა, ხოლო როგორც ცენტრალური ხელისუფლების წარმომადგენელი, ანუ მოხელე გუგარქის პიტიახშია“. აქვე აღსანიშნავია, რომ ზოგიერთი სომეხი მკვლევარი (მაგ. ლ. მოვსესიანი) სახელწოდებებს გუგარქი და ტაშირი სინონიმებად თვლის. ტაშირის ორი, ვიწრო და ფართო მნიშვნელობით გამოყენება X-XI საუკუნეების წყაროებშიც არის დადასტურებული (იხ. პროფ. ალექსანდრე აბღალაძის შენიშვნა, მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, გვ. 284-285, შენ. 58).

⁴ მოვსეს ხორენაცი, სომხეთის ისტორია, გვ. 231.

⁵ დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ქვემო ქართლი, გვ. 51.

⁶ ალ. ბოშიშვილი, ლორე ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომები. სპეციალური გამოშვება: დავით აღმაშენებელი და მისი ეპოქა, თბ., 2012, გვ. 90-95.

XI საუკუნის პირველ ოცეულში, ლორეს ციხის აგების შემდეგ, იგი ტაშირის ცენტრი გახდა. ხოლო ტაშირ-ძორაგეტის სამეფოს არსებობის ბოლო პერიოდში ლორე სამეფოს პოლიტიკური ცენტრს წარმოადგენდა. მოგვიანებით, ერთიანი საქართველოს შემადგენლობაში ეს მხარე სამართავად საქართველოს მხედართმთავრებს, ჯერ ორბელებს, შემდეგ კი მხარგრძელებს გადაეცათ. ლორეც ამირსპასალარის ციხედ ითვლებოდა.¹

XII საუკუნეში ტაშირში ბაზბაკის ხევიც შედიოდა, ხოლო ტაშირს უკვე ლორე ერქვა. XIV საუკუნეში ლორე-ტაშირი თურქმანებმა დაიპყრეს.² თემურ ლენგის ლაშქრობათა შემდეგ დასახლებული თურქმანები კი ადგილობრივი ქართულ მიწისმფლობელობის წესებს ცვლიდნენ, ლორეს სამუდამო დაკარგვის საფრთხე ემუქრებოდა. თან თუ გავითვალისწინებთ იმასაც, რომ იგი ერთიანი საქართველოსთვის სამხრეთი საზღვრის დაცვის მნიშვნელოვანი პუნქტი იყო, ქვეყნისთვის მისი დაკარგვა აუნაზღაურებელი დანაკლისი იქნებოდა.

ლორეს დაბრუნება 1431 წელს ალექსანდრე I-მა (1412-1442 წწ.) მოახერხა. მეფემ მაშინვე ლორესა და ტაშირის ტერიტორიაზე არსებული ძველი მფლობელობის დამადასტურებელი საბუთების მოძიება დაიწყო, იგი მამულებს ძველ მფლობელებს უბრუნებდა.³

ერთიანი საქართველოს დროს ტაშირი უკვე კონკრეტულ მცირე რეგიონს გულისხმობდა. მისგან ცალკე იყო გამოყოფილი ბაზბაკი, ლორე, ხოლო ლორეს დიდ ნაწილთან ერთად ტაშირის ტერიტორიას მოიცავდა ბორჩალოს „სახანოც“.

¹ ალ. ბოშიშვილი, ლორე ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა, გვ. 96; ისტორიანი და აზმანი შარავანდეღთან, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ვეველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959, გვ. 33.

² დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ქუჩო ქართლი, გვ. 51.

³ იხ. ბ. ლომინაძე, საქართველო XV საუკუნის პირველ ნახევარში. ლონისძიებები ქვეყნის აღდგენისათვის, ალექსანდრე I დიდი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979, გვ. 724.

ტაშირის ტერიტორიის დიდი ნაწილი მეფის სახასოს წარმოადგენდა. თუმცა იქ თავისი სოფლები და მამულები გააჩნდათ ეკლესიასა და თავად ყაფლანიშვილებს. მაგალითად, ცნობილი 1392 წლის საკათალიკოსო მამულების სითარხნის გუჯარში ტაშირში დასახელებულია ორი სოფელი (სოფელი საბაწმინდა, კეთილდაბა).¹ ამ ცნობას ამყარებს 1648 წლის ახლო ხანებში გამოცემული მცხეთის საკათალიკოსო მამულების ნუსხაც, სადაც აღნიშნულია, რომ ტაშირში და სხვა მხარეებში მცხეთის მამულები ყოფილა.²

საქართველოს დამლის შემდეგ ლორე და ტაშირი ქართლის მეფის სახასოს წარმოადგენდნენ, მაგრამ XVII საუკუნის დასაწყისში შაჰის ძალისხმევით ლორეში თურქმანები ჩამოსასხლეს და „სახანო“ ჩამოაყალიბეს. „ხანად“ ადგილობრივი ფეოდალი დანიშნა.³ ეს უკანასკნელი XVII საუკუნის დასაწყისიდან თითქმის ერთი საუკუნის განმავლობაში ქართლის მეფის წინააღმდეგ იყო მზადყოფნაში, იმ შემთხვევაში, თუ ქართლის მეფე სპარსეთის საწინააღმდეგოს გაბედავდა რამეს. თუმცა შაჰისავე ბრძანებით ხშირად სწორედ მასვე ექვემდებარებოდა.

მართალია შაჰ აბას I-მა ლორესა და ტაშირის ნაწილის მიტაცება სცადა, მაგრამ ქართველები ამ ვითარებას არ ურიგდებოდნენ და ყოველ ხელსაყრელ მომენტში მის დაბრუნებას ცდილობდნენ. რაც საბოლოოდ წარმატებით მოახერხეს კიდეც.

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ისიდორე დოლიძემ, თბ., 1970, გვ. 177.

² ქოიჩიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა, შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი, ასხნილი და გამოცემული თედო ჟორდანას მიერ. ტ. II, ტფ., 1892, გვ. 453; გარეჯის ისტორიული დოკუმენტები, XIII-XVIII სს. ნაკვეთი I, გამოსაცემად მოამზადეს დოდო ლომიძემ, მანანა ჭუმბურიძემ და ზაზა სხირტლაძემ, ზეინაბ გურჯიძის და ლევან ბუკიას მონაწილეობით, თბ., 2008, გვ. 58.

³ იხ. ალ. ბოშიშვილი, მელიქის სახელო საქართველოში, თბ. 2013, გვ. 53-56.

* * *

ტაშირის ის ნაწილი, რომელიც ქვემო ქართლის ტერიტორიაზე არსებულ მომთაბარეების „სახანოებში“ არ იყო გაერთიანებული, განსაკუთრებით კი ტაშირის ჩრდილოეთი, მეფის სახასო იყო და მათ ცენტრალური ხელისუფლება მოურავების საშუალებით განაკვებდა. ხოლო ნაწილზე ქართველ ფეოდალებს, ყაფლანიშვილებს, ჰქონდათ მემკვიდრეობითი უფლება.¹

1657 წელს „ლორეს მჯღომ ხანსა და სულთანს“ ტაშირის სოფლებზე სამამულე დავა ყაფლან ბარათაშვილთან მოუვიდათ. ამ საქმეზე ქართლის მეფე როსტომ ხანმა (1633-1658 წწ.) ქართლის დიდებულები შეკრიბა. განიხილეს და დაადგინეს, რომ „ისახან სულთანს სანათი და ჰოქმი არა ჰქონდა და კიდევ გამტყუენდა. და არც კულად ლორდაღმე ამ ალაგების ცილობა ქმნილიყო და არც ხელი ჰქონებოდა“.²

როსტომ ხანი საბუთში აღნიშნავს, რომ ბარათაშვილებს ეს სოფლები უკვე დიდი ხანია სამკვიდროდ ჰქონიათ. „პაპის ჩუენის მეფის ლუარსაბის ჟამში თქუენის სახლიკაცი დიდი ორბელი და იოთამ გაყრილიყენენ და ტაშირს, რაც თქუენი მამა-პაპათ სამკუიდრო მამული ყოფილიყო, ყუელა ვაკეყოთ... და ამის წინათ ვინცავინ ლორეს მჯღომი ხანი და სულთანი ყოფილა, ვერცავის ენსენებინა და არც ვავონილიყო... არც კულავ ლორიდაღმე ამ ალაგების ცილობა ქმნილიყო და არც ხელი ჰქონებოდა“.

¹ იას. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, ნაწილი III და IV, მოსახლეობის და მფლობელობის სტატისტიკა, თბ., 1938, გვ. 81-85; გ. ჯამბურია, ქართული ფეოდალური ურთიერთობის ისტორიიდან, სომხით-საბარათიანოს სათავადოები, თბ., 1955, გვ. 17-18 და სხვ.

² ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.) ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ისიდორე დოლიძემ, თბ., 1972, გვ. 104-105.

ამიტომაც მეფემ ტაშირის სოფლები ბარათაშვილებს დაუმტკიცა. აქვე ჩამოთვლილია მათი სახელები: „შირჩა პატი, წითელი ეკლესია, დელუ ყულიჯანის სოფელი, აკოფას სოფელი, ჭუკის სოფელი, ყოშა ქილისა, შიშთაფა, დიაკუნის ქვა – სომხურად მონდაქარი ჰქუიან, ჯილღი და ჩილღის წყალი რომ ჩამოვარდება იმას აქათი სამართლიანის საქმითა, მითთ ბარამდისინ...“¹

1684 წელს გიორგი XI-მ სოფელ ყიზილ-ზიარათის მამასახლისს, თავის სახასო ყმას, საძოვრები უწყალობა. „ესე წყალობის წიგნი ვიბოძეთ ჩუენ, მეფეთ-მეფემან კელმწიფემან პატრონმან გიორგიმ... თქუენ ჩუენსა სახასო ყმასა, ტაშირის ყიზილ-ზიარათის მამასახლისსა ევანეზასა, ...მას ჟამსა ოდეს მოგვიდევით კარსა, ცხერისა საბალახის წყალობას დაგვეაჯენით. ჩუენც შევიწყალეთ და ვიბოძეთ ასის სულის ცხერის საბალახე...“²

ქართლის მეფე ტაშირის მხარეში სახასო სოფლების მოურავებად ძირითადად ორბელიანებსა და თუშანიშვილებს ნიშნავდა. სახელმწიფო მოწყობის დოკუმენტში – „დასტურლამალი“ – ტაშირის სახასო მამულებზე, რომელიც „აიდარბეგის ხეობის“ სახელწოდებით არის შეტანილი, ცალკე გადასახადები და ვალდებულებებია განსაზღვრული.³

გიორგი XI-ის (1675-1688; 1703-1709 წწ.) ავღანეთში გამგზავრების შემდეგ მცირე ხანს ქართლის გამგებელი, ანუ ჯანიშინი მისი ძმა ლევან ბატონიშვილი იყო. 1703 წლის 7 ოქტომბერს მან სოფელ აიდარბეგის მოურავობა პაპუა ორბელიშვილს უბოძა: „ვიბოძეთ

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, გვ. 104-105.

² დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIII სს.), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1940, გვ. 75.

³ ქართული სამართლის ძეგლები, ხელმწიფის კარის გარიგება; დასტურლამალი, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ივანე სურგულაძემ, თბ., 1970, გვ. 629-631.

ტაშირზედ ჩვენი სახასო სოფლის აიდარბეგის მოურაობა...“.¹

მანამდე აიდარბეგის მოურავი გიორგი ყაფლანიშვილი უნდა ყოფილიყო. ეს ჩანს ქართლის ახალი ჯანიშინის, ვახტანგ ლევანის ძის მიერ 1703-1711 წლებში გამოცემული წყალობის წიგნიდან, რომლითაც ტაშირში მეფის სახასო სოფლის, აიდარბეგის, მოურავობა ზურაბ ყაფლანიშვილს უბოძა. იქვე აღნიშნულია, რომ აიდარბეგის მოურავობა ადრე მამამისს, გიორგისაც, ჰქონია. „...გიბოძეთ თქვენ, ყაფლანიშვილის გიორგის შვილს ზურაბს მამინ, ოდეს წყალობას გვიჯგენით, მოკითხული ვქენით, ვითაც ტაშირზედ აიდარბეგის მოურაობა მამათქვენსაც ჰქონდებოდა. აწ ჩვენც შევიწყალეთ და გიბოძეთ ტაშირზედ ჩვენის სახასო სოფლის აიდარბეგის მოურაობა...“.²

იმავე პერიოდს ეკუთვნის ვახტანგ VI-ის ბრძანება, რომელიც ტაშირის სახასო სოფელს, ბარქდარას, ეხება. მის მოურავად გივი თუმანიშვილი იქნა დადგენილი. „ჩვენის ბრძანება არის: ტაშირზედ ბარქდარას ნასოფლარის მოურაობა მდივნის გევისათვის გვიბოძებია. როგორც იქაურობის რივი და წესი არის, იმ რივად ამისთვის წყალობა გვიქნია. ვინც მოვა და დასახლდება, ძალასა და უსამართლოს არავინ უზამს“.³

ქართლში „ციზილბაშობის“ დამყარების შემდეგ აქაური საქმეები ნადირ შაჰმა განჯელ ქალბალი ხანს ჩააბარა. მან 1735 წელს დემეტრე ყაფლანიშვილს სამემკვიდრეო სახელო აიდარბეგისა და ყულარის მოურავობა განუახლა. ბრძანება გამოცემულია სპარსულად, და ქართული თარგმანი ერთვის.

„ქ. ჩვენი ბრძანება არის, რადგან დემეტრე ყაფლანიშვილმა

¹ საქართველოს სიძველენი, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, ექ. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტ. II, ტფ., 1909, ტ. II, გვ. 265.

² საქართველოს სიძველენი, ტ. II, გვ. 248.

³ საქართველოს სიძველენი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, ექ. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტ. III, ტფ., გვ. 416.

კელმწიფის სამსახურში თავდადებით იმსახურა, ყულარის და ჰიდარბევის ტაროლაობა იმისთვის წყალობა გვიქნია“. იქვე ავალღებულებს, რომ „რაც აყრილი, დაფანდული კაცი სადმე წასული იყოს, თავის ალაგას დაასახლოს, ხენასა და თესვას ბეჯითი იყოს, ყოველს წელიწადსა მოსავალისა და გამოსალების ანგარიში ჩვენის კარის კაცს მოსცემდეს“.¹

* * *

რაც შეეხება ტაშირის დასახლებულ პუნქტებსა და მოსახლეობას, მათ შესახებ უფრო დაზუსტებული მაინც ვახტანგ VI-ის ბრძანებით ვახუშტი ბატონიშვილისა და გივი თუმანიშვილის მიერ 1721 წელს ჩატარებული აღწერის ცნობებია. აღწერის დავთარში ჩამოთვლილია სოფლები, მათი მემამულეები და ყმები. ამ მონაცემების სტატისტიკური ცნობები თავის ნაშრომებში დამუშავებული ცხრილის სახით წარმოდგენილი აქვს იასონ ლორთქიფანიძეს,² რომელიც ქვემოთაც არის წარმოდგენილი.

¹ ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ტექსტი დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო ვლადიმერ ფუთურიძემ, თბ., 1955, გვ. 437.

² იას. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, ნაწილი III და IV, გვ. 81-85.

ტაშირის მოსახლეობა 1721 წელს ჩატარებული აღწერის მიხედვით:

სოფლები, მებატონები და მათი შემადგენლები	დამოუკიდებელი უცხო აზნაურები	ემები						
		გამომლები		ბოგანო		აყრილი	სულ. მცხოვრიბი	ამოწვეტილი
		კომლი	თავი	კომლი	მლოლაშქრე			
ტაშირი								
1. აზატ კალაქი	-	5	5	-	-	7	12	-
ყაფლანიშვილები	-	5	5	-	-	7	12	-
2. აზბულაზი	-	4	5	1	-	3	8	-
ყაფლანიშვილები	-	4	5	1	-	3	8	-
3. ათაკლეა	-	-	-	-	-	-	-	-
მეფე	-	ნაოხარი ნასოფლარი				-	-	-
4. აიღარბეტი	-	36	46	6	-	-	42	-
მეფე	-	36	46	6	-	-	42	-
5. აკოფას სოფელი	-	13	21	-	-	14	27	-
ყაფლანიშვილები	-	13	21	-	-	14	27	-
6. აკრაგაშენი	-	3	3	2	1	-	5	-
იოთამიშვილი ორბელი და გივი	-	2	2	1	1	-	3	-
შემადინაშვილი ბეჟანი	-	1	1	1	-	-	2	-
7. აღზიბუქი	-	6	7	-	-	8	14	-
ყაფლანიშვილები	-	6	7	-	-	8	14	-
8. აღტაში	-	6	8	2	-	-	8	-
მეფე	-	6	8	2	-	-	8	-
9. არასოფელი	-	-	-	-	-	-	-	-
მეფე	-	ნაოხარი ნასოფლარი				-	-	-
ბოცხორი	-	4	5	1	-	-	5	-
მეფე	-	4	5	1	-	-	5	-
ბუნჩაი	-	-	-	-	-	-	-	-
მეფე	-	ნაოხარი ნასოფლარი				-	-	-

სოფლები, მებატონები და მათი მემკვიდრეები	რამდენი კომლია	ყმები						
		გამომლები		ბოგანო		აყრილი	სულ მახვირბი	ამოწვეტილი
		კომლი	თავი	კომლი	მოლაქრე			
გატეხილი საფარო	-	2	3	2	-	3	7	-
ყაფლანიშვილები	-	2	3	2	-	3	7	-
ზემო დელიფლიჯანი	-	3	3	2	-	9	14	-
ყაფლანიშვილები	-	3	3	2	-	9	14	-
ქვემო დელიფლიჯანი	-	13	14	5	-	10	28	-
ყაფლანიშვილები	-	13	14	5	-	10	28	-
დოღბანდღუ	-	35	46	5	-	-	40	-
მუშა მუსტოფი	-	35	46	5	-	-	40	-
გაღაგერი	-	3	6	-	-	9	12	-
ყაფლანიშვილები	-	3	6	-	-	9	12	-
ველათა	-	10	11	2	-	-	12	-
მეფე	-	10	11	2	-	-	12	-
თახილობთაში	-	-	-	-	-	-	-	-
ყაფლანიშვილები	-	ნახარი ნასოფლარი				-	-	-
თელე	-	12	15	2	-	-	14	-
მეფე	-	12	15	2	-	-	14	-
იენგიჩაში	-	6	6	-	-	-	6	-
ყაფლანიშვილები	-	6	6	-	-	-	6	-
ლაგვარდლი	-	-	-	-	-	-	-	-
მეფე	-	ნახარი ნასოფლარი				-	-	-
მღვიანევის სოფელი	-	9	11	-	-	5	14	-
ყაფლანიშვილები	-	9	11	-	-	5	14	-
მიწნაქარი (მინდაქარი)	-	3	4	2	-	4	9	-
ყაფლანიშვილები	-	3	4	2	-	4	9	-
მოლა ყასუმას სოფელი	-	6	7	-	-	8	14	-
ყაფლანიშვილები	-	6	7	-	-	8	14	-

სოფლები, მებატონები და მათი მემკვიდრეები	დამოუკიდებელი უცხო კაპიტალი	ცემები						
		გამომღები		ბოგანო		აყრილი	სულ მანქანები	ამოწვეტილი
		კომლი	თავი	კომლი	მოლაშქრე			
მწვეთი	-	3	5	2	-	6	11	-
ყაფლანიშვილები	-	3	5	2	-	6	11	-
ოთანაურ ბულაჩი	-	-	-	-	-	-	-	-
მეფე		ნაოხარი ნასოფლარი				-	-	-
ოსკრიჭას სოფელი	-	9	11	3	-	-	12	-
მეფე	-	9	11	3	-	-	12	-
პალეაიები ორი	-	15	20	2	-	-	17	-
მეფე	-	15	20	2	-	-	17	-
სარუფაღა	-	-	-	-	-	-	-	-
მეფე	-	ნაოხარი ნასოფლარი				-	-	-
სირჩაპეტი	-	4	6	3	-	6	13	-
ყაფლანიშვილები	-	4	6	3	-	6	13	-
სულეიშანას სოფელი	-	4	6	2	-	6	12	-
ყაფლანიშვილები	-	4	6	2	-	6	12	-
ურუტი	-	9	9	-	-	-	9	-
მეფე	-	9	9	-	-	-	9	-
ფათაღას სოფელი	-	1	1	-	-	-	1	-
მეფე	-	1	1	-	-	-	1	-
ფარჩუხლუ	-	-	-	-	-	14	14	
ყაფლანიშვილები	-	აყრილი		-	-	14	14	
ქუთილაშენი	-	4	5	-	-	3	7	-
ყაფლანიშვილები	-	4	5	-	-	3	7	-
ქურთ ფაღა	-	-	-	-	-	-	-	-
მეფე	-	ნაოხარი ნასოფლარი				-	-	-
ფაშიში	-	7	9	-	-	7	14	-
ყაფლანიშვილები	-	7	9	-	-	7	14	-

სოფლები, მებატონები და მათი მემკვიდრეები	დამოუკიდებელი უცხო კონსტრუქციები	ემები						
		გამომღები		ბოგანო		აფრილი	სულ მანძილი	ამოწვეტილი
		კომლი	თავი	კომლი	მოლაშქრე			
გამში მეორე	-	7	8	-	-	6	13	-
ყაფლანი შვილები	-	7	8	-	-	6	13	-
გარაკილისა	-	10	13	6	-	6	22	-
ყაფლანი შვილები	-	10	13	6	-	6	22	-
გარაკილისა პატარა	-	5	6	-	-	10	15	-
ყაფლანი შვილები	-	5	6	-	-	10	15	-
გარაყალა	-	-	-	-	-	-	-	-
მეფე	-	ნახარი ნასოფლარი		-	-	-	-	-
ფიჩილ ზიარათი	-	13	13	2	-	-	15	-
მეფე	-	13	13	2	-	-	15	-
ფირხბუღასი	-	2	2	1	-	-	3	-
მეფე	-	2	2	1	-	-	3	-
გოშა კილისა	-	9	12	3	-	16	28	-
ყაფლანი შვილები	-	9	12	3	-	16	28	-
შავი საყდარი	-	5	5	-	-	12	17	-
ყაფლანი შვილები	-	5	5	-	-	12	17	-
შიშტეფა	-	9	12	-	-	7	16	-
ყაფლანი შვილები	-	9	12	-	-	7	16	-
ჩარდახლუ	-	11	14	6	-	14	31	-
ყაფლანი შვილები	-	11	14	6	-	14	31	-
ჩახახლუ	-	-	-	-	-	14	14	-
ყაფლანი შვილები	-	აფრილი		-	-	14	14	-
წარუკა	-	-	-	-	-	-	-	-
მეფე	-	ნახარი ნასოფლარი		-	-	-	-	-
წითელი ეკლესია	-	1	2	-	-	-	1	-
ყაფლანი შვილები	-	1	2	-	-	-	1	-

სოფლები, მებატონები და მათი მემკვიდრეები	რამდენი კომლი აქნაორბი	ცემები						
		გამომლები		ბოგანო		აქრილი	სულ მასხორბი	ამოწვეტილი
		კომლი	თავი	კომლი	მოლაქრე			
წითელი ეკლესია	-	6	7	-	-	5	11	-
ყაფლანიშვილები	-	6	7	-	-	5	11	-
წყალგამაიერი	-	-	-	-	-	-	-	-
მევე	-	ნოსარი ნოსოფლარი		-	-	-	-	-
ჭალის სოფელი	-	8	8	-	-	16	24	-
ყაფლანიშვილები	-	8	8	-	-	16	24	-
ჭალის სოფელი მეორე	-	3	3	1	-	7	11	-
ყაფლანიშვილები	-	3	3	1	-	7	11	-
ჭუბა	-	5	5	-	-	10	15	-
ყაფლანიშვილები	-	5	5	-	-	10	15	-
ხანზაღას სოფელი	-	-	-	-	-	-	-	-
ყაფლანიშვილები	-	ნოსარი ნოსოფლარი		-	-	-	-	-
ხანორის სოფელი	-	9	13	3	-	1	13	-
ყაფლანიშვილები	-	-	-	-	-	-	-	-
ღბანელი	-	9	13	3	-	1	13	-
ხუცის სოფელი	-	4	5	-	-	7	11	-
ყაფლანიშვილები	-	4	5	-	-	7	11	-
ჯანაღა ზემო	-	8	9	-	-	8	16	-
ყაფლანიშვილები	-	8	9	-	-	8	16	-
ჯანაღა პატარა	-	3	4	-	-	4	7	-
ყაფლანიშვილები	-	3	4	-	-	4	7	-
სულ	-	368	458	69	1	265	702	-

როგორც 1721 წელს ჩატარებული მეწინავე სადროშოს აღწერის სტატისტიკური მონაცემებიდან ჩანს, იმ დროს ტაშირი დასახლებული ყოფილა. თუმცა, უნდა ითქვას, რომ ტაშირის მოსახლეობას

დიდი ზიანი მიაყენა „ოსმალთაჲ“, რომელიც აღწერის ჩატარებიდან სულ მალე დამყარდა ქართლში. მათი პოლიტიკის გამო, ისევე როგორც მთელ ქართლში, ტაშირშიც არაერთი სოფელი მოსასწავლობისაგან სრულიად დაიცალა.¹

1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი ტაშირის ნაპე		
სოფლები	სახლი	კაცი
1. კათერლი	14	25
2. კიზილ ზიარეთ	5	11
3. ველელ ქენდი	10	18
4. რაღნეთი	3	6
5. აღზი ბიუქ	6	10
6. კარა ქილისა	15	28
7. დერგერ ქენდი	3	5
8. შიშ თეფე	3	10
9. ბაღლი კია	6	10
10. სირშებადი	1	2
11. კიზილ ქილისა	3	9
12. თელლი	9	21
13. ჰაიდარ ბეგი	6	12
14. დეობენდლუ	8	22
15. აჯ თაში	6	14
16. შექეთლუ	0	0
17. ბალჯიკლი	0	0
18. მორე ბალი კია	0	0
19. ფაფა ხნი	0	0
20. ათმაქნი	0	0
21. ლაჯურდი	0	0
22. ჩარდაკლი	0	0

¹ 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. სერგი ჯიქიაძე და პროფ. ნოდარ შენგელიამ, წ. II. თბ., 2010, გვ. 354-363.

23. ჩაკმაკლი	0	0
24. მეორე კარა ქილისა	0	0
25. მუნლა კასიმი	0	0
26. სულეიმან ქენდი	0	0
27. ვილაგირი	0	0
28. ჩალა ქენდი	0	0
29. იაკუბ ქენდი	0	0
30. ქოშა ქილისა	0	0
31. აზად ქიბადი	0	0
32. დელი კილიჩი	0	0
33. დიგერ დელი კილიჩი	0	0
34. კამიში	0	0
35. ქეშიშ ქენდი	0	0
36. ჯოკა	0	0
37. სადი სამე	0	0
38. თენგო ჩაქი	0	0
39. სარო ქენდი	0	0
40. ირქა ჩაბუქ	0	0
41. კარა კალე	0	0
42. მეორე კარა კალე	0	0
43. კარა კალე ბულაკი	0	0
44. სარი კალე	0	0
45. მისხანა	-	2
სულ	98	205
იალალები:		
1. დერშილ აკ ბაბა	10. სარინზანი	
2. ჰასანლუ	11. გერულეთ	
3. მინ გული	12. სარაი	
4. ბუქლუ ბურუნ	13. გოქ დალი	
5. თაკილა	14. კოჯა თეფე	
6. კარა ჰაჯი	15. ანლაჯი დალი	
7. აქჩელუ	16. გურდ ბულაკი	
8. ალგელუ	17. დევე გურლექი	
9. აგრი კარ	18. სარი ბარი	

ტაშირში 1721 წლისთვის სულ 702 კომლი ითვლებოდა, აქედან 368 გადასახადის გადამხდელი მუდმივი მოსახლე იყო, 69 ბოგანო, 1 ბოგანო მოლაშქრე. 265 ტაშირელი კომლი აყრილი იყო, მაგრამ საერთო რაოდენობაში ისინი მაინც ითვლებოდნენ.

შედარებისათვის, „ოსმალბის“ დროს, 1728 წლის აღწერის დავთრის შედგენის მომენტისთვის ტაშირის მხარეში მხოლოდ 205 კაცს უცხოვრია, რომლებიც 98 ოჯახში, ანუ კომლში იყვნენ გაერთიანებულნი.

თუ არ ჩავთვლით 265 აყრილ კომლს და 1721 წელს მუდმივად მოსახლე 368 კომლს გამოვაკლებთ 1728 წლისთვის ტაშირში მცხოვრებ 98 კომლს, მაშინ გამოვა, რომ მოსახლეობა 1721 წლიდან 1728 წლამდე კატასტროფულად შემცირებულა. მხოლოდ ტაშირიდან 270 კომლია დანაკლისი.

რა თქმა უნდა, ამის მიზეზი ოსმალების ბატონობა უნდა განხდარიყო. შესაძლებელია დავეუშვათ, რომ სოფლები ოსმალური ადმინისტრაციით სხვა ნაპიეს მიაკუთვნეს, მაგრამ თუ დავეუკვირდებით ტოპონიმებს, ისინი ზუსტად იმეორებენ ვახუშტის სიების სახელწოდებებს. ამასთან, შესაძლებელია შევადაროთ რამდენიმე მათგანი. მაგალითად, სოფელი „ჩარდახლუ“, სადაც 1721 წელს 31 კომლი ცხოვრობდა, 1728 წლის აღწერაში იგი „ჩარდაკლის“ სახელწოდებით არის შეტანილი და შენიშვნაში მიწერილი აქვს, რომ იგი „ცარიელია რეიასაგან“. იგივე უნდა ითქვას, „ჭალის სოფელზე“ სადაც 31 კომლი ცხოვრობდა, „ოსმალბისას“ კი „ჩალა ქენდი“ დაცარიელებულია, ასევე, დაცლილია 12 კომლიანი სულეიმანას სოფელი და სხვანი. ზოგი სოფელი განადგურებას გადაარჩა, მაგრამ მოსახლეობა ძალიან იყო შემცირებული. „აიდარბეგში“ 1721 წელს 42 კომლი ცხოვრობდა, ხოლო 1728 წელს „ჰაიდარბეგში“ მხოლოდ 12 კომლია დარჩენილი, მსგავსი მაგალითები ბევრი შეიძლება მოვიხმოთ.

მეტი თვალსაჩინოებისთვის ქვემოთ წარმოდგენილია ამ ორი აღწერის მონაცემების შემაჯამებელი ციფრები.

„1721 წლის მეწინავე საღროშოს აღწერის“ მიხედვით									„1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის“ მიხედვით				
სოფლების რაოდენობა		ყმები							სოფლების რაოდენობა	მცხოვრებნი			
		გამომლეტი		ბოგანო		აფრილი	ამოწვევტილი	სულ. მცხოვრები					
დასახლებული	დაუსახლებელი. „ნათხარი ნსოფლარი“, „აყრილი“	კომლი	თაფი	კომლი	მოლაშქრე				აფრილი	ამოწვევტილი	სულ. მცხოვრები	იალალები	დასახლებული
46	14	368	458	69	1	265	0	702	18	16	29	98	205

მოგვიანებით ტაშირის მოსახლეობა კიდევ უფრო შემცირებულა, 1770 წელს შედგენილ დემოგრაფიულ ნუსხაში იგი დაუსახლებელადაც კი არის წარმოდგენილი. აღნიშნულ დოკუმენტში ტაშირის შესახებ აღნიშნულია, რომ იგი აოხრებული და მოსახლეობისგან

დაცლილია: „ქ. არს აოკრებული ტაშირი“.¹ თუმცა ეს ცნობა გადაჭარბებული უნდა იყოს და არ უნდა შეესაბამებოდეს სიმართლეს.

ტაშირის სოფლების უმრავლესობა ყაფლანიშვილების საკუთრებას წარმოადგენდა და, შესაბამისად, საყაფლანიშვილოს სათავედოში იყო გაერთიანებული, ხოლო მისი გარკვეული ნაწილი მეფის სახსოს წარმოადგენდა.²

¹ ვ. გამრეკელი, ზ. ცქიტიშვილი, 1770 წლის 5 აპრილის დემოგრაფიული ნუსხა, „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, თბილისი, 1973 წელი, №1, გვ. 154.

² გ. ვაშბურია, ქართული ფეოდალური ურთიერთობების ისტორიიდან.

თავი III

ბამბაკი

XV-XVIII საუკუნეებში, ბამბაკის მხარე მდინარე ბამბაკის ხეობას მოიცავდა. მას დასავლეთიდან ყაიყული და შურაგელი, ჩრდილოეთიდან ტაშირი, დასავლეთიდან კი ყაზახის „სახანო“ ესაზღვრებოდა, ხოლო მის სამხრეთით ერეენის სახანო იყო.

ტაშირის და აბოცის მახლობლად ძველი სომხური წყაროები კანგარქის მხარეს ასახელებენ. მოსე ხორაცის მიხედვით, ჰაიკის შთამომავალ გუშარს სხვა მხარებთან ერთად ერგო „მთინის მთა“,¹ ანუ „კანგარქი“.²

ლაზარ ფარპეცის მიხედვით კი, ქართლში შემოჭრილ სპარსელებს ვახტანგ გორგასალი „სომხეთის მთებში, ქართლის საზღვრებთან“ გაექცა, იქ ელოდა სომეხთა ჯარს. სომეხთა ჯარი „დაუყონებლივ მივიდა ქართლის მეფესთან და ცოტა ხნით დაიბანაკა კანგარქის გავარში.“³ სომხური გეოგრაფია (VII ს.) ქართლის ხეების ჩამოთვლისას კანგარქის გავარს ტაშირის სამხრეთით აღნიშნავს და იგი მას

¹ მთინი (მთინ) სომხურად ბნელს, პირქუშს ნიშნავს (იხ. მოვსეს სორენაცი, სომხეთის ისტორია, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ალექსანდრე აბღლაძემ, თბ., 1984, გვ. 263).

² მოვსეს სორენაცი, სომხეთის ისტორია, გვ. 106.

³ ლ. ჯანაშია, ლაზარ ფარპეცის ცნობები საქართველოს შესახებ, თბ., 1962, გვ. 249-250.

საქართველოს აკუთვნებს.¹ უხტანესის გადმოცემით კი სომეხთა მონოფიზიტი ეპისკოპოსი პეტრე „წამოვიდა ქართლში, ვაჩერდა კანგარის მთასთან“, მას მიქელ ქართლის კათალიკოსის გამოწოდებით მონოფიზიტება მოუწოდებია, მაგრამ ქართველ სამღვდლოებს იგი ჩაუქოლავს.²

ანონიმი სომეხი ისტორიკოსი IX-X საუკუნეების ამბების გადმოცემისას მოიხსენიებს „აფხაზთა გავარს კანგარქს“, რომელიც თურმე შირაკის გავართან ახლოს მდებარეობდა.³ „მატიანე ქართლისაჲს“ ავტორი ამ მხარეს კანგარის სახელით იხსენიებს – „გამოვიდა სულტანი არფასარან, მეფე სპარსეთისა, დასხმის გუარად. უგრძნეულად მოვიდა და შემუსრა კანგარი და თრიალეთი“.⁴

პროფ. დევი ბერძენიშვილი ყველა ამ მონაცემის გათვალისწინებით, აღნიშნავს რომ „მთინი, ე.ი. ბნელი მთა ყოფილა კანგარი; ეს სახელი ერქვა მთასაც და გავარსაც, რომელიც საქართველოს უკიდურეს სამხრეთ საზღვარზე მდებარეობდა. ამიტომაც არის, რომ მკვლევართა უმეტესობა ძველ კანგარქს შემდგომი ხანის ბამბაკის ადგილზე ვარაუდობს, რომელიც (ბამბაკი) აღრეულ წყაროებში საერთოდ უცნობია“.⁵

¹ დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ქვემო ქართლი, ნაკვ. I, თბ., 1979, გვ. 55.

² უხტანესი, ისტორია გამოყოფისა ქართველთა სომეხთაგან, სომხური ტექსტი ქართული თარგმანითა და გამოკვლევით გამოსცა ზაზა ალექსიძემ, თბ., 1975, გვ. 404-405; დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ქვემო ქართლი, გვ. 55.

³ დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ქვემო ქართლი, გვ. 55.

⁴ მატიანე ქართლისა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით, სიმონ ფაუნჯიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 306; დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ქვემო ქართლი, გვ. 55.

⁵ დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ქვემო ქართლი, გვ. 55; პ. ინგოროყვა, გიორგი მერჩულე, ქართველი მწერალი X საუკუნისა, ნარკვევი ძველი საქართველოს ლიტერატურის, კულტურის და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიიდან, თბ., 1954, გვ. 454-455.

აკად. ივანე ჯავახიშვილი მიიჩნევდა, რომ „მთა მთინი“ (ე.ი. ბნელი) ზედსართავ სახელადაც არის და გეოგრაფიულ სახელადაც ნაგულისხმევი. შესაძლოა, რომ „ბნელ მთაში“ ახლანდელი ყარაღაჯის მთა იგულისხმებოდეს, რაც ძველი სახელწოდების მიახლოებითი თურქული თარგმანი გამოვია¹.

პროფ. დევი ბერძენიშვილს აქვს საინტერესო დაკვირვება, „გეოგრაფიულ სახელ მთინ-თან დაკავშირებით საინტერესოდ მოჩანს, რომ ქართული წყაროები ქვემო ქართლის სამხრეთ საზღვარზე იხსენიებენ „მთას“, რომელსაც თითქოს, საკუთარ სახელად ხმარობენ. ლეონტის სიტყვით, ფარნავაზმა სამშვილდის ერისთავს მისცა „სკურეთის მდინართგან ვიდრე მთამდე, რომელ არს ტაშირი და აბოცი“² გამოდის, რომ ეს მთა ყოფილა საზღვარი, რომლის ჩრდილოეთითაც აბოცი და ტაშირი იყო“³.

XVIII საუკუნის დასაწყისის ქართლის სამეფოს მოწყობის დოკუმენტში, „დასტურლამაში“, ვკითხულობთ, რომ „მთაზედა, ან ყაიყულის მოყვანილი ტყევე ურუმისაგან ჩვენის ქვეყნის თათარმან თუ ქართველმან რომ იყიდოს... და თუ ვინ იცის, მთაზე ჩვენის ქვეყნის თათარი თუ ქართველი აიყუანს და მიჰყიდის ვისმე... ზეითაც დაგვიწერია და მთაზედ ტყვის გამსყიდველს მსყიდველთან ხელი არა აქუს“⁴.

XVIII საუკუნეში, კი პაპუნა ორბელიანი წერს, რომ „ელების

¹ ივ. ჯავახიშვილი, ქართველი ერის ისტორია, წიგნში: დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ქვემო ქართლი, გვ. 55.

² ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართუელთა მეფეთასა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით, სიმონ ფუნჯიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 24.

³ დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ქვემო ქართლი, გვ. 55.

⁴ ქართული სამართლის ძეგლები, ხელმწიფის კარის გარიგება, დასტურლამალი, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევები, ლექსიკონები და საძიებლები დაურთო ივანე სურგულაძემ, თბ., 1970, გვ. 545; დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ქვემო ქართლი, გვ. 55-56.

ჯარი შეერილ იყო მთა-ზედა. იქილამ მიხლომოდნენ ყარსის ქვეყანას“. ასევე, ომან ხერხეულიძე აღნიშნავს, რომ „საქართველოს თათრის ელუბი ჩვეულებისაებრ მთა-ზე წარვიდნენ, მუნით გაიქცნენ და ერეკნის მამულში შთავიდნენ.¹

ისევ პროფ. დევი ბერძენიშვილის მსჯელობას თუ დაეუბრუნდებით, „ცნობებს ამ მთის შესახებ ისევ ყაიყულ-ბამბაკის სამხრეთ ქელთან მივყავართ, რომლის შესახებ ვახუშტი წერს, რომ ეს არის „მთა დიდი, მძალი და მარადის თოვლიანი“.² შესაძლებელია სომხური „მთინი“ და ქართული „მთა“ ქედის ძველი სახელწოდების ერთიმეორის ენაზე გააზრებული ვარიანტებია“.³

გამოდის, რომ ძველი მთინი, ანუ კანგარი გვიანი ხანის ბამბაკი უნდა იყოს, „ხოლო კევი ბამბაკისა არს მთებრი და მშვენიერი... ნაყოფიერებს კორბალნი, ქრთილი, სელი, შვრივა და სხვა არარაი. თვთ ბანბაკი არს მცირე ქალაქი, და პირუტყუთა სიმრავლე არს... სიმრავლე თაფლნი მრავალნი“.⁴

ვახუშტი ბატონიშვილი ბამბაკის ტერიტორიის, მისი საზღვრების, იქაური მეურნეობის დარგებისა და მოსახლეობის ყოფის შესახებ გვაწვდის ცნობებს. მისი აღწერით, ბამბაკი არის „მთებრი და შუენიერი, ნაყოფიერი. ნაყოფიერებს კორბალნი, ქრთილი,⁵ სელი, შვრივა,⁶ სხუა არარაი. ...და პირუტყუთა სიმრავლე არს, თვნიერ

¹ პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაურთო ელენე ცაგარეიშვილმა, თბ., 1981.

² ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 309.

³ დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ქვემო ქართლი, ნაკვ. I, თბ., 1979, გვ. 56.

⁴ ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 309-310.

⁵ ქერი, რომელსაც შემოდგომაზე სთესდნენ. „გაზაფხულ ნათესს ქერი ეწოდება, ხოლო შემოდგომისასა ქრთილი“ (იხ. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, ტ. II, ავტორგრაფიული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებითი ლექსიკის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, თბ., 1993, გვ. 220.

⁶ შვრია.

აქლემისა; თივათა სიმრავლე, თაფლი მრავალი.“ შემდგომ აღწერილი აქვს, რომ სომხითთან და ერევანთან გამოყოფილია ქედით და მის გვერდით ბორჩალოს ტომი ცხოვრობს.¹

XVIII საუკუნეში ბამბაკის ტერიტორიის ნაწილი, მეფის ქართლის სახასო იყო, ნაწილი ზურაბიშვილებსა და არლუთაშვილებს ეკუთვნოდათ, ხოლო დიდი ნაწილი ბორჩალოს „სახანოსთან“ იყო გაერთიანებული. მასალის უქონლობის გამო ბამბაკის სოფლების და მოსახლეობის შესახებ ზუსტი ცნობების გამოთვლა ალბათ რთულია, როგორც იასონ ლორთქიფანიძე ვარაუდობს, ბამბაკში „უმთავრეს მფლობელ მებატონედ იყო იქაური ხანი. არის მხოლოდ ცნობა, რომ სამი სოფელი ამ მხარისა (ახპატი, ბერდიკი და ვართაპეტას სოფელი) ეკუთვნოდა ზურაბიშვილებს და ორი სოფელი (სანანი – სოფელი და ნასოფლარი) არლუთაშვილებს.“²

XVIII საუკუნეში, როდესაც ქართლი ოსმალებმა დაიპყრეს ბამბაკი „თბილისი ლივანში“, ცალკე ადმინისტრაციულ ერთეულად „ფანბაკის ნაჰიეს“ სახელით იყო წარმოდგენილი. 1728 წელს ჩატარებული მოსახლეობის აღწერის დავთარის მიხედვით, „ფანბაკის ნაჰიეში“ 91 სოფელი იყო გაერთიანებული. ბევრი მათგანი მოსახლეობისაგან დაცლილი იყო. აღწერილია, ასევე მოსახლეობისათვის გამოსადევი „სათესველი“ ადგილებიც. დავთრის მიხედვით, „ფანბაკის ნაჰიეს“ მცხოვრებთ თითქმის ყველა სახის ოსმალური გადასახადი და ვალდებულება ჰქონდათ დაკისრებული. განსაზღვრულია თითოეული გადასახადის ოდენობა.

ბამბაკის ნაჰიეში გაერთიანებული სოფლები იყო: კარაქილისა, იაკუბლუ, ქოსალარი, ვართანანი (ტაშირს ექვემდებარება), კარბი, ვანქი, კაჩირი (სათესველი: ბუბერი, ალიჰალი), სადმასაკლუ, ქიჰალუ,

¹ ვაჟუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 309-310.

² იას. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, ნაწილი III და IV, მოსახლეობის და მფლობელობის სტატისტიკა, თბ., 1938, გვ. 156-157.

ჰაიდარბეგი, ბურანდალი, ფაშა ჩიკი, ღერბაში, ჯეჯე ხანი, ბაბა ხან-
ლუ, ნურსალო, აკ ბულაკი ნაზარი, გოქ ოდა, ქვემო კარა ღერზი,
ზემო კარა ღერზი, ალაღაშანი, ჩექნე მალ აზიზი, ზემო ჩექნე ჯაი,
კარბელ უზუნი, შილავერი, სელმანლუ, თიათლი, ოლაბურეთი, კალ-
თაკი, ბაღჩიკლი, თაჯდარი, ბეგ ქენდი, აბდი ბეგი, ჰალავარი, კარა
ჩობანი, გუმრუქი, ჯანდარი, აკ ბულაკი, გოქ ბოლუში, კარა ქილისა
სარი ბარი, ჰუბური, კაჩღანი, ნურაშენი, თექნე, ორთა ფაშა, ჰამამ-
ლუ, კოჯა კარა, სეზიდქი, კოჯა ალი ყიშლადი, ჰაჯი კარა (მეორე
სახელი ბულა), სექუთლუ, ჰაიდარ კარაჰანლუ, გულლუჰა, ემირ ხან-
ლუ, არჰადი. ბამბაკის ლივამში, მრავლად იყო წარმოდგენილი მოსახ-
ლეობისგან დაცილი ნასოფლარები: არმულლუ, მეორე არმულლუ,
ყიშლად ქენდი, ყიშლადი, ხოჯა ბაჯი, კუზაი ყიშლადი, ზაიმი, ბუნ-
სური, კოჯა ქენდი, თექე კიასი, ალიმანლუ, სილქლი, ქოშა ბულაქი,
ბამ ჰარანა, კადირ კული, აიანიე, ავრან ყიშლადი, მუნლა ქილისა,
სარი ბადი, სარი ჩალუ, ღერე ქენდი, გოზბოლუქი, სერ აჰმედი, კა-
რახუნა, ემექლუ, გულლუ ბულადი, ამილიქი, კოდასჯი, ჰუსეინის
ყიშლადი, აიშლუ, კადიმ ალი, დულანლუ, თაეშანლუ, ზიდანლუ.¹

XVIII საუკუნის ბოლოს ბამბაკი ბორჩალოსთან არის გაერ-
თიანებული და ერთიან „სახანოს“ წარმოადგენდა. 1770 წლის დე-
მოგრაფიული ნუსხაში ჰირდაპირ ასეა დასახელებული „ბორჩალი და
ფამბაკის კეობა ერთი მთელი სახანო“, სადაც 2560 კომლი ყოფილა.
„ქ. არს ბორჩალი და ფამბაკის კეობა ერთი მთელი სახანო. ამისი
კაცი მრავალი დაფანტულია სხვას თემში. და ახლა არის ორი ათას
ხუთას სამოცი სომხით“.²

¹ 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დაუთარი, ოსმალური ტექსტი ქართული
თარგმანით, შესავლით და ფაქსიმილურებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. სერგი
ჯიქამ და პროფ. ნოდარ შენგელიამ, წ. II. თბ. 2010, გვ. 364-389.

² ვ. გამრეკელი, ზ. ცქიტიშვილი, 1770 წლის 5 აპრილის დემოგრაფიული ნუსხა,
„მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და სელოვნების ისტორიის სე-
რია, თბილისი, 1973 წელი, №1, გვ. 153.

ბამბაკი დასახელებულია მორივე ჯარის განჩინებაშიც. ბამბაკში ან ყაზახს-ბორჩალოში მყოფი მორიგეები, ქალაქში, ანუ თბილისში აღარ უნდა ჩამოსულიყვნენ და მათ სადმე ახლოს უნდა მოეყარათ თავი.¹

XVIII საუკუნის ბოლოს ბამბაკი ქვემო ქართლის სხვა მხარეებთან ერთად გიორგი ბატონიშვილის საუფლისწულოს წარმოადგენდა. XVIII საუკუნის 80-90-იან წლებში გიორგი ბატონიშვილი იყო „ქსნისა, თიანეთისა, აღჯაყალისა და ლორე-ფამბაკის მპყრობელ-მქონებელი“.² ეს ტერიტორია გიორგის საკუთრებაში დარჩა მისი მეფობის დროსაც. საბოლოოდ გიორგი XII-მ (1798-1800 წწ.) ბამბაკის ხეობის სოფლები თავის შვილებს: მიხეილს, ილიას, ჯიბრაელს, ოქროპირს და ირაკლის გაუნაწილა. ქართლ-კახეთის სოფლების აღწერა მეფის ძემ, იოანე ბატონიშვილმა, ჩაატარა. სწორედ მის ნაშრომშია დაცული ცნობები ბამბაკის ხეობის კუთვნილებისა და სოფლების სახელწოდებების შესახებ.

„ფამბაკის ხეობა, რომელიც თუც ეყოდა მეფის ძეთ მიხაილს, ილიას, ჯიბრაელს, ოქროპირს და ირაკლის, არიან ესენი:

ქ. იაღუფლუ³

ქ. ამამლუ⁴

ქ. ყარაქილისა⁵

ქ. აიდარბეგი

ქ. ოვხალუ

ქ. აღბულაღი

¹ საქართველოს სიძველენი, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, ექ. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტ. I, ტფ., 1899, გვ. 186.

² საქართველოს სიძველენი, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, ექ. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტ. II, ტფ., 1909, გვ. 461-550.

³ თანამედროვე სოფ. გუგარქი (სომხეთის რესპუბლიკა).

⁴ ამამლუ, სხვადასხვა წყაროებში მოიხსენიება როგორც ჰამამლუც. 1948 წლიდან სპიტაკი ჰქვია (სომხეთის რესპუბლიკა).

⁵ ყარაქილისა 1935 წლამდე ერქვა, 1935-1993 წლებში კიროვაკანი, ხოლო 1993 წლიდან ვანადორი (სომხეთის რესპუბლიკა).

ქ. დარბაზი ¹	ქ. ყარაბულადი
ქ. ყიშლაღქენდი	ქ. სოლუთლუ
ქ. აჯიყარა	ქ. ყაჩალანი
ქ. სოლუთლუ	ქ. ყურსალუ
ქ. ჯომუშლუ	ქ. არჯეთი
ქ. სარალი	ქ. ჩიქარმა
ქ. ორთნავი	ქ. ყალთაღჩი
ქ. ნალბანდლუ ²	ქ. ყაიდარლუ
ქ. ბეკქანთი	ქ. არჯუდი ³
ქ. ჩოთერი	ქ. სხვა ნასოფლარები – 5. ⁴
ქ. არტიგი	

* * *

ამრიგად, ბამბაკის ხეობა დანაწილებული იყო მეფესა და ფეოდალებს შორის, ხოლო ერთი დიდი ნაწილი ბორჩალოს „ხანს“ ეკუთვნოდა. ისევე როგორც ქართლის სამეფოს სამხრეთის სხვა მხარეებში, XV-XVIII საუკუნეებში, დემოგრაფიული სიტუაცია ბამბაკშიც ქართველთა საზიანოდ იყო შეცვლილი.

¹ თანამედროვე სოფ. დარბასი (სომხეთის რესპუბლიკა).

² თანამედროვე სოფ. შირაკაშეთი (სომხეთის რესპუბლიკა).

³ თანამედროვე სოფ. არჯუთი (სომხეთის რესპუბლიკა).

⁴ იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თინა ენუქიძემ და გურამ ბელოშვილმა, თბ., 1986, გვ. 58-59.

თავი IV

თურქმანული ტომების ჩამოსახლება და მათი თავგადასავალი ქვემო ქართლში (XV-XVIII სს.)

ელის* მოსახლეობა ქვემო ქართლში

ქართლის სამეფოში თურქულენოვანი მოსახლეობის ჩამოსახლების ისტორია საინტერესოა. მათი დასახლება, ირანის მხრიდან, ქართლისთვის თავდაცვის სამხრეთის ზღუდის მორღვევის საქმეს ემსახურებოდა. ქვემო ქართლის სამხრეთ აღმოსავლეთით „თათარი¹ ელების“ ჩამოსახლება პირველად, XV საუკუნის II ნახევარში უზუნჰასანის ლაშქრობების შემდეგ მოხდა. ამის შემდეგ, ქართლზე ყოველი ახალი თავდასხმის შემდეგ, მტკვრისპირა დაბლობზე თურქმანულ

* ელი (თურქ., აზერბ. ილ, ელ ტომი, ხალხი), მეჯოგე-მომთაბარე მოსახლეობა კახეთსა და ქვემო ქართლში XVI-XIX საუკუნეებში (ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში, (შედარებითი შესწავლის ცდა), თბ., 1958; ვ. ჩოჩიევი, ელი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 4, თბ., 1979, გვ. 124).

¹ ქართული დოკუმენტური წყაროები თურქმანული მოღმის ტომებს უმეტესად მოიხსენიებს, როგორც „ელი“ ან „თათარი“. ხოლო შედარებით მოგვიანო, XIX-XX სს., ნარატიულ წყაროებში ისინი „თათრებად“ მოიხსენიებიან.

ტომთა ახალი ნაკადი სახლდებოდა. ბოლოს კი, XVI საუკუნის შუა ხანებში, ირანის შაჰმა, თამაზ I-მა (1514-1576 წწ.), იქ „სახანო“ დააარსა, რომელიც მომთაბარე მოსახლეობის მიუხედავად, უმეტესად ქართლის მეფის მორჩილებაში იმყოფებოდა, და ისტორიაში ყაზახის „სახანოს“ სახელით არის ცნობილი.

XVII საუკუნის დამდეგს (1604 წ.) შაჰ აბას I-მა ქვემო ქართლში სამელიქო შექმნა. ამ დროს ჩამოსახლდა თურქულენოვანი ბორჩალოს ტომი. ბორჩალოსთან ერთად არსებობდა შამშადილუს ტომიც, რომელიც, ასევე, ქართველი მეფის მორჩილებაში იმყოფებოდა. ამ პროცესების შესწავლა ქართლის სამეფოს ისტორიის საინტერესო საკითხებს ჰყენს ნათელს. მაგალითად, საინტერესოა მათი განსახლების, უფრო ზუსტად, მოძრაობის არეალი. ცნობილია, რომ ისინი სეზონურად იცვლიდნენ საცხოვრებელ ადგილებს, რადგან მესაქონლეობით იყვნენ დაკავებული. საინტერესოა, რომ ჰყავდათ თავისი მმართველი („ხანი“, „სულთანი“ და სხვ.). მაგრამ, როგორც დოკუმენტებიდან ჩანს, ამ ტომების ქვეყნის ტერიტორიაზე სეზონურად გადაადგილებას და მათგან სახელმწიფო გადასახადების აკრეფას ქართლის მეფის მიერ დანიშნული მოურავეები უზრუნველყოფდნენ და აკონტროლებდნენ.

ბორჩალოს, შამშადილოს თუ სხვა თურქმანული ტომის საცხოვრისს ქვემო ქართლში მეფის დომენი წარმოადგენდა. ეს იყო ძირითადად ყაზახი, ბორჩალო, შამშადილო, ბაიდარი (მდ. ქციასა და მდ. მტკვარს შორის ტერიტორია – „წყალთამუა“), ასევე, ყაიყულში მათ სეზონურ სადგომებად ჩანს ყაზახი და სხვა სოფლები. მომთაბარეების გადაადგილების პარალელურად ქვემო ქართლში შემორჩენილი იყო ადგილობრივთა სოფლებიც, რომლებიც თანდათან დაიცალა. როგორც ჩანს, ქართველები უფრო ჩრდილოეთით გადასახლდნენ.

ქვემო ქართლში მომთაბარეთა დასახლება ქართული ფეოდა-

ლური მეურნეობის მოშლას უწყობდა ხელს, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში ქართლისგან ამ მხარეების საბოლოოდ გაუცხოვებას ითვალისწინებდა.

დაუსრულებელი ბრძოლების შედეგად ქვემო ქართლის ტერიტორიაზე არა მარტო მოსახლეობა და ადგილობრივი ქართული მეურნეობა ნადგურდებოდა, არამედ იცვლებოდა გეოგრაფიული სახელწოდებებიც. განადგურებული მოსახლეობის ადგილას მოსული ახალი თურქმანული ელი ძველ ტოპონიმებს არ იცნობდა და ახალ სახელწოდებებს ამკვიდრებდა. ამის შედეგად ბევრი ნასოფლარის სახელწოდება მივიწყებას მიეცა. XVIII საუკუნეში თითქმის მთელი ქვემო ქართლი ადგილობრივი მოსახლეობისგან დაცლილი იყო.¹

საბოლოოდ, ქართლის ტერიტორიაზე XV-XVIII საუკუნეებში არსებობდა რამდენიმე „სახანო“ და „სასულთნო“: შამშადილოს, ყაზახის და ბორჩალოს „სახანოები“, ბაიღარისა და დემურჩი ასანლუს „სასულთნოები“. ისინი ქართლის მეფის (შამშადილოს შემთხვევაში, ხან კახეთის) მფლობელობაში იყო.

საქართველოს ტერიტორიაზე მცხოვრები ელი მოსახლეობის სახანოები და სასულთნოები არ უნდა წარმოვიდგინოთ, როგორც სახელმწიფოებრივი წარმონაქმნი, რომელსაც თავისი ბიუროკრატიული აპარატი გააჩნია. აქ სახელწოდება „სახანო“ – უფრო პირობითია, ხშირად არის შემთხვევები, რომ „სულთანი“ და „ხანი“ ერთმანეთშია არეული. მაგ., უმეტესად „ყაზახის ხანი“ დასტურდება წყაროებში, მაგრამ ერთ-ერთ ქრონიკაში გვხვდება ასეთი ჩანაწერი: „ყაზახის სულთანი“. გარკვეულ უხერხულობას ქმნის ის ფაქტიც, რომ მეზობლად მართლაც არსებობდა სახელმწიფოებრივი წარმონაქმნები, ისეთი სახანოები, რომელნიც დამოუკიდებელ პოლიტიკას აწარმოებდნენ და

¹ ქვემო ქართლის დაკარგული ტოპონიმების შესახებ, უფრო ვრცლად, იხ. კ. სარაძე, საქართველოს ისტორიული გეოგრაფია, ქვემო ქართლი, თბ., 1991, გვ. 26 და სხვ.

თავიანთი ბიუროკრატიული სამოხელეო აპარატიც გააჩნდათ (განჯის სახანო, ყარაბაღის სახანო, ერევნის სახანო და სხვ.).

ვაურკვეელობის თავიდან აცილების მიზნით, ვფიქრობ, საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი ელის ტომების სახანოები და სასულთნოები ტექსტში ყველგან აღენიშნო ბრჭყალით (მაგალითად: ბორჩალოს „სახანო“, ყაზახის „ხანი“, ბაიდარის „სულთანი“ და სხვ.), ხოლო სხვა, ქართლ-კახეთის სამეფოს ირგვლივ არსებული მეზობელი სახანოები, რომლებიც სახელმწიფოებრივ ერთეულებს წარმოადგენდა, ბრჭყალის გარეშე (მაგალითად: ყარაბაღის ხანი, განჯის ხანი და სხვ.).

ამ აზრის დამადასტურებლად შეიძლება ისიც დავიმოწმო, რომ უცხოენოვან წერილობით ძეგლებში მათ სახანოს და მითუმეტეს, სასულთნოს ნაკლებად უწოდებენ.¹ მოიხსენიებიან, როგორც „ტომი“, „საზოგადოება“, „ხალხი“, ძალიან იშვითად „სახანოც“.

აღსანიშნავია, რომ წყაროებსა და თანამედროვე სამეცნიერო ლიტერატურაში, ქვემო ქართლში მცხოვრები თურქმანული წარმოშობის ტომების აღსანიშნავად არაერთგვაროვანი ტერმინოლოგია („თურქები“, „აზერბაიჯანელები“, „თათრები“ და სხვ.) გვხვდება. ამიტომ აღნიშნული „სახანოების“ და „სასულთნოების“ მოსახლეობა ქვემოთ მოხსენიებული იქნება, როგორც „ელი“. ვფიქრობთ, რომ ნაშრომისთვის ეს არის ყველაზე ზუსტი და სწორი სახელწოდება, რადგან ქართულ საისტორიო წყაროებში ისინი სწორად ასე მოიხსენიებიან (მაგ., „ელი“, „ქართლის ელი“ და სხვ.).

¹ მაგ. 1714 წლის შაჰ სულთან-ჰუსეინის ფირმანში დასახლებულია „შამს-ად-დინ-ლუს საზოგადოება“ და სხვ.

„ბრძოლა მტკერის დაბლობის დაუფლებისთვის“

საქართველოს ტერიტორიაზე თურქმანული ტომების გამოჩენა, შესაძლოა, შედარებით ადრეულ პერიოდს, X ან უფრო XI საუკუნეებს დაუკავშიროს ვინმემ, მაგრამ ისტორიული წყაროების მიხედვით ნათელი ხდება, რომ იმ პერიოდში თურქული მოდემის ხალხის აქ დასახლება არ მომხდარა.¹ იმ პერიოდში საქართველოს ტერიტორიებს მხოლოდ დასაპყრობად ან სეზონურ სადგომებად თუ იყენებდნენ. ამას გარდა, დავით აღმაშენებლის (1089-1125 წწ.) მიერ თურქ-სელჩუკებზე მოპოვებული გამარჯვების შემდეგ, ასევე, დავითის მემკვიდრეების დროს და, ზოგადად, ერთიანი ქართული ფეოდალური სახელმწიფოს პირობებში მათი აქ დამკვიდრება შეუძლებელი იყო. არც დოკუმენტები გვაძლევენ ამის შესახებ ინფორმაციას. საგარაუდოდ, მოკვიანებით, XIV-XV საუკუნეებში, თურქულენოვანი მოსახლეობის შემოსვლა დაიწყო, თუმცა ნაკლები ინტენსივობით. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობისა და პოლიტიკური ვითარების გამო მომთაბარეთა მიუზღწეობის განვითარებას საქართველოში მყარი სა-

¹ არსებობს კიდევ ერთი, ლეგენდარულ ცნობებზე დაყრდნობილი, არგუმენტებს მოკლებული მოსაზრებაც, რომელსაც, სამწუხაროდ, აქტიურად იმოწმებენ თურქულენოვან გამოცემებში. საუბარია იმაზე, რომ თითქოს „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული „ბუნთურქები“, რომლებიც ალექსანდრე მაკედონელამდე საქართველოს ტერიტორიაზე ცხოვრობდნენ, თურმე თურქულენოვანი ხალხის ამ რეგიონში ყოფნას ადასტურებს. თუმცა სხვა მასალით ეს არ დასტურდება. ამასთან „მკვლევარები“ არ ითვალისწინებენ, რომ ცნობის ავტორი, ლეონტი მროველი, გაცილებით გვიან აღწერს ამ მოვლენებს, შესაბამისად, მისთვის თურქები უკვე ნაცნობი ტერმინი იყო, და ბუნთურქებს, ზოგადად, წარმართების აღსანიშნავად იყენებს („...და იხილა ესე ნათესავნი სასტიკნი წარმართონი, რომელთა იგი ჩუენ ბუნთურქად და ყივჩაყად უწოდოთ...“). იხ. ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართუელთა მეფეთასა და პირველთაგანთა მამათა და ნათესავთა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით, სიმონ ფაუნჩიშვილის მიერ, ტ. I, თბ., 1955, გვ. 17-18).

ფუძეელი არ ჰქონდა.

ისტორიული წყაროების მიხედვით, ქვემო ქართლის ტერიტორიაზე თურქმანულმა ტომებმა XV საუკუნის მეორე ნახევრიდან დაიწყეს ჩამოსახლება.¹ როგორც პროფ. დევი ბერძენიშვილი შენიშნავს, თურქმანულმა ტომებმა პირველად, უკვე გათურქებული ძველი ალბანეთიდან დაიწყეს მტკვრისპირა დაბლობების დაკავება. თემურ ლენგის ლაშქრობების შემდეგ ეს პროცესი განსაკუთრებით დაჩქარდა.²

მონღოლების შემოსევებისა და განსაკუთრებით თემურ ლენგის შემოსევების შემდეგ ქვემო ქართლში მოსახლეობა ძალიან შემცირდა, უფრო სწორი იქნებოდა თუ ვიტყვით, რომ მოსახლეობის უმრავლესობა განადგურდა.

ზოგადად, ცნობილია, რომ თემურის ლაშქრობები ყველგან უჩვეულო სისასტიკით ხასიათდებოდა. მისი მეომრები თავიანთ გზაზე სიცოცხლის ნიშანწყალს არ ტოვებდნენ.

საქართველოს მოსახლეობის ერთი ნაწილი მტრის რიცხოზრივად გაცილებით ჭარბ ძალებთან უთანასწორო ბრძოლების დროს უშუალოდ ბრძოლის ველზე იხოცებოდა. მოსახლეობის მეორე ნაწილს ადგილზე შემდეგ ანადგურებდნენ თავიანთ საცხოვრისთან ერთად, ან სახიზარ-გამოქვაბულებში ეჭრებოდნენ და იქ უღებდნენ.³

თემურის მიერ საქართველოში მოწყობილი რვა დამანგრეველი ლაშქრობიდან (1386, 1387, 1394 (ორჯერ), 1399, 1400, 1401 და 1403 წლებში), განსაკუთრებული მეექვსე შემოსევა იყო, სწორედ ამ დროს, 1400 წელს, დაზარალდა ქვემო ქართლი და დემოგრაფიუ-

¹ დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ქვემო ქართლი, ნაკვ. I, თბ., 1979, გვ. 109.

² დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ქვემო ქართლი, გვ. 109.

³ კ. ტაბატაძე, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე, თბ., 1974, გვ. 227-228.

ლი კატასტროფა განიცადა.¹

თემურ ლენგის ისტორიკოსები აღწერენ, რომ ამ მხარეში ყველას უმოწყალოდ ხოცავდნენ, ვინც უარს აბოხდა ისლამის მიღებაზე უმეტესობა კი რელიგიის შეცვლას სიკვდილს აძვობინებდა. როგორც პროფ. კარლო ტაბატაძე წერს, სწორედ ამაზე უნდა მოეთითებდეს ნეზამ აღ-დინ შამის ცნობა, რომ „იქაურ ხალხთა უმეტესობა დახოცეს“. ამას უფრო კონკრეტულად განმარტავს აბდ არ-რაზიყი და აღნიშნავს, რომ „ვინც გამუსლიმანდა ცოცხალი დატოვეს და ურწმუნთა უმრავლესობა კი დახოცეს“.²

ვაუკაცრიელებულ და გაჩანაგებულ ქვეყანაში შემთხვევით გადარჩენილ მოსახლეობას სხვადასხვა სახის ინფექციურ დაავადებათა ეპიდემიები ანადგურებდა. ეს კარგად ჩანს გრიგოლ ბანდაისძის ჩანაწერიდან,³ სადაც ნათქვამია, რომ საქართველოში თემურის 1400 წლის შემოსევის „შემდგომად მცირედისა ჟამისა, დავრჩი ობოლი ხუთთა ძმათაგან“, ხოლო „ამის შემდგომად იხილა ღმერთმან სიმრავლე ცოდვათა ჩემთა და მოიხვნა ექესნი შვილნი სამნი ვაჟნი და სამნი ქალნი დედით მათითურთ“. მაშასადამე, მხოლოდ ამ სიტყვების ავტორს თემურის შემოსევის შემდეგ, რაღაც მთარეული სენით ხუთი

¹ კ. ტაბატაძე, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე, გვ. 123-125.

² კ. ტაბატაძე, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე, თბ., 1974, გვ. 125.

³ 1400 წლით დათარიღებული ლარგვისის პარაკლიტონის მინაწერის ავტორი, გრიგოლ ავგაროზის ძე ბანდაისძე, თემურ ლენგის საქართველოში შემოსევის, ქვეყნის „დასავლეთამდის“ მოიხრებისა და ეკლესია-მონასტრების დანგრევის შესახებ წერს. გრიგოლი თავის მიერ ჩატარებული საშუაოებისა და ოჯახის შესახებაც მოგვითხრობს (ინ. თ. ევლოშვილი, სომხური წყაროები თემურ-ლენგის საქართველოში ლაშქრობის შესახებ, ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი დისერტაცია, თბ., 2006, გვ. 5; 78; ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა, შეკრებილი ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თ. ყორღანის მიერ, წიგნი II, ტფ., 1897, 267).

მა, ცოლი და ექვსი შვილი დაღუპვია.¹ „ჟამიანობა“, სშირად იფეთქებდა ხოლმე და ანადგურებდა ხალხს. ამის შესახებ სომეხი ავტორი თომა მეწოფეციც წერს, მისი გადმოცემით ამ მხარეებში ერთ-ერთი ასეთი ჟამიანობა 1424 წელს მძებინვარებდა.²

1477 წელს საქართველოს თეთრბატკნიანთა თურქმანული სახელმწიფოს მბრძანებელი, უზუნ ჰასანი (1453-1478 წწ.), შემოესია.³ როგორც ცნობილია, ერთიანი ქართული მონარქიის დაშლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამომწვევი მიზეზი, სწორედ, მისი ლაშქრობები იყო.⁴ უზუნ ჰასანმა საქართველოში დიდი სისასტიკე გამოიჩინა, როდესაც ვახუშტი ბატონიშვილი მისი ლაშქრობების ამბებს აღწერს, ძალიან ხშირად იყენებს სიტყვებს – „მოარბიეს“, „მოსწვევტეს“, „მოაკრეს“. სწორედ ამ შემოსევის დროს უზუნ ჰასანმა ქართლის საზღვართან „თათრის ელები“, ანუ მომთაბარე თურქმანები დაასახლა, მაგრამ უზუნ ჰასანის გარდაცვალებისთანავე მეფე კონსტანტინე II-მ (1478-1505 წწ.) დრო იხელთა და თურქმანები საზღვრებიდან განდევნა. ვახუშტი ბატონიშვილის ცნობის მიხედვით – კონსტანტინემ „უბრძანა ბარათიანთა და სომხითართა, მიუკლნენ ელთა, დატევებულთა ყვენისაგან საზღვართა ქართლისათა, სრულიად მოსრნეს და ტყუე-ყვნეს“.⁵ იგივეს მოგვითხრობს ბერი ეგნატაშვილი, „ჩაუკლეს

¹ კ. ტაბატაძე, ქართველი ხალხის ბრძოლა უცხოელ დამპყრობთა წინააღმდეგ XIV-XV საუკუნეების მიჯნაზე, გვ. 229.

² სომხურ ხელნაწერთა ცნობები საქართველოს შესახებ, აღ. აბდლაძის გამოც. თბ. 1973, გვ. 45.

³ უზუნ ჰასანი საქართველოში, პირველად, 1473 წელს შემოვიდა.

⁴ ბ. ლომინაძე, საქართველო XV საუკუნის მეორე ნახევარში. ერთიანი საქართველოს საბოლოო დაშლა სამეფოებად და სამთავროებად, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979, გვ. 742; ნ. ასათიანი, აფ-ფონილუს თურქმანთა შემოსევები, საქართველოს ისტორია, ტ. III, თბ., 2012, გვ. 127-129.

⁵ ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ფაუნსიშვილის მიერ, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 385.

ბრათიანნი, დაიფორაქეს ელი და დაკოცეს მრავალი თათარი ყაენისაგან შეწყალებულნი.¹ თუმცა, როგორც ჩანს, ასეთი მოქმედებები საკმარისი არ იყო.

ამ ამბებიდან სულ მალე, 1490 წელს, საქართველო ოფიციალურად დაშლილად გამოცხადდა და, შემდეგ უკვე, მტერი ცალ-ცალკე „საქართველოებს“ ერჩოდა ყველა მხრიდან. ერთიანი ქვეყნის დაშლის შემდეგ განვითარებული მოვლენების მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ნათელი ხდება, რომ ყველა დამპყრობელი დემოგრაფიული სურათის შეცვლას ცდილობდა და მუდმივად იბრძოდა იმისთვის, რომ პირველ ეტაპზე ქართლის საზღვართან ახლოს, მოგვიანებით კი უკვე საზღვარს შიგნით, სხვადასხვა მომთაბარე ტომები დაესახლებინათ.

საქართველოს დაშლის შემდგომ, ირანიდან წამოსულ ყოველ ახალ თავდამსხმელს თან მოჰყვებოდნენ მომთაბარე თურქმანული, ე.წ. ელის ტომები და მათთვის სასურველ და ხელსაყრელ ტერიტორიებზე სახლდებოდნენ. თუმცა მტრის წასვლის შემდეგ ქართველები „მოსრვიდნენ გარემოთა თათართა“.

საქართველოში თეთრბატკნიანთა სახელმწიფოს ლაშქრობები უზუნ ჰასანის მემკვიდრის, იაყუბ ყაენის (1479-1490 წწ.), დროსაც გრძელდებოდა. იგი ქართლში 1488 წელს შემოვიდა. მან ერთ-ერთმა პირველმა ქვემო ქართლის მიმართულებით ქართლის სამეფოს წინააღმდეგ, საფუძვლიანი ღონისძიებებიც გაატარა. იაყუბ ყაენმა ძველი გაგის ციხის ნანგრევებზე აღჯაყალის ციხე ააშენა, ასევე განაახლა ქაოზინიც, „და დაუწყო შენება ქაოზიანთა და არჯაყალისა ციხესა“.²

¹ ბერი ვენატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959, გვ. 342, 479.

² ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, ქართლის ცხოვრება, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით სიმონ ყაუხჩიშვილის მიერ, ტ. II, თბ., 1959, გვ. 484; იხ. დ. მუსხელიშვილი, აღჯაყალა-გაგის ციხე, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული (სიგკ), ტ. I, თბ., 1960, გვ. 122-136.

დამპყობლები კი სწორედ ამ ციხეებიდან ცდილობდნენ ქართლის სამეფოს საქმეების მართვას. იაყუბ ყაენის მიზანი, ქართლში მომღვეწო ლაშქრობებისთვის და თურქმანული ტომების დასახლებისთვის საიმედო პლაცდარმის შეექმნა იყო. თუმცა ორი წლის შემდეგ, 1490 წელს, მეფე კონსტანტინე II-მ (1478-1505 წწ.) იქ ჩამოსახლებული მომთაბარეები გაანადგურა და ციხეებიც დაანგრია. „მოუკდა და მოსრნა ელნი გარემონი, შემუსრა და დაარღვივა აღჯაყალა და ქაოზიანი, აღიღო აღაფი მათი და მოვიდა ტფილისს“.¹ ვახუშტი აღჯაყალას ასე აღწერს: „ხოლო ძუელად ადვილისა ამის სახელი არს ქურღვაჭრის კვეი, და აწ უწოდებენ აღჯაყალას, იაყუფ ყეენისაგან წოდებულს, რომელმან პირველ აღაშენა ციხე ესე“.²

აკად. დავით მუსხელიშვილი აღნიშნავს, რომ ვახუშტის ცნობები გაზვიადებულია და იაყუბ ყაენმა, მხოლოდ განაახლა აღჯაყალას ციხე: „...მხოლოდ წერილობითი წყაროების მონაცემების საფუძველზე უნდა დავასკვნათ, რომ ციხე-სიმაგრე აღჯაყალა იაყუბ ყაენს კი არ აუგია, როგორც ამაში გვარწმუნებს ვახუშტი ბატონიშვილი, არამედ მას მხოლოდ განუახლებია იგი და, როგორც ეტყობა, მანამდე „დარღვეული“ კედლები შეუშენებია“.³

აღჯაყალა სტრატეგიულად მნიშვნელოვან გზებზე მდებარეობდა და საქართველოს ახლო აღმოსავლეთთან, კერძოდ, ირანთან აკავშირებდა. ამის შესახებ აკად. დავით მუსხელიშვილი აღნიშნავს „აღჯაყალა, „როგორც მნიშვნელოვანი ციხე-სიმაგრე საკომუნიკაციო გზაზე უნდა მდგარიყო... შესაძლებელია მდგარიყო იმ ერთ-ერთ ძირითად მაგისტრალზე, რომლის საშუალებითაც ქართლი (შიდა და ქვემო) უკავშირდებოდა სომხეთს და მახლობელ აღმოსავლეთს“.⁴

¹ ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 390.

² ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 307.

³ დ. მუსხელიშვილი, აღჯაყალა-გაგის ციხე, გვ. 116.

⁴ დ. მუსხელიშვილი, აღჯაყალა-გაგის ციხე, გვ. 117.

აღჯაყალა, როგორც ჩანს, უმთავრესად, მაინც თბილისის ადვილად დაკავების მიზნით აღადგინეს, მაგრამ რადგან, მას ძირითადად ქართველები აკონტროლებდნენ, პირიქით, დედაქალაქის დაცვის ფუნქცია შეიძინა. ირანელი მმართველები მუდმივად ცდილობდნენ აღჯაყალის ხელში ჩაგდებას, ხოლო ქართველი მეფეების მხრიდან შეუპოვარ წინააღმდეგობას ხვდებოდნენ.¹

წყაროებით ცნობილია, რომ შაჰ აბასის სახელს უკავშირდება მდ. დებედას ხეობაში და ველზე ბორჩალოს თურქმანული ტომის დასახლება. „შემდგომად, ოდეს მიუხუნა (აღჯაყალა)² შააბაჰ პე³ მეფეს გიორგის,⁴ მან გამოიყვანა ელნი ბორჩალუ, და დასხნა აქა, და ამით ეწოდა ბორჩალუ“.⁵ აკად. დავით მუსხელიშვილის მიხედვით, აღჯაყალას ეს ფუნქცია მთელი XVII-XVIII საუკუნის განმავლობაში უნდა ჰქონოდა, ხოლო როდის მოხდა აღჯაყალის უკანასკნელი კატასტროფა, ანუ როდის დაინგრა იგი, უცნობია.⁶

საქართველოსა და მის ირგვლივ (დღევანდელი თურქეთის, სომხეთის, და დასავლეთ ირანის ტერიტორიაზე), როგორც მარინე ილურიძემ გამოიკვლია, ცხრა აღჯაყალა აღმოჩნდა. ავტორი ჩამოთვლის თითოეულ მათგანს: გაგი-აღჯაყალა, ერეენის, ხანულის, ერზ-

¹ აღჯაყალის შესახებ იხ.: აღჯაყალა (თეთრი ციხე), ქართული საბჭოთა ენციკლოპედია. ტ. II, თბ., 1977, გვ. 66; დ. მუსხელიშვილი, გაგის ციხე, საქართველო, ენციკლოპედია. ტ. I, თბ. 1997, გვ. 527; დ. მუსხელიშვილი, აღჯაყალა-გაგის ციხე, გვ. 113-140; მ. ილურიძე, აღჯაყალათა იდენტიფიკაციისათვის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე (ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია), №2, თბ., 1989, გვ. 114-121; გურჯიზაძე, თბილისის დაპყრობის წიგნი, თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლითა და შენიშვნებით გამოსცა ცისანა აბულაძემ, თბ., 1975, გვ. 65, შენიშვნა: 66.

² აღღგენა ეკუთვნის აკად დავით მუსხელიშვილს (იხ. დ. მუსხელიშვილი, აღჯაყალა-გაგის ციხე, გვ. 121).

³ ვახუშტის მიხედვით, გიორგი X, ქართლის პე, ანუ 85-ე მეფე იყო.

⁴ ქართლის მეფე გიორგი X (1600-1605 წწ.).

⁵ ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 307.

⁶ დ. მუსხელიშვილი, აღჯაყალა-გაგის ციხე, გვ. 121.

რუმ-ნარიმანის, ყარს-სელიმის, ჩილდირის, ვიუმუშხანეს, მაჰმუდის და ყარსის არფაჩის აღჯაყალა. თვით სახელწოდება აღჯაყალა/ახნჯაყალა თურქულია და თეთრ ციხეს ნიშნავს.¹

* * *

ბრძოლა, რომელიც ძირითადად მტკვრის დაბლობის დაუფლებისთვის მიმდინარეობდა და რამდენიმე საუკუნე გაგრძელდა, საბოლოოდ, XVI საუკუნეში ამ მხარეში ქართველების შემცირებით და თურქმანული ტომების ჩამოსახლებით დასრულდა. ქართლის სამეფოს პროვინცია, ძველი გარდაბანი, იგივე ხუნანის საერისთავო, ქართველებისგან დაიცალა. შემდგომ ხანებშიც ირანის შაჰები ყველა მათთვის ხელსაყრელ მომენტში ცდილობდნენ მომთაბარე ტომების ჩამოსახლებას და მათ უკვე ქართლისა და კახეთის შიდა რაიონებში განსახლებას. ამით ახალ „სახანოებსა“ და „სასულთნოებს“ ქმნიდნენ.² მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ იმ ეტაპზე ჯერ არ იყო დასრულებული მათი მკვიდრად აქ დასახლება, რადგან ქართლის მეფეები და ფეოდალები მუდმივად აწიოკებდნენ და ანადგურებდნენ მათ სადგომებს.³

ქართველი მეფეები ამ მხარეებს თავის ტიტულატურაში ყოველთვის მიუთითებენ (მაგ., ვახტანგ VI (1703-1712; 1716-1724 წწ.), ერეკლე II (1744-1798 წწ.), კონსტანტინე II კახთა მეფე (1722-1732 წწ.).

მაგ., 1749 წელს, როდესაც თეიმურაზი დაბრუნდა ირანიდან,

¹ ავტორი აღნიშნავს, რომ აღჯაყალათა „სიმრავლე გვაგალებს, რომ თითოეული მათგანის ლოკალიზებას დიდი გულისყურით და სიფრთხილით მოვეკიდოთ“. იხ. მ. ილურიძე, აღჯაყალათა იდენტიფიკაციისათვის, გვ. 121.

² დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ქვემო ქართლი, გვ. 109-110.

³ დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ქვემო ქართლი, გვ. 109.

თან ჩამოიტანა სიგელი, რომლის ძალითაც მას „ყაზახ-ბორჩალო“ უნდა დამორჩილებოდა. „როგორც საქართველო,¹ ეგრე ყაზახ-ბორჩალო იმსახურეთ“. მართლაც დაბრუნებულ თეიმურაზს, როგორც პაპუნა ორბელიანი აღწერს, „მოეგებნენ ყაზახისა და ბორჩალოს სულთნები, თავისი ჯარებით დახვდნენ ყმურად და მიართვეს მისართმევი“.² ამის შემდეგ თეიმურაზ II-ის (1744-1762 წწ.) ტიტული, 1749 წელს გაცემულ შეწირულობის დოკუმენტში ასეა ჩამოყალიბებული „...ქართლისა და ყაზახ-ბორჩალოს ფლობით მპყრობელ-მქონებელმა, მეფეთმეფემან პატრონმან თეიმურაზ“.³ ასევეა, 1751 წლის დოკუმენტზე: „ქ. ჩვენ ღვთივ ცხებით გვირგვინოსანი, ქართლისა და ყაზახ-ბორჩალოს ფლობით მპყრობელ მქონებელი, პატრონი მეფე თეიმურაზ“.⁴

ერეკლე II-ის ტიტულატურა, მაგ., 1768 წლის საბუთში, ასეა ჩამოყალიბებული: „ჩვენ საქართველოს მპყრობელმან, ქართლისა, კახეთისა, ყაზახისა, ბორჩალისა და შამშადლისა მჭირაემან, მეფემ ერეკლე...“.⁵ 1769 წლის დამოწმებაში ასეა აღნიშნული: „...მეფის თეიმურაზის ძე ირაკლი მეორე, მეფე ქართლისა, კახეთისა, ყაზახისა და ბორჩალოსა მპყრობელი...“.⁶ 1783 წლის საბუთში კი – „...მეფის თეიმურაზის ძემან, ირაკლი მეორემან, მეფემან და პატრონმან ქართ-

¹ აქ იგულისხმება ქართლი.

² პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, ტექსტი დაადგინა, შესავალი, ლექსიკონი და საძიებლები დაუთოთ ელენე ცაგარეიშვილმა, თბ., 1981, გვ. 156.

³ გარეჯის ისტორიული დოკუმენტები, XIII-XVIII სს. ნაკვეთი I, გამოსაცემად მოამზადეს დოდო ლომიძემ, მანანა ჭუმბურიძემ და ზაზა სხირტლაძემ, ზეინაბ გურჯიძის და ლევან ბუკიას მონაწილეობით, თბ., 2008, გვ. 373; იხ. ასევე, გვ. 381 (1750 წ.); გვ. 392 (1753 წ.).

⁴ საქართველოს სიძველენი, ტ. II, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, ექ. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ., 1909, გვ. 546.

⁵ საქართველოს სიძველენი, საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, ექ. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტ. I, ტფ., 1899, გვ. 174.

⁶ გარეჯის ისტორიული დოკუმენტები, XIII-XVIII სს. ნაკვეთი I, გვ. 277; იხ. ასევე გვ. 434 (1768); გვ. 475 (1774 წ.) აქ უკვე შამშადილოს მფლობელიც ჩანს; იხ. ასევე, ქართული სამართლის ძეგლები, ტ. III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX სს.), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაუთოთ პროფ. ისილორე დოლიძემ, თბ., 1970, გვ. 869-870.

ლისა, კახეთისა, ყაზახისა, ბორჩალოსა, შამშადილოსა, შამქორისა, განჯისა, და ერევნისა“.¹

როგორც ზემოთაც აღინიშნა, ქართლის ტერიტორიაზე XV-XVIII საუკუნეებში არსებობდა რამდენიმე „სახანო“ და „სასულთნო“. შამშადილოს, ყაზახის და ბორჩალოს „სახანოები“, ბაიღარისა და დემურჩი ასანლუს „სასულთნოები“, ამთ გარდა, აღნიშნული „სახანოებისგან“ გამოყოფის შედეგად, სხვა, მცირე საზოგადოებებიც (ნასიბლუ, ქეშალუ, სარაჯლუ და სხვ.) ჩამოყალიბდა. ისინი ქართლის მეფის (შამშადილოს შემთხვევაში, ხან კახეთის მეფის) მფლობელობაში იყო.

შამშადილოს „სახანო“

ქართული საისტორიო წერილობით ძეგლებში² მოხსენიებული შამშადინი, შამშადილო ან შამშადილუ, ადმოსავლურ წყაროებში მოხსენიებული შამს ად დინლუს³ სახეცვლილი ფორმა უნდა იყოს. ჩვენ უპირატესობა ქართული წყაროების ვერსიას მივანიჭეთ და ქვემოთ ყველგან ასე აღვნიშნეთ.

შამშადილო ყაზახთან ერთად ჩამოყალიბდა და თავიდან ერთიან „სახანოს“ წარმოადგენდა, მოგვიანებით იგი შამშადილოსა და ყაზახის „სახანოებად“⁴ გაიყო.

¹ საქართველოს სიძველენი, ტ. II, გვ. 531.

² იხ. ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა; ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება; საქართველოს სიძველენი, ტ. I-III; ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV-VIII და სხვ.

³ გურჯიზაძე, თბილისის დაპყრობის წიგნი; რაჰიმიზაძე იბრაჰიმ ჩაუუში, განჯის დაპყრობის წიგნი, ქართული თარგმანი, შესავალი და შენიშვნები გამოსაცემად მოამზადა მარინა ილერიძემ, თბ., 2012; სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, წ. I, ნაკვ. 3, გამოსცა ვლ. ფუთურაძემ, თბ., 1965).

⁴ არის შემთხვევები, როდესაც შამშადილო „სასულთნოდ“ მოიხსენიება, მაგ. 1781 წლის საჩივრის წიგნი (იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, სასამართლო არზაოქმები, ტექსტები გამოსცა, წინასიტყვაობა და შენიშვნები დაურთო პროფ. ისილორე დოლიძემ, თბ., 1981, გვ. 509-510).

შამშადილოსა და ყაზახის ყიზილბაშური ტომები მტკვრის მარჯვენა ნაპირის დაბლობში უკვე XVI საუკუნეში მომთაბარებოდნენ. შამშადილოს ტომი ყიზილბაშური სახელმწიფოს ძირითადი ტომის ზულკადარის¹ განშტოება იყო. ისინი საქართველოს ტერიტორიაზე ირანის შაჰ ისმაილ I-ის (1501-1524 წწ.) დროს ჩამოსახლდნენ. მალე მათ მიერ დაკავებულ ტერიტორიას მათივე სახელი ეწოდა,² ასე გაჩნდა ტოპონიმი შამშადილო, მოგვიანებით კი „შამშადილოს „სახანო“.

ბერი ეგნატაშვილის ცნობით, 1556 წელს შაჰ თამაზმა „დასუა ყაზახის ადგილსა და შამშადილუსა ხანი თუსი“.³ როგორც პროფ. დევი ბერძენიშვილი დაასკვნის, ეს ტომები თავიდანვე ირანის შაჰის ხელშეწყობით და ქართლის სამეფოს სამტროდ იყვნენ ჩამოსახლებულნი.⁴ პირველ ეტაპზე, ქართლის მეფისადმი მორჩილებაზე მეტად ირანის ცენტრალური ხელისუფლების გავლენას განიცდიდნენ.

XVI საუკუნის 70-80-იან წლებში, როდესაც ოსმალეთმა ირანის წინააღმდეგ ახალი ომი წამოიწყო და საქართველოსა და მეზობელი მხარების დაპყრობაც დაიწყო, ყაზახის „ხანმა“ ოსმალეთს მორჩილება გამოუცხადა და ამით გარკვეული მდგომარეობა მოიპოვა. ყაზახის „სახანო“ და ყაზახის „ხანი“ ოსმალეთის ბატონობის დროს შედარებით დაწინაურებულ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ. ამ დროს შამშადილოს არათუ გამოეყო, საეარაუდოდ მასზე გარკვეული გავლენაც კი მოიპოვა, მაგრამ საქართველოში ყიზილბაშების გაბატონობის

¹ XV საუკუნეში, შვიდი ძირითადი ყიზილბაშური ტომი (შამლუ, რუმლუ, უსტაჯლუ, თიქლუ, ავშარი, ფაჯარი, ზულკადარი) არსებობდა, რომლებიც მალევე, სეფიანთა სახელმწიფოს ჩამოყალიბების საფუძველი გახდნენ (იხ. დ. კაციტაძე, ირანის ისტორია, III-XVIII საუკუნეები, მეორე გამოცემა, თბ., 2009, გვ. 370-371).

² გურჯიზაძე, თბილისის დაპყრობის წიგნი, გვ. 65, შენიშვნა 65.

³ ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 365, გვ. 507.

⁴ დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ქვემო ქართლი, გვ. 110.

შემდეგ უკვე ყაზახის „ხანთან“ შედარებით უპირატესობა, შამშადილოს „ხანს“ მიენიჭა.

შამშადილო და სხვა „სახანოები“ შაჰ აბას I-მა (1587-1629 წწ.) 1607 წელს თავის ერთგულებაზე დააფიცა და მოკავშირეებად გაიხადა. „მისმა უდიდებულესობამ ღვთის ჩრდილმა [შაჰმა] შამს ად-დინლუს, ყაზაყლარის და სხვა ამირები, რომელნიც თბილისში, ზაგემში და აჰსანაბადში იმყოფებოდნენ, დანიშნა მისთვის ღახმარებისა და თანადგომის გასაწევად“.¹

ამასობაში, ირან-ოსმალეთის ომში (1603-1639 წწ.) უპირატესობა აშკარად ირანისკენ იყო გადახრილი. შაჰ აბას I-მა ოსმალები აღმოსავლეთ საქართველოდან, სომხეთიდან და მიმდებარე სახანოებიდან განდევნა. სპარსელებმა აიღეს ასევე ბაღდადი, ოსმალებს წაართვეს ახალციხის საფაშოს პოლიტიკური ცენტრი, ახალციხე,² რომელიც სამართავად უკვე შაჰის ერთგულსა და სანდო მოკავშირეს, შამშადილოს „ხანს“, სელიმს, გადაეცა. შაჰ აბასის ისტორიკოსი ისქანდერ მუნში ვრცლად აღწერს ახალციხის მნიშვნელობას, ამირგუნე ხანის³ მიერ მის აღებას და ახალციხის შამშადილოს „ხან“ სელიმისთვის გადაცემის ამბებს: „...ახალციხე, რომელიც მესხეთის უდიდესი ციხე-სიმაგრეა და ამ ხანებში ოსმალთა მმართველების საჯდომს წარმოადგენდა, [ირანის] ძლევამოსილი სახელმწიფოს მფლობელობაში გადავიდა, იმ ველაიეთების მმართველობა [შაჰის] უმაღლესი კარის მიერ ეწყალობა სელიმ ხან შამს ად-დინლუს, რომელიც ლორის მმართველი იყო“. მას ეხმარებოდნენ შაჰის ერთგული ხანები და ასე-

¹ ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანითა და შესავლითურთ გამოსცა ვლადიმერ ფუთურაძემ, თბ., 1969, გვ. 72.

² ომის შესახებ ვრცლად იხ. გ. ჯაბურია, ირან-ოსმალეთის ახალი ომი და ქართლ-კახეთის სამეფოები, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 246-254; დ. კაციტაძე, ირანის ისტორია, III-XVIII საუკუნეები, გვ. 410-413.

³ ამირგუნე ხანი, შაჰ აბას I-ის ერთ-ერთი ცნობილი სარდალი, იგი დიდი ხნის განმავლობაში (1602-1625 წწ.) ერევნის ხანი იყო.

ვე, „მის ლაშქარში მყოფი შამს აღ-დინლუს ლაზიები“. ისქანდერ მუნში აღნიშნავს, რომ სელიმ ხანი „ციხეში შევიდა და ერთგულად ეწვეა ხსენებული ციხისა და სხვა ციხე-სიმაგრეების დაცვას და იმ ოლქის მართვა-გამგეობას“.¹ ჩანს, შამშადილოს მმართველის გავლენა მნიშვნელოვნად გაიზარდა, მას ახლად დაკავებული ციხეების მართვა-გამგეობას რომ ავალებენ.

თუმცა, აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართველი მეფეები შამშადილოზე გავლენისთვის იბრძვიან და წარმატებებსაც აღწევენ. მაგალითად, კახეთისა და ქართლის გაერთიანებული სამეფოს მეფე თეიმურაზ I-მა (1606-1648 წწ.) 1629 წელს „შეიკრიბნა სპანი ორთავე ქვეყანათა თეიმურაზ და მიუკლა ულუკოსორს, რამეთუ ივინი უკლებოდნენ, აოკრებდნენ და სტყუევნიდნენ კახეთს, მოსწყევნა, მოსტყუევნა და მოაოკრნა და მოვიდა გამარჯვებული, კუალად შეიკრიბნა სპანი ორნივე, წარვიდა და მოსტყუევნა არაზს შიგნითი, ბარდა, ყარაბადი, შამშადილო და ყაზახი, და მოვიდა ალაფითა და იავართა დიღითა გამარჯვებული“.²

ვახუშტის მიხედვით, ამ მხარეებზე ქართლის მეფის სრული კონტროლი, როსტომ ხანის დროს აღდგა. ცნობილია, რომ 1632 წელს ირანის შაჰმა სეფიდ (1629-1642 წწ.) ქართლის ვალიდ ირანის ყულარაღასი და დედაქალაქ ისფაჰანის ტარულა, ხოსრო-მირზა, იგივე როსტომ ხანი, დანიშნა. იგი დიდი არმიით და საკუთარი, გამუსლიმებული ქართველებისგან შემდგარი არისტოკრატიით 1633 წელს ქართლში ჩამოვიდა. როსტომი 67 წლის ასაკში ქართლის მეფე გახდა და 1658 წლამდე მეფობდა.³ სწორედ მაშინ „მოსცეს როსტომ მეფესა შეწვენად ყაზახ-შამშადილო-ლორეს ხანნი...“.⁴ ამ ამბებს,

¹ ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 119.

² ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 594.

³ გ. ჯამბურია, საქართველოს პოლიტიკური ვითარება XVII ს. 30-90-იან წლებში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. IV, თბ., 1973, გვ. 312-329.

⁴ ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 438.

ბერი ევნატაშვილიც აღწერს, იგი აღნიშნავს, რომ კახეთი სელიმ ხანს მისცეს, და დოკუმენტდარეს განჯა. ხოლო „როსტომ მეფეს მისცეს მაშუელებლად ლორის ხანი, ყაზახის ხანი და შამშადილოს ხანი.“¹

თუმცა მალე ყაზახი და შამშადილო ქართლის და კახეთის მეფეთა შორის ცილობის საგანი გამხდარა. როგორც წყაროებიდან იკვეთება, ამის მიზეზი ირანის შაჰის დამოკიდებულება უნდა იყოს. ამ დროს შამშადილოზე ირანის ცენტრალური ხელისუფლების გავლენა ღიდი იყო. სწორედ შაჰის ბრძანებით გამოცემულ დოკუმენტებში შამშადილო XVIII საუკუნის დასაწყისში უკვე კახეთის მეფის და მისი მოხელეების მფლობელობაში ყოფილა, ამას ბევრი საბუთი ადასტურებს.² კახეთში კონსტანტინეს გამეფებამდე 1705 წელს ირანის შაჰმა სულთან ჰუსეინმა (1694-1722 წწ.) სპეციალური

¹ ბერი ევნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 417.

² ჩვენამდე მოღწეულია საბუთები, რომლებშიც დასახელებულია, რომ შამშადილო კახეთის მფლობელობაშია, მაგ. „ზაგემის მმართველი და შამს-ად-დინიუს (შამშადილის) ელის ვეზირი...“ პაატა ბეგი (1705 წ.) (იხ. სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, წ. I, ნაკვ. 3, გვ. 29); „შამსედდინლუ ოლქის ნაიბმა უწყოდეს... კახეთის მდივანზე პაატა-ბეგის გასამრჯელო...“ გადაუხადონ (1720 წ.) (იხ. მ. ხუბუა, საქართველოს მუზეუმის სპარსული ფირმანები და ჰოქმები, I, თბ., 1949, გვ. 54); ასევე, კონსტანტინე კახთა მეფის საბუთები, სადაც იგი სხვა მხარეებთან ერთად შამშადილოს მფლობელადაც მოიხსენიება, „კახეთის მპყრობელმან, ერევნის ბეგლარ-ბეგმან და შამშადილო ყაზახის მქონებელმან მეფემან კონსტანტინემ...“ (1723 წ.); „...ირანის ხელმწიფის შვილურათ გაზრილმან და მათგანვე გახელმწიფებულმან კახეთის, შამშადილუსი და ყაზახის მპყრობელ-მქონებელმან მეფეთ-მეფემან და თვით ხელმწიფემან პატრონმან კონსტანტინემ...“ (1722 წ.); „...ყარაბაღისა მპყრობელმან, ყარაბაღისა ბეგლარბეგმან, შამშადინის და ყაზახის ხანმან, მეფეთ-მეფემან და ხელმწიფემან პატრონმან კონსტანტინემ...“ (1722 წ.). იხ. დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, ბატონყმური ურთიერთობა (XV-XVIII სს.), ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1940, გვ. 373, 390, 392; 1724 წლის დოკუმენტი (იხ. ქრონიკები და სხვა მასალა საქართველოს ისტორიისა და მწერლობისა შეკრებილი, ქრონოლოგიურად დაწყობილი და ახსნილი თედო ჟორდანიას მიერ, წიგნი III (1700 წლიდან XIX საუკუნის 60-იან წლებამდე), გამოცემამდე მოამზადეს გივი ჟორდანიამ და შოთა ხანთაძემ, თბ., 1967, გვ. 94; ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, ტექსტი დაადგინა, თარგმანი და შენიშვნები დაურთო ვლადიმერ ფუთურიძემ, თბ., 1955, გვ. 434-435).

ბრძანება გამოსცა, რომლის მიხედვითაც შამშადილოს „ვეზირს და მუსტოფს“, კახელ მოხელეს, პაატა ბეგს, ირანის ცენტრალური ხელისუფლება ხელფასს უხდიდა: „გამოვიდა ბრძანებულება, რომელსაც ემორჩილება ქვეყნიერება, რომ ზაგემის მმართველი და შამსად-დინლუს (შამშადილის) ელის ვეზირი და მუსტოფი ქათმის წლის დასაწყისიდან 29 თუმნისა და 6400 დინარის თანხას ვაზირობისა და მუსტოფობის სარგოს ანგარიშში შემდეგ საფუძველზე:

მუსტოფობის სარგოს ანგარიშში სრულად

25 თუმანი თეთრი

ხსენებული ვაზირობის სარგოს საერთო ჯამიდან

4 თუმანი 6400 დინარი“.¹

საინტერესო საბუთია 1714 წელს შაჰ სულთან ჰუსეინის (1694-1722 წწ.) ფირმანი, რომლის მიხედვითაც, ოთარ-ბეგმა სახელმწიფოსგან ჯამაგირი, ცენტრალური საზინის ნაცვლად შამშადილოს თამბაქოს შემოსავლებიდან მიიღო. „...ჰამასალა² დივანს³ გადაეცეს და მის ნაცვლად შამსად-დინლუს საზოგადოების ჩობანბეგისა და ზაგემის გასანაწილებელი თამბაქოს ფულის ანგარიშში დაუმტკიცდეს მას [ჰამასალა]“, შემდეგ იქვე ჩამოთვლილია, თუ რამდენი იყო ეს „ჰამასალა“ და რამდენი ეკუთვნოდა ოთარ-ბეგს.⁴

¹ სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, წ. I, ნაკვ. 3, გვ. 29.

² ჰამასალა (სპარს. „ყოველწლიური“) თიულის სახეობა, ჯამაგირი. ჰამასალა სახელმწიფოს მოხელეებს ამა თუ იმ ადგილის გადასახადებიდან ყოველ წელს ეძლეოდათ (იხ. სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, წ. I, ნაკვ. I, გამოსცა ვლ. ფუთურიძემ, თბ., 1961, გვ. 94).

³ დივანი სახელმწიფო კანცელარია, უმაღლესი სახელმწიფო ორგანო, დაწესებულება, უმაღლესი სამსჯავრო, რომელიც განაგებდა სახელმწიფოს შემოსავალ-გასავალს, სახელმწიფო მიწებს და სხვ. (იხ. სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, წ. I, ნაკვ. I, გვ. 88; სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, წ. I, ნაკვ. 4, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, ქართული თარგმანი და წინასიტყვაობა დაურთო ვლ. ფუთურიძემ, თბ., 1977, გვ. 82).

⁴ სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, წ. I, ნაკვ. 3, გვ. 84-85.

„შამს აღ-დინლუს საზოგადოების ჩობანბეგის ფული, რაც გადასახადების დაეთარშია შეტანილი 265 თუმნისა და 8261 ღინარის თანხით, მათ რიცხვში თანხა 258 თუმნისა და 3639 ღინარისა ხსენებული ოლქის მმართველის ჰამასალად... თანხა 8 თუმნისა და 3639 ღინარისა... რჩება.

8 თუმანი და 3639 ღინარი“.¹

* * *

ამდენად, როდესაც მეფე ერეკლე I-ის, იგივე ნაზარ-ალი ხანის,² უკანონო შვილი, კონსტანტინე II, იგივე მაჰმად-ყული ხანი (1722-1732 წწ.) გახდა, ყაზახი და შამშადილოც მას ებოძა. ჩანს, ქართლში ამას უკვე ვერანაირ წინააღმდეგობას ვეღარ გაუწევდნენ. ამის რამდენიმე მიზეზი არსებობდა. პირველი ის იყო, რომ შამშადილოზე გავლენა მანამდეც კახელ მოხელეებს ჰქონდათ, მეორე, იმ დროისათვის კონსტანტინეს ირანის შაჰისგან უზომო მხარდაჭერა გააჩნდა, რასაც თვითონაც ხშირად აღნიშნავს საბუთებში („ირანის ხელმწიფის შვილურად გაზრილი“ და სხვ.). უფრო მეტად კი იმის გამო, რომ ქართლის მეფე ვახტანგ VI (1703-1712; 1716-1724 წწ.) იმ დროს ოსმალეთთან წინააღმდეგობისთვის ემზადებოდა და შამშადილოს ელის საკითხი არ იყო იმდენად აქტუალური. საბოლოოდ ოსმალებმა ქართლი დაიპყრეს. დაიწყო „ოსმალთა“ (1723-1735 წწ.), შეიქმნა ოსმალური ადმინისტრაციული ერთეული „თბილისის ვილა-

¹ სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, წ. I, ნაკვ. 3, გვ. 86.

² ნაზარ-ალი ხანი ქართლში 1688-1703 წლებში მეფობდა, ხოლო 1703-1709 წლებში იგი კახეთის მეფე იყო.

იეთი“, მეფე იბულებული გახდა 1724 წელს რუსეთში წასულიყო.¹

ვახუშტის მიხედვით, სწორედ ასეთ რთულ ვითარებაში „წარმოაგლინა ყეენმან მაჰმად-ყულიხან ძე ერეკლე მეფისა, ნაშობი მკველისაგან, რომელსა ეწოდა კონსტანტინე, მეფედ კახთა. ესე მოვიდა და დადგა ყაზახსა შინა, რამეთუ მიეცა ყეენსა ერევანი, შამშადილო და ყაზახი და წარვიდნენ კახნი წინაშე მისსა. ხოლო იყო ესე მაჰმად-ყულიხან ფრიად მაჰმადიანი, ლალი და ამაყი, მდიდარი და მესისხლე, რამეთუ არა რიდებდა მცირესა ზედა კაცთა სიკუდილისა.“²

რაც შეეხება კონსტანტინეს პიროვნულ თვისებებს, აღმოსავლური წყაროები ქართულის საპირისპირო ინფორმაციას გვაწვდის. იქ აღნიშნულია, რომ კონსტანტინე „ძველ სარწმუნოებას (ისლამს ა. ბ.) განუდგა, იგი ქრისტიანობაზე გაცვალა, სახელადაც კონსტანტინე ღარიქვა და ქრისტიანი ბერებისაგან ქრისტეს მოძღვრება ჩაინერგა“, ასევე ხაზგასმულია, რომ მეტად განსწავლულობის გამო ქრისტიანი მღალაი სასულიერო წრეებიდანაც კი მას ეკითხებოდნენ რელიგიურ საკითხებს.³ ალბათ, რელიგიისადმი მისი გაურკვეველი დამოკიდებულება ასახული 1723 წელს გაცემულ წყალობის საბუთში, რომლის მიხედვითაც, კონსტანტინემ დავით გარეჯის მონასტერს შესწირა რუთუმცა იქვე საუბრობს, რომ იგი შაჰის აღზრდილია და მისი სარწმუნოების მიმდევარია, „შაჰ სულთან უსეინისაგან შეიღურად აღზრდილმან და მისის სარწმუნოებით წვრთნილმან და მისის რჯულის

¹ გ. პაიჭაძე, სამხედრო პოლიტიკური კვშირი რუსეთთან XVIII ს. 20-იან წლებში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 419-421; 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით, გამოკვლევითა და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. სურგი ჯიქიამ და პროფ. ნოდარ შენგელიამ, წ. I, თბ., 2009; 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, ოსმალური ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლით და ფაქსიმილეებით გამოსაცემად მოამზადეს აკად. სურგი ჯიქიამ და პროფ. ნოდარ შენგელიამ, წ. II, თბ. 2010.

² ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 619.

³ გურჯიზაძე, თბილისის დაპყრობის წიგნი, გვ. 34.

მჭირაემან“. საეპოქო ვრცელ დოკუმენტში იგი კიდევ ერთხელ ხაზგასმით აღნიშნავს თავის ტიტულატურას, სადაც არა მარტო შამშადილო და ყაზახი აქვს თავის მფლობელობაში, არამედ განჯა და ყარაბაღიც. „...ქართლისა და კახეთის, ერევან-განჯა-ყარაბაღ-შამშადილო-ყაზახ და სხვათა ოთხთა საბატონოთა მქონემან...“.¹

1722 წლის სექტემბერ-ოქტომბერში გამოცემული ბრძანების მიხედვით, შამშადილოს ნაიბს ღურეხან-ბეგს კახეთის მდივანბეგ პატასთვის ჯამაგირი უნდა ეძლია. ეს მას შაჰის ფირმანის შესაბამისად ევალებოდა. „...შამსედინლუ ოლქის ნაიბმა უწყოდეს: საქვეყნო პატისვაცემი ბრძანებულების შესაბამისად, სხენებული ოლქის მიმართ სიდიადისა და აღმატების საფარველ, ბრწყინვალეებისა და მაღალ ზრახვათა საყუდელ, თანატოლთა [შორის] რჩეულის კახეთის მდივანბეგ პატა-ბეგის გასამრჯელო, რომელიც დადგენილია ყოველწლიურ სარგოდ, უცვლელად რჩება...“, იქვე აღნიშნულია, რომ ეს დადგენილია, რამდენიმე ხნის წინ „...ამას წინათ მაღალადგილოვანის ბრძანებით დადგენილიყო...“.² სავარაუდოდ, შაჰ სულთან ჰუსეინის ზემოთ განხილული ბრძანებები უნდა იგულისხმებოდეს.

ქართლში კი „ოსმალის“ (1723-1735 წწ.) დროს, პირველ ეტაპზე „თბილისის ვილაიეთს“ ვახტანგ VI-ის ძმა, იესე განაგებდა, მაგრამ მისი გარდაცვალების შემდეგ 1727 წელს, ოსმალეთის სულთანმა აქაური საქმეების გამგედ ოსმალეთის სამთულიანი ვეზირი,³ ისაყ ფაშა, დანიშნა, ის წარმოშობით მესხეთიდან, ჯაყელთა საგვარეულოდან იყო. რადგანაც იმ დროს ოსმალეთს მთელი საქართველოს ტერიტორია დაკავებული ჰქონდა, ისაყ ფაშას არა მარტო ქართლის, არამედ მთელი საქართველოს და, მათ შორის, „ლორე-ყა-

¹ გარეჯის ისტორიული დოკუმენტები, XIII-XVIII სს. ნაკვეთი I, გვ. 320.

² მ. ხუბუა, საქართველოს მუზეუმის სპარსული ფირმანები და პოქმები, გვ. 54.

³ თულები ოსმალეთში მოხელეებს ჰქონდათ მინიჭებული, იგი საპატიო სამოხელეო ჩინად ითვლებოდა, არსებობდნენ ერთთულიანი, ორთულიანი და ყველაზე მაღალი, სამთულიანი ვეზირები.

ზახ-შამშადილის“ საქმეებიც ებარა.¹

„...იქმნა ესე ისაყ-ფაშა, შემდგომად იესეს სიკუდილისა, მპყრობელი და განმგებელი ხონთქარისაგან სრულიადისა ძალითა ყოვლისა საქართველოსი, სახელით სამცხე-საათაბაგოსი, სრულიად იმერეთისა, ქართლისა, ლორე-ყაზახ-შამშადილისა და კახეთისა...“.²

ოსმალების ბატონობის დროს შამშადილოს „სახანო“ ერთ-სახს წინააღმდეგობის გაწევას ცდილობდა. შამშადილოელები ოსმალების ჯარებს და მათ მიერ დაკავებულ ციხეებსაც კი ესხმოდნენ, მაგრამ საბოლოოდ ოსმალებმა მათი დამორჩილება მაინც მოახერხეს.³

ოსმალების ბატონობის დროს შამშადილოსა და ყაზახის „სახანოებს“ შორის მუდმივი დაპირისპირება არსებობდა. ყაზახი უფრო ოსმალების მხარეს იკავებდა და მისი „ხანიც“ შესაბამის პატივში იყო, ხოლო შამშადილო ბრძოლას არ წყვეტდა და კონსტანტინე კახთა მეფეს ემორჩილებოდა. ის ხშირად თავს ესხმოდა მეზობელ ყაზახს. ცნობილია, რომ ყაზახელებმა არაერთჯერ იჩივეს ოსმალებთან შამშადილოელების თავდასხმების გამო.⁴ შამშადილოელების შესახებ ყაზახის ტომის საჩივრებში აღნიშნული იყო, რომ ისინი მუდმივ საფრთხეს უქმნიდნენ ყაზახის „ხანის“ და ოსმალური გარნიზონის სადგომს, აღჯაყალის ციხეს. მოუწოდებდნენ, რომ ოსმალებმა „თუ სასწრაფოდ არ დაიჭირეთ თადარიგი, ეჭვი არ არის, აღჯაყალასაც მსგავსი სისასტიკით დაიპყრობენო...“.⁵ საბოლოოდ ოსმალებმა დიდი ჯარით კონსტანტინე და მისი მომხრე „ხანები“ 1724 წელს ყაზახში დაამარცხეს.⁶

¹ ც. აბულაძე, ისაყ/ისაკ (1701-1748 წწ.), http://qim.ge/isak_fasha.html

² ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 738.

³ გურჯიზაძე, თბილისის დაპყრობის წიგნი, გვ. 32.

⁴ გურჯიზაძე, თბილისის დაპყრობის წიგნი, გვ. 35, 53.

⁵ გურჯიზაძე, თბილისის დაპყრობის წიგნი, გვ. 54.

⁶ გურჯიზაძე, თბილისის დაპყრობის წიგნი, გვ. 54-55; ნ. ბერძენიშვილი, XVIII საუკუნის საქართველოს ისტორიიდან, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, გვ. 162-163.

თუმცა ოსმალების მიერ 1723 წელს ამ მხარეების დაპყრობის დროს აღნიშნულია, რომ შამშადილო ექვემდებარებოდა განჯას. „განჯასა და მასზე დაქვემდებარებულ შამსადლინლუსა და ყაზახის ტომები...“¹ ამიტომ ჩნდება აზრი, რომ შამშადილო ყაზახსთან ერთად ოსმალების გამოჩენამდე, ანუ ირანის მძლავრობის და ქართლისა და კახეთის სამეფოების დასუსტების (XVII საუკუნის ბოლოს) დროს მიაკუთვნეს განჯას. ოსმალების ბატონობის დროს, 1728 წელს, ჩატარებულ აღწერაში შამშადილო „თბილისის ვილაიეთში“ არ არის შეყვანილი. შესაძლებელია, იგი ისევ კახეთს (ან განჯასაც) ყოფილიყო დამორჩილებული, რადგან „თბილისის ვილაიეთი“ მანამდე არსებულ ქართლის სამეფოს საზღვრებში დაარსდა და ისე მოხდა აღწერის წარმოება.

ოსმალების ბატონობის დროს შამშადილოსთან შედარებით უპირატეს მდგომარეობაში ყაზახი იმყოფებოდა. როდესაც 1735 წელს „ოსმალობა“ „ყიზილბაშობამ“ შეცვალა, ახალმა დამპყრობელმა უპირატესობა შამშადილოს „სახანოს“ მიანიჭა. ამასთან, იგი განჯას მიაკუთვნა. ეს ნათელი ხდება, თუ ქართლ-კახეთის მეფეთა ტიტულატურასაც დაუვუკვირდებით. „ყიზილბაშობის“ დროს არც ქართლის მეფე თეიმურაზ II („...ქართლისა და ყაზახ-ბორჩალოს ფლობით მპყრობელ-მქონებელი“²), და არც კახეთის მეფე ერეკლე II („მეფემან კახთამან და თვითკელმწიფემან, პყრობელმან არაგვთა და ყოველთა მთიულთამან პატრონმან“³) თავის სამფლობელოებში შამშადილოს არ იხსენიებენ. ყოველივე ზემოთქმული კვაფიქრებიანებს, რომ „ოსმალობის“ შემდეგ ერთხანს შამშადილო განჯას ემორჩილებოდა.

XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან ერეკლე II-ის (1744-1798 წწ.) მეფობის დროს, მდგომარეობა დასტაბილურდა, ცენტრა-

¹ გურჯიზაძე, თბილისის დაპყრობის წიგნი, გვ. 32.

² ქრონიკები, ტ. III, გვ. 46, 603; და სხვ.

³ დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, გვ. 415, 418.

ლური ხელისუფლების გავლენა ამ მხარეზე სრულად აღდგა.

ამრიგად, შამშადილუს ტომი მთელი ისტორიის განმავლობაში ქართლის მეფის, ცოტა ხნით კი კახეთის მეფის, მორჩილებაში იმყოფებოდა. თუმცა, რადგან განჯას ესაზღვრებოდა, ყოფილა შემთხვევები, რომ განჯის ხანსაც დამორჩილებია, მაგრამ მისი ყმა არ ყოფილა. ამის შესახებ 1770 წლის ქართლის აღწერის დემოგრაფიულ ნუსხაში ვკითხულობთ, „...არს შამშადილუ ერთი მთელი სახანო, ამაში მკვიდრობს თათარი ორი ათას ორასი. სომეხიც არის ათას ორასი: ესენი ზოგჯერ განჯისათვისაც დაგვინებებია, რადგანაც იმაზედ ახლოს არის, მაგრამ იმისი ყმა არ ყოფილა“.¹

1750 წელს ქართლ-კახეთი ყარაბაღის ხანის დასამორჩილებლად ემზადებოდა. ქართველ მეფეთა მხარეს იყვნენ განჯის ხანი, ყარაბაღელი მელიქები, განძასარის (ყარაბაღის სომეხთა) კათალიკოსი, ასევე, „იმერნი, ჩერქეზნი, ოსნი, კავკაზნი, ერევნელნი, ყაზახნი, შამშადინნი, ლეკნი, რომელნიც მონებდნენ კას-ბატონს“. ქართველების გამარჯვების შემდეგ განჯის ხანმა შამშადილოს ტომით დასახლებული მხარე ქართლ-კახეთს დაუბრუნა.²

1770 წლის დოკუმენტზე შამშადილოს შესახებ მიწერილი შენიშვნა, რომ „ზოგჯერ განჯისათვის დაგვინებებია, რადგან იმაზედ ახლოს არის“, ხაზგასმა, რომ შამშადილო დროებით, ყოფილა განჯის გამკვებლობაში, მაგრამ „მისი ყმა არ ყოფილა“,³ შესაძლოა უფ-

¹ ვ. გამრეკელი, ზ. ცქიტიშვილი, 1770 წლის 5 აპრილის დემოგრაფიული ნუსხა, „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, თბილისი, 1973 წელი, №1, გვ. 153.

² პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, გვ. 165; მ. ლეშბაძე, ბრძოლა დამოუკიდებლობის განმტკიცებისთვის, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 616-617.

³ დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ქვემო ქართლი, გვ. 111; ვ. გამრეკელი, ზ. ცქიტიშვილი, 1770 წლის 5 აპრილის დემოგრაფიული ნუსხა, გვ. 153.

რო „ციხილბაშობის“ წლებს (1735-1749 წწ.) უკავშირდებოდეს, მაშინ, როდესაც ირანს ნადირ შაჰი (1736-1747 წწ.) განაგებდა. ამ დროს ქართლ-კახეთში განსაკუთრებით დამძიმდა ირანელთა ბატონობა და გადასახადები. ხოლო 1750 წელს შამშადილო პატრონს, ანუ ქართველებს დაუბრუნდა.

* * *

1776 წელს ერეკლე II-სთან (1744-1798 წწ.) შულავერელებმა იჩივეს, შამშადილოელებმა სარწყავი წყალი მიითვისესო, ერეკლემ საკითხი შეისწავლა და დაადგინა, რომ წყალი ადრე შულავერელების ყოფილა. შულავერის წყლის ხელშეუხებლობის თაობაზე სპეციალური განკარგულებაც კი გამოსცა.¹

1781 წლის 7 მაისს ეშიკადასბაში დიმიტრი ორბელიანი ერეკლე მეფესთან სამართალს ითხოვდა, რომ ჭაპალაში დანგრეული სახლებისა და კოშკების აღდგენის შემდეგ მისი ელები შამშადილოდან აყრილიყვნენ და ჭაპალაში დასახლებულიყვნენ. შამშადილოში ამირლუს ტომი ყოფილა წასული. მათგან დიმიტრისთან მხოლოდ ხუთი კაცი დაბრუნებულა, მაგრამ შამშადილოს „სულთანნი“ ამ ხალხსაც ედავებოდა, „მე ამით ას კომლს კაცს ვედავებოდი და... იქილამ ხუთი კომლი კაცი ჩემი მკვიდრი ყმა მომივიდა თავისის ნებითა და იმათაც ისევ უკანვე მთხოვს.“

თავის დროზე, თეიმურაზ II-ს ეს ყმები თავისი ასულისთვის მზითვად მიუცია.² პასუხად, ერეკლე II-მ ქაიხოსრო ნახუცრიშვილს უბრძანა, რომ შამშადილელი ხუთი კომლი კაცი მეფის დის ნამზითვნი არიან და მათი აყრა შეუძლებელია: „შამშადილიდან რომ ელის

¹ საქართველოს ცენტრალური საისტორიო არქივი (სცსა). ფონდი (ფ.), 1450, წ. 24, საბ. 81; ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII.

² თეიმურაზის ერთ-ერთი ასული და ერეკლეს და ანა (1720-1788 წწ.) დიმიტრი ორბელიანის მეუღლე იყო.

კაცნი აყრილიყვნენ, ეგენი თურმე ჩვენის დის მზითვნი ყოფილან, ბატონს მამა ჩვენს მზითვად უბოძებია. მზითვეი არას რჯულში არ წაერთმევა“. თუმცა „ეგ მოსული თათრებიც“ და შამშადილოელი „ალი სულთანის კაცი მირზა იბრეიმა და იმისი ამხანავი ორივე აქ მოვიდნენ... აქ სამართალში ვალაპარაკებთ და მავათს საქმეს გარღვესწყვეტ“.¹

XVIII საუკუნის ბოლოს, როგორც ჩანს, შამშადილომ თავისი გავლენა ყაზახის „სახანოზეც“ გაავრცელა და ერთიან „ყაზახ-შამშადილოს“ ალი სულთანი განაგებდა. იგი რამდენიმე ხნის წინ, სავარაუდოდ, „ყიზილბაშობის“ დროს, ყაზახიდან შამშადილოში გაქცეულა. როგორც ჩანს, ალი სულთანი ქართველ მეფეს გაექცა. მოგვიანებით ერთ-ერთ დოკუმენტში ვინმე აკოფა ამ ამბებს იხსენებდა: „მასუკან ალი სულთანი რომ უკუდგაო, ყაზახილამ აიყარა და შამშადილში გაიქცაო. მის უმალლესობა ბედნიერი მეფე საღალაში რომ ჩამობრძანდაო და ალი სულთანი იქ მოაყვანინაო“.²

1784 წელს ერეკლე II-მ ხალვათხანის ეშიკაღათბაშად და შამშადლოს ზედამხედველად მოურავი რევაზ ანდრონიკაშვილი დაადგინა.³ მომდევნო, 1785 წელს ქართლ-კახეთის ჯარი რევაზ ანდრონიკაშვილისა და შამშადილის ალი სულთნის სარდლობით განჯას უტევდნენ.⁴

„სულთანი“ ამ დროს ადგილობრივ მფლობელს, შეიძლება ფეოდალის მსგავსსაც, აღნიშნავს. შამშადილოს საქმეებს მეფის მიერ

¹ ერეკლე II-ის მიერ გაცემული საბუთები, 1736-1797 წლები, თბ., 2008, გვ. 129. სცსა. ფ. 1450, წ. 20, საბ. 13; ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, გვ. 509-510.

² ქართული სამართლის ძეგლები, ტ. V, სასამართლო განჩინებანი (XVIII ს.), ტექსტი გამოსცა და შენიშვნები დაურთო პროფ. ისიდორე დოლიძემ, თბ., 1974, გვ. 455.

³ ერეკლე II-ის მიერ გაცემული საბუთები, გვ. 147. სცსა. ფ. 1461, რვეული, 13, საბ. 186.

⁴ მ. დუმბაძე, პოლიტიკურ წინააღმდეგობათა სახიფათო კვანძი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 701.

დადგენილი მოურავი განაგებდა, სულთანი ჩართულია ყმების გამო ქართლ-კახეთის დიდებულებთან დაკავშირებასა და სხვა სოციალურ საკითხების გარკვევაში. ამის გათვალისწინებით, შესაძლებელია, მას უკვე მემამულეც კი ვუწოდოთ. ამასთან, საბუთებში დადასტურებულია სულთნის შვილებიც, რომელიც სწორედ „სულთნის“ ოჯახიდან არიან. XVIII საუკუნის მეორე ნახევრიდან იგი უფრო საგვარეულოს აღნიშნავს ვიდრე რეალური „სულთნის“ შვილებს.

1795 წელს ქართლ-კახეთზე ირანის შაჰის ალა მაჰმად ხანის (1794-1797 წწ.), თავდასხმისა და კრწანისის ველზე ქართველების მარცხის შემდეგ საქართველოს სამეფო კარი იძულებული გახდა დროებით ანანურისთვის შეეფარებინა თავი. მეფე ერეკლე II-ს ქართლ-კახეთის ერთგული დიდებულები (ლუარსაბ ვაჩნაძე, შიომ თუმანიშვილი, და სხვ.) ახლდნენ, მათ შორის იყო „შამშადილის ალისულთანი სამასი კაცი“.¹ ბოლოს შამშადილოს „სულთანი“ მოჰამედი ყოფილა. გიორგი XII-მ 1800 წელს მოჰამედს უბრძანა, დაეყონებლივ შეეკროვებინა და მეფის მოხელის, მირზა იბრაჰიმისათვის გადაეცა ხუთი თავრიზული თუმანი, რომელიც მას ერეკლე მეფის მიერ ჰქონდა დანიშნული.²

* * *

რაც შეეხება შამშადილოს „სახანოს“ ტერიტორიას და მოსახლეობას, შამშადილოს სოფლების სია შეიძლება აღვადგინოთ XVIII საუკუნის ბოლოს იოანე ბატონიშვილის მიერ ჩატარებული ქართლ-კახეთის დასახლებული პუნქტების სიის მიხედვით. ხოლო 1770 წლის დემოგრაფიული ნუსხის მიხედვით შესაძლებელია მოსახ-

¹ ქრონიკები, ტ. III, გვ. 431.

² აღმოსავლეთ საქართველოს მეფეების, ბატონიშვილების და ხანების მიერ გაცემული სპარსული საბუთები, სპარსული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლითა და კომენტარებით გამოსაცემად მოამზადა ნუგზარ ღუნღუამ, თბ., 2010, გვ. 20.

ლეობის რიცხოვნობის მიახლოებით განსაზღვრაც.

XVIII საუკუნის ბოლოს იოანე ბატონიშვილის „ქართლ-კახეთის აღწერის“ მიხედვით, შამშადილოში დასახლებული პუნქტების დიდი ნაწილი მეფის სახასო ყოფილა. აღწერაში დასახელებულია მეფისა და მისი ოჯახის წევრების სოფლები შამშადილოში.

სამეფო

„ქ. შამშადილი სრულიად თავისი ობით შენით 13, უშენიც არიან 17 სოფელი მთაში.

აქ პირველი ადგილი შამშადილისი.

ქ. ზაგამი

ქ. ასანსუ

ქ. თოუზი

ქ. გირზანი

ქ. შამშადილისა შენი და უშენი სოფელი

სამეფო

ქ. შანქორი ზემო

ქ. შანქორი ქვემო

ქ. ამ ხეობაშიც სოფელი მტკვრის მხარეს მთის მხარეს 25 უშენი

სამეფო

ქ. კახეთის ელი

ქ. სარვანი

ქ. ყარაჯალალი – ეს თვს ეყოდა თეიმურაზს

ქ. ყიზილ აჯლი – ეს თვს ეყოდა ბაგრატს

ქ. მულანლო – ეს თვს ეყოდა მეფის ძეს დავითს

ქ. ყამარლუ

- ქ. თაქლა 2. – ეს თვს ეყოდა მეფის ძეს იოანეს
- ქ. არუსლუ
- ქ. ქაფანაქი“.¹

**სოფლების ნაწილი, სადაც თათრები
და სომხები ცხოვრობდნენ:**

- „ქ. შამშადილის სოფლები თათრისა და სომეხთა: ასანსუს სეობაზედ:
- ქ. ქოჩაჩკარი
- ქ. ბაიაზეთი
- ქ. გოგვალი
- ქ. თოუზის სეობისა
- ქ. ბაირამლის ობა
- ქ. აზაფლის ობა
- ქ. ყარახანლის ობა
- ქ. ოქსუზლის ობა²
- ქ. თათილი
- ქ. სომხის თათილი
- ქ. გუნაშქანდი
- ქ. აღიგარდანლის ობა
- ქ. ლაქის ობა
- ქ. ათამაღლის ობა
- ქ. ჯირდანანი
- ქ. ხათუნოღლის ობა
- ქ. აღიბეგლი
- ქ. მამადასანას ობა

¹ იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადეს, გამოკვლევა და საძიებლები დაურთეს თინა ენუქიძემ და გურამ ბელოშვილმა, თბ., 1986, გვ. 61.

² იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, გვ. 62.

ქ. აქავ სომხის სოფლები:

ქ. თაზაქენდი

ქ. გოსესლი

ქ. ყიზილბულადი

ქ. თოუზყალა

ქ. თოუზქანდი

ქ. გირზანი¹.

„ქ. აზინჯის ანუ აღინჯის ხეობაზედ სოფლები:

ქ. ყირიხლი

ქ. ჩორთანი სომხისა

ქ. ყულალი

ქ. ზაგმის ხეობაზედ სოფლები:

ქ. დუგარლის ობა

ქ. ჩულულლის ობა

ქ. თომახლის ობა

ქ. თათრალის ობა

ქ. ზემოაიფლის ობა

ქ. ყოილასარლის ობა

ქ. ხილხინის ობა

ქ. მოურლის ობა

ქ. ქვემოაიფლის ობა

ქ. იბრაიმჯალის ობა

ქ. ხასადარის ობა

¹ იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, გვ. 63.

ქ. სომხის სოფელი

ქ. ბადაქანდი

ქ. კიდე ზაგმის [ხეობაზედ მთაში სოფელი აირუგლები]

ქ. ყიზილთოფრანს მღვომარენი

ქ. ყარაპურადს მღვომარენი აირუგლები. ესე არს შამშადილსა შენი, რაც უშენია იმას გარდა სოფლები“.¹

საინტერესოა 1770 წელს შედგენილი დემოგრაფიული ნუსხა, სადაც მთელი ქართლ-კახეთის მხარეების მოსახლეობის შესახებ წარმოდგენილია ჯამური რიცხვები, მათ შორის შამშადილოს შესახებაც. XVIII საუკუნის 70-იან წლებში შამშადილოში 3400 კომლს უცხოვრია: „არს შამშადილუ ერთი მთელი სახანო, ამაში მკვიდრობს თათარი ორი ათას ორასი. სომეხიც არის ათას ორასი“.²

საბოლოოდ, ქართლ-კახეთის სამეფოს რუსეთის იმპერიის დაპყრობის შემდეგ, შამშადილოს „სახანო“ თბილისის გუბერნიის, შამშადილოს დისტანციად გადაკეთდა.

ყაზახის „სახანო“

ყაზახი ყიზილბაშური ტომია, ისინი მდ. აღსტაფის ტაფობზე XVI საუკუნიდან მოიხსენიებიან.³ მალე ტომმა თავის სახელწოდება

¹ იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, გვ. 63.

² დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ქვემო ქართლი, გვ. 111; ვ. გამრეკელი, ზ. ცქიტიშვილი, 1770 წლის 5 აპრილის დემოგრაფიული ნუსხა, გვ. 150-151, 153.

³ იხ. გურჯიზაძე, თბილისის დაპყრობის წიგნი, გვ. 63, შენიშვნა 49.

ამ მხარეზეც ვააერცელა, და წყაროებში „ყაზახად“,¹ „ყაზახის სახანოდ“,² „ყაზახის ტომის საცხოვრისად“, „ყაზახის საზოგადოებად“ და სხვ. მოიხსენიება.

ყაზახი ყაიყულთან, ბამბაკთან და შამშადილოსთან ერთად ქართლის სამეფოს შემადგენლობაში შედიოდა.³ ბერი ეგნატაშვილის ცნობა, ქართლის სამხრეთით „ყაზახის საზღვრამდე“ გავრცელების შესახებ, ყაზახსაც უნდა გულისხმობდეს.⁴ „პალაკაციოდაჲ სერ-სერი ჩამოვლის, კარის სოფლის აქათი, ერეგნის საზღვრამდის, ჩამოყოლით ბანბაკი და ლორე, ვიდრე ყაზახის საზღვრამდე, ეპყრა მეფესა ქართლისასა“.⁵

როგორც ზემოთაც აღინიშნა, ყაზახი და შამშადილო XVI საუკუნეში ერთად დაარსდა. ბერი ეგნატაშვილის ცნობით, 1556 წელს

¹ VII-VIII საუკუნეების არაბულ წყაროებში, სუნანისა და გარდაბნის წინ დასახელებულია „ქისალი“, სადაც არაბებმა ციხეც ააგეს. ვლადიმერ მინორსკის მიხედვით, თავდაპირველად ნუსხებში უნდა ყოფილიყო „ქასალი“, სახელი კი გვიანდელ ყაზახს უნდა უკავშირდებოდეს. შესაძლოა „ქასალ“ „ქასას“ ყაზახის მცირედ სახეცვლილი ფორმა იყოს (იხ. V. Minorsky, Transcaucasica, Journal Asiatique, 1930, vol. 217; დ. მუსხელიშვილი, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის ძირითადი საკითხები, ტ. II, თბ., 1980, გვ. 29, დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ქვემო ქართლი, გვ. 49).

² ყაზახელების წარმომავლობის შესახებ, ვფიქრობ, საინტერესო ცნობა აქვს ფრანგ მოგზაურსა და ბუნებისმეტყველს, ჟოზეფ პითონ ტურნეფორს. მან საქართველოში XVII საუკუნის ბოლოსა და XVIII საუკუნის დასაწყისში იმოგზაურა. ტურნეფორი აღწერს, აღნიშნავს, რომ „ეს ყაზახის მცხოვრებლები ამაყნი არიან და იმ ყაზახთა შთამომავლებად ითვლებიან, რომლებიც კასპიის ზღვის ჩრდილოეთით მდებარე მთებში ცხოვრობენ.“ (იხ. ჟ. პ. ტურნეფორი, მოგზაურობა აღმოსავლეთის ქვეყნებში, ფრანგულიდან თარგმანა, შესავალი და კომენტარები დაურთო მზია მგალობლიშვილმა, თბ., 1988, გვ. 74).

³ დ. ბერძენიშვილი, ქართლის სამეფოს პოლიტიკური საზღვრები XVIII საუკუნეში, საქართველოს ისტორიული გეოგრაფიის კრებული, IV, თბ., 1971, გვ. 20-21.

⁴ იმის დამადასტურებლად, რომ „ყაზახამდე“ ყაზახსაც გულისხმობს, დევი ბერძენიშვილს მოხმობილი აქვს, ისევ ბერი ეგნატაშვილის ცნობა, რომ ქართლის საზღვარზე აღნიშნულია „კეობა ვიდრე დვირამდი“, და შემდეგ აღნიშნულია, რომ ათაბაგს, „დვირს ზეითი“ ტერიტორია სჭერია (იხ. დ. ბერძენიშვილი, ქართლის სამეფოს პოლიტიკური საზღვრები XVIII საუკუნეში, გვ. 19).

⁵ ბერი ეგნატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 343.

შაჰ თამაზმა „დასუა ყაზახის ადგილსა და შამშადილუსა ხანი თუ-სი“.¹ თუმცა „სახანო“ მალევე გაიყო და XVI საუკუნის 70-80-იან წლებში, როდესაც ოსმალეთმა ირანის წინააღმდეგ ასალი ომი წამოიწყო, საქართველოსა და მისი მეზობელი სახანოების დაპყრობაც დაიწყო.

XVI საუკუნის ოსმალთა ისტორიკოსი, იბრაჰიმ რაჰიმზადე ჩაუუშმა დაწვრილებით აღწერა საქართველოს აღმოსავლეთი მხარეებისა და განჯის მხარის დაპყრობა, ნაშრომში ცალკე თავი ეთმობა ყაზახის „სახანოს“ დამორჩილებას („995 წელს² ვორზე ლაშქრობის დაწყება და კიზიკ-ხანის მორჩილება“). ავტორი აღნიშნავს, რომ 1587 წელს ოსმალეთის დიდგვზირი და აღმოსავლეთის სერასკერი, ფერად ფაშა, ღმანისში იმყოფებოდა, საიდანაც ღიარბაქირისა და სირიის ბეგლარბეგები „ამბოხებული კიზიკ ხანის“, ანუ ყაზახის „ხანის“ წინააღმდეგ სალაშქროდ გაეზავნა. ყაზახის „ხანმა“ ურჩობა ველარ გახედა და მათთან შებრძოლებას დამორჩილება არჩია, „ჩადენილი ცოდვა და დანაშაული მოინანია და პატიება ითხოვა“,³ ოსმალეების სარდალს შეეკება, ხელზე ემთხვია და შეწყალება ითხოვა. ფერად ფაშამ ყაზახის „ხანს“ სხვა საჩუქრებთან ერთად „ხანობა“ ისევ დაუმტკიცა. ამის დასტურად „წყალობის წიგნი და დიდებული წმინდა ბერათი“, ანუ წყალობის სიგელი უბოძა, სანაცვლოდ, ყაზახის „ხანმა“ „ანჩაყალად“⁴ სასწრაფოებელი ნანგრევების შეკეთება-შერემონტება თავის თავზე აღლო“.⁵

„კიზიკ-ხანი“, როგორც დასტურდება, უნდა იყოს „ყაზახი ნაზარ ბეგი“.⁶ როგორც ჩანს, ნაზარ ბეგმა აღჯაყალის ციხე მალე

¹ ბერი ეგნატაშვილი, ასალი ქართლის ცხოვრება, გვ. 365, 507.

² 1586/1587 წელი.

³ რაჰიმზადე იბრაჰიმ ჩაუუში, განჯის დაპყრობის წიგნი, გვ. 40-41.

⁴ აღჯაყალა.

⁵ რაჰიმზადე იბრაჰიმ ჩაუუში, განჯის დაპყრობის წიგნი, გვ. 42.

⁶

ადაღვინა. ხოლო, როდესაც ამ ციხიდან ოსმალების ჯარი აიყარა, ქართლის სხვა ელის ტერიტორიაზე, ბაილარში გადასულან, „რამაზანის ოცდამეხუთე დღეს ახჩაყალიდან აიყარნენ და ბაჰადირად და ვიულჯუქად წოდებული მდინარეების შვერთების ადვილზე გადავიდნენ“. ბაილარში ისინი დიდხანს არ გაჩერებულან და მალე, მტკვრის ნაპირზე გავიდნენ. აქ კი ოსმალებთან ყაზახის „ხანის“ მეგობარი, კოკოლა ვარაზას ძე შალიკაშვილი, იგივე მაჰმუდ ხანი გამოცხადდა და მორჩილება განუცხადა.¹ რაჰიმიზადეს მიხედვით, „კიზიკ-ხანის მეგობარი და უსაქმური შაჰის ეშმაკი ლაშქრის პატივცემული პირი ვარაზა ოღლუ მაჰმუდ-ხანი... მოვიდა და მორჩილება გამოუცხადა ვეზირს“.² მომდევნო, 1588 წელს, იბრაჰიმ რაჰიმიზადე ყაზახის „ხანს“ ალჯაყალის ბეგლარბეგადც მოიხსენიებს („ახჩაყალის ბეგლარბეგი კიზიკ-ხანი“) და აღნიშნავს, რომ ყაზახის „ხანის“ სამყოფელი ალჯაყალა არისო.³

საბოლოოდ, ოსმალებმა მთელი საქართველო და მეზობელი სახანოები დაიკავეს, მაგრამ ოსმალთა ურჩი განჯის ხანისა და ოსმალების ერთგული ყაზახის „ხანს“ შორის არსებული დაპირისპირება სხვა წყაროებითაც დასტურდება. როგორც რაჰიმიზადე აღნიშნავს, განჯის ბეგლარბეგი, ქალბალი ხანი,⁴ ოსმალებს განუდგა და ყაზახის ყაზახის „ხანი“ შეიპყრო, „ქელბ ალი-ხანმა... განჯაში წასვლის

¹ მ. სვანიძე, საქართველო-ოსმალეთის ურთიერთობის ისტორიიდან, თბ., 1971, გვ. 167-169; ვ. გუჩუა, მ. სვანიძე, საქართველო XVI საუკუნის უკანასკნელ მეთოთხედში, სამცხე-საათაბაგოს მიტაცება ოსმალთა მიერ, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 139.

² რაჰიმიზადე იბრაჰიმ ჩაგუში, განჯის დაპყრობის წიგნი, გვ. 46.

³ რაჰიმიზადე იბრაჰიმ ჩაგუში, განჯის დაპყრობის წიგნი, გვ. 54.

⁴ ქალბალი ხანი (ზიად-ოღლი ქალბალი-ხანი), განჯის და ყარაბაღის ბეგლარბეგი, კანეთის მუსლიმი მმართველი (1695-1703 წწ.). იხ. კავკასია ქართულ წყაროებში, უცხო სახელმწიფოები, ტომები, ისტორიული პირები, ენციკლოპედიური ლექსიკონი, ავტორები: ეკა კვაჭანტირაძე, ქეთევან ნადირაძე, გიორგი ოთხმეზური, თამარ ქორიძე, მთავარი რედაქტორი: ვახტანგ გოილაძე, რედაქტორი: ქეთევან ნადირაძე, თბ., 2012, გვ. 166.

მიზეზით თანატომელები შეკრიბა და შეუმჩნეველად კიზიკ-ხანის საძინებელს ღამით თავს დაესხა. ღვთის წყალობით ხსენებულ კიზიკ-ხანი გააკოჭეს“.¹ მაგრამ მალე ქალბალი ხანიც შეიპყრეს მისი ქონება და ხალხი გაძარცვეს, ხოლო მისი დაპატიმრების შესახებ იმხანად აღჯაყალას ციხეში მყოფ ოსმალთა დიდგვირს მოახსენეს.²

1579 წელს ქართლის მეფე სეიმონ I (1556-1569; 1578-1600 წწ.) ოსმალებისთვის თბილისის წართმევას აპირებდა, მასთან ერთად ყოფილა ყაზახის „ხანი“ დოღმაზ ბეგიც.

როგორც ოსმალო ისტორიკოსი აბუბეკრ ბინ აბდულაჰი წერს, „განჯის ხანი იმამყული ხანი, ხალიფა ანსარი, ყაზახთა ბეგი დოღმაზ ბეგი და სიმონად წოდებული წყეული რამდენიმე ათას გზაბნეულ მეომართან ერთად თბილისში მივიდნენ.“ ოსმალებმა ქართლის მეფის იერიში მოიგერიეს. შემდეგ, ცნობილია, რომ მათ თბილისს ალყა შემოარტყეს, რომელიც რამდენიმე თვეს გაგრძელდა. მისივე ცნობით, თბილისის მოალყეები „ღამის დადგომისთანავე გროვდებოდნენ, ყოველი მხრიდან გარს ეხვეოდნენ და თავს ესხმოდნენ“ ციხეს. ალყაში მოქცეულებს კი შიმშილი აწუხებდათ: „ისე განდა, რომ ადამიანი ადამიანს საჭმელად თავს ესხმოდა. უფრო ღონიერები შედარებით სუსტებს ყელს დადრავდნენ და ჭამდნენ..., ერთი სიტყვით შიმშილითაც ბევრი დაიხოცა“, მაგრამ ციხე, მაინც არ დაუთმიათ. მალე მარაშის ბეგლარბეგმა თბილისის ოსმალურ გარნიზონს დამხმარე ჯარი და სურსათი მიაშველა. ქართველ მეფეს და მის ჯარს სხვა გზა არ ჰქონდათ ალყა მოხსნეს და უკან გაბრუნდნენ.³

¹ რაჰიმიზადე იბრაჰიმ ჩაუუში, განჯის დაჰრობის წიგნი, გვ. 67.

² რაჰიმიზადე იბრაჰიმ ჩაუუში, განჯის დაჰრობის წიგნი, გვ. 76.

³ აბუბეკრ ბინ აბდულაჰი, გამარჯვებათა წიგნი, თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, შესავლითა და შენიშვნებით გამოსაცემად მოამზადა მარინე ილერიძემ, თბ., 2006, გვ. 75-76; იბრაჰიმ ფეჩევის ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა, შესავალი და შენიშვნები დაურთო სერგი ვიქიამ, თბ., 1964, გვ. 54-55; ვ. გუჩუა, მ. სვანიძე, საქართველო XVI საუკუნის უკანასკნელ მეოთხედში, სამცხე-საათაბაგოს მიტაცება ოსმალთა მიერ, გვ. 131-132.

XVII საუკუნის დასაწყისშიც ყაზახი ცალკე „სახანო“ იყო. ირან-ოსმალეთის ახალ ომში (1603-1639 წწ) უპირატესობა თავიდანვე ირანმა მოიპოვა, ქართველი მეფეები და მათი ელი მოსახლეობის „ხანებიც“, შაჰს მიემხნენ. 1607 წელს შაჰ აბას I-მა (1587-1629 წწ.) ყაზახისა და შამშადილოს „ხანები“ თავის მოკავშირეებად გამოაცხადა. „მისმა უდიდებულესობამ ღვთის ჩრდილმა [შაჰმა] შამს ად-დინ-ლუს, ყაზაყლარის და სხვა აძირები, რომელნიც თბილისში, ზაგემში და აჰსანაბადში იმყოფებოდნენ, დანიშნა მისთვის დანხარებისა და თანადგომის გასაწევად“.¹

1612 წელს კახეთის მეფე თეიმურაზ I-მა (1606-1648 წწ.) ქართლის მეფე ლუარსაბ II-ის (1606-1615 წწ.) და ზორეშანი ცოლად შეირთო. ამავე დროს ყაზახის „ხანსა“ და ლუარსაბს შორის გამწვავდა ურთიერთობა, მათ შაჰ აბას I-მა ერთმანეთის მოკვლა დაავალა. ლუარსაბმა დაასწრო ყაზახის „ხანს“ მოჰამედს. „...გარნა ამ ქორწინებისა უამსა შინა მოუწერა შაჰაბაზ ყაზახის ხანსა: „შემოიკრიბნე გარემონი ყოველნი და დაესხი მეფესა ლუარსაბს, მოჰკალ იგი და თავი გამომიგზავნე წინაშე ჩემისა“. ეგრეთვე მოუწერა მეფესა. მაშინ მეფემან მსწრაფლ შემოიკრიბნა სპანი და მიუ და ხანსა მას და მოკლა იგი და თავი წარუგზავნა შაჰაბაზს“.²

შემდგომ როსტომის მეფობის დროს (1633-1658 წწ.), ყაზახზე სრულად აღდგა ქართლის მეფის კონტროლი. „...მოსცეს როსტომ მეფესა შეწევნად ყაზახ-შამშადილო-ლორეს ხანნი...“.³

XVII საუკუნის მიწურულს ქართლი მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა, განსაკუთრებით რთული სიტუაცია იყო კახეთშიც. კახეთს

¹ ის.ქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 72.

² ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 424

³ ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 438; იხ ასევე, ბერი ვენატაშვილი, ახალი ქართლის ცხოვრება, გვ. 417.

1688 წლიდან 1703 წლამდე განჯის ხანები განაგებდნენ. კახეთის სამეფოში ადგილობრივი მმართველობა მთლიანად მოიშალა, გაძლიერდა ლეკიანობა. დაღესტნელმა მთიელებმა მასიურად დაიწყეს დასახლება ადმოსავლეთ კახეთის ტერიტორიაზე. ამ დროს შაჰის ბრძანებით ალბათ, ადგილობრივთა მონღოლებითაც, ყაზახის „სახანო“ კახეთს მიაკუთვნეს.

ვახუშტი კახეთის მმართველ ხანებს ასახელებს, მათ ხშირი შეხება აქვთ ყაზახთან: „აბაზ-ყულიხან იყო ფრიად მდიდარი, რამეთუ განჯაცა ამასვე ეპყრა... ამის შემდგომად მოვიდა ერეკლე მეფედ ქართლისად და ამას ნებითა ხანისათა მიეგებნენ რომელნიმე კახნი ყაზახსა შინა, ვინა თვან მიეცა ყეენსა თუშნი და ქისიყელნი ტალად¹ ერეკლესათჳს და კახეთი სრულიად ეპყრა აბაზ-ყულიხანს“.²

აბაზ-ყულიხანის შემდეგ, 1695 წელს, შაჰმა სულთან ჰუსეინმა (1694-1722 წწ.) „...წარმოავლინა ქალბალი-ხან სარდლად და მისცა განჯის ბეგლარბეგობა და კახეთი და, მოვიდა რა იგი ყაზახსა შინა ქ[ორონიკონ]სა ჩქეე (1695), ქარ. ტპვ (383), მუნ მიეგებნენ სრულიად კახნი შეკრებულნი სპითა, მან პატივით შეიწყნარნა და წარიყვანა სრულიად სპითა გიორგი მეფესა ზედა და იქმნა რა იგი აღვსწერეთ“.³

1703 წელს შაჰი იძულებული გახდა კახეთში ხანების მმართველობა გაეუქმებინა და კვლავ ქართველ მეფეთა ხელისუფლება აღედგინა. კახეთში ერეკლე I, ნაზარ-ალი ხანი (1703-1709 წწ.) გაემეფდა.

¹ დარაჯი სულხან საბას განმარტებით, ტალა არის „მოგზაურთ დარაჯი (მოდარაჯე)“, ღამით. სხვა ნუსხაში „ტალა არს, რომელი მოგზაურთი ღამე უდარაჯებდეს“ (იხ. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, II, ავტორგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკონის საძიებელი დაუთო ილია აბულაძემ, თბ., 1993, გვ. 131).

² ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 606.

³ ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 608.

მოგვიანებით, კახეთის მეფე დავით II, იგივე იმამყულიხანი (1709-1722 წწ.), ერთხანს ირანში, ისფაჰანში, იმყოფებოდა, ხოლო როდესაც დაბრუნდა, 1715 წელს ყაზახში ქართლის მეფის ვახტანგ VI-ის ძმას, იესეს, შეხვდა. „წარმოავლინეს კახეთსავე და მოსრული ყაზახსა შინა ისტუმრა იესემ ტფილისს ანადირებდა და ანადიმებდა და განუსუენა, იმზახლნენ და მისცა ელენე და თვისი ცოლად იესეს ბრძანებითა ყეენისათჳ; შემდგომად მოსცა საჩუქარი და წარმოსრული მოვიდა თელავს“.¹

ყაზახის „სახანოსთან“ არის გარკვეულ კავშირში ცნობილი მოვლენა, რომელიც 1722 წელს მოხდა. როდესაც ქართლის მეფე ვახტანგ VI (1703-1712; 1716-1724 წწ.) თავისი ლაშქრით რამდენიმე თვე ელოდა რუსეთის იმპერატორს პეტრე I-ს (1682-1725 წწ.), ამ მოვლენებში აქტიურად ჩანს ყაზახის „ხანიც“. „...კუალად მოვიდა დესპანი ხონთქრისა დამორჩილებისა მისისათჳს. არამედ განუტევენა ყოველნი და აღირჩია რუსთ მეფე, რამეთუ ჰკონებდა განთავისუფლებასა ეკლესიათა და ძალსა ქრისტიანობისასა. ამისთჳს შეკრებილი სპითა წარვიდა განჯას, მისცა ყაზახის ხანს ყაზახი და მოუწოდა. არამედ კახთ-ბატონი მაჰმად-ყულიხან იღვა ყაზახს და მოემცნო მეფისათჳს: „რამეთუ ჩემდა მოცემულ არს ყაზახი ყეენისაგან, აწ ჯერ არს თქუენგანცა არა მიხმად ივი. არამედ მე მოვცენ სპანი მისნი“. ამისთჳს ნება სცა მეფემან, გარნა ითხოვა სპა მუნებური და დაასკუნეს შეყრა და ხილვა ურთიერთთა გატეხილ კიდსა ზედა. ხოლო მეფესა ძმა თვისი იესე პირველივე გამოეყვანა პატიმრობილად და მისცა მუნხრანი და მსაჯულთუხუცესობა. ამას აქუნდა კუალად მანკიერება და რომელთამე ქართველთა, და არა ინებეს შეყრა მაჰმად-ყულიხანისა და მეფისა შფოთისათვის...“.²

¹ ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 615.

² ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 500.

იმამ-ყული ხანის შემდეგ, როგორც ზემოთაც აღინიშნა, გამეფდა მისი ძმა მაჰმად-ყული ხანი, იგივე კონსტანტინე II, რომელიც ირანიდან კახეთში 1723 წელს ჩამოვიდა. ამიერიდან ქართლის ნაცვლად შამშადილო და ყაზახი კახეთს ეკუთვნოდა.

„ქ[ორონიკონ]სა ჩღკგ (1723), წარმოავლინა ყვენმან მაჰმად ყულიხან ძე ერეკლე მეფისა, ნაშობი მკველისაგან, რომელსა ეწოდა კონსტანტინე, მეფედ კახთა. ესე მოვიდა და დადგა ყაზახსა შინა, რამეთუ მიეცა ყვენსა ერევანი, შამშადილო და ყაზახი¹ და წარვიდნენ კახნი წინაშე მისსა. ხოლო იყო ესე მაჰმად-ყულიხან ფრიად მაჰმადიანი, ლალი და ამაყი, ძლიდარი და მესისხლე, რამეთუ არა რიღებდა მცირესა ზედა კაცთა სიკუდილისა“.²

ვახტანგ VI კონსტანტინეს არ ურიგებოდა და მათ შორის მუდმივი დაპირისპირება მიმდინარეობდა. ვახუშტი გადმოგვცემს ქართლის მეფე ვახტანგსა და კახეთის მეფე კონსტანტინეს შორის ატეხილი ომების შესახებ.

1723 წელს ვახტანგ VI-ს ირანის შაჰმა სარდლობა უბოძა. ყაზახის „ხანი“ კი ვახტანგს მაინც არ ემორჩილებოდა, კონსტანტინე ამის უფლებას არ აძლევდა. „მისცა მეფესა ვახტანგს ყვენმან სარდლობა აღირბეჟანისა. ამას წარმოევლინა ყაზახსა შინა ხანი, და ესე არა უტეკვა მაჰმად-ყულიხან. არამედ აუწყა ვახტანგს: „რამეთუ მოცემულ ჩემდა არს... ამისთვის ჰყვეს პირი მტკიცე ორთავ...“.³

ვახტანგ VI-მ ჯარი შეკრიბა და ყაზახში კონსტანტინეს წინააღმდეგ გააგზავნა, კონსტანტინემ ლეკების დახმარებით ქართლის მეფე დაამარცხა. „ამისთვის წარმოავლინნა [1723 წელს] სპანი ვახ-

¹ იგი თავის საბუთებშიც აღნიშნავს, რომ ამ მხარეების მფლობელია, მაგ. 1723 წელს თავის თავზე წერს, „მჭირაუმან შამშადილოს და ყაზახის მქონებელმა...“ (იხ. ქრონიკები, ტ. III, გვ. 94; ვრცლად კონსტანტინეს საბუთებზე იხ. ზემოთ).

² ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 619.

³ ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 619.

ტანგ მეფემან ყაზახსა შინა. ესე სცნა მაჰმად-ყულიხან და ამანცა წარავლინნა კახნი და ბრძოდნენ ყაზახს. კუალად მოიყვანა ლეკნი, წარუძღუნა კახნი და მოსტყუევენეს სრულიად ლილოები“.¹ ყაზახში მოპოვებული გამარჯვების შემდეგ კონსტანტინემ ლეკების ჯართან ერთად თბილისიც აიღო.

ამ დროს ირან-ოსმალეთის ომი (1723-1727 წწ.) მიმდინარეობდა და ოსმალების ლაშქარი არზრუმის ფაშას სარდლობით თბილისისაკენ მოიწევდა. ვახტანგ VI-მ მას მორჩილების ნიშნად თავისი შვილი ბაქარი და ძმა იესე მიაგება. კონსტანტინე II კი თვითონ ეახლა ოსმალთა სარდალს სოღანლულში, კონსტანტინემ ქართლის მეფობა ითხოვა და მის მიერ ახლად აღებული თბილისის ციხის გასაღები ჩააბარა, ერთგულებას შეჰპირდა და ერეენისა და განჯის დამორჩილება აღუთქვა.

1723 წლის 12 ივნისს ოსმალები თბილისში შემოვიდნენ და მთელი აღმოსავლეთ საქართველო დაიკავეს. ვახტანგ VI-მ მოლაპარაკება მოახერხა, რის შედეგადაც ქართლის გამგებლობა ოსმალებმა მის ვაჟს ბაქარს მისცეს, ხოლო კახეთის მეფე კონსტანტინე II დააპატიმრეს. მალე ბაქარის ფარული ხელშეწყობით კონსტანტინე II კახეთში გაიქცა. შემდეგ ბაქარიც განუდგა ოსმალებს და მათაც „თბილისის ვილაიეთის“ გამგებლობა იესეს, ბაქარის ბიძას გადასცეს. კონსტანტინე II-მ და ბაქარმა ოსმალების წინააღმდეგ ერთობლივი ბრძოლის შესახებ მცხეთაში კავშირი შეკრეს. ამასთან, კონსტანტინე II-ს რუსეთის დამხმარების იმედიც ჰქონდა. „ხოლო წელსა ქ[ორონიკონ]სა ჩღკდ (1724) იანვარს წარავლინა მაჰმად-ყულიხან თემიურაზ ბაქარისა თანა, ვინა თვან ეზრახოდნენ ურთიერთს, და შემდგომად მოვიდა თუთცა მცხეთას, ყვეს პირი ერთობა-სიყუარულისა და წარმოვიდა თელავსავე. ამისათვის წარავლინა სალთხუცესი საზუერელი მაჰმად-

¹ ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 620.

ყულისანის წინაშე ყენისა და აცნობა ესე და მოითხოვა ნიჭნი საგანძურთა, რათა ბრძოდნენ ორნივე ოსმალთა, უკეთუ შეეწიოს. ამისა შემდგომად წარვიდა კახთა და ლეკთა სპითა ყაზახსა შინა“.¹

ოსმალეთმა საქართველოს მთელი ტერიტორია, მათ შორის, ელით დასახლებული მხარეები დაიპყრეს. ელის მოსახლეობის დიდი ნაწილი ირანში გაიქცა, მხოლოდ ყაზახის ტომი დარჩა.² მაგრამ აქვე უნდა ითქვას, რომ ყაზახის მხარეში მცხოვრები ქრისტიანი მოსახლეობის ნაწილი გაფანტულა.³

ყაზახის „სახანოს“ დასამორჩილებლად წარმოებულ ბრძოლას განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს გურჯიზადე.⁴ იგი ცალკე თავებად გამოჰყოფს („ბრძოლა შიიტებთან ყაზახის ნაპიეში“ და „შიიტების დამარცხება ყაზახში“) და დაწვრილებით აღწერს იქ განვითარებულ მოვლენებს.

რადგანაც, ოსმალებს ერეენის ციხის აღება გაუჭიანურდათ, როგორც ჩანს, შამშადილოსა და ყაზახის „სახანოებში“ მცხოვრებმა ყიზილბაშებმა და მათმა მომხრეებმა ოსმალების აღებული ციხეების და სოფლების დარბევა დაიწყეს.

„შამსადილნუსა და ყაზახის ტომებში მცხოვრები განრწილი ყიზილბაშები საზიზღარ საქმიანობას შეუდგნენ. დამორჩილებულ ციხეებს, სოფლებსა და საგვარეულოებს ხელყოფდნენ... გაძლიერდნენ კიდევ. ღამით სადაც კი ხელსაყრელ ადგილს დაიგულებდნენ, მოუ-

¹ ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა საქართველოსა, გვ. 622.

² გურჯიზადე, თბილისის დაპყრობის წიგნი, გვ. 63, შენიშვნა 49.

³ 1767 წლის ერთ საბუთში, ყაზახელი სოფ. ბანოსელი ამირადასშვილი ვართანა იხსენებდა: „ოსმალომ ყაზახი, რომ წაახდინა, იმ ხანში ჩვენ ავიყარენით და ბანოსას სოფელში მოვედითო...“ (იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, სასამართლო განჩინებანი (XVI-XVIII სს.) ტექსტი გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ისიდორე დოლიძემ, თბ., 1972, გვ. 547), და სხვ.

⁴ გურჯიზადე წარმოშობით, ალბათ, ქართველი, უნდა ყოფილიყო, რადგან თხზულებიდან ჩანს, რომ კარგად იცნობს საქართველოს, განსაკუთრებით ქართლს (იხ. გურჯიზადე, თბილისის დაპყრობის წიგნი, გვ. 9-11).

ლოდნელად ესხმოდნენ თავს“.¹

ყაზახის „ხანი“, რომელმაც ოსმალებს ადრევე გამოუცხადა მორჩილება, შეიტყო, რომ მის წინააღმდეგ „შამსადღინლუსა და განჯას ბოროტი განზრახვა“ ჰქონდათ. ქართლში დაბანაკებულმა ოსმალო სარდალმა ოსმალური ძალების გასაძლიერებლად და ყაზახის „ხანის“ დასახმარებლად სტამბოლიდან დახმარება ითხოვა. ამისთვის სივასის ბეგლარბეგის ჯარიდან 200-მდე ცხენოსანი გამოიყო და აღჯაყალაში ყაზახის „ხანის“ საბატონოში გაიგზავნა, მაგრამ მათ ესენიც დაუპარცხებიათ. გურჯიზადე ამის გამო ბრახს ვერ მაღაყდა: „...როდესაც უზრუნველად წამოწოლილები ისვენებდნენ, მაშინ დაესხნენ... და თადარიგის დაჭერა კი არა, ყველა გასაქცევ გზას დაადგა...“, ყიზილბაშებმა და მათმა მომხრეებმა კი „შეყრობილთაგან ზოგი მოკლეს და ზოგი დაატყვევეს. 200-მდე მაჰმადიანი მოწამეობრივი სიკვდილით დახოცეს... როგორც კი შემთხვევას დაიხელთებდნენ, მოკლულთა სისხლს იღებდნენ სუნიტებისგან...“.²

საქართველოში კი ოსმალების წინააღმდეგობას არ წყვეტდნენ. მაჰმად ყული ხანმა (კონსტანტინემ აბ.) „ქართლის ვილაიეთში მცხოვრები ყველა შეამბოხე დაიქვემდებარა...“, პირი პირს მისცეს და კავშირი შეერეს ერთსულოვანი“, მათ განჯაში მყოფ საომრად გამზადებულ ყიზილბაშებსაც სთხოვეს დახმარება. აჯანყებულთა მიზანი თბილისის, გორის და სხვა ციხეების გათავისუფლება იყო.³

მათ „ყაზახში მდებარე სოფლები დაიპყრეს“. ერთ დღეს „ყაზახის ტომის მაცნეები თბილისში მოვიდნენ და ყაზახის სოფლებში დატრიალებული საშინელი ამბები ჩამოიტანეს.“ დიდგვირმა შეკრიბა ყაზახის „ხანი“, სხვა „დიდებულები და ასკერთა თავკაცები და თათბირი გამართა“, სადაც აჯანყებულთა წინააღმდეგ ბრძოლის გეგმა

¹ გურჯიზადე, თბილისის დაპყრობის წიგნი, გვ. 32.

² გურჯიზადე, თბილისის დაპყრობის წიგნი, გვ. 32.

³ გურჯიზადე, თბილისის დაპყრობის წიგნი, გვ. 33-34.

მიიღეს. გეგმა მთელი მათი ძალების ომში ჩართვას ითვალისწინებდა. მართლაც ქართველებისა და ყიზილბაშების ჯარები დამარცხდნენ.¹

იმ პერიოდში ყაზახის ტომი რომ ოსმალთა ერთგულებით გამოირჩეოდა, ჩანს ერთი ცნობიდანაც: გურჯიზადე წერს, რომ „მოვიდნენ თბილისისა და განჯას შორის მცხოვრებ ყაზახთა ტომიდან, რომლებიც ოსმალეთისადმი დაქვემდებარებისა და მორჩილების პირზე იდგნენ,“ ისინი ჩიოდნენ, რომ „განჯელი ასქერები და შამშადინლოები ჩვენს მიწას მოადგნენ. ოცდაათი სოფელი ცეცხლს მისცეს და მოსპესო...“²

საბოლოოდ, ოსმალებმა ქართლი დაიპყრეს. შეიქმნა „თბილისის ვილაიეთი“, თავიდან მას ვახტანგ VI-ის ძმა, იესე განაგებდა, მაგრამ 1727 წელს, იესეს გარდაცვალების შემდეგ „თბილისის ვილაიეთის“ ფაშად წარმოშობით ქართველი ისაყ ფაშა დაინიშნა, მას არა მარტო ქართლის, არამედ მთელი საქართველოს, მათ შორის, „ლორე-ყაზახ-შამშადილის“ საქმეებიც ჩააბარეს.³

როგორც ჩანს, ყაზახის „სახანო“ და ყაზახის „ხანი“ ოსმალების ბატონობის დროს შედარებით დაწინაურებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. ამ დროს, იგი შამშადილოსგან მკვეთრად განცალკევებულია და, საგარეოდ, მასზე გარკვეული გავლენაც კი უნდა ჰქონოდა მოპოვებული. ამის ვარაუდის საფუძველს ვეძღვევს, წყაროები, საიდანაც ჩანს, რომ ოსმალებისთვის უფრო სანდო დასაყრდენი სწორედ ყაზახის „ხანი“ იყო.

ქართლის სხვა მხარეებიდან ყაზახში მოსახლეობის გადასვლის ფაქტებიც დასტურდება.⁴ და ეს პროცესი შედარებით გვიან პე-

¹ გურჯიზადე, თბილისის დაპყრობის წიგნი, გვ. 34-35.

² გურჯიზადე, თბილისის დაპყრობის წიგნი, გვ. 53-54.

³ ც. აბულაძე, ისაყ/ისაკ (1701-1748), http://qim.ge/isak_fasha.html

⁴ მაგ. ვინმე ყაზახს „ოსმალობის“ და „ყიზილბაშობის“ დროს რაღაც პერიოდს განმავლობაში ყაზახში უცხოვრობდა. ამიტომ მის მებატონე გლახა როჭიკაშვილსა და ყაზახელებს დაეკც კი ჰქონდათ. საბოლოოდ, სასამართლოს განჩინებით დელარაას სოფელში დასახლდა (იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, გვ. 11-112).

რიოდშიც არის დადასტურებული, მაგალითად, იაგულაანთ ისაია თავისი ყმების შეგროვებასა და ერთად დასახლებაში 1782 წელს მეფეს სთხოვდა დახმარებას. მთელი ქართლის ტერიტორიაზე გაბნეულებს შორის ერთი კომლს ყაზახში, სოფელ სრაში, უცხოვრია. „ა (1) კომლი ყაზახში სრის სოფელში ათაბეა“.¹ 1800 წელს მეფე გიორგი XII-ს ღვეით ანდრონიკაშვილი, ყაზახში გაქცეული მისი ყმების დაბრუნებაში დახმარებას სთხოვდა: „ჩემო ხემწიფევე ყაზახში ჩემი ოთხი კომბლი კაცი ვახლავს, ბარათში ნარგებია. ჩემს სახლის კაცებს ძალა დაუტანებიათ და გაქცეულან“.²

„ოსმალობა“ ქართლში 1735 წლამდე გავრძელდა. 1735 წელს აჯანყებულმა ქართველებმა ყიზილბაშების დახმარებით ოსმალები დაამარცხეს და განდევნეს, მაგრამ ქვეყნისთვის ბევრი არაფერი შეცვლილა. ახლა უკვე ყიზილბაშებმა მოინდომეს თავის წესებზე ქვეყნის მოწყობა. ოსმალო მოხელეები ყიზილბაშმა მოხელეებმა შეცვალეს. „ყიზილბაშობა“ 1749 წლამდე გავრძელდა. ამ დროს ირანს ნადირ შაჰი (1736-1747 წწ.) განაგებდა. ვახუშტის მიხედვით, „ყიზილბაშობის“ გადასახადებით ყაზახი და ბორჩალოც დაიბეგრა.

ნადირ შაჰმა „მისცა ხანჯალხანს ხანობა ქართლისა, წარმოატანნა ქართველნი და გამოუტევა. ხოლო თუთ აღიღო ყანდაარი და წარვიდა ინდოეთს. მაშინ მოსრულმან ხანჯალხან დასდგა ხარკი და ჭირი დიდი, რამეთუ ხეთა, ვენახთა, საკნავთა და პირუტყუთა, ამათ ყოველთაგან იღებდნენ, და ამით დაიპყრნეს სპანი და უწოდეს ნოქარი: და მთავართაცა საცკლოთივე მათითა პატივ-სცეს და მიუხუნეს მამულნი და მსახურებდენ ტფილისის ხანსა, რამეთუ ამისივე განსაგო იყო კახეთი, ბორჩალო და ყაზახი“.³

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, გვ. 531-532.

² ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, სასამართლო არზა-ოქმები და კერძო-სამართლებრივი აქტები, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა და შენიშვნები დაურთო პროფ. ისილორე დოლიძემ, თბ., 1985, გვ. 725.

³ ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 515-516.

ამის შემდეგ საქართველოში ყიზილბაშების ბატონობის პირობებში ყაზახთან შედარებით უპირატესობა უკვე შამშადილოსა და ბორჩალოს ენიჭებოდა.

მოგვიანებით, ერეკლე II-ის მეფობის დროს, ისევე როგორც სხვაგან, ყაზახშიც აღდგა სამეფოს ცენტრალური ხელისუფლების სრული გავლენა. ერთ-ერთ ბრძოლაში გამარჯვების შემდეგ ერეკლე II-ს ერევნის ხანმა გამარჯვება მიულოცა და მცირეოდენი საჩუქრებისთვის ბოდიშსაც უხდოდა. წერილში არ ჩანს, თუ ვის წინააღმდეგ გაიმარჯვა მეფემ, მაგრამ იგი გავზავნილია ყაზახში, სადაც მეფე ერეკლე იმ დროს თავისი ჯარით იდგა.¹

ზოგადად, ყაზახის „ხანობა“ ერეკლემ 1755 წელს გააუქმა და ეს ქვეყანა, ისევე როგორც ბორჩალო და ბაიდარი (1765 წ.) სამოურაოდ აქცია,² თუმცა „ხანი“ არსებობდა, მაგრამ მნიშვნელოვნად უფლებამშლულად. ყაზახში გადასახადების ადმინისტრირებას სამეფოს მოხელეები უზრუნველყოფდნენ, 1798 წელს გიორგი XII ივანებეგ მოურავს სპარსულ ენაზე ბრძანება მისწერა, რომლის მიხედვითაც, მას ყაზახში „გადასახადების და ხარჯების“ აკრეფა ევალებოდა, სანაცვლოდ კი თვითონ გათავისუფლებული იყო.³

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადგილობრივთა შორის სოციალურ ურთიერთობებიც ბუნებრივია სამეფო კარის სასამართლოში და კანცელარიაში განიხილებოდა, მაგალითად, ისევე გიორგი XII-მ 1799 წელს ყაზახში მცხოვრები იუსუფი, „სახლი ყველაფრით“ მოლა მკაძემელ შეინიღესლამს უბოძა და სხვა მფლობელებს ქეთხუდებს,

¹ ა. ჭვიშვილი, ერევნის ხანების მიერ საქართველოში გამოგზავნილი წერილები (მე-18 საუკუნის II ნახევარი), თბ., 1982, გვ. 21.

² ნ. ბერძენიშვილი, საქართველო XVIII საუკუნეში, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. II, თბ., 1965, გვ. 210; ო. სოსელია, სახელმწიფო მმართველობის გადახლისებების ცდები, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 529.

³ აღმოსავლეთ საქართველოს მეფეების, ბატონიშვილების და ხანების მიერ გაცემული სპარსული საბუთები, გვ. 47.

რიშეფიდებსა (მამასახლისები) და აღებს უბრძანებდა, რომ იუსუფთან მათ ხელი არ აქეთ.¹

ამრიგად, ყაზახის „სახანოს“ შემთხვევაშიც, ისევე როგორც შამშადილოში, ჩანს, რომ ადვილობრივი „ხანები“, ქეთხუდები, აღები და თვით სასულიერო ლიდერი, შეიხოლესლამიც კი ჩართულნი არიან, სამაჟულე დაეებსა და სხვა ფეოდალებთან სოციალური ურთიერთობების გარკვევის საქმეებში. „ხანი“ ამ ღროს თითქოს მემამულეს დაემსგავსა, ხოლო დანარჩენი ფუნქციები, მოურავს ჰქონდა დაკისრებული.

* * *

ყაზახის დასახლებული პუნქტებისა და მოსახლეობის შესახებ ცნობები სხვადასხვა დოკუმენტებშია დაცული. მათგან ყველაზე სრულყოფილია „1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი“, სადაც წარმოდგენილია ყაზახის „სახანოს“ მონაცემები. აღწერაში წარმოდგენილ „კაზაკის ლივაში“ გაერთიანებული ანჩას, ჯაგადის, აჰსაბადის და თერქის ნაჰიები.

აღწერის მიხედვით, „კაზაკის ლივა“, ანუ ყაზახის ლივა, ოსმალური ადმინისტრაციული წესის მიხედვით არის აღწერილი. ჩამოთვლილია როგორც ქრისტიანებით² დასახლებული სოფლები, ისე ელით დასახლებული ყიშლალები და სოფლები. რომელთაც სხვადასხვა სახის გადასახადები აქეთ შეწერილი. მაგ., ისფენჯი, გადასახადი ხორბალზე, ქერზე, ჭვავზე, ფეტვზე, ერბოზე, ცხვარზე, ღორზე, თივაზე, მიწაზე და სხვ.

¹ აღმოსავლეთ საქართველოს მეფეების, ბატონიშვილების და ხანების მიერ გაცემული სპარსული საბუთები, გვ. 47-48.

² ონომასტიკონის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, ალბათ, მათი უმრავლესობა სომხები, ან სომხური მონოფიზიტური ქრისტიანობის აღმსარებლები იყვნენ.

კაზაკის ლივა

ანჩას ნაპიე – სოფლები: კოზმათი; კილეთი; ბერბერხანე; კადირ ქენდი; ბაბანა; კილიჩ ქენდი; კუშჯი; კურუმსი; ჰაჰლაქუმი; კარა კამსი; ვარნიქი; ჩასიხანე; თემურის ვაკეუფები სოფელ ჰასხანეში.

შემდეგ გრძელდება მოსახლეობისაგან დაცლილი სოფლები, ყველა მათგანს მიწერილი აქვს, რომ „ცარიელია რეიასაგან“ და მათზე მხოლოდ მიწისა და მარცვლეულის გადასახადია შეწერილი. ეს სოფლებია: ვანქი; ხან ქენდი მეორე სახელი მურადიე; ანდარნუჯსი; ღურაქი; სულუქ ბულაქი; კიასი; გულ ამირი; კასიმ კოჯასი; დაღლუჯან; როღალიქი; კიზილ ქენდი; კარა ბულაქი; ბერდული; ჯემალ აბადი; ამრუდლი; ჰაჯ ქენდი; ახჩა ქენდი; დემურჯი ქენდი; მეორე ამრუდლი; ჰაეშადი; ბაბლა ქენდი; ალა ნასდი; ჰაეზი; მიკადი; კარბადირი; ბარსუმ ქენდი; სალი; შემდეგ ისევ დასახლებული პუნქტები, სოფლები და ყიშლაღებია წარმოდგენილი: სოფელი ანჩალუ; ყიშლადი ქომურლუ ყიშლადი ხარკლუ; ყიშლადი შაჰ კულისა; ყიშლადი ჰილადი; ისლამ ბეგლუს ყიშლადი; ყიშლადი კაიმაკლი; ყიშლადი დაქირლუ; ყიშლადი ნისსავალისა; სათესველი გული ცარიელია, ახლოსაა ნისსაველთან; სოფელი შეიხი; სოფელი კალექენდი კინკამ თექელი ყიშლადი.¹

ჯავადის ნაპიე – სოფლები: ქუჩუკ ათარანი; დიდი აბადანი; ვარნიქი; სოჯა ვანქი; ჯუშქუნანი; კარა ბულაქი; ანჩა კიზილ ვაკი; მუნლა აბდალლაჰ ქენდი; ბიქანლუ; ესქი ბარე; სოფელი ესქი ბარე გაბრანი; ველი ქენდი; კიუჯი ქენდი; ალექსანი, მეორე სახელი შირაჯი; კუთ ქენდი; გირდელუ; ალთუნჯი; დერმიზბადი; ესქუქეთი; კერამიში; ზემო ათალიქი; კალემ ქენდი; შექერ კალე; ალი ბეგ ქენდი; იღაღუში; ყიშლად ქენდი; აღალი, მეორე სახელი ჯან ფაშა; გუნათი; ველით კია; ქოშა ქილისა; სადი; ხარება ვანქი; ულუხან ქენდი; კა-

¹ 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. II, გვ. 412-420.

რანჯი; ბიქარ აღიასადი, ხან ფაშალუ; სალჰადი; ორქმეზი; მეორე ორქმეზი; თამ სალჰადი; სულეიმანლუ; ამირ ბარლი; კაზაკ ბეგლუ; დემურჯი, დემურ სადი; დურა ჯანლი, მეორე სახელი ჰუსეინ თექლუ; შაჰ ნაზარლუ; ჯიდაკუშისი; ვებალლუ; ჯანკარი; დევირიშირი; ქოშე მამლუ; აბდალლაჰ ალთუნ თაჰიადი; ჯაბა მაჰალლუ მეორე; კარაკლუ ისმაილი; ბარათალუ; სისხან ვერდი; ქოსალარი; კარალარი; კარა სადი; სარი კამიში; შამს ასადი; ალა ხან ქესე მანლუ. ჯაამათი – ქეშიხან კული ბეგისა, სათესველი – უჩ გული და არხები: ალბარედისა, ჰანლუსი, ბად აღიასი, ქესამანისა.¹

აჰსაბადის ნაჰიე – სოფლები: ბაქარლარი; კურუ ბოლაზლუ; კალჰალუ ფირ ჰალილუ; კარა სეჟილუ; ისჰაკლუ; დერბასი; ზემო აღმალუ; მელიქ ქენდი; სოფელი ჰაკსუ; გურ ქეშიში; დიდი ჯუნჯკა; პატარა ჯუნჯკა; შარაზი; სელმან ბეგი; მირნელუ; ჰაკარზინი; მათიმ ქენდი; ბოლაზ ქილისა; თუმ დოღანი; მელიქ ბულაქი; გულ ქენდი; კირკ ბულაქი; დიდი დაბა კრილეთი; მასკალუ; კაჰრი ალი; კიზილ ჰასანლუ; ასმადი აჰსაბადი; ხალიფელი; ქურუქ ქეშადი; გოლა გირე; ალბალუდი, კაზით ჰაჯლუ; დარჯანლუ.

ამის შემდეგ ჩამოთვლილია მოსახლეობისგან დაცლილი სოფლები, ესენია: ჰადჰაჯი; აშიკ ქენდი; ბუიუქ საჰნიაზი; ქურუქ მხითარი; დილუ ხანი; აკ ქილისა; მექდე ქენდი; ქურუქ ბოლაზ ქილისა; ვალჰას ქენდი; ჩელები; სადი სუფი; ბაშიქი; ფარსადან ქენდი; მიხდი ხანი; ვით გუბირი; შინქარი; ქურუქ დანე კარლეთი; კილიჩ თაში; აკ ბულაქი; კიზლარ ბულაქი; ორან თალა; კაფლუჯა; ჰაჯ ბულაქი, არმუდლუ; ანსუ; ნაზარ კია; კარა გელუ დერე; კუშჯი ქენდი; სარი ველი; სარი ქეშიში; კასიმ თაში; დუგრა; აღრი აჩიკი, მეორე სახელი თალა ქენდი; მუნლა კია; დერე ქენდი, ბოლაზ ჯებელუ; სარი. ჩამოთვლილია ასევე სათესველები (დელუქ ქილისა, კარა ქილისა), ჯა-

¹ 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. II, გვ. 421-439.

მაათები (ჰასან ხოჯალუ, კარა ჰალკლუ; მუჰმათლუ ხალიფელი) და არხები, რომლებითაც ირწყვება დასახლებული ნაპიეს სოფლები. ეს არხები იყო: ფახრი ალის; ოჯმალ ვერძულუ; სარმარ თამხანლუ; და მდინარე აჰსაბადი, რომელიც გონულის მთიდან მოედინება და შემდეგ არხებში მიედინება.¹

თერქის ნაპიე – სოფლები: ლალებერ ქენდი; ხან ქენდი; ბუიუქ თერქი; ჰაჯი თერქი; აგრი ბუნი; მირი ქენდი; აღდარა; როგორც დაეთარის მონაცემებიდან ჩანს, მხოლოდ აღნიშნული შეიდი სოფელი დარჩა დასახლებული, დანარჩენი დაიცალა. ეს ყველაფერი „ოსმალბას“ უნდა გამოეწვია. მოსახლეობისგან დაცლილი სოფლები იყო: აბდალლაჰ ქენდი; აგრდან ალი; ჰასარქი; ქარკია; გუზელ დერე; დარბალი ქენდი; ადალი ქენდი; კურლუ; ბულაკი; ჰამზა ქენდი; გუდოქეთი; ალი ბარი; ჯილაქ ქუჩუკი; ჯილაქ ბოზორგი; ხოჯა მარქ ქუჩუკი; ხოჯა მარქ ბოზორგი; კამიშ გული; ბადრი კაბლუ; ხოჯა ბაზარი; ლაჩინ კიასი; ასმი ბულაკი, ჰალბადირ კამლუ; ფირ დალილუ; ჩაკმაკლი; ჰადარლუ; თურქუსლუ; ამირ ქენდი. დასახელებულია ერთი არხი – თურქუსუ.²

XVIII საუკუნის ბოლოს, იოანე ბაგრატიონის მიერ შედგენილ ქართლ-კახეთის დასახლებული პუნქტების სიაში ყაზახის სოფლები შეტანილია, თუმცა იგი არ უნდა იყოს ბოლომდე დაზუსტებული. ეს ამკარა ხდება თუნდაც „ოსმალბას“ ჩატარებულ აღწერაში ჩამოთვლილ პუნქტებთან შედარებისას. აქ წარმოდგენილია მხოლოდ, უშუალოდ მეფის სახასო, სომხებით და ელით დასახლებული, სოფლები.

¹ 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. II, გვ. 439-457.

² 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. II, გვ. 457-460.

**„ვაზახი, რომელიც მოებმის ბორჩალოს,
სამეფო, სომხისა და თათრის სოფლები არიან ესენი. მთლად შენი.¹**

შიხილი	აირუმი
გემიყარისჭარლის ობა	ზაჩასუს სოფელი
სალალი	აღდანი
ყაზახბეგლი	ყარა ნუხდარა
ყიზილაჯლი	ქარეასლა
ფირილუ	ყარატაში
ფოილო 2	კუნეი
ყირხქესამანი	ფიფიზი ანუ პიპიზი
ხალფალუ	სარათქანდი
კერდიშანი	ყარაყონი
აქსიფარა	ურქმაზლი
ყულფი	დემურჩლარი
აღსტაფი	ტაშსალალი
ხილხინა	ყალაჩა
ყარაასანი	ქამარლი
დაღქესმანი	უზუმთალა
ფახრალუ	უჩქილისა
აღქოინაქი	ჯოლაზი
უსეინ ბეგლი	ყალინჯა
ხანუხლარი	ასლანბეგი
ჯაფარლუ	ქაღბალიბეგი
ჯამილუ	ხოლო უშენი ადვილნი მთის კერძოდ არიან ვიდრე 25-მდის. ²

¹ „შენი“ ანუ აშენებული, დასახლებული.

² იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, გვ. 62.

* * *

ყაზახის მოსახლეობის შესახებ საინტერესო ცნობებია დაცული ასევე 1770 წლის დემოგრაფიულ ნუსხაში, სადაც ვკითხულობთ, რომ ყაზახი წარმოადგენდა „სახანოს“ და ელის მოსახლეობის გარდა, ცხოვრობდნენ სომხებიც. მთლიანად მათი რიცხვი 4700 კომლი იყო. ყაზახის მოსახლეობის ნაწილი „სახანოდან“ გაქცეული ყოფილა. „ქ. არს ყაზახი ერთი მთელი სახანო და მრავალი ამისი კაცი სხვას ქვეყნებში არის დაფანტული. და ღლეს არის თათარი. სამი ათას ხუთასი. ქ. სომეხიც არის ყაზახისა ათას ორასი“.¹

ყაზახში აღწერა, 1775 წლის 7 იანვრის საჩივრის დოკუმენტის მიხედვით, საგარეოდ, 1774 წელს უნდა ჩატარებულყო. საბუთში აღნიშნულია, რომ ქართლი აღწერა სულხან ბეგთაბეგიშვილმა, ამ სამუშაოს საფასური სხვა მდივნებსაც გუანაწილა და „კიდეც იმანვე ყაზახი აწერა“.²

ბორჩალოს „სახანო“

XVI საუკუნეში გაძლიერებულ ოსმალეთს აღმოსავლეთ საქართველო დაკავებული ჰქონდა. ირანში გატარებული სამხედრო რეფორმებისა და დიდი მზადების შემდეგ, 1603 წელს, შაჰ აბას I-მა (1587-1629 წწ.) ოსმალეთის წინააღმდეგ ომი დაიწყო. შაჰის უმთავრესი მიზანი ირანის დაკარგული პოზიციების დაბრუნება და

¹ ვ. გამრეკელი, ზ. ცქიტიშვილი, 1770 წლის 5 აპრილის დემოგრაფიული ნუსხა, გვ. 153.

² ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, გვ. 270-271.

მისი ყოფილი ტერიტორიებიდან ოსმალების განდევნა იყო. ირან-ოსმალეთის ამ ომში ქართლის მეფე ვიორგი X (1600-1605 წწ.) და კახეთის მეფე ალექსანდრე II (1574-1605 წწ.) იძულებულები იყვნენ შაჰ აბასის მხარეს ყოფილიყვნენ. ალექსანდრე მისმა შვილმა, ირანში აღზრდილმა კონსტანტინემ „დაარწმუნა“, რომ შაჰს უხდა დახმარებოდა, ხოლო ვიორგი X-სთან ლულამი თამაზყული ხანი იყო მივლენილი.¹ სპარსელი ავტორის, ფაზლი ხუზანის მიხედვით – კონსტანტინე მირზა და თამაზყული ბეგი ოცი წლის წინ წარმატებული უფლისწულის ჰამზა მირზას² სამსახურში აღიზარდნენ, ამიტომ ყიზილბაშურ წესებს კარგად იცნობდნენ.³

მანამდე, 1601 წელს, ვიორგი X-მ ოსმალთაგან ლორე გაათავისუფლა. ომის დასაწყისში, პირველ ეტაპზე, შაჰ აბას I-მა ერევნის ციხის გათავისუფლება გადაწყვიტა, უზარმაზარი არმიით მივიდა და ერევნის ოსმალურ გარნიზონს ალყა შემოარტყა.

1604 წელს შაჰ აბას I-მა ერევანთან ომში ოსმალები სასტიკად დაამარცხა, ერევანთან გამარჯვების შემდეგ შაჰმა ვიორგი მეფეს ირანში მისცა სოფლები და 300 თუმანი ჯამაგირი დაუნიშნა. სამაგიეროდ, ლორე და მდინარე დებედას ხეობა გამოსთხოვა.⁴ „და შეუძნდა ფრიად და რამეთუ არა ეძლო უარი შააბაზისა და დაანება ლორე და დაიპყრა ციხე ლორისა შააბაზ“.⁵ ასე გაჩნდა ლორის „სახანო“, ხოლო მდ. დებედის ხეობაში თურქმანული ტომი ბორჩალო ჩამოასახლეს. ამიტომ წყაროებში, ლორის „სახანო“ და ბორჩალოს „სახანო“ ხშირად ერთიდაიმავე მნიშვნელობით გამოიყენება.

¹ ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 44.

² შაჰ მუჰამედ ხუდაბენდეს (1578-1587 წწ.) უფროსი ვაჟი, შაჰ აბას I-ის ძმა, ირანის ტახტის მემკვიდრე. 1586 წელს გაურკვეველ ვითარებაში მოკლეს.

³ ჰ. ჰაედა, ქართველები სეფიანთა ირანში, თბ. 2008, გვ. 48.

⁴ გ. ჯამბურია, ირან-ოსმალეთის ახალი ომი და ქართლ-კახეთის სამეფოები, გვ. 247; დ. კაციტაძე, ირანის ისტორია, III-XVIII საუკუნეები, გვ. 410.

⁵ ახალი ქართლის ცხოვრება, მესამე ტექსტი, გვ. 537.

იოანე ბატონიშვილის ცნობის მიხედვით, როდესაც შაჰმა ლორეში თავისი ჯარი დააყენა „მუნებური მელიქი მივიდა წინაშე შააბაზისა და მიიღო მამადიანობა, რომლისათვის ჯილდოდ შააბაზმან ვაათავადა და მისცა გვარად მელიქობა და მამული ლორის სეობასა შინა სახასოთაგან მეფისა“.¹ ვახუშტიც ხაზს უსვამს მელიქების,² გვიანდელი მელიქიშვილების შაჰ აბასის პერიოდიდან დაწინაურებას და აღნიშნავს, რომ მელიქიშვილი „არა არის გუარი, არამედ სომეხსა ვისმე პატივსცა შააბაზ გამოჰმადიანებისთვის“.³ როგორც ჩანს, ლორის მფლობელობა მელიქებმა შაჰისგან სწორედ მუსლიმობის გამო მიიღეს.

* * *

ლორეს ციხისა და მდ. დებედის მთელი სეობის დაპატრონებით ირანის მბრძანებელმა საქართველოს სამხრეთის კარის გასაღები ჩაიგდო ხელში. ვახუშტი ამ მომენტს გულისხმობს, როცა ხაზგასმით აღნიშნავს იმ ფაქტს, თუ როგორ აიძულა შაჰ აბას I-მა ქართლის მეფე, დაეთმო ლორე: „შეუძნდა ესე ფრიად მეფესა და მიუგო: „ველოდი ჯილდოდ შენგან სხვასაცა ქალაქსა სამსახურისათვის მაძისა ჩუენისა და არა მიხუძასა საზღვართა დამტარება ქართლისა... ამისთვის უფროს აიძულებდა, რათა მისცეს ლორე და გამოსვლისათვის ბერძენუჯის მდინარისა“.⁴

ამით შაჰმა ქართლს სამხრეთის კედელი მთარღვია და მის თავდაცვისუნარიანობას გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა. ქართველები საუკუნეთა განმავლობაში თავგამოდებით იცავდნენ ამ მნიშვნელოვან

¹ იოანე ბატონიშვილი, შემოკლებით აღწერა საქართველოს შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა, გვ. 34.

² მელიქების შესახებ ვრცლად იხ. აღ. ბოშიშვილი, მელიქის სახელო საქართველოში, თბ., 2013.

³ ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 34-35.

⁴ ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 156.

ზღუდეს. შაჰ აბას I-მა კი „მშვიდობიანად“ ჩაიგდო ხელში სტრატეგეულად დიდი მნიშვნელობის მხარე, ამის შემდეგ ქართლის დაცვის კედელი მის საწინააღმდეგო პლაცდარმად იქცა.¹ როგორც აკად. ნიკო ბერძენიშვილი წერდა, „ასეთი ღონისძიებით შაჰ აბასმა ლორე-დებედას საკითხი საბოლოოდ გადაჭრა, „ქართლის აღაყაფი მოარღვია და ქვეყნის თავდაცვისუნარიანობას ერთის დაკვრით დამბლა დასცა“.²

ქვემო ქართლის მელიქის სახლის წარმატება თავიდანვე ირანის შაჰის ერთგულ სამსახურზე იყო დამოკიდებული. ყველა მელიქი ცდილობდა შაჰისთვის ერთგული დასაყრდენი ყოფილიყო, რათა მეტი წარმატებისთვის მიეღწია. ირანში მათი საგვარეულოს არაერთი წარმომადგენელი სხვადასხვა მაღალ საპასუხისმგებლო თანამდებობაზე იყო დანიშნული. მირიმანიძეები, როგორც ქვემო ქართლის მელიქები, საუკუნეთა განმავლობაში წარმატებით მოღვაწეობდნენ ამ ტერიტორიაზე. მიუხედავად იმისა, რომ სპარსეთის ხელმწიფის განსაკუთრებული მხარდაჭერით სარგებლობდნენ, ქართლის სამეფო კარზე ქართველ თავადთა რიცხვში ითვლებოდნენ.³

სომხთის მელიქების შესახებ მნიშვნელოვანი დეტალები სპარსული ნარატიული წყაროებიდან ირკვევა. სომხთის მელიქი მირიმანი იყო პირველი მელიქი, მისი ძე ყორხმაზი, აგრეთვე სომხთის მელიქი, შაჰ აბასს ერთგულად ემსახურებოდა. მირიმანის მეორე ვაჟი, თამაზყული ხანი, ერთ-ერთი უპირველესი დიდკაცი (ყულარადასი, უფლისწულის აღმზრდელი) იყო შაჰის კარზე, ხოლო მისი ძმისწული სეფი-ყული ხანი (ყორხმაზის ძე), ჯერ ყოლმარის და ალაშქერის

¹ ალ. ბოშიშვილი, ლორე ისტორია და თანამედროვე მდგომარეობა, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიის ინსტიტუტის შრომების სპეციალური გამოშვება „ღვით აღმაშენებელი და მისი ეპოქა“, თბ., 2012, გვ. 98; ალ. ბოშიშვილი, მელიქის სახელო საქართველოში, გვ. 60.

² ნ. ბერძენიშვილი, რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიიდან XVI-XVII სს. მიჯნაზე, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. IV., თბ., 1967, გვ. 127.

³ ალ. ბოშიშვილი, მელიქის სახელო საქართველოში, გვ. 61.

ბეგლარბეგი იყო, შემდეგ – ჰამადანის, ბოლოს, როგორც ბაღდადის ღამპყრობელი (1623 წ.), ერავის მმართველად იჯდა 1633 წლამდე.¹ თამაზყული ხანი იყო პირველი ღულაში მირიმანიძეებიდან, შემდეგ ათაბეგის ძმა, მირიმანიძე, ღულაში გახდა და ის სეფიყულის სახელით არის ცნობილი.

პირველი მელიქის, მირიმანის, სახელის გამო მელიქის სახლის წარმომადგენლები წყაროებში ხშირად მირიმანიძეებად მოხსენიებიან, ხოლო ნაწილი, ძირითადად, თბილისში დარჩენილი ასლან ყორხმაზის ძე მირიმანიძის შთამომავლები, მირიმანაშვილებად.

შაჰისადმი განსაკუთრებული ერთგულებით გამოირჩეოდა მელიქ ყორხმაზ I-ის ძე, მელიქი ათაბეგი, იგივე ათაბეგ მირიმანიძე. იგი სომხთის მელიქად 1619-1659 წლების საისტორიო საბუთებში მოიხსენიება.²

ათაბეგს 1616 წელს ბაგრატ ხანმა (ბაგრატ VII 1616-1619 წწ.) მეფე ლუარსაბ II-ის (1606-1614 წწ.) მიერ ნაწყალობევი სოფლები, ქარატაკი და გელაქთავი, ჩამოართვა და სანაცვლოდ ქვემო წერაქვი უწყალობა.³

მელიქ ათაბეგი შაჰ აბასის საქართველოზე ლაშქრობების აქტიური მონაწილე იყო. შაჰ აბასის ისტორიკოსის, ისქანდერ მუნშის, მიხედვით, 1616 წელს შაჰი აღმოსავლეთ საქართველოში მოწყობილი ექსპედიციის შემდეგ თბილისში შემოვიდა, სადაც ბაგრატ ხანი (1616-1619 წწ.) დიღის ამბით დახვდა. თბილისიდან შაჰ აბასი „გაემართა სომხთისაკენ და რამდენიმე დღე იღხენდა მელიქ მირიმან სომხთთარის შეილიშვილის, მელიქ ათაბეგის, სამყოფელს, რომელიც

¹ ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში, გვ. 294.

² პირთა ანოტირებული ლექსიკონი, XI-XVII სს. ისტორიული საბუთების მიხედვით, მასალები შეკრიბეს და გამოსაცემად მოამზადეს: ა. ბაქრაძემ, ლ. რატიანმა და გ. ოთხეზურმა, ტომი შეადგინეს დ. კლდიაშვილმა და მ. სურგულაძემ, ტ. III, თბ., 2004, გვ. 186.

³ პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. III, გვ. 186; სცსა. ფ. 1448, საბ. 1024.

[ირანის შაჰების] წმინდა გვარეულობის ერთგულთა რიცხვს ეკუთვნოდა“.¹ მელიქები სწორედ ასეთი ერთგულების სანაცვლოდ შაჰისგან დამატებით უფლებებსა და იმუნიტეტს იღებდნენ.

საბოლოოდ, ეს მხარე ორ ერთეულად, ბორჩალოს „სახანოდ“ და სომხითის სამელიქოდ გაიყო.

* * *

როდესაც შაჰ აბას I-მა გიორგი X-სთვის (1600-1605 წწ.) წართმეულ ლორეში „სახანო“ შექმნა, მაშინვე მდ. დებედას ხეობაში და ველზე ბორჩალოს თურქმანული ტომი დაახლა. „შემდგომად, ოდეს მიუხუნა (აღჯაყალა)² შაბაზ ჰე³ მეფე გიორგის,⁴ მან გამოიყვანა ელნი ბორჩალუ და დასხნა აქა, და ამით ეწოდა ბორჩალუ“.⁵

1604 წლის მოვლენის შესახებ ცნობები დაცულია სხვა წყაროებშიც, კერძოდ, XVII საუკუნის ავტორთან, მუსტაფა ნაიმასთან, რომელიც აღნიშნავს, რომ აღექსანდრემ და გიორგიმ შაჰს დიდი დანხარება გაუწიეს, ისინი შაჰთან იყვნენ, როდესაც ერევნის ასალუბად ბრძოლა ივეგმებოდა,⁶ რისთვისაც „შაჰ-აბასმა გიორგი ქართლის მეფეს ირანში მისცა მთელი რივი სოფლები... სანაცვლოდ შაჰმა მოსთხოვა ლორეს ოლქი, თურქმანული ტომი ჩამოასახლა და აღჯაყალას გამგებელი დაუნიშნა“.⁷

¹ ისქანდერ მუნშის ცნობები საქართველოს შესახებ, გვ. 111.

² აღდგენა ეკუთვნის აკად დავით მუსხელიშილს. იხ. დ. მუსხელიშილი, აღჯაყალა-გაგის ციხე, გვ. 121.

³ ვახუშტის მიხედვით, გიორგი X, ქართლში ჰე, ანუ 85-ე მეფე იყო.

⁴ ქართლის მეფე გიორგი X (1600-1605 წწ.).

⁵ ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 307.

⁶ მუსტაფა ნაიმა. ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, თურქული ტექსტი ქართული თარგმანით, გამოკვლევისა და შენიშვნებით გამოსაცემად მოამზადა ნ. შენგელიამ, თბ., 1979, გვ. 110.

⁷ მუსტაფა ნაიმა. ცნობები საქართველოსა და კავკასიის შესახებ, გვ. 30.

ვახუშტი ბატონიშვილის მიხედვით, ბორჩალოსა და მეფის მოხელეებს შორის სავარეულები ვაყოფილია. ბამბაკის მხარის აღწერისას, იგი აღნიშნავს, რომ მდინარის მხარეებზე გავლენა ვაყოფილია ქართლის მეფის მოხელეებსა და თურქმანულ ტომებს შორის, „ბერდუჯის მდინარის აღმოსავლეთი კიდე უპყრათ ბორჩალუთა, და დასავლეთის კიდის კერძი უპყრავს მეფესა ქართლისასა ვიდრე ხუნანამდე“.¹

სავარაუდოდ, ამ დროიდან ყაზახის „სახანოს“ მდგომარეობა ვართუღდა, რადგან აღჯაყალას ციხე, მანამდე სწორედ ყაზახის „ხანის“ იყო. XVII საუკუნის დასაწყისიდან მას დაექვემდებარა ბორჩალოს ტომიც, მაგრამ აღჯაყალა საბოლოოდ მაინც ახლადდაარსებულ ბორჩალოს „სახანოში“ აღმოჩნდა. აკად. დავით მუსხელიშვილის მიხედვით, აღჯაყალას ეს ფუნქცია მთელი XVII-XVIII საუკუნის განმავლობაში უნდა ჰქონოდა, ხოლო როდის მოხდა აღჯაყალის უკანასკნელი კატასტროფა, ანუ როდის დაიხვრა იგი, უცნობია.²

ბორჩალოს „სახანო“ პირველ ეტაპზე, ალბათ, შაჰს ექვემდებარებოდა, თუმცა მალე შეცვლილი მიწისმფლობელობის წესითა და თურქმანული ელი მოსახლეობით კვლავ ქართლის სამეფოს შემადგენლობაში მოექცა. 1657 წელს ბორჩალოს „ხანს“ და ყაფლან ბართაშვილს სამამულე დაევა ჰქონდათ. როსტომ ხანმა ქართლის დიდებულები „სულ ქართველი დარბაისელნი“ შეკრიბა. განიხილეს ეს საქმე და დაადგინეს, რომ „ისახან სულთანს სანათი და ჰოქმი არა ჰქონდა და კიდევ გამტყუვებდა. და არც კუალად ლორდაღმე ამ ალაგების ცილობა ქმნილიყო და არც ხელი ჰქონებოდა.“³

ბაინდურ-ბეგ არღუთაშვილსა და რევაზბეგს შორის ატეხილი სასამართლო დავა 1693 წელს მეფე ნაზარ-ალი ხანმა (1688-1703 წწ.)

¹ ვახუშტი ბატონიშვილი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 309.

² დ. მუსხელიშვილი, აღჯაყალა-გაგის ციხე, გვ. 121.

³ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, გვ. 104-105.

განიხილა. ისინი ერთ სოფელსა და ახპატის ბაღების ნახევარს ვერ იყოფდნენ. თუმცა, როგორც გაირკვა, ეს ყველაფერი რევაზბეგს ეკუთვნოდა. ეს დაუდასტურა ბორჩალოს იმდროინდელმა მეპატრონემ, თამაწყული ხანმა. როგორც მან გაიხსენა, ეს ადგილები ლორეს ბატონს თავის დროზე ჩამოერთვა და რევაზ-ბეგსა და მის ძმას გადაეცათო.¹

1690 წელს შაჰ სულთან ჰუსეინმა აღჯაყალის მმართველად მუსტაფა „სულთანი“, გარდაცვლილი მეჰდი-ხან „სულთნის“ შვილი, დანიშნა და მას ყაჩაღებისა დევნა დაავალა. შაჰი ბრძანებდა, რომ აღჯაყალის მხარეში მცხოვრებმა „ლაზიებმა, ქედხუდებმა, ბატონებმა, წარჩინებულებმა და მთელმა მოსახლეობამ ხსენებული მმართველის საფარველი იცნონ“. მუსტაფას გასამრჯელოც გამოუყო.²

XVIII საუკუნის პირველ ნახევარში, როგორც ზემოთაც არაერთგზის აღინიშნა, საქართველოს ტერიტორია ოსმალებმა დაიპყრეს. სულთნის ხელისუფლებამ მათ მხარეს მყოფი ქართველი მოხელეები უხვად დააჯილდოვა და ელით დასახლებულ მხარეებში ქრისტიანებით დასახლებული სოფლებიც უბოძა. მაგ., ერასტი მღვიან-ბეგმა სულთნის სპეციალური ფირმანები მიიღო, რომლის მიხედვითაც, მას ბორჩალოს მხარეში სოფლები – ხუჯურინა (ხოჯორნი) და მელიქაშირა (მელიქაშენი) ებოძა.³ ეს სოფლები ადრე მელიქის მამულები იყო.⁴ 1725 წელს კი ოსმალეთის სულთანმა აღჯაყალის მცველი ისმაილისა და ყადისადში ბრძანება გამოსცა. მათ ებრძანათ, რომ მღვიან ერასტის, „რომელსაც დიდი დამსახურება მიუძღვის თბილისის ციხის

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, გვ. 164-165.

² სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, წ. I, ნაკვ. 2, გამოსცა ვლ. ფუთურძემ, თბ., 1962, გვ. 86-87.

³ ნ. შენგელა, XV-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები, გვ. 227.

⁴ აღ. ბოშიშვილი, მელიქის სახელო საქართველოში, გვ. 84, 89.

აღებაში“, სომხითში ორი სოფელი ებოძოს.¹

1735 წელს ირანის შაჰმა ნადირმა აღმოსავლეთ საქართველოს მცხოვრებთათვის სპეციალური ფირმანი გამოსცა საომარი მზადებისა და გაფრთხილების შესახებ.² მათ ბორჩალოში მდგომ ირანის ჯარისთვის დახმარება და ხელშეწყობა უნდა გამოეჩინათ.

„ბორჩალოში მდგომ მეთაურებსა და დაზიებს ვუბრძანებ, თქვენთან კაცი გამოგზავნონ და მისვლა-მოსვლის საქმე მოაგვარონ, რათა ერთმანეთის აშბავი და ვითარება იცოდეთ და, თუ მავ მიდამოებში მოწინააღმდეგე ტომების რაიმე კვალი და ნიშანი გამოჩნდა, ფრთხილად და წინდახედულად წახვიდეთ და ერთსულოვნად ეცადოთ რომ უკუავდოთ მტერი.“ ასევე მოუწოდებს, რომ გაამაგრონ ციხეები და სიფხიზლე და ყურადღება გამოიჩინონ ყველა ფეხის ნაბიჯზე.³

ნადირ შაჰმა ირანის ჯართა და ქართველების დახმარებით ოსმალები საქართველოდან და მისი მეზობელი სახანოებიდანაც განდევნა.

XVIII საუკუნეში ჯერ „ოსმალობამ“ და შემდეგ „ყიზილბაშობამ“ დიდი ზიანი მიაყენა თურქმანი ელებისა და ქართველი ფეოდალების ურთიერთდამოკიდებულებას. რადგან ელები მუსლიმები იყვნენ, ოსმალებმა ქრისტიან მფლობელებს ჩამოაშორეს, ხოლო შემდეგ, 1735 წლიდან, ყიზილბაშების ბატონობისას, ხშირი იყო მათი აყრა. ამ დროს ქართველი ფეოდალების ელი ყმები თავიანთი სოფლებიდან ბორჩალოს, ყაზახისა და სხვ. „სახანოებში“ გარბოდნენ. 1744 წელს სამეფო კარს ედიშერმა თხოვნით მიმართა, რომ „ჯილოვხანის ობეჩი“ „ოსმალობამდე“ მისი სამკვიდრო ყოფილა და რადგან „ოსმალოებს თათრის მსახურება ქრისტიანის კაცის ცოდვად მიაჩნდათ, ამის-

¹ ნ. შენგელია, XV-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები, გვ. 227.

² სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, წ. I, ნაკვ. 4, გვ. 15-16.

³ სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, წ. I, ნაკვ. 4, გვ. 16.

ვის მე გამოძარტვეს და თითონ დაიპყრესო“. ოსმალების შემდეგ ეს ადგილი ქეთხულებს გადაეცათ. შემდეგ მოსახლეობა ბორჩალოში დაიფანტა. „ახლა სამი კომლი იმ სოფლისა ბორჩალოში არიან, რომელ იმათი სახელი შუქურლი ქალბალი იმან ოლლი და მანსურ ოლლი და რეაჭყული, კიდენ მანსურ ოლლი მაჰმადა და ბუდადა არის, ბორჩალოში იმყოფებიან.“ ედიშერი სამეფო კარს სთხოვდა, რომ ამ ხალხის ჭანდარაში დასახლებაში დახმარებოდა. მეფემ მხარი დაუჭირა, რადგან „ეს კაცები ამ არზის პატრონის (ედიშერის) ყმანი ყოფილან და ძველთაგან წერილიც კელთ უჭირამს...“.¹

* * *

ქართლის მეფე თეიმურაზ II-ს (1744-1762 წწ.) სამეფო ტახტი ცოლის, თამარის მხრიდან ეკუთვნოდა, რადგან იგი ვახტანგ VI-ის ასული იყო. თუმცა სამეფო ტახტზე პრეტენზია ვახტანგის ძმის, იესე მეფის შვილმა, აბდულამაც, განაცხადა. მისი გამოსვლა 1747 წელს მოხდა. იგი საგარეო ძალებს დაუკავშირდა. მისი მთავარი მოკავშირეები დაღესტელი ფეოდალები და მომთაბარე ელები იყვნენ. აბდულა სამშვილდეში გამაგრდა და მიიმხრო სომხით-საბარათიანოს დიდი ნაწილი, გადაიბირა ყაზახის „ხანი“, ბორჩალოს „ხანი“ და სხვ.

„ამან აბდულა-ბეგმან გარდაჰბირნა რაოდენნიმე ქართველნი სომხით საბარათიანოდამ და ვიეთნიმე სხვანიცა და უკუდგა ირაკლი მეფესა. მოიყვანა ყიზილბაშის ხანი, ამას მოყვნენ განჯა-ყარაბაღის ხანები, დაღისტნის, აზატ ხანი და საქართველოს ელები: შამშადილი, ყაზახი, ბორჩაღუ, დემურჩასალი, ბაიდარი და სხვა ყოველი ხურდა

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, გვ. 21.

ოიმაღები.“¹

ერთ-ერთი ქრონიკის მიხედვით, აჯანყებულ აბღულა ბეგს 1747 წლის 29 აგვისტოს თავისი მომხრეებით თბილისზე ლაშქრობა მოუწყვია, მაგრამ იგი დამარცხებულია და უკან გაბრუნებულია. მასთან ერთად იმყოფებოდა ყაზახის „ხანი“ თალიბეგიც. „ულე (1747) წ. აგვისტოს კო (29). აღიხან და აბღულაბეგი მიუხდნენ ჯარით ქალაქსა, ყაზახის სულთანს თალიბეგი თან ახლდა ჯარით, ციხისთავმა მიმბაშმა ციხეში არ შეუშვა [და დამარცხდნენ]“.²

აჯანყებულები თეიმურაზის მემკვიდრის, ერეკლესგან, ქართლის ტახტზე უარის თქმას ითხოვდნენ. ერეკლემ ენერგიული ზომები მიიღო, მიიმხრო ქართლის დიდებული თავადები (ქსნისა და არაგვის ერისთავები), სომხეთის მელიქი, ლორის ქეთხუდები,³ შეკრიბა ლაშქარი და დაარბია აბღულა ბეგის მომხრეები. ალყაში მოაქციეს სამშვილდე. სასტიკად დასაჯეს აბღულას მომხრეები ყაზახ-ბორჩალოში. შეშინებულმა ყაზახის „ხანმა“ პატიება ითხოვა, მან ბორჩალოსა და ბაიდარის ქეთხუდები შეიპყრო და ერეკლეს გაუგზავნა.⁴

XVIII საუკუნის 50-იან წლებში ქართლ-კახეთის სამეფოს შაქის ხანი აჯი ჩალაბი (1747-1755 წწ.), ემუქრებოდა. XVIII საუკუნის 40-იან წლებში წარმოებული ანტიირანული განმანთავისუფლებელ მოძრაობის წარმატებით დასრულების შემდეგ მან დაიმორჩილა

¹ ომან ხერხეულიძე, მეფობა ირაკლი მეორისა, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკლევა, ლექსიკონი და საძიებელი დაუთმო ლელა მიქიაშვილმა, თბ., 1989, გვ. 46.

² ქრონიკები, ტ. III, გვ. 190-191.

³ ქეთხუდა/ქედხოდა მამასახლისი, დარბაისელი კაცი (ქართული სამართლის ძეგლები, ხელმწიფის კარის გარიგება; დასტურლამალი, ტექსტები გამოსაცემად მოამზადა, გამოკლევები, ლექსიკონები და საძიებლები დაუთმო ივანე სურგულაძემ, თბ., 1970, გვ. 831).

⁴ მ. ღუმბაძე, ქართლ-კახეთის განთავისუფლება ირანის ბატონობისაგან, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 608-609; ომან ხერხეულიძე, მეფობა ირაკლი მეორისა, გვ. 46-47.

ყაბლა და არემის „სასულთნო“. ცდილობდა განჯისა და ყარაბაღის სახანოებზე გაბატონებას. თავდაპირველად ქართლ-კახეთის პოლიტიკურ უპირატესობას აღიარებდა და 1749-1750 წლებში ყარაბაღზე ლაშქრობისას ერეკლეს მოკავშირედაც გამოდიოდა. 1751 წელს მონაწილეობა მიიღო ქართლ-კახეთის ლაშქრობაში ჭარ-ბელაქნის უბატონო თემების დასამორჩილებლად, მაგრამ ჩათვალა, რომ ქართველთა გამარჯვება საფრთხეს შეუქმნიდა მისი სახანოს დამოუკიდებლობას და გადაწყვეტ მომენტში მოწინააღმდეგის მხარეზე გადავიდა.¹ აგრიჩაისთან გამართულ ბრძოლაში ქართველთა დამარცხების შემდეგ აჯი ჩალაბმა კაკის „სასულთნო“ და ჭარ-ბელაქანი დაიმორჩილა. ცდილობდა თავისი ძალაუფლების ქვეშ გაეერთიანებინა საქართველოს მეზობელი მუსლიმური სახანოები, იგი ფართო რელიგიურ პროპაგანდას ეწეოდა საქართველოს მუსლიმი თურქმანული წარმომობის ტომებით დასახლებული პროვინციების მისამხრობადაც.²

პაპუნა ორბელიანი დაწვრილებით აღწერს იმას, თუ რა ამბები დაატრიალეს ქართლ-კახეთში აჯი ჩალაბს მიმხრობილმა ქართლში მცხოვრებმა ელებმა. როგორ დაარბიეს თბილისი და მთელს ქვემო ქართლში „დაწვეს ნაშრომი და აღარსად გაუშვეს შენობა“...

„...მოუხდიან ყაზახისა, ბორჩალუსა და ბაიდარის ჯარი ქალაქისა გარემო და წაიღონ საქონელი ურიცხვი, აგრევე მოიყვანეს ჯარები ლეკისა, დააყენეს ყაზახში და ბორჩალუში, გაერივიან მათი ჯარებიც, წამოუძღვიან და აოკრებდიან სომხთსა და საბარათაშვილოს. დაწვეს ნაშრომი და აღარსად გაუშვეს შენობა, თვინიერ სამშვილდისა, ქვეშისა. ბირთვისისა და ციხე ქვაბის მეტი. საცა მთებში, ან ჯაკახეთის ქვეყნებში საქართველო ქვეყნის საქონელი სადმე იყო, იპოვეს და სულ წამოიღეს, საცა პური სადმე იყო სომხით საბარათაშვილოში, სულ გაზიდეს. ამისთანა მტრობა ყიზილბაშს არ უქნია, რაც

¹ მ. დუმბაძე, ბრძოლა დამოუკიდებლობის განმტკიცებისთვის, გვ. 620.

² მ. დუმბაძე, ბრძოლა დამოუკიდებლობის განმტკიცებისთვის, გვ. 622.

ამათ ქნეს, აღივსო საქონლით ყაზახ-ბორჩალუ და ბაიდარი. დაიდევს თავს ორგულობა ქართველ ბატონისა ყაზახ-ბორჩალუელთა და ბაიდარელთა, აგრეთვე დაუწყეს ცემა ქვეყანასა ჯაგახეთისათა და ყარსისათა, თავისის ძალით წაუვიდნენ ქართველ ბატონს და ემსახურებოდნენ აჯი ჩალაბს, მიიყილეს დემურჩიასანლის ელებიც და თათარი ვინც იყო, სულ დაიჭირა აჯი ჩალაბმა. ჩამოუყენა თავისი მისანდო კაცნი ამ ელებს და ართმევდა ძალიანს ხარჯს“.¹

ამ ამბებიდან მალე, 1752 წლის სექტემბერში, ქართველებმა ყაზახისა და შამშადილოს საზღვარზე აჯი ჩალაბის შვილი, ალა ქიში და მისი მოკავშირეები დაამარცხეს.²

„ყაზახისა და შამშადილოს სამხლვარში რომ ჩავიდა აჯი-ჩალაბის შვილი, მოეწივა ერეკლე... მეფე მიბძანდა თვითონ, მიუძღვა ჯარს და ვითა ლომი, ევრე მიესივა..., გაიყარნეს წინ და ხოცით განჯის მინარამდის მიყენენ, ამოწყვიტეს, ყათლანი³ დამართეს, მკვდარს გარდა ათას ხუთასი აჯი-ჩალაბისა და განჯის ხანის ჯარისკაცი დაინარჩუნეს, შირვან-შამახისა დიდროვანი კაცები დაიჭირეს, აჯი-ჩალაბის სარდლები დახოცეს...“.⁴

ალა ქიშთან გამარჯვების შემდეგ ერეკლემ მოღალატეები დასაჯა. როგორც პაპუნა ორბელიანი აღწერს, ბორჩალოს ძველი „ხანი“, მუსა-ყული-ხანი იმ დროს თბილისში იყო და აჯი ჩალაბს არ მიემხრო. ამიტომ მეფემ ბორჩალოს „ხანად“ სწორედ ის დაადგინა და აღჯაყალაში გააგზავნა. ხოლო ბორჩალოს ადრინდელი „ხანი“, ასევე, მუსა და ბაიდარის „სულთანი“ ქვეყნიდან გაიქცნენ, მათ ერეკნის სა-

¹ პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, გვ. 197.

² პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, გვ. 201-203; თეიმურაზ ბაგრატიონი, ახალი ისტორია, ტექსტი გამოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა და საძიებლები დაურთო ლელა მიქიაშვილმა, თბ., 1983, გვ. 49.

³ არაბულად „ყათლ“ მოკვლას ნიშნავს. იხ. პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, ლექსიკონი, გვ. 265.

⁴ პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, გვ. 202.

ხანოს შეაფარეს თავი.¹

1755 წელს შირვანზე წარუმატებელი ლაშქრობის შემდეგ შაჟის ხანი აჯი ჩალაბი მალევე გარდაიცვალა.

როგორც ჩანს, ასეთი რთული მდგომარეობის გამო ქვემო ქართლის სამხრეთით დარჩენილი ქართველი მოსახლეობა საბოლოოდ აიყარა და ჩრდილოეთით გადაინაცვლა. ამ დროს კიდევ ერთხელ გაუკაცრიელდა ქართველებისგან იქაურობა. პაპუნა ორბელიანის ცნობის თანახმად, „ქორონიკონსა უმე (1757 წ.) დაიცალა საბარათაშვილო, სომხითი, ორბელიანთ მამული და ზოგი გავიდა კახეთს, ზოგნი ავიდნენ ზემო ქართლში და საერისთოებში, აღარსად დარჩა შენობა...“.²

1758 წელს ერეკლე II-მ ბამან ხანს მისცა ბორჩალოს „ხანობა“. მან მალევე ქართლის სამეფოს საზღვრებს გარეთ გასული შეშინებული ელეტიც დააბრუნა და სახელმწიფოს სამსახურში ჩააყენა. „ქორონიკონსა უმე (1758 წ.) მოვიდა ბამან-ხან, ქართველს ბატონს შეურიგდა, მისცეს ბორჩალოს ხანობა, განჯას რაც ქართლის ელეტი იყო ყაზახ-ბორჩალო-დემურჩიასანლუსი, სულ მოიყვანა“.³

1764 წელს ერეკლემ სპეციალური ბრძანება გამოსცა ბორჩალოსა და სხვა ტომების წინამძღოლებისთვის. როგორც საბუთშია აღნიშნული, მეფე მათ ავალებდა ბორჩალოს ელის მოვლას, ხოლო, თავის მხრივ, ამ მოხელეებზე ზრუნვის პასუხისმკებლობას თავის თავზე იღებდა.

„დადგენილია, რომ იმამყულიმ, შაჰვერდიმ და იესომ უწყოდნენ, რომ როცა ამჟამად არზის შინაარსი ცნობილი გახდა, საჭიროა, იმგვარად როგორც ეს იყო ძველად, საუკუნიდან საუკუნემდე, ეხლაც ასე უნდა იყოს: ბორჩალოს და სხვა საზოგადოებას [თქვენს გარდა

¹ პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, გვ. 202-203.

² პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, გვ. 244.

³ პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, გვ. 245.

სხვას] არავის და არავითარ შემთხვევაში თქვენთან არაფერი არ ესაქმება და ყოველ ადვილას, სადაც კი რაიათი გაფანტული იქნება, შეაგროვეთ და ერთად მოუყარეთ თავი, იქ დაასახლეთ, სადაც ისინი მოისურვებენ, არავინ არ შეავიწროვოთ, რათა თავიანთ საქმიანობას მოჰკიდონ ხელი. ჩვენც უნდა მოგვემსახურონ. ყოველთვის, როცა კი თქვენ ვინმე შეგაწუხებთ, ჩვენ მოგვასხენეთ რათა განვსაჯოთ“.¹

ერეკლე II-ის მიერ ქართლის და კახეთის სამეფო ტახტების გაერთიანების შემდეგ (1762 წ.) მალევე, 1765 წლისათვის, ბორჩალო მთლიანად ცენტრალურ ხელისუფლებას დაუქვემდებარა,² თუმცა „ხანი“ არსებობდა, მაგრამ „სახანო“ ფაქტობრივად გაუქმდა. ამის შემდეგ ბორჩალოს მეფის მიერ დიდგენილი მოურავი განაგებდა, რომელიც მანამდეც არსებობდა, მაგრამ „ხანის“ ხარჯზე უფლებები ჰქონდა შეზღუდული.

მოგვიანებით საუფლისწულოებად დაყოფილ ქართლ-კახეთის სამეფოში ეს ადგილები ტახტის მემკვიდრეს, ვიორგი ბატონიშვილს ერგო. მან თავის საუფლისწულოში, რომელიც, ძირითადად, ქვემო ქართლს და, მათ შორის, უმეტესად ელით დასახლებულ მხარეებს მოიცავდა, 1793 წელს ალჯაყალის ვეჟილ ელიას-ხანისთვის ბრძანება გამოსცა, რომლის ძალითაც ალჯაყალაში, გადასახადების, ჯარიმის და სხვა სახის გადასახადების აკრების უფლებას მხოლოდ მას ანიჭებდა.³

XVIII საუკუნის ბოლოს ყარაბაღელი მელიქების ნაწილი ქართლ-კახეთის მეფის მფარველობის ქვეშ შესვლას ცდილობდა. სწორედ ამიტომ XVIII საუკუნის ბოლოს, ყარაბაღიდან ქართლ-კა-

¹ აღმოსავლეთ საქართველოს მეფეების, ბატონიშვილების და ხანების მიერ გაცემული სპარსული საბუთები, გვ. 39-40.

² იხ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველო XVIII საუკუნეში, გვ. 210; ო. სოსელია, სახელმწიფო მმართველობის გადახალისების ცდები, გვ. 529.

³ აღმოსავლეთ საქართველოს მეფეების, ბატონიშვილების და ხანების მიერ გაცემული სპარსული საბუთები, გვ. 16.

ნეთში თავისი ხალხით გადმოსახლდნენ მელიქი აბოვი, მელიქი ჯემშიდი, მელიქი ფრიდონი და სხვ.

გიორგი XII-მ (1798-1800 წწ.) მელიქ ჯემშიდს მამულები და ყმები 1800 წელს უბოძა,¹ მას ლორეში და ბორჩალოში დასახლების უფლება იმ პირობით მიეცა, რომ ამ მხარეებს მოაშენებდა. მელიქ ჯემშიდს მიწის გაყიდვა არ შეეძლო. „...მეფემ გიორგიმ მისცა მელიქ ჯემშიდს (მამულები – ა. ბ.) ამ პირით, თუ იქ დასახლდებოდა მოინხმარებდა იმ ადგილს, თუ არა და ისევ სამეფო იყო, არა ქონდა კელმწიფება გაყიდვისა“.²

იმედროულად, გიორგი ახალციხეში გადასულ სარაჯულს ელის ქეთხუდებს სთხოვდა, რომ უკან, თავიანთ საცხოვრებელ ადგილას დაბრუნდნენ და მელიქ ჯემშიდს დაბორჩილებოდნენ.³ ასევე, ყარაბაღიდან დევნილ მელიქ ფრიდონ ბეგლარაშვილს ყმა, მამული და მელიქობა გიორგი მეფემ 1798 წ. 22 მარტს უბოძა.⁴

მათ მეფე საცხოვრებლად თავისი სახასოდან ელის „სახანობის“ ტერიტორიებს აძლევდა. მაგალითად, მელიქ აბოს უბოძა ყმარლუს დაფანტული ტომი, რომლის შეგროვებასა და ერთად დასახლებაზე მეფემ 1800 წელს სპეციალური ბრძანება გამოისცა.⁵

1800 წლის 24 იანვარს მელიქი ფრიდონი გიორგი XII-ს (1798-1800 წწ.) სთხოვდა, რომ ბორჩალოში დასახლებული მისი ყმებისთვის გადასახადი არ გამოერთმიათ, რადგან ეშინოდა, არ გაქცეულიყვნენ. „თხუთმეტი წელიწადია გიანხელით... თითო თითო მოვაგროვე [ყმები და ეხლა] ბორჩალოს განლიან..., ვშიშოფ არ დამეფანტონ და თქვენთან პირშავი არ დავრჩე“.⁶ გიორგი XII-მ სარდალ

¹ სცსა. ფ. 1450, 13/102.

² იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, გვ. 60.

³ აღმოსავლეთ საქართველოს მეფეების, ბატონიშვილების და ხანების მიერ გაცემული სპარსული საბუთები, გვ. 19-20.

⁴ ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (სეც). Hd 3978.

⁵ აღმოსავლეთ საქართველოს მეფეების, ბატონიშვილების და ხანების მიერ გაცემული სპარსული საბუთები, გვ. 19.

⁶ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, გვ. 601.

სახლთუხუცეს, იოანე მუნრანბატონს, დაავალა, რომ „ბორჩალოში რაც ფრიდონ მელიქისშვილის კაცები არიან, იმათ ზურას შეაწერთ. და ახლა რომ ორმოცი საპალნე შეშა აწერათ, იმაზეც ხელი [ა]დებინეთ და ღღეის იქითაც არა შეაწეროთ“.¹ ყარაბაღიდან ლტოლვილი ფრიდონი მელიქი, საბუთიდან ჩანს, რომ ქართველი მეფის მოხელეების მორჩილია. ამას ვარდა, თავს მელიქად მოიხსენიებს მიმართვაში, მაგრამ როდესაც მეფე ახსენებს, მას მელიქიშვილს ეძახის, ანუ მისთვის ფრიდონი რიგითი მემამულე იყო. ფრიდონს არანაირი განსაკუთრებული სტატუსი არ ჰქონდა. ზოგადად, ყარაბაღიდან ლტოლვილი ზოგიერთი მელიქი თავადიც კი გახდა, თუმცა მათ საქართველოში სათავადოები არ შეუქმნიათ.²

ბორჩალოში მოურავი ბოლოს თავადი დავით აბაშიძე იყო.³ 1800 წელს მან მეფე გიორგი XII-ს არზა ბორჩალოდან მისწერა. დოკუმენტში საუბარია, რომ იგი დავით ბატონიშვილმა ბორჩალოს ციხის დასაცავად დატოვა და მეფესთან პირადად ამის გამო ვერ მივიდა. „თქვენმა შვილმა დავითმა აქ ბორჩალოს ციხეში დამავლო გასამაგრებლათ... ამ მიზეზით ვეღარ გეახელ“. დავით აბაშიძე იმ სარგოს მიღებას სთხოვდა, რომელიც მანამდე მამამისს ჰქონია. გიორგი XII-მ დავით აბაშიძეს მამის შემოსაღლები უკლებლივ დაუტოვა.⁴

ბორჩალოს სასულიერო პირსაც მეფე ამტკიცებს. ჩვენამდე მოღწეულია გიორგი XII-ის მიერ გაცემული ოქმი, რომელიც ბორჩალოს შეიხოლესლამის⁵ თანამდებობას მოლა მოჰპაემდს აძლევს. ბორჩალოს ვეჟილსაც ავალებს დაემორჩილონ ამ ბრძანებას.

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, გვ. 601.

² ალ. ბოშიშვილი, მელიქის სახელო საქართველოში, გვ. 123.

³ იხ. ცხოვრება მეფისა გიორგი მეთათაშვილისა, აღწერილი პლატონ ეგნატის ძის იოსელიანისაგან, თბ., 1978, გვ. 263.

⁴ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, გვ. 685.

⁵ შეიხ ული-სლამი მომდინარეობს არაბულიდან, იგი მუსლიმური სასულიერო იერარქიის, ერთ ერთ უმაღლესი, თანამდებობის პირია (იხ. სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, წ. I, ნაკვ. 3, გვ. 108).

„გამოვიდა მაღალი ბრძანებულება მასზე, რომ... არღუნ-ხანმა, ბორჩალოს ვეკილმა, მოხსენებული ადგილების ყველა რაიათმა, დანარჩენმა რიშეფიდეებმა და ქელხოლებმა, უწყოდნენ, რომ ამჟამად ბორჩალოს შეიხოლესლამის თანამდებობა მაღალადვილოვან, ღვთისმოსავ მოლა მოჰამედისათვის მიგვიცია და წყალობა გვიბრძანებია, რათა სამართლიანად და ერთგულად, შარიათის ღვთაებრივი კანონის შესაბამისად იმოქმედოს. დადგენილია, რომ ბორჩალოს მთელმა მოსახლეობამ მოხსენებული თავის ერთადერთ შეიხოლესმად აღიაროს, მის ნათქვამს გაუგონონ და მის საბოლოო განაჩენს დაემორჩილონ...“.¹

* * *

ბორჩალოს მოსახლეობისა და დასახლებული პუნქტების შესახებ ცნობები დაცულია 1728 წელს „ოსმალობის“ დროს ჩატარებული აღწერის დავთარში.² ბორჩალო დავთარში ერთიანი სახით არ არის შეტანილი. ბორჩალოს „სახანოს“ სოფლები და სადგომები „ტაშირისა“ და „ფანბაკის“ ნაჰიეებსა და „ახჩა ყალისა“ და „სომხთის ლიეებშია“ გაერთიანებული. მოსახლეობასაც, ისევე როგორც „თბილისის ვილაიეთის“ სხვა ნაჰიეებსა და ლიეებში, ოსმალური გადასახადები აქვთ დაკისრებული.

„ოსმალობამდე“ ამ მხარეებში იყო „სახანოც“, მეფის სახასო მიწებიც, სოფლების ნაწილი ფეოდალების იყო, არცთუ მცირე ნაწილი მელიქის მამულს წარმოადგენდა. ამიტომ რთული იქნება ბორჩალოს „სახანოს“ სოფლების გამოჩევა.³

¹ აღმოსავლეთ საქართველოს მეფეების, ბატონიშვილების და ხანების მიერ გაცემული სპარსული საბუთები, გვ. 41.

² ბორჩალოს „სახანოს“ ტერიტორიაზე, ანუ ბამბაკსა და ლორეში, ოსმალებს მურად მურად IV-ის (1623-1640 წწ.) დროსაც ჩაუტარებიათ აღწერა, შემორჩენილია დავთრები (იხ. ნ. შენგელია, XV-XIX საუკუნეების საქართველოს ისტორიის ოსმალური წყაროები, თბ., 1974, გვ. 174).

³ 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, გვ. 262-411.

იოანე ბატონიშვილის ქართლ-კახეთის დასასწავლელ პუნქტებში ბორჩალოს „სასახლოში“ არსებული სოფლებიც არის ჩამოთვლილი. ბორჩალოში ამ დროს ლორესა და ბაბაკის მხარეებიც შედიოდა, ამიტომ იქაური სოფლებიც ბორჩალოს საერთო რაოდენობაში ჩაითვა-ლა. აღწერაში ჩამოთვლილია ბაბაკის ხეობის სოფლები, რომლებიც გიორგი XII-მ თავის შვილებს – მიხეილს, ილიას, ჯიბრაელს, იქ-როპირს და ირაკლის გაუნაწილა.¹

შემდეგ, იოანე ბატონიშვილი ჩამოთვლის ლორეს ხეობის სოფლებს, რომლებიც სამეფო სათავადო, სააზნაურო და საეკლესიო საკუთრებას წარმოადგენდა.

„ამასვე მიეწერება ლორის ხეობა (სადაცა მომდინარეობს დე-ბედას მდინარე), რომელიც არს სამეფო და სათავადო, სააზნაურო და ეკლესიისა.

ქ. ძველი ლორე

ქ. ყირბულაღი

ქ. ჯილღის სოფელი

ქ. ჯაღალღოლის სოფელი²

ქ. ლორის ციხე

ქ. ამბრაკისი

ქ. თეიმურაზას სოფელი

ქ. შალიაღას სოფელი, რომელშიც იდგა ყაიყოჯაღის ელი. ესე მიე-წერებოდა მეფის სძალს ქეთევანს, მეფის ძის იოანეს მეუღლეს

ქ. კეტევანი

ქ. ჩანახჩის მთის სოფლები 5

ქ. სირჩაპეტი

ქ. პალუნჩაის სოფელი

ქ. ღისიყი

¹ სოფლების ჩამონათვალი იხ. ზემოთ. თავი III. ბაბაკი.

² თანამედროვე ქალაქი სტეფანავანი (სომხეთის რესპუბლიკა).

ქ. უზუმლარი

ქ. უზუმლარგაღმა სოფელი აქორისი

ქ. სანაინი

ქ. ახპატი

ქ. შინიხი

ამა მდინარეზედ მოსახლენი თათარნი,
რომელსა ეწოდების ბორჩალო.

ქ. სადახლუ

ქ. ყაზანგუნბათი.“¹

ლორე და ბორჩალოც, ისევე როგორც ბამბაკი, მიხეილის და მისი ძმების კუთვნილება ყოფილა, მაგრამ მეფე გიორგი XII-მ იგი ყარაბაღიდან ლტოლვილ მელიქ ჯემშიდს გაყიდვის უფლების გარეშე გადასცა, ოღონდ იმ პირობით, რომ მოაშენებდა. „ქ. ეს ლორე და ბორჩალო მიხეილს და მათ ძმათ თვს ეყოლა. თუმცა მეფემ გიორგიმ მისცა მელიქ ჯემშიდს ამ პირობით, თუ იქ დასახლდებოდა მოიხმარებდა იმ ადგილს, თუ არა და ისევე სამეფო იყო, არა ქონდა კელმწიფება გაყიდვისა.

ქ. გოვთაფა

ქ. ყირუხლუ

ქ. მამაი

ქ. ბაიაზეთი

ქ. ღემურჩი

ქ. სარალი 2

ქ. არაფლუ

ქ. ახილმამული

ბაგრატს თვს ეყოლა

¹ იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, გვ. 59.

ქ. ბეთალი

ქ. ღემურჩები

ქ. შამალი

ქ. ყაიყოჯალის ყიშლადი, რომელიც თვს ყვოდა მეფის ჰსძალს ქეთე-
ვანს, მეფის ძის იოანეს მეუღლეს. ამა ადგილში აწ სახლობენ ენდ-
რონიკაანთ ელი თულარად წოდებული

ქ. თარქევანი

ქ. ჯანამათლი

ქ. უღუროლლი

ქ. ულაშლუ

ქ. ციხისძირი

ქ. ბეთარაფჩი

ქ. ყურჩები

ქ. ყაჩღანი

ქ. ბარახლუ

ქ. ხანჯულაზი

ქ. თაქალო

ქ. ქურარქუში.¹

* * *

ქართლ-კახეთის სამეფოს მოსახლეობის რაოდენობის შესახებ
საინტერესო დოკუმენტს წარმოადგენს 1770 წელს შედგენილი დე-
მოგრაფიული ნუსხა, სადაც აღნიშნულია, რომ იმ დროს ბორჩალო
და ფამბაკის ხეობა ერთი მთლიანი „სახანი“ ყოფილა და, ისე რო-
გორც სხვა „სახანოებიდან“, აქაური მცხოვრებნიც სხვადასხვა მხარე-
ებში გაფანტულან. 1770 წლისთვის ბორჩალოში სომხების ჩათვლით
2560 კომლი ყოფილა დარჩენილი. „ქ. არს ბორჩალი და ფამბაკის

¹ იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, გვ. 60.

კეობა ერთი მთელი სახანო. ამისი კაცი მრავალი დაფანტულია სხვას თემში. და ახლა არის ორი ათას ხუთას სამოცი სომხით“.¹

ბაიდარის „სასულთნო“

ვახუშტი ბატონიშვილის ცნობით, XVII საუკუნის მეორე მეოთხედში ირანის შაჰმა სეიმ (1629-1642 წწ.) თურქმანი ელები დაასახლა ქციის ქვემო წელზე და დაუყენა ბაიდარის² სულთანი. „ალავარის“³ ქვეით ნაჯბადინამდე და ეკლესია ნაზარა-სოფლამდე. ხოლო ადგილსა ამას ეწოდებოდა წყალთაშუა და აწ ბაიდარი“.⁴

ბაიდარი, ისევე როგორც ელის სხვა „სახანოები“, მეფის დომენში შეიქმნა. იგი „სასულთნოს“ წარმოადგენდა. თუმცა ბაიდარის „სასულთნო“ ბორჩალოს მსგავსად 1765 წლიდან სამოურაო გახდა, ამდროულად ფორმალურად „სულთნებიც“ შენარჩუნდნენ.⁵

XVIII საუკუნის ბოლოს ბაიდარის მოურავი, ბებუთაშვილე-

¹ ვ. გამრეკელი, ზ. ციტიშვილი, 1770 წლის 5 აპრილის დემოგრაფიული ნუსხა, გვ. 153.

² ბაიდარის სახელწოდება ბაიდარლუს ტომის სახელიდან უნდა მომდინარეობდეს.

³ ავღარაი შეცდომითაა გამოცემისას, უნდა იყოს ალავარი (იხ. იას. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, ნაწილი I და II, წყაროების გამოკვლევა და საგეოგრაფიო ცნობები, ტფ., 1935, გვ. 289; ასევე, ვახუშტი ბაგრატიონი, საქართველოს ატლასი, XVIII ს., საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის გამომცემა, თბ., 1997).

⁴ ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 324; აკად. ნ. ბერძენიშვილმა ვახუშტის ამ ცნობაზე დაყრდნობით ივარაუდა, რომ „ეს ცვლილება ტოპონიმებისა შედარებით ახალი საქმეა და ტრადიცია (ვახუშტის დროს ა. ბ.) ჯერ კიდევ ცოცხალია“ (იხ. ნ. ბერძენიშვილი, მასალები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიისათვის, საქართველოს ისტორიის საკითხები, თბ., 1990, გვ. 312).

⁵ იხ. ნ. ბერძენიშვილი, საქართველო XVIII საუკუნეში, გვ. 210; ო. სოსელია, სახელმწიფო მმართველობის გადასაღისების ცდები, გვ. 529.

ბის საგვარეულოს წარმომადგენელი, იოსებ მისკარბაში იყო.¹ ის დიდ ღროს ატარებდა თავის სამოხელეოში, მოღწეულია ბაიდარიდან დედაქალაქში მოწერილი უამრავი წერილი და პირიქით დედაქალაქიდან ბაიდარში.²

ბაიდარის ისტორიისთვის საინტერესო დოკუმენტს წარმოადგენს ბაიდარის „სულთნის“ შვილის, ბაბაშის, არზა, რომელიც მან ერეკლე II-ს 1778 წელს მიართვა. დოკუმენტი შეეხება ბაბაშსა და მის ძმებს შორის რამდენიმე გლეხის გაყოფის საკითხს და იქვე საინტერესო ცნობებია ჩართული. აღნიშნულია, რომ ბაბაშის ძმები ოსმალეთში ყოფილან წასული, როგორც ჩანს, თავისივე ელით, რადგან „ჩემი ძმები მოგესხენებათ, რომ ოსმალეთში იყვნენ... თქვენც ორგულნი იყვნენ ის ჩემი ძმები და ჩემიც“. ერეკლემ სწორედ ბაბაშს დაუჭირა მხარი და დაავალა თავისი ძმების ჩამოყვანა, რაც იმავე საბუთშია აღწერილი „თქვენი ბრძანებით წაველ და მოვასხი ის ჩემი ძმები“.

დოკუმენტს ერეკლე II-ის გადაწყვეტლება ერთვის: „ჩვენი ბრძანება არის ბაიდარის სულთანი და ბაიდარის სულთნისშვილებო! ეს ოთხი კომლი კაცი ამ სულთნისშვილის ბაბაშისათვის გვიბოძებია. ამასთან საქმე ნურავისა გაქეთო...“. ეს ბრძანება 1798 წელს გიორგი XII-მაც დაამოწმა.³

რადგანაც ბაიდარი, მდ. ქციასა და მდ. მტკვარს შორის იყო მოქცეული, ამიტომ მას ხშირად „წყალთაშუასაც“ ეძახდნენ. მდებარეობიდან გამომდინარე ბაიდარი მიწათმოქმედებისთვის მეტად ხელსაყრელი იყო. სხვა კულტურებთან ერთად აქ მოჰყავდათ ბამბაც. 1779 წელს მღივანბეგ მზეჭაბუკის ყმა სააკა სასამართლოში ჩიოდა.

¹ ცხოვრება მეფისა გიორგი მეათცამეტისა, გვ. 263.

² საქართველოს სიძველენი, საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების გამოცემა, ექ. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტ. III, ტფ., 1910.

³ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, გვ. 418-419.

იგი ბაილარში ბაბის სახნავედ ჩასულა („ბაილარში ბაბის სახნავედ ჩაველით“), მაგრამ, როდესაც საქმე მოუძთავრებია, ბაილარულ სულთნისშვილს ოსმანჯანას სააკა კიდევ რამდენიმე ხანს დაუტოვებია და დამატებით უმუშავებია. „ბაბის ალო რომ გავათავეთ, ხათრისათვის თითო ალო ოსმანჯანას და ბაბამის მოუხანით და ჩვენ მოვილოდით ოსმანჯანამ არ გავკვიშვა, ესლა ფეტვი ხანით სანახვეროთაო“. ამ დავაში ბაბამი ოსმანჯანას ურჩევედა, რომ გავშვა სააკა. „რას ემართლები, თავეთი ვალი გარდაუხნდიათ, დაეხსენ, წაიენენო, მაგრამ იმ ბრამ თქვენი რჯული და თქვენი ხაჩიო...“, უგინებია, ძალით გაუჩერებია და უმუშავებია, შემდეგ ხარებიც წაურთმევეია. მევემ მოხელეებს უბრძანა, რომ „ოსმანჯან კარზედ მოაყვანიენ სამართალში“. ¹ როგორ განვითარდა მოველენები არ ჩანს, მაგრამ აღნიშნული ცნობებში საინტერესო დეტალებია: ის, რომ სამეფო კარის მოხელეები უზრუნველყოფდნენ ბაილარის მამულების დამუშავებას, არსებობდა ბაბის პლანტაციები, ითესებოდა ფეტვიც და ადვილობრივი „სულთნები“ სამეფოს ჩვეულებრივი მოხელეები და მორჩილები იყვენენ. ²

1798 წელს ბაილარის სულთნისშვილი მამად უსეინი გიორგი XII-ისგან (1798-1800 წწ.) ყმების ბოძების სიგელის განახლებას ითხოვედა: „ბატონმა მამთქვენმა წყალობა მიყო და ოთხიოდ კომლი კაცი მიბოძა, რომ ამისი წყალობის ოქმიცა მქონდა“, მაგრამ „აღამაჰმადხან რომ მოვიდა და ავიყარენით, მაშინ სხვაც მრავალი დავკარვე და ისიც იმათთან დამეკარვა, და ახლა ვითხოვ მოწყალებას, რომ ის მამის თქვენის წყალობა გამიხლოთ“. გიორგიმ ბაილარის „სულთანს“ ერეკლე II-ის მიერ გაცემული ძველი ბრძანება განუახლა. ³

ბაილარში ქვემო ქართლის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სარწყავი არხი იყო, რომლის მოველა პატრონობაც სახელმწიფო მოხელეებს

¹ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, გვ. 436.

² ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, გვ. 436.

³ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VIII, გვ. 498-499.

ევალეობდათ. ჩვენამდე მოღწეულია იულონ ბატონიშვილის ერთი საინტერესო წერილი, რომელიც 1799 წლის გაზაფხულზეა გავზავნილი მისკარბაშ იოსებ ბებუთოვთან, რომელიც იმავედროულად ბაიღარის მოურავი იყო.¹ ბატონიშვილი მას უბრძანებდა, რომ არხი სასწრაფოდ აემუშაებინა. როგორც ჩანს, საგაზაფხულო სამუშაოებისთვის ესაჭიროებათ და ეჩქარებათ სარწყავი არხის განახლება.

„ქ. ბატონიშვილის იულონის დღე-ყოველ პატივით სახსოვარო მიშკარბაშო იოსებ! ჩვენ მიერ მოკითხვა გუწყოს. მერე რამდენიმე ხანი შენი წიგნი არა მოგვსვლია, მითომ რა მიზეზია? ამ ბაიღარელებს ვის ამწყრალებ, რომ ერთხელ არ გაივლი და იქაურობაზედ თვალ-ყური არ გიჭირამს? თუ ჩვენ გვამწყრალებ? რათ გვამწყრალებ? ახლა შენ ბაიღარში უნდა ჩახვიდე და არხი აამუშაებინო. ჩვენც ჩვენის ძაგის ბატონის მეფისათვის წიგნი მოგვიწერია და ძაგ არხის სამუშაოთ გატეხილ ხიდს ზევით მუშა ვთხოვეთ, ღვითთ იმედითა გვაქვს, რომ გვიბოძებს და ჩვენის ძმის ალექსანდრესათვისაც წიგნი მოგვიწერია, რომ შულავრიდამ მუშას მოგვანძარებს, ახლა, როგორათაც შენის ერთგულობისაგან ვიცოდეთ, ისე ბევრითა უნდა მოიქცე და ეგ არხი გამოატანინო. ჩვენც აქ ცოტა რამ სამუშაო საქმები გვაქვს და ამას რომ მოვრჩებით, ღვთის მოწყალებით, ჩვენც მაინთ წამოვალთ. სხუას, შინაურსა და შენს ამბავს ნუ დაგვაკლებთ, გვაცოდინებდე ხოლმე. მარტის კთ (29), ქკს უპზ (1799).

ქ. შენ ჩვენს ჩამოსულას ნუ მოიცდი, რაც შეგეძლოს, არხი ამუშაებინე, დაშურე დროზედა.“²

ბაიღარში მცხოვრები ელის მოსახლეობა მეფის ოჯახის სა-

¹ ცხოვრება მეფისა გიორგი მეთცამეტისა, გვ. 263; ა. თაბუაშვილი, ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოღერნიზაციისათვის, თბ., 2010, გვ. 171.

² საქართველოს სიძველენი, ტ. III, გვ. 81.

კუთრება იყო. 1801 წელს იოსებ მისკარბაშს¹ წერილს სწერდა თულონ ბატონიშვილის მეუღლე, სალომე აძილახვარი, და სთხოვდა, რომ ბაილარში მისი კუთვნილი მოსახლეობიდან რა გადასახადიც აკისრიათ, ყველა აეკრიფა და მისთვის გაეგზავნა, ამასთან, დამატებით მისგანაც სესხს ითხოვდა.

„ქ. მის ბრწყინვალეობას ბატონს მისკარბაშს, საქართველოს მეფის სძალი სალომე თქვენს მშვიდობას ვიკითხამთ. მერმე აქაც დაპირდა და დიდათაც გვეჭირება, ბაილარში რაც ჩემი თათრები იყვნენ, იმათ რაც ღებულება აძევთ, ყველას თავის შეძლებით უნდა თეთრი გამოართო და გამომიგზავნო. ასე რიგათ დავიმადლებთ, რომ შენი საკუთარი გამომიგზავნო. შენც კარგად იცი, რომ დიდად გვეჭირება, როგორც თქვენგან ვიცოდე, ისე საჩქაროთ გამომიგზავნეთ. დეკემბრის კა (21), ქკს უბთ (1801)“.²

ბაილარის „სასულთნოს“ დასახლებული პუნქტებისა და მოსახლეობის შესახებ მონაცემები შეიძლება მოვიპოვოთ, „ოსმალბის“ (1723-1735 წწ.) დროს ჩატარებული აღწერიდან. როგორც ცნობილია, ოსმალებმა ქართლის სამეფოს „თბილისის ვილაიეთი“ უწოდეს და ოსმალური წესით დაეყვეს. თბილისის ვილაიეთში ბაილარის „სასულთნოს“ ეწოდა ბაილარის ნაპიე.

აღწერის მიხედვით, მთელი ბაილარის ნაპიეს ტერიტორიის დასახლებული პუნქტები, ისევე როგორც დანარჩენი ნაპიეები, დაყო-

¹ მირშქარბაში (მირშქარბაში/მისკარბაში) სამონღოლო უწყების მაღალი მოხელე იყო ქართლ-კახეთის სამეფოში. იგი რუსეთის წოდებათა სიაში Онеп-сержмейстер-ის რანგს შეესაბამებოდა (იხ. მასალები ქართლ-კახეთის სამეფოს სამოხელეო წყობის ისტორიისათვის, შესავალი წერილი, შენიშვნები და საძიებელი დაურთო შოთა მესხიამ, ჟურნ.: „მასალები საქართველოსა და კავკასიის ისტორიისათვის“ (მსკ), ნაკვ. 1(26), თბ., 1948, გვ. 72), ირანში მირშქარბაში შაჰის კარზე ნაღრობის საქმეებს განაგებდა (იხ. სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნთსაცავებში, წ. I, ნაკვ. 2, გვ. 92).

² საქართველოს სიძველენი, ტ. III, გვ. 89.

ფილია რამდენიმე ტიპად. ესენია: სოფელი, ჯამაათი და ყიშლადი. თვითონ მოსახლეობა წარმოდგენილია სულადობრივად, როგორც ჩანს, შრომის-უნარიანი მამაკაცები. თითოეულ მათგანს მიწერილი აქვს: მუსლიმი, ბენაქი ან ჯაბა. ყველა მათგანს განსხვავებული გადასახადი აკისრია, ბაიღარში ძირითად გადასახადებს წარმოადგენს: გადასახადი ბენაქზე და ჯაბაზე, ასევე, გადასახადები ხორბალზე, ქერზე, ჭვავზე, ფეტვზე, ბრინჯზე, ერბოზე, ცხვარზე და სხვ.

ბაიღარში სოფლების ნაწილი სხვა „სახანოს“ ეკუთვნოდა და ბაიღარის ტერიტორიაზე სეზონურად დგებოდნენ, ხოლო ზოგიერთი მათი ტომელი სხვა „სახანოში“ გადადის გამოსაზამთრებლად.

სოფლები:

ლალაჯანი, კურჯი ბამისი, მუნლა ჰასანი, ბეკ ქენდი, ამედარლი, ამირ ჯანლუ, ბაიღარი, მეორე ბაიღარი, ქურდ ბულკულუ, ქურდ ჯემალუ, თაშ დემური, ჰაიდარლუ, კარსადლუ, ჩელიფლუ, ზულფიკარლუ, მაჰმადლუ, აჰმედლუ, ქურდლარი, კუთი ყიშლადი, ზიმეჩი შაჰლუ (ბაიღარის ჯამაათში შედის, ბორჩალოს ტერიტორიაზე იზამთრებენ. იქვე ბინადრობენ. გამოსაღებ გადასახადს ბორჩალოს მფლობელებს უხდიან. სხვა გადასახადებს ბაიღარლებთან იხდიან¹), ალა ემირ ჰასანლუ (დემურჯი ასანლუს ტომისანი არიან. ბაიღარის ტერიტორიაზე იზამთრებენ და მიწას ამუშავებენ. მათ მიერ დამუშავებულ ადგილებზე გადასახადს მიწის მესპატრონეებს უხდიან. სხვა გადასახადებს იუზბაშთან იხდიან. ექვემდებარება ბაიღარს²), ამირლუ, კაჩარი, შინათლი (ხსენებული უშრისა და ყიშლალების გაცემის შემდეგ სხვა გადასახადები დემურჯი ჰასანლუს ჯამაათისთვის იქნა გაცემული. სრული გადასახადები უშრის თიმარის პატრონს განეკუთვნ-

¹ 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. II, გვ. 200.

² 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. II, გვ. 200.

ნება), ალი ფირი ოღლი ამირ ჰასანლუ, დელულერი, კულლარი, ჩე-
ლებლი.¹

ჩამოთვლილია ასევე არხები, რომლებიც ბაიდარის სოფლებს
სარწყავი წყლით უზრუნველყოფს. ესენია: მარნეულის, ჰალ ვეზანი
კირკის და განგანის არხები,² ასევე, „დილიმ თაჰთარისა“ და „არხი
თაჰმიდ ბილუ“.³

სოფლების შემდეგ ჩამოთვლილია ჯამათები, რომლები ხან
ყიშლაღებდაც, ანუ სეზონურ სადგომებად არის დასახელებული:

ჯამათი მუნლა აბდალლაჰ ოღლისა;

ჯამათი თაჰმიდ ბილუ მუნლა მაჰმუდისა;

ჯამათი მუნლი აჰმედისა;

ჯამათი კარა დემურ ვილუსი;

ჯამათი ჰეანისირ ბაღლეგანითისა;

ყიშლადი მადიმ ჰანისა ჯამათი ვეანიშირ ბაღლეგანითისა;

ყიშლადი ჰაზირისა სეანისირ ბაღლეგანითისა ჯამათისა;

ჯამათი ლიქი;

ჯამათი სულეთ შადქირლუ;

ჯამათი ამირ ჰასლუ; ჯამათი მუკადინ ალდაქეთი;

ყიშლადი ამირ ხალილისა ჯამათი, მულანლი ალდაქეთისა;

აღწერაში შეტანილია ის ადგილებიც, სადაც ხალხი ან არ
ცხოვრობს, ან რამდენიმე სულია მხოლოდ:

მიწა ქეშიშ ოღლისა; კიზ კალეს მიწა; გელ თეფეს მიწა; მიწა
კარამანლუ; მიწა კოლისა ქენდისა;⁴ ქართის მიწა; სათესველი ქოფრუ
ქოი. დოკუმენტში ასევე მოცემულია ბაიდარის ნაჰიეს საზღვრები

¹ 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. II, გვ. 211.

² 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. II, გვ. 206.

³ 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. II, გვ. 211-212.

⁴ კოლისა ეკლესია, ქენდი სოფელი.

სოფლების და ადგილების მითითების ჩამოთვლით.¹

მოკვიანებით, XVIII საუკუნის 70-იან წლებში, ბაიდარის „სასულთნოში“ მხოლოდ 200 კომლი ცხოვრობდა, ზოგი სხვადასხვა მხარეში ყოფილა გაფანტული. 1770 წელს „არს ბაიდარი ერთი სასულთნო. მრავალი დაფანტულია სხვას ქვეყნებში. და ახლა რომ არის კომლი ორასი“.²

დემურჩი ასანლუს „სასულთნო“

დემურჩი ასანლუს ელები მტკერის მარცხენა სანაპიროზე ყარაიაზის ქვემოთ ცხოვრობდნენ.

ვახუშტის მიხედვით, „ყარაიის ჭალას ქუევით, მტკურის კიდეგ, ესახლნენ ელნი დემურჩიასალნუ, სავსენი პირუტყვთა, რამეთუ ზამთარ სითბოთი და ტყითა და ბალახითა მოკლებულ არს ადგილი ესე და პირუტყუნი მათნი ღებობდნენ გარეჯის მთასა ზედა, რამეთუ რაოდენნი წყარონი სდიან მთასა მას, მლაშენი არიან და პირუტყუთა შემრგონი“. XVIII საუკუნის მეორე მეოთხედში ისინი ნადირ შაჰს (1736-1747 წწ.) აუყრია და ხორასანში გადაუსახლებია „აჰყარა შანადირ და დასხნა ხორასანს“.³

დემურჩი ასანლუს ტომის უკან დასაბრუნებლად ერეკლე II-მ (1744-1798 წწ.) გარკვეული სამუშაოები ჩაატარა. როგორც ზემოთ

¹ 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. II, გვ. 188-220.

² ვ. გამრეკელი, ზ. ცქიტიშვილი, 1770 წლის 5 აპრილის დემოგრაფიული ნუსხა, გვ. 153.

³ ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 332.

აღინიშნა, როდესაც ერეკლე II-მ 1758 წელს ბამან ხანს შეურიგდა, ბამანმა კი ქართლის სამეფოს საზღვრებს გარეთ გასული ელები დააბრუნა, მათ შორის იყო დემურჩი ასანლუს ელიც. „ქორონიკონსა უმე (1758 წ.) მოვიდა ბამან-ხან, ქართველს ბატონს შეურიგდა, მისცეს ბორჩალოს „ხანობა“, განჯას რაც ქართლის ელები იყო ყაზახ-ბორჩალო-დემურჩიასანლუსი, სულ მოიყვანა“.¹

ნადირ შაჰამდე და „ყიზილბაშობის“ დამყარებამდე, „ოსმალობის“ დროს, დემურჩი ასანლუ შეტანილია „თბილისის ვილაეთის“ 1728 წლის აღწერის დაეთარში. იგი თბილისის ყაზაში საკმაოდ მრავალრიცხოვანი სოფლებით და სადგომებით ცალკე ნაჰიედ არის წარმოდგენილი. ასევე, მრავალფეროვანია იქაურ მოსახლეობაზე დაღებული სხვადასხვა ტიპის გადასახადებიც: მარცვლეულის, ბენაქი, ჯაბა, მუჯერედი, ჩიფთის გადასახადი, ბადიჰავა, გადასახადი ცხვარზე, ერბოზე, მიწაზე, თაფუს გადასახადი, უშრის გადასახადი გაუცხვავებ ბრინჯზე და სხვ.

ქვემოთ წარმოდგენილია დემურჩი ასანლუს სოფლები, ყიშლადები. ჯამაათები და სადგომები: ულუ თიმურჯი ჰასანლუ ახლოსაა დაფანტულ საჯამათობთან; ჯამაათი კული კართისა; ჯამაათი იუზბაშისა კარა სუბაშის ყიშლალში; ბილის დასახლება კარა სუბაშის ყიშლალში; ყიშლადი მუსტაფა იუზბაშის ტომისა; ყიშლადი ზადგერისა იუზბაშის ტომისა; ყიშლადი მეჰმედისა, იუზბაშის ტომისა; ყიშლადი ჩახუკლუ იუზბაშის ტომისა; ყიშლადი ჰასანისა იუზბაშის ტომისა; ყიშლადი ნური ბევისა იუზბაშის ტომისა; ყიშლადი ჩელინგირი, ექვემდებარება იუზბაშის ტომს; ყიშლადი სულეიმანისა იუზბაშის ტომისა; ყიშლადი მუნლა მაჰმედისა, იუზბაშის ტომისა; ჯამაათი არაკლისა იუზბაშის ტომისა; ყიშლადი სულ მეჰმედისა იუზბაშის ტომისა;

¹ პაუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, გვ. 245.

ყიშლადი ველი ალა იუზბაშის ძისა იუზბაშის ტომისა; ჯამაათი საათლუ ექვემდებარება მუსას, იუზბაშის ძმას, იუზბაშთა ტომს; ყიშლადი ორუზისა იუზბაშის ტომისა; ყიშლადი დერზი ოღლისა იუზბაშის ტომისა; ყიშლადი საღი ველისა იუზბაშის ტომისა; მარმანლუ ჰასანის ჯამაათი, აღმართული ალა აღჯუთან იუზბაშის ტომისა; ჯამაათი კარა მარ აღმართული კარა დიქენლუსთან, ქეფენქჩის ტომთან; ჯამაათი სარვანისა აღმართული სარბაბადზე, ახლოსა იაღლუჯასთან; ყიშლადი კარა, აურან ოღლი მეჰმედი ემორჩილება იუზბაშთა ტომს; ყიშლადი გურდლარ აღმართულია კარა სუზე, იუზბაშის ტომისა; კურმანლუ ველის ჯამაათი შერეფადღინის ტომიდან, იუზბაშის ჯამაათისა; შერეფადღინის ჯამაათი, აღმართული კარა სუსთან; ყიშლადი მეჰმედ ყელისა, აღმართული კირმანლუზე შერეფედღინის ტომიდან; ყიშლადი ლატიფლისა, შერეფედღინის ტომისა; ყიშლადი შაჰბუდაქისა აღმართული ლატიფ შერეფედღინის ტომის მიერ, აღნიშნული რეაია ათი წელია განციდიან კაზაკთა შვეიწროებას, ამის შემდეგ ლატიფის ტერიტორიაზე დამკვიდრდნენ. კაზაკთა ჯამაათს გამოეყვნენ. უშურსა და სხვა ვალდებულებებს თიმურჯი ჰასანლუს უხდიდნენ; ჯამაათი თიმურჯი ჰანანლუსი, მუსა ადას ყიშლადში; ნაზარლუს დასახლება; ბაკალ მეჰმედის დასახლება; ყიშლადი მეჰმედისა, ექვემდებარება ქეფენქჩის ტომს; ქეფენქჩის ჯამაათი ისჰაკლის ყიშლადში; ყიშლადი ილკაჯი ოუსუფისა, ქეფენქჩის ტომიდან; ყიშლადი ქეთხუდალისა, ქეფენქჩის ტომიდან; ყიშლადი ჰაჯი სალეჰისა, ქეფენქჩის ტომიდან; ყიშლადი ჯაფარისა, ქეფენქჩის ტომიდან; აჰმედის დასახლება, ქეფენქჩის ტომი; ახულკასიმის ყიშლადი ქეფენქჩის ტომიდან; ჯაი ველის ყიშლადი, ქეფენქჩის ტომიდან; თებჰი ველის დასახლება, სიბი ველის ყიშლადში ქეფენქჩის ტომიდან; ქეფენქჩის ტომის კაბაჯ ოღლის ყიშლადი; ყიშლადი დურაჰლისა, ახლოსა ქეფენქჩის ტომის რიზას დასახლებასთან; ჯამაათი მუკაბაი, აღმართული ქეფენქჩიზე;

ყიშლადი კარა ოქსუზისა, აღმართული მუკლიბანთან, ისინი ქეფენქჩის ტომისანი არიან; ჯამათი ბაი აჰმედისა; ყიშლადი მუსა ადა ბირადერი, იუზბაშის ტომისა; საჰაკლის დასახლება, მუსა ადას ყიშლადში; ყიშლადი აბდოლაჰ ადა იუზბაშის ძისა, იუზბაშის ტომიდან; სარი საბუნჯის ჯამათი; ბიალლუს ჯამათი; თემურლუს ჯამათი, აღმართული ქაფანქჩისთან, ექემდებარება იუზბაშის და სხვ.¹

დემურჩი ასანლუ 1770 წელს ქართლ-კახეთის მოსახლეობის შესახებ არსებულ დემოგრაფიულ ნუსხაშიც არის დასახლებული, სადაც იმ დროს 1000 კომლი იყო გაერთიანებული. მათი ნაწილი სხვა მხარეებში ყოფილა გაფანტული.

„ქ. არს თათარი. დემურჩი ასანლუ ერთი სასულთნო. და ამისი ოიმაღები კომლი ათასი. ამისი მრავალი დაფანტულია. სხვას ქვეყნებში მისულან და ხიზნათ დგანან“.²

მოგვიანებით, როდესაც ერეკლემ ქართლ-კახეთი ბატონიშვილებს საუფლისწულოებად გაუნაწილა, დემურჩი ასანლუ ფარნაოზ ბატონიშვილის მფლობელობაში გადავიდა. ამის შესახებ წერს იოანე ბატონიშვილი თავის „ქართლ-კახეთის აღწერაში“. გარდა საგამგეოსი, იოანე ასახელებს იმ სოფლებსაც, რომლებიც ფარნაოზ ბატონიშვილს საკუთარ მფლობელობაში გადაეცა: „დემურჩასანი თვს ეყოდა ფარნაოზს სოფლები ესე: ქოსალუ, ქემელი, ქაფანაქჩი, ყარაქემელი, ნაზარლი, ილმაზლი“.³

1800 წელს გიორგი XII-მ (1798-1800 წწ.) დემურჩი ასანლუს „სულთნად“ მოჰამედ ადა აჰმედი დაადგინა. ბრძანებაში იქვე ნახვასმით აღნიშნავს, რომ იგი ვალდებულია კეთილსინდისიერად

¹ 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. II, გვ. 221-262.

² დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ქვემო ქართლი, გვ. 111; ვ. გამრეკელი, ზ. ცქიტიშვილი, 1770 წლის 5 აპრილის დემოგრაფიული ნუსხა, გვ. 153.

³ იოანე ბაგრატიონი, ქართლ-კახეთის აღწერა, გვ. 61.

შეაგროვოს გადასახადები და მოსახლეობასაც კარგად მოეპყროს. მოსახლეობას კი, თავის მხრივ, ევალებოდა, რომ ახალ „სულთანს“ დამორჩილებოდნენ და „სცნონ მისი სიტყვა და რჩევა“.

„გამოვიდა მაღალი ბრძანებულება, მასზე, რომ გულწრფელობის ნიშნით აღჭურვილი, მაღალადგილოვანი მოჰამედ-ალა აჰმედ სულთანისადმი მაღალი კეთილგანწყობილების გამო, მისთვის დემურჩიჰასანლუს მთელი მოსახლეობის უფროსობა და სულთნობის თანამდებობა გვიბოძებია და გვიწყალობებია. გვიბრძანებია, რომ [მან] სამართლიანად და გულწრფელად იმსახუროს ზემოხსენებულ ელებში და სამსახურში დღითიდღე გულწრფელობა გამოამჟღავნოს, რათა ორივე მხრიდან შედეგი კარგი იყოს. თოუჯეჰათის, თახსისათის და ჰავალეჯათის¹ შეგროვებას სერიოზულად და რაც შეიძლება გაწონასწორებულად მოეკიდოს და უნდა გამოჩნდეს, რომ იმ მოსახლეობას იმდაგვარად მოეპყრობა, რომ მისი ქცევით ყველა კმაყოფილი და მადლობელი დარჩება. დადგენილია, რომ მთლიანად დემურჩი ჰასანლუს საზოგადოების აღებმა, რაიათებმა, რიშეფიდებმა და მოსახლეობამ მაღალადგილოვანი მოჰამედ სულთანი თავის უფროსად და სულთნად სცნონ და ხსენებულის სიტყვას და რჩევას, რომელიც მაღალი ვექილების დივანის დაწერილის შესაბამისი იქნება, წინააღმდეგობა და ურჩობა გაუწიონ. თუ ვინმემ შეავიწროვა [მათ უწყობდნენ ამაზე] მაღალი ვექილების აზრი...“²

ისევე, როგორც სხვა „სასულთნობის“ და სახანობის“ შემთხვევაში, „სულთანი“ აქაც მცირე უფლებებით სარგებლობს, მისი უფლებები ნომინალურია, „სასულთნოს“ საკითხებზე მეფესთან მის მიერ დადგენილი მოურავია ვალდებულია.

¹ თოუჯეჰათი, თახსისათი და ჰავალეჯათი ირანის სახელმწიფოში არსებული გადასახადის სახეობებია.

² აღმოსავლეთ საქართველოს მეფეების, ბატონიშვილების და ხანების მიერ გაცემული სპარსული საბუთები, გვ. 54.

ქვემო ქართლში დასახლებული სხვა ტომები

ქართლის საზღვრებში არსებული თურქმანული ელის „სახანოებისა“ და „სასულთნოების“ გარდა, არსებობდა კიდევ სხვა ტომებიც, რომელნიც ზოგი ზემოთ დასახლებული ტომებისგან, ზოგიც გვიან იყო ჩამოსული. ისინი უმეტესაც სახასოდ ითვლებოდნენ.

ქართლის საზღვრებში, შემოსახლებული თურქმანულ-ყიზილბაშური ტომების გამრავლება და დანაწევრება მათ გადაადგილებასაც იწვევდა. ისინი სახლდებოდნენ არა მარტო სამხრეთის პროვინციებში, არამედ, შედარებით ჩრდილოეთითაც მოიწვედნენ და ქართული მოსახლეობისგან დაცლილ მხარეებს იკავებდნენ.

XVII საუკუნის I მეთხედვიდან XVIII საუკუნის დასაწყისამდე „ამ ხალხს გადაულახავს პირველად მიჩენილი საზღვრები და დაუპყრია ახალი ადგილები. დასავლეთით ისინი გადასულან სომხითში და მისულან შულავერამდე, ერთ მათგანს (ნასიბლუ) დმანისის ხეობამდეც მიუღწევია. განსაკუთრებით ისინი გაწეულან ჩრდილოეთით ქციის ხეობაში და აღმოსავლეთისაკენ ალკეთში. უკანასკნელ შემთხვევაში გასულან მტკვრის გაღმაც, ე.ი. მოკიდებიან ლილოების სამხრეთის და ყარაიის მიწას, სადაც უფრო კარგი საძოვარი ადგილები და სარწყავი რუებიც იყო გაყვანილი“.¹

ელების გადაადგილება XVIII საუკუნეშიც გრძელდებოდა, რის შედეგადაც ქვემო ქართლის სხვადასხვა მხარეში ბევრი მათი სოფელი ყალიბდებოდა. მათ შორის სომხითში: ღურღაი იმირასან, ქეშალუ² (ქოჩულო), სარაჯლუ.³ ამათ გარდა, სომხითშივე ყოფილან

¹ იას. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი XVIII საუკუნის პირველ მეთხედვიში, ნაწილი I და II, გვ. 249.

² დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ქვემო ქართლი, გვ. 110.

³ იას. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი XVIII საუკუნის პირველ მეთხედვიში, ნაწილი I და II, გვ. 247-248.

„ელის კაცნი“, რომელთაც სამეფო ფულადი გადასახადი ეკისრებოდათ. ამათი სახელები დღეს სოფლებს შემორჩენიათ, ესენია: მოლა ბაბაოლი (მოლაოლი, ფოლადაურის ხეში), მუდანლუ, ზარგარი და ქაფანქი (ბოლნის-ქაფანქი).¹

შაჰ სეფი (1629-1642 წწ.) თბილისთან დაასახლა სეიდების ტომი, მოგვიანებით ამიტომ ეწოდებოდა თბილისის ერთ-ერთ უბანს სეიდაბადი. „აქა დასხნა შასეფიმ სეიდნი, მის გამო სპარსნი უწოდებენ სეიდაბადს“. ამ უბანში „ყოფილან ეკლესიანი დიდშენნი, არამედ აწ შემუსრვილნი არიან“.² სეიდაბადი, ადრე სოფელი, თბილისი იყო. ვახუშტიც თბილისის გეგმაზე აღნიშნავს ორი სახელით, „სეიდაბადი ან ტფილისი“. ეს არის დღევანდელი ახანოთუბნის და მიმდებარე ტერიტორია, იქამდე, სადაც დღეს 300 არაველის ობელისკი დგას.³

ქვემო ქართლში განსახლებული კიდევ ერთი ტომი იყო ფახრალი. 1778 წელს ერეკლე მეფის მიერ შიომ არღუთაშვილისთვის მიცემულ წყალობის წიგნში აღნიშნულია, რომ „...ფახრალი ელი საქართველოს მიწაწყლიდან აყრილიყო და განჯას მისულიყო და იქ დამდგარიყო, კარგა ხანი იქ დაეყვნათ. თქვენ დიდად გაისარჯენით და მრავლის ცდით ეცადენით და განჯიდან ჩვენის დასტურით და ნებით ფახრალი ელი საქართველოს მიწაში მოასხით... ჩვენც წყალობა გიქმენით და საყმოდ თქვენვე გიბოძეთო“.⁴ ამ სახელწოდების სოფელი ახლა ტალავრის ხეშია, მაშავრის მარჯვენა შენაკადზე.⁵ XVIII საუკუნის ბოლოდან ჩანს სადაჰლუს ელიც.⁶

სოფელ სარვანში მოსახლეობის ნაწილი შამშადილოდან ყო-

¹ დასტურლამალი, გვ. 562-563.

² ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 334.

³ თ. კვიციანი, ძველთბილისური დასახლებანი, თბ., 1985, გვ. 79; თ. ბერიძე, ძველი თბილისის გარეუბნების ისტორია, თბ., 1977, გვ. 73-74.

⁴ სცსა. ფ. 1450, დავთ. 20. საბ. 47.

⁵ ფახრალის დღეს ძველი სახელი აღდგენილი აქვს. სოფ. ტალავერი ბოლნისის მუნიციპალიტეტში მდებარეობს.

⁶ აღმოსავლეთ საქართველოს მეფეების, ბატონიშვილების და ხანების მიერ გაცემული სპარსული საბუთები, გვ. 23.

ფილა გადასული. ეს ჩანს 1802 წლის წყალობის საბუთიდან, როდესაც დავით ბატონიშვილმა დათუა ვოსტამაბიშვილს თავისი სამოურაო ყმები უბოძა. იქვე აღნიშნულია, რომ ეს ყმები თავის დროზე შამშადილოდან ჰყოლია მოყვანილი. სარვანი XVIII საუკუნის ბოლოს დასახლებულა, „...ვიბოძეთ შენ, ვოსტამაბიშვილს დათუას სარვანში ჩვენი ყმანი სამოურაოდ დელიალიას დისწულები და რაც შამშადილოდამ მოყვანილნი, რამდენი კვამლნიც არიან, ისინი სრულად შენთვის ვეობოძებია სამოურაოდ...“¹

ღმანისის ხევში ერთი სოფელი ყოფილა ნასიბლუ,² შემდეგ გამრავლებულა და რამდენიმე სოფლად ჩამოყალიბდა (ჰამაძლუ, საფარლუ, მამიშლუ...)³ ქციის ხევში: ავლაგარი, ნაჯბადინლუ, ქოლაგირი, არუხლუ.⁴ ალგეთში: სარვანი, ამირნასაღლუ, ქაფანაქჩი, ქოსალო. ხოლო მტკვრის ვადმა, დემურჩი ასანლუს „სასულთნოდან“ შემორჩა სოფლის სახელი დემურჩიასანლუ.⁵

გარდა იმისა, რომ ეს ტომები თავისით იკავებდნენ ქართველებისგან დაცლილ ადგილებს, პროცესს ხელს უწყობდნენ მეფე და დიდებულებიც. ითვლებოდა, რომ დაცლილი და მეურნეობისთვის განვითარებისთვის საჭირო ადგილები თუ მოშენდებოდა (რადგან ფიზიკურად განადგურებული ქართველი იმდენი ადარ იყო) ერთგული, თუნდაც უცხო მომთაბარეებით, ამით სახელმწიფოს სამხრეთი უკეთ დაცულიც იქნებოდა და შემოსავლებიც საკმაოდ გაიზრდებოდა. საერთო ჯამში, XVIII საუკუნის ბოლოს სახელმწიფო შემოსავლები ელ-

¹ საქართველოს სიძველენი, ტ. I, გვ. 471.

² იას. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, ნაწილი I და II, გვ. 247.

³ ლ. მუსხელიშვილი, არქეოლოგიური ექსკურსიები, თბ., 1941, გვ. 52-53.

⁴ იას. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, ნაწილი I და II, გვ. 247.

⁵ იას. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, ნაწილი I და II, გვ. 247-249.

ით დასახლებული მხარეებიდან 35000 მანეთს შეადგენდა (ქვეყნის მთლიანი ბოუჯეტი 400 ათასი მანეთი იყო), ამას ემატება იქ მცხოვრები სამეფო ყმებიდან, იქ არსებული საბაჟოებიდან, ხელოსნებიდან, ჯარიმების შემოსავლებიდან აკრეფილი შემოსავლები.¹

სწორედ ამ მოვლენებს უკავშირდება ის, რომ XVIII საუკუნეში ერეკლე II-მ გაუკაცრიელებული მიწების შევსება იმ დროისთვის სამეფო კარისთვის სანდო, ოღონდაც ეთნიკურად არაქართველების მეშვეობით სცადა.

XVIII საუკუნის შუა წლებში ერეკლე II-მ მულანის ველიდან სპარსელებისაგან შევიწროებული 250 თურქმანული ოჯახი გადმოასახლა, მათგან შეიქმნა სოფლები: მულანო, ყაფანახჩი და ყიზილ-ჯილი, რომლებიც დღეს მარნეულის მუნიციპალიტეტში მდებარეობს. ქართლ-კახეთის მეფე მუღმივად აკვირდებოდა ჩამოსულებს და მათ ქვეყნიდან წასვლის საშუალებას არ აძლევდა. 1755 წელს უკან დაბრუნა ერევნის სახანოსა და ყარა სუზე გადასახლებული ბორჩალოში მცხოვრები სხვადასხვა ტომი.²

1756 წელს ახალციხეში საიალაოდ მდგომმა ელებმა ირანში წასვლა გადაწყვიტეს. მათ ყაზახის მომთაბარეებმაც აუბეს მხარი. ამ გადაწყვეტილებაში მათ ისიც დაეხმარა, რომ ლეკები მათ სადგომებს მუღმივად ესხმოდნენ თავს, სტაცებდნენ პირუტყვს და ხალხს. პაპუნა ორბელიანის სიტყვებით – „საქართველოს ელები ერთად, რომელნი იდგნენ ოსმალოს ქვეყანასა, დაღვეს პირი და ფიცი, „ნულარ მივალთ საქართველოში, ნულარ ვემსახურებით ქართველ ბატონსაო, წავიდეთ ერანის ქვეყანაშიო“, აიყარა ყაზახის ხანიც...“, თეიმურაზ მეფემ სასწრაფო ზომები მიიღო, მათ ყაიყულში დაეწია და დემურჩი ასანლუსა და ბაიდარის „სასულთნობის“ ქეთხულებისგან ერთგულე-

¹ ა. თაბუაშვილი, ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოღერნიზაციისათვის, გვ. 112.

² ლ. ჯანიაშვილი, აზერბაიჯანელები, წიგნი.: „ეთნოსები საქართველოში“, საქართველოს სახალხო დამცველის ბიბლიოთეკა, გამოსაცემად მომზადებულია საქართველოს სახალხო დამცველთან არსებული ტოლერანტობის ცენტრის მიერ, თბ., 2008, გვ. 113.

ბის პირობა აიღო, უკან დააბრუნა და განდგომილი ელების მეთაურებიდან მძევლები აიყვანა. ასევე, ახალციხის ფაშისთვის მიყენებულ ზარალიც აანაზღაურებინა.¹ 1760 წელს ფანა ხანის დამარცხების შემდეგ ერეკლემ ყარაბაღსა და ნახიჭევანში გადასახლებულთა დასაბრუნებლად ჯარი გააგზავნა, აყრევინა ისინი და უკან დააბრუნა. მოგვიანებით ქვემო ქართლის ელების ერთი ნაწილი, თარაქაძეები, ალიბეგმა გადაიბირა ახალციხის საფაშოში დასასახლებლად.²

ამ დროიდან უკვე ხშირი იყო მესხეთში მომთაბარე თურქმანი ელის გადასვლა და იქ დადგომა. თურქმანული ელები ხშირად გადადიოდნენ ახალციხეში და იქვე სახლდებოდნენ. მესხეთში ადგილობრივი ფაშა მათ მესაქონლეობისთვის და საგადასახადო საკითხებში ხელსაყრელ პირობებს სთავაზობდა. ელის ნაწილი რჩებოდა, ხოლო ზოგიერთის უკან დაბრუნებაზე მეფეს უამრავი ბრძანების, თხოვნისა და ძალისხმევის გამოყენება უხდებოდა.

1799 წელს გიორგი XII ყარსში გადასულ ელების ხელმძღვანელობას, მაჰმუდ ალას და სოლეიმან ალას, უბრძანებს, „რომ ისინი დაბრუნდნენ საქართველოში და არაფრის ჯავრი არ ჰქონდეთ“.³

1800 წელს გიორგი XII-მ ბრძანება გამოსცა. მასში აღწერილია, რომ მეფე ახალციხეში გადასულ სარაჯლუს ტომის ქეთხულებს უბრძანებდა, თავიანთ ადრინდელ საცხოვრებელ ადგილზე დაბრუნებულიყვნენ.⁴ სარაჯლუს საკმაოდ მრავალრიცხოვანი ტომის დაბრუნებაზე გიორგი XII-ის გამოცემული რამდენიმე ბრძანებაა შემორჩენილი. მეფემ ამ საკითხის უზრუნველყოფა თავის მოხელეს ალექსანდრე

¹ პაპუნა ორბელიანი, ამბავნი ქართლისანი, გვ. 241-242; ამ ფაქტს ომან ხერხეულიძე 1755 წლის ოქტომბრით ათარიღებს. იხ. ომან ხერხეულიძე, მეფობა ირაკლი მეორისა, 1989, გვ. 45.

² ლ. ჯანიაშვილი, აზურბაიჯანელები, გვ. 113.

³ აღმოსავლეთ საქართველოს მეფეების, ბატონიშვილების და ხანების მიერ გაცემული სპარსული საბუთები, გვ. 18-19.

⁴ აღმოსავლეთ საქართველოს მეფეების, ბატონიშვილების და ხანების მიერ გაცემული სპარსული საბუთები, გვ. 19.

ჭავჭავაძეს დაავალა, „შეუგროვოს ჯემშიდს¹ სარაჯლუ და ჩამოიყვანოს მეფის სახასო ტერიტორიაზე და ჩააბაროს ჯემშიდს“.²

ასევე, კიდევ ერთ წერილში, რომელიც სარაჯლუს ქეთხუდას იხმაილ ადას მისამართით არის დაწერილი „იხმაილ-ადას ებრძანება, რომ წამოიყვანოს სარაჯლუ იეჯადადის სამასი კომლი და დაასახლოს თავის ძველ (მკვიდრ) ყიშლალში, ამიერიდან ამ ტომთა და დედოფლის მამულებში მოსახლე ხალხთან სხვას არავის არ ექნება ხელი“.³

ქართლ-კახეთის მეფე ვიორგი XII ელების უკან დაბრუნების საქმეში ოსმალეთის სულთანსაც სთხოვდა დახმარებას. ფორმალურად სულთანს უფლება არ ჰქონდა ქართველი მეფის კანონიერი მთხოვნა არ დაეკმაყოფილებინა, ამიტომ თარაქამები ქართლის საზღვრის გაყოლებით დაასახლა.⁴

* * *

რაც შეეხება ამ ტომების რიცხოვნობას, მათი მიახლოებითი რაოდენობა შეიძლება გამოვარკვიოთ 1770 წლის დემოგრაფიული ნუსხის მიხედვით, სადაც, ქართლისა და კახეთის მოსახლეობა მხარეების მიხედვით არის ჩამოთვლილი. ცნობები დაცულია იმდროინდელი ქვემო ქართლის შესახებაც. თურქმანულ ტომების „სახანოები“ და „სასულთნოები“ ერთად არის ჩამოთვლილი და ყველა მათგანს ახლავს შენიშვნა, რომ ამათგან მრავალი გაუანტულია და დღეს სხვა ქვეყნებშია ხიზნად წასული.⁵

¹ იგულისხმება ყარაბაღიდან დევნილი და ქართლ-კახეთს შეფარებული მედიქი ჯემშიდი, რომელსაც უნდა დამორჩილებოდა ეს ტომი (იხ, ზემოთ).

² აღმოსავლეთ საქართველოს მეფეების, ბატონიშვილების და ხანების მიერ გაცემული სპარსული საბუთები, გვ. 59.

³ აღმოსავლეთ საქართველოს მეფეების, ბატონიშვილების და ხანების მიერ გაცემული სპარსული საბუთები, გვ. 20.

⁴ ლ. ჯანიაშვილი, აზერბაიჯანელები, გვ. 113.

⁵ იხ. ვ. გამრეკელი, ზ. ციტიშვილი, 1770 წლის 5 აპრილის დემოგრაფიული ნუსხა, გვ. 144-155.

თუმცა დოკუმენტის სანდოობა სხვადასხვა მიზეზთა გამო მაინც არ არის ბოლომდე დადასტურებული. მასში ეჭვი გამომცემლებსაც შეაქვთ. უბირველესად იმის გამო, რომ 1770 წელს მოსახლეობის აღწერა არ ჩატარებულა. საქართველოში მიღებული წესის მიხედვით, აღწერა შვიდ წელიწადში ერთხელ ტარდებოდა, ამას დასტურებს ჩვენამდე მოღწეული 1774 და 1781 წლებში ჩატარებული აღწერების დავთრების ნაწილებიც. შესაბამისად, როგორც 1770 წლის დემოგრაფიული ნუსხის გამომცემლები აღნიშნავენ, „წინარე აღწერა უნდა ჩატარებულიყო 1767 წელს. ან მის მომიჯნავე წელს“.¹ ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ ქართლის ზოგიერთ მხარეში მეფის მიერ აღწერა სხვადასხვა ინტერვალთ, მაგ., 3 წელიწადში ერთხელ (ელის მოსახლეობაში) ანდა საერთოდ არ ტარდებოდა, რადგან მათ მფლობელ ფეოდალებს გარკვეული იმუნიტეტი გააჩნდათ.² შესაბამისად, აღნიშნული დემოგრაფიული ნუსხა არ უნდა წარმოადგენდეს აღწერის მიხედვით დაჯამებულ ციფრებს. ამ მოსაზრებას ამყარებს ისიც, რომ ციფრები წარმოდგენილია დამრგვალებული სახით.³

როგორც პროფ. დევი ბერძენიშვილი შენიშნავს, საინტერესოა, რომ ამ ძირითად მომთაბარე თურქმანული ტომებით დასახლებულ მხარეებში სომხური მოსახლეობის კომპაქტური ჯგუფებიც ჩანს. მას მოხმობილი აქვს 1770 წლის დემოგრაფიული ნუსხის ცნობები: „ქ. არს თათარი. დემურჩი ასანლუ ერთი სასულთნო. და ამისი ოიმაღები

¹ ვ. გამრეკელი, ზ. ცქიტიშვილი, 1770 წლის 5 აპრილის დემოგრაფიული ნუსხა, გვ. 149.

² მაგალითად მელიქის მამული აუწერელი იყო. დასტურლამალის მიხედვით, „როდესაც ქართლი აწერილა და ან აიწერების, ამ წესით უნდა აიწერებოდეს: ფაიყულიდამ შემოყოლებით თათარსა და მელიქის საულლარს გარდა...“ (დასტურლამალი, გვ. 515).

³ ვ. გამრეკელი, ზ. ცქიტიშვილი, 1770 წლის 5 აპრილის დემოგრაფიული ნუსხა, გვ. 149.

კომლი ათასი: ამისი მრავალი დაფანტულია... არს ბაიდარი ერთი სასულთნო... ახლა რომ არის კომლი ორასი. არს ბორჩალი და ფამბაკის ჳეობა ერთი მთელი სახანო... და ახლა არის ორი ათას ხუთას სამოცი სომხით. არს ყაზახი ერთი მთელი სახანო... არის თათარი სამი ათას ხუთასი. სომეხიც არის ყაზახისა ათას ორასი. არს შამშადილუ ერთი მთელი სახანო, ამაში მკვიდრობს თათარი ორი ათას ორასი. სომეხიც არის ათას ორასი“.¹

ქვემო ქართლის ქართველებით დასახლებული მხარეების ნაწილი ამ ნუსხაში კომლობრივად ჩამოთვლილი არ არის. თრიალეთსა და ყაიყულზე ნათქვამია, რომ ისინი აოხრებულია და „უმკვიდრო ქმნილი“, აოხრებულია ტაშირიც, სომხითიც და საბარათიანოც. ამ ნუსხის მიხედვით, სომხითში ორმოციდან, საბარათიანოში კი ასიდან ერთი კაცია დარჩენილი და ისინიც ერთმანეთში არიან ხიზნადო. მიუხედავად ასეთი ვითარებისა, ყაიყულს, ტაშირსა და თრიალეთს სულ გაუკაცრიელებულად ვერ წარმოვიგენთ.² ამის დასტურად თუნდაც XVIII საუკუნის მეორე ნახევრის ცნობილი გერმანელი მეცნიერისა და მოგზაურის, იოჰან ანტონ გოულდენშტედტის, ცნობაც საკმარისია. იგი აღნიშნავს, რომ ამ მხარეში არის თურქულ-სომხურ-ქართული მოსახლეობა და რომ ეს უკანასკნელი აქ უმცირესობაა.³

ელის მოსახლეობის საერთო რიცხვი ყველაზე უკეთესად დანარჩენი ქართლ-კახეთის მოსახლეობასთან შედარებულ ციფრებში

¹ დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ქვემო ქართლი, გვ. 111; ვ. გამრეკელი, ზ. ცქიტიშვილი, 1770 წლის 5 აპრილის დემოგრაფიული ნუსხა, გვ. 150-151, 153.

² დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ქვემო ქართლი, გვ. 111; ვ. გამრეკელი, ზ. ცქიტიშვილი, 1770 წლის 5 აპრილის დემოგრაფიული ნუსხა, გვ. 150-151, 153-154.

³ გოულდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, გერმანული ტექსტი ქართული თარგმანითურთ გამოსცა და გამოკლევა დაურთო ვია გელაშვილმა, ტ. I, თბ., 1962, გვ. 239, 246.

აპოლონ თაბუაშვილის ნაშრომშია წარმოდგენილი. სხვადასხვა დოკუმენტურ მასალაზე დაყრდნობით დაჯამებული ციფრები დაახლოებით ასე გამოიყურება: ქართლ-კახეთის მთლიანი მოსახლეობა იმ დროს 45 ათასი კომლი ყოფილა. აქედან 2000 კომლი (4%) თავადები და აზნაურები იყვნენ; 1100 კომლი (3%) ვაჭარი ცხოვრობდა; ქალაქების მოსახლეობა 6000 კომლს (13%) უდრიდა; ქართლ-კახეთის ბარში მცხოვრები ინსტენსიური მეურნეობის მწარმოებელი მოსახლეობა 14000 კომლი (31%); მთაში მცხოვრებნი 10000 (22%); ქართლ-კახეთის ბარში მცხოვრები ელი მოსახლეობა 2000 (5%); ხოლო ყაზახი, ბორჩალო, შამშადილო, ელისა და სომხების ჩათვლით სულ 10000 კომლი (22%) იყო.¹

ამ რთული პროცესების შესახებ პროფ. დევი ბერძენიშვილი აღნიშნავს, რომ ნათელია „თუ რა რთულ პირობებში უწევდა საქართველოს ამ ქვეყნის შენარჩუნება. XV საუკუნის მიწურულისათვის ნახევარი უკვე დაკარგული იყო სწორედ ერთიანი, ქართული მოსახლეობის იქ არარსებობის გამო. მეორე ნახევარიც ეთნიკურად ისე აჭრელდა, რომ სულხან-საბა მისი სახელი თვალსაჩინო მაგალითად მოიყვანა: „ერანი – შეწყობილად იწოდების... ანუ მრავალ ერად შეკრებულად. ამის ძალითაცა სომხითს ერანად უწოდენ მრავალგვარობისათვის და მრავალთესლობისა“.²

¹ ა. თაბუაშვილი, ერეკლე მეორის ეკონომიკური კონცეფციები და რეფორმები ქვეყნის მმართველობის მოდერნიზაციისათვის, გვ. 100.

² დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ქვემო ქართლი, გვ. 114; სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი ქართული, I, ავტორგრაფული ნუსხების მიხედვით მოამზადა, გამოკვლევა და განმარტებათა ლექსიკონის საძიებელი დაურთო ილია აბულაძემ, თბ., 1991. 239-240.

ქვემო ქართლში მიწისმფლობელობის წესის შეცვლის უშუალო მცდელობა – სოიურღალის საკითხი

სოიურღალი, აღმოსავლეთის ქვეყნებში მიწისმფლობელობის ფორმას წარმოადგენდა, რაც იმას გულისხმობდა, რომ ფეოდალს გარკვეულ ტერიტორიაზე მიწის ძირითადი გადასახადისა და სხვა გამოსაღებების თავის სასარგებლოდ აკრეფა „წყალობად“ ეძლეოდა.¹ სოიურღალად შეიძლება გადაცემულიყო, როგორც მთელი მხარე, ისე რამდენიმე სოფელიც.²

„სოიურღალი“ მონღოლური წარმოშობის სიტყვაა, და ყოველგვარ შეწყალებას ნიშნავს. იგი მსხვილ ტერიტორიულ ერთეულს ქმნიდა, რომლის მფლობელი (ჩვეულებრივ მომთაბარე ტომთა ამირა) აღჭურვილი იყო ადმინისტრაციული, საგადასახადო და სასამართლო იმუნიტეტით.³

„დასტურლამალში“ მოხსენიებული „მელიქის საულღარში“,

¹ ქართულ-სპარსული ისტორიული საბუთები, გვ. 480.

² მაგალითად, 1660 წელს შაჰ აბას II-მ (1642-1666 წწ.) ელიზბარ სოლალაშვილს სოიურღალის წესით რამდენიმე სოფელი უბოძა. სპეციალური ფირმანში აღნიშნულია, რომ ელიზბარმა „...ითხოვა, რომელიც სამკვიდრო და მოგებულა მოხსენებულისა სოფელი კუმისი, სოფელი მონასტერი, სოფელი ლოუბანი, სოფელი ტაგნაგეთი, სოფელი ასურეთი და სოფელი ჰალა სიურლოლ-აბადად და ექსან-სარმადად ვუწყალობეთ“. შაჰი იქვე ქართლის მეფე ვახტანგ V შაჰნავაზს (1658-1675 წწ.) მიმართავდა, რომ „მოხსენებულს (ელიზბარს – ა.ბ.) მიანებოს სახელმწიფო გადასახადები და მიანიჭოს დახმარება და კეთილმოწყობა, რაც კი საჭირო იქნეს“ (იხ. მ. ხუბუა, საქართველოს მუზეუმის სპარსული ფირმანები და პოქები, გვ. 14). სხვა წყაროებით დასტურდება, რომ ელიზბარი XVII საუკუნის შუა ნაწილში, ქართლში, ერთი მსხვილი ფეოდალი, სოლალაშვილების სათავედ სახლის უფროსი, ოხიაყორში ანუ საჯინიბოს გამგე და ბოქალთუხუცესი იყო. ელიზბარი შაჰთან დაახლოებულია რიცხვში ითვლებოდა, მას შაჰის კარზე მულარბის და მუსაიბის თანამდებობაც ეკავა (იხ. ალ. ბოშიშვილი, ქართული ფეოდალური საგვარეულოების ისტორიიდან სოლალაშვილები, თბ., 2012, გვ. 29-31).

³ ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში, გვ. 173.

ნაგულისხმევი უნდა იყოს ის ქვეყანა (სამელიქო მთლიანად თუ არა, მისი გარკვეული ნაწილი მაინც), რომლის სრული საგადასახადო, ადმინისტრაციული და სასამართლო იმუნიტეტით სარგებლობდა. მე-ლიქის ამგვარი შეუვალაობა ირანის შაჰის „წყალობა“ იყო. ამიტომ ამ თვალსაზრისით ვასაგებია, თუ რატომ ეწოდება მელიქის მამულს „საულლარი“. შაჰი ქვემო ქართლში სამელიქოსა და „სახანოების“ შექმნით არა მარტო მიწების მიტაცებას, არამედ ქართული მიწისმფლობელობის მოშლას და ირანული მიწისმფლობელობის შემოღებასაც შეეცადა.

როგორც პროფ. ვალერიან გაბაშვილი აღნიშნავს, შაჰისთვის „საუკეთესო ვარიანტი თიულის შემოღება იქნებოდა, მაგრამ ეს ქართულ საზოგადოებას ირანის წინააღმდეგ დარაზმავდა. სოიურდალად ქცეული ტერიტორია, რომელიც საქართველოს სახელმწიფო ორგანიზაციისაგან მხოლოდ თანდათან გათიშვის შესაძლებლობას იძლეოდა, უფრო კომპრომისული ხასიათის მატარებელი იყო. ამ მხრივ სოიურდალს დაახლოებით ისეთივე როლი უნდა შეესრულებინა, როგორსაც მონღოლთა ბატონობის ხანაში „ხასინჯუს“ ინსტიტუტი ასრულებდა“.¹

პროფ. ვალერიან გაბაშვილისავე განმარტებით, „სოიურდალი აღმოსავლეთის ქვეყნებისთვის დამახასიათებელი მიწისმფლობელობის წესია, მისი წინა ფორმა არის „იკტა“, რაც არაბულად ნიშნავს ჩამონაჭერს. იკტამ, სანამ სოიურდალად გადაიქცეოდა, განვითარების რამდენიმე ეტაპი გაიარა: „პირველ პერიოდში (IX-X სს.) იკტა გულისხმობდა მისი მფლობელის (არაბ. „მუკტა“, სპარს. „იკტადარი“) წილს მიწის შემოსავალში, მის უფლებას რენტა-ხარკის გადაკვეთილ წილზე; მეორე პერიოდში (XI-XIII სს.) სამხედრო სამსახურის პირობით ვაცემულ მიწას, რამაც საჭირო საფუძველი შეუქმნა სამხედ-

¹ ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში, გვ. 295.

რო-ლენური სისტემის ჩამოყალიბებას; მესამე პერიოდში (XIV-XV სს.) იკტა აღწევს განვითარების ახალ, უფრო მაღალ საფეხურს, რის გამოც სამხედრო ლენური სისტემა დასრულებულ სახეს იღებს და, ამასთან, ვითარდება ფეოდალური იმუნიტეტი¹.

„იკტას“ მფლობელობის დარღვევად ითვლებოდა მიწის დაუმუშავებლობა. იკტადარებს, როგორც წესი, მიწაც და ვლეხებიც მიწის დამუშავების პირობით ეძლეოდათ.² XV საუკუნეში იკტას განვითარების შედეგი იყო „სოიურღალის“ ინსტიტუტი, რომელიც მიწის ფეოდალური გასაკუთრების საერთო ტენდენციამ (ძთელს წინა აზიაში) გამოიწვია. სოიურღალისთვის დამახასიათებელი ხდება ადმინისტრაციული, საგადასახადო და სასამართლო იმუნიტეტი.³

აკად. ილია პეტრუშევსკიმ, რომელმაც „სოიურღალი“ სომხეთისა და აზერბაიჯანის მიწისმფლობელობასთან კავშირში შეისწავლა, ასეთი განსაზღვრება მოგვცა: „სოიურღალისთვის ყველაზე მეტად დამახასიათებელი ნიშნებია – მფლობელობის მემკვიდრეობითი ხასიათი და საგადასახადო იმუნიტეტი“.⁴

პროფ. ვალერიან გაბაშვილის აზრით, ქართული წყაროს ჩვენება, რომელიც „ქართველობის“ დროს სოიურღალის არსებობას აღნიშნავს, ერთადერთია და ამდენადვე მისი განზოგადების საკითხი სავსებით გამორიცხულია. ამასთან, ეტყობა, იგი ყალიბდება ვარკვეულ ისტორიულ ვითარებაში და გეოგრაფიულადაც მისი წარმოშობა მოულოდნელი არ არის იქ, სადაც ეს ირანული ფეოდალური ინსტიტუტი წარმოიშვა.⁵ სომხეთის მელიქი განსაკუთრებული პრივილეგიე-

¹ ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში, გვ. 164-165.

² ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში, გვ. 172.

³ ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში, გვ. 165.

⁴ И. П. Петрушевский, Очерки по истории феодальных отношений в Азербайджане и Армении в XVI-начале XIX вв., 1949.

⁵ ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში, გვ. 296.

ბით სარგებლობდა. იგი, ფაქტობრივად, გათავისუფლებული იყო ვალდებულებისგან. „დასტურლამალი“ ვკითხულობთ: „როდესაც ქართლი აწერილა და ან აიწერების, ამ წესით უნდა აიწერებოდეს: ყაიყულიდამ შემოყოლებით თათარსა და მელიქის საულდარს გარდა, სომხითს, ტაშირს, ყაიყულს, თრიალეთს და საბარათაშვილოში ამაზედ საბარათაშვილოს სარდალი წავა. ერთი მდივანი წავა, ასწერს და ღვეთარს დაიჭერს, მეფის მდივანი წავიღოდეს“.¹

ფეოდალურ საზოგადოებაში ქვეყნის აღწერა სამხედრო და ფისკალური მიზნით წარმოებდა. სამეფო კარის მიზანი იყო გაერკვია მოლაშქრეებისა და გადასახადების გადამხდელთა რაოდენობა. ხოლო ირანის შაჰისგან ქვემო ქართლში, მელიქისთვის მინიჭებული განსაკუთრებული პრივილეგიების გამო მისი მამული „დაუწერელი“ გახდა და თითქოს ქართლის მეფის დაქვემდებარებიდან გამოსულია, და ამას თვითონ ქართული კანონმდებლობაც აღნიშნავს („დასტურლამალი“).

მაგრამ, უნდა აღინიშნოს, რომ მეფე ვახტანგ VI-მ მოახერხა და გარკვეული ცვლილებები შეეტანა მელიქებთან დამოკიდებულებაში. მანამდე სრულიად განცალკევების გზაზე მდგარი სამელიქო, შეიძლება ითქვას, რომ ცენტრალურმა ხელისუფლებამ გარკვეულწილად დაიქვემდებარა და „დაუწერლობის“ მიუხედავად, სამელიქო სოფლების ნაწილი 1721 წლის ვახტანგ VI-ის ბრძანებით ჩატარებულ მეწინავე სადროშოს, ანუ ქვემო ქართლის აღწერაში შეიტანეს. 1721 წლის აღწერაში მელიქი ლევანი, მელიქიშვილები რევაზი, პაპუნა და პაპუნას ძმები მოიხსენიებიან.²

1721 წლის მეწინავე სადროშოს და საბარათაშვილოს აღწე-

¹ დასტურლამალი, გვ. 515.

² აღწერა მეწინავე დროშისა საბარათაშვილოსა და სომხითისა, შედგენილი ვახტანგ მეექვსის ბრძანებით ვახუშტი ბატონიშვილისა და გივი თუშანიშვილის მიერ 1721 წელს, მასლანი საქართველოს სტატისტიკური აღწერილობისა, ექ. თაყაიშვილის გამოც., თბ., 1907, გვ. 262-264.

რაში მელიქისა და მელიქიშვილების 45 კომლი, 2 ბოგანო და 6 აზნაურია შეტანილი. შესავალში აღნიშნულია, რომ აღწერაში ვერ მოხვდნენ სამხედრო სამსახურის და ბეგარის გამოღების ვერშემძლები კომლები.¹ სომხითის ყველა სოფელი ვერშემძლე ვერ იქნებოდა, მით უმეტეს, რომ ხოჯორნისა და ჭოჭკანის ხევის სოფლები ამ დროს დასახლებული იყო.² კარგად ჩანს, რომ მელიქის სხვა სოფლებს ქართლის მეფე ჯერ კიდევ ვერ ავალდებულებს. თუმცა არც მელიქს აქვს მოპოვებული, ბოლომდე „დაუწერელის“ უფლება.

მირიმანიძეების სოიურდალის წესით გადაცემული სამფლობელო, ანუ სომხითის მელიქის მამული, მუსლიმი მელიქით სათავეში, ქართლის სამეფოს შემადგენლობაში და ქართლის სამეფოს წინააღმდეგ ჩამოყალიბდა. პირველი მელიქის მირიმანის სახელის გამო მისი შთამომავლობა XVII-XVIII საუკუნეების საბუთებში მირიმანიძეებად ან მირიმანიშვილებად მოიხსენიებიან.³ მელიქობა სტაბილურად მამიდან შვილზე გადადიოდა. მელიქები იყვნენ, მირიმანი, ყორხმაზ I, ათაბეგი, ყორხმაზ II, ქამარბეგი და ავთანდილი. ავთანდილი უკვე ვასტანგ VI-ის მომხრე, და მისი ბრძანებების შემსრულებელი იყო.⁴ ხოლო ავთანდილის შემდეგ მელიქი მისი ბიძაშვილი, ლევანი, განდა. ავთანდილმა, როგორც ჩანს, იცოდა, რომ მის შემდეგ მისი შვილი კი არა, შეიძლება მისი სახლიკაცი გამხდარიყო მელიქი, ამიტომ 1710 წელს საბუთის გაცემისას აღნიშნავს, რომ „თუ მე ვარ მელიქი ან დღეის იქით ჩემი ნათესავი ვინმე მელიქად იყოს“, მაინც ვერ მოვიშალის ეს პირობაო.⁵

ლევანის დროს ქართლის მეფეებსა და მელიქს შორის ურ-

¹ აღწერა მეწინავე დროშისა საბარათაშვილოსა და სომხითისა, გვ. 262-264.

² დ. ბერძენიშვილი, ნარკვევები საქართველოს ისტორიული გეოგრაფიიდან, ქვემო ქართლი, გვ. 100; 1728 წლის თბილისის ვილაიეთის დიდი დავთარი, წ. II.

³ პირთა ანოტირებული ლექსიკონი, ტ. III, გვ. 180-189.

⁴ იხ. ალ. ბოშიშვილი, მელიქის სახელო საქართველოში.

⁵ ხეც. Sd 13173; ალ. ბოშიშვილი, მელიქის სახელო საქართველოში, გვ. 72-73.

თიერთობის ხასიათი შეიცვალა. მელიქებმა ირანიდან მხარდაჭერა საბოლოოდ დაკარგეს, ამიტომ მათთვის ისლამი პრიორიტეტს აღარ წარმოადგენდა. რადგანაც მირიმანიძეთათვის უფრო ხელსაყრელი ქართველი მეფის სამსახური იყო, მათ მალე მართლმადიდებლობა მიიღეს და ქართველ თავადთა რიცხვშიც ჩაირიცხნენ.¹

მელიქის მამულებზე საბოლოო და სრული კონტროლი XVIII საუკუნის II ნახევარში აღდგა. ამ მიმართულებით განსაკუთრებით აღსანიშნავია ქართლ-კახეთის მეფე ერეკლე II-ის ღონისძიებები. მისი მმართველობის პერიოდში ქართლ-კახეთში სომხთის მელიქის ინსტიტუტი, ფაქტობრივად აღარ არსებობს, იგი თავადი მელიქიშვილია.

1763 წელს მელიქიშვილის მამულში და მათ სამეაღესთან ახლოს ერეკლე II-მ ახტალის ვერცხლსადნობი ქარხანა დააარსა. მელიქიშვილები ცენტრალურ ხელისუფლებას წინააღმდეგობას ვეღარ უწევენ. პირიქით, მათ საკუთარი მამულები მეფეს დაუთმეს, რის სანაცვლოდაც მეფემ მელიქიშვილებს ქარხნების ზედამხედველობა და სომხთის მინბაშობა დააუვალა და შესაბამისი ხელფასიც დაუნიშნა.²

ამრიგად, ირანის შაჰის მიერ ქვემო ქართლში მიწისმფლობელობის შეცვლის მცდელობა უშედეგოდ დასრულდა, თვით მათი მომხრე მელიქიც, რომელიც ირანის საყრდენი და ხანი უნდა ყოფილიყო, საბოლოოდ, ქართველი თავადი გახდა.

¹ ალ. ბოშიშვილი, მელიქის სახელო საქართველოში, გვ. 73.

² ალ. ბოშიშვილი, მელიქის სახელო საქართველოში, გვ. 85-93.

სოციალური ურთიერთობები, მიწისმფლობელობა და მოსახლეობა

სადაც თურქმანული ტომები ცხოვრობდნენ, იქ, ბუნებრივია, ირანული მიწისმფლობელობის წესი დამკვიდრდა. მათი ძირითადი საქმიანობა მესაქონლეობა იყო, თუმცა ნაყოფიერი მიწების გამო XVIII საუკუნის II ნახევრიდან უკვე მკვიდრად დასახლებაც დაიწვეს.

ელის შემოჭრისა და აქ დამკვიდრების ცდა საქართველოში დაკავშირებული იყო მომთაბარე ხალხების შემოსევებთან. საქართველოში ელის ჩამოსახლება სეფიანთა დინასტიის შაჰების ერთ-ერთ მთავარ პოლიტიკად იქცა, რომლის მიზანი ქართული ფეოდალური მიწათმფლობელობისა და სახელმწიფოებრიობის მოსპობა იყო.¹

შაჰ აბას I-მა (1587-1629 წწ.) ელი დიდ მასებად ჩაასახლა მის მიერ გაუღებელი და ირანში გადასახლებული კახელების ადგილას. ქართულ ფეოდალურ საზოგადოებაში ფეხს იკიდებდა ნახევრად პატრიარქალური, ნახევრად ფეოდალური წყობის, ეთნიკურად უცხო სოციალური ძალა, რომლის ჩამორჩენილი ეკონომიკური ბაზა საქართველოს სამიწათმოქმედო მეურნეობის ინტენსიურ დარგებს საფუძველს აცლიდა და გადაგვარებით ემუქრებოდა, საფრთხე ემუქრებოდა ადვილობრივ, ქართულ, სოციალურ-პოლიტიკურ წყობილებას.²

ქართლში თურქმანული მოდემის ტომების დამკვიდრების შემდეგ ე.წ. ელის საკითხი აქტუალური გახდა საკანონმდებლო დონეზეც. ვახტანგ VI-ის მიერ შედგენილ ერთგვარ „კონსტიტუციაში“, „დასტურლამალში“, სპეციალური მუხლია „ელის დებულება“, სადაც ჩამოთვლილია ქართლისა და კახეთის თურქმანული თემები, რომლე-

¹ ვ. გაბაშვილი, ქართული ფეოდალური წყობილება XVI-XVII საუკუნეებში; ვ. ჩოჩიევი, ელი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. IV, გვ. 124.

² ვ. ჩოჩიევი, ელი, ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 4, გვ. 124.

ბიც ტომთა დაშლა-დანაწევრების შედეგად წარმოქმნილან, ესენია: ჰალაგარი, მულალუ, ამირხასლუ, ნაზარლუ, ყამარლუ, ნასიბლუ, ქეშალუ, არანლუ, ჰასანლუ, აჰმადლუ, ხიალუ და სხვ. ისინი ცენტრალურ და სამხრეთ ირანიდან შემოვიდნენ და აქედან მასობრივად გასახლებული და გაწყვეტილი ადგილობრივი მოსახლეობის ადგილებზე დაფუძნდნენ.

ვასტანგ VI-ის „დასტურლამალში“ საკანონმდებლო ნორმა „ელის დებულებით“ თურქმანული მოსახლეობის უფლება-მოვალეობებს განსაზღვრავდა. მისთვის სრულიად უცხო სამეურნეო და ფისკალურ სისტემასთან შეგუება მომთაბარე ელ მოსახლეობას ძალიან უჭირდა. ვასტანგ მეფე ცდილობდა საკანონმდებლო საფუძველი შეექმნა ქართულ სამეფოში მათი ინტეგრირებისათვის. თურქმანულ ტომთა მიგრაცია XVIII საუკუნეშიც გრძელდებოდა. აღმოსავლეთ საქართველოში ჩამოსახლდა ჰასანლუს ტომის ერთი ნაწილი. ისინი ძირითადად კახეთში (თელავთან 5 სოფელში) და ქვემო ქართლში (დღევანდელი მარნეულისა და გარდაბნის მუნიციპალიტეტები) დანაწილდნენ, ცხოვრობდნენ სოფ. ქესალოში, ყაფანახში, ილმაზუში, ნაზარლუსა და სარვანში.¹

საინტერესოა, რომ „დასტურლამალის“ მიხედვით, ქართლის აღწერა დეტალურად არის განსაზღვრული. მთელი სამეფოს ტერიტორია რამდენიმე ძირითად ტიპად არის დაყოფილი და ყველგან განსხვავებული წესებია დადგენილი, ეს განპირობებულია არა რაიმე პოლიტიკური ნიშნით ან მიზეზით, არამედ მხოლოდ მიწისმფლობელობის წესის მიხედვით.

„როდესაც ქართლი აწერილა, ან აიწერების, ამ წესით უნდა აიწერებოდეს, ყაიყულიდამ შემოყოლებით, თათარსა და მელიქის საუღლარს გარდა, სომხითს, ყაიყულის თრიალეთს და საბარათაშვი-

¹ ლ. ჯანიაშვილი. აზერბაიჯანელები, გვ. 111.

ლოში, – ამაზედ საბარათაშვილოს სარდალი წავა, ერთი მდივანი წავა, ასწერს და დავთარს დაიჭერს...“. ამ დებულების მიხედვით, „ყაი-ყულიდან შემოყოლებით“, სადაც ქართული მიწისმფლობელობა, ანუ ფეოდალური ურთიერთობები იყო ჩამოყალიბებული, ყველა ადვილს სარდალი და მდივანი აღწერდნენ. ამის შესანიშნავი მაგალითი გვაქვს 1721 წლის მეწინავე სადროშოს აღწერა, რომელიც სარდალმა ვახუშტი ბატონიშვილმა და მდივანმა გივი თუმანიშვილმა ჩაატარეს.

„მელიქის საულდარის“ შესახებ ზემოთ უკვე ვისაუბრეთ, რომ ეს იყო მცდელობა ირანული წესების შემოღებისა ქართლის სამეფოში. მეფე ერთხანს იტყულებული იყო, დამორჩილებოდა ამ რეალობას, მაგრამ ქართველი მეფის მეცადინეობამ შედეგი გამოიღო და საბოლოოდ სეფიანებმა „სოიურდალი“, ქართული წყაროებით „საულდარი“, ანუ დაუწერელი და პირადად შაჰზე დაქვემდებარებული მფლობელობის შემოღება ვერ მოახერხეს.

ასევე, განსხვავებული წესი ჰქონდა ქართლის ელის მოსახლეობას, რომელიც სამ წელიწადში ერთხელ აიწერებოდა. „დასტურლამალში“ ცალკე პუნქტია მოყვანილი, თუ როგორ უნდა აიღწეროს ელი და რა გადასახადის გადახდა უწევთ.

„ელის აღწერა

სამს წელიწადში ერთხელ ელი აიწერების, კომლზე სამი აბაზი ასამწერლო არის და ორი შაური აღამათისა, იქნება თოთხმეტი¹ შაური. ობაზედ ხუთი აბაზი სამემანდრო არის. ესეები ყველა ყველა ამწერისა არის.

რომელსაც მოლას ბატონის წიგნი აქვს, არ ეთხოვების, და ან აღალარს ასამწერლო არ ეთხოვების, და არც იმის განაყარს ძმასა და სისხლის კაცსა“.²

¹ დასტურლამალი, გვ. 575.

² დასტურლამალი, გვ. 576.

თუმცა, საინტერესოა, რომ „იათალებს“, ანუ ცხვრის ზამთრის ფარეხებს/სადგომებს „დასტურლამალის“ დროს უკვე აღარ აღწერდნენ. „იათალის აღწერა იყო და ახლა ამოკვეთეს“.¹

აღწერის და დაბეგვრის ეს ზოგადი წესი ვრცელდებოდა ქართლში მცხოვრები ელის მოსახლეობაზე და ნაწილობრივ „პალაკაციური“ ანუ ქართლის სამეფოს მოსაზღვრე, იმ დროს ოსმალეთის შემადგენლობაში მყოფი ჩრდილის მხარეში მომთაბარე ელზეც.²

კახეთის ან „სხვის ქვეყნის“ ელი თუ ქართლში „მთაზედ“, ანუ ზაფხულის საძოვრებზე გადმოვიდოდა, მათთვის დაწესებული იყო გადასახადები. „ალაჩუხზედ ფლური 1, პირზედ ცხვარი შვიდი. ამისი ათითავის მეოთხედი სახლთხუცისა და მღივნებისა არის“.³

პირველ ხანებში ჩამოსახლებული ელი მხოლოდ ირანის შაჰს ექვემდებარებოდა და მათ ქართლის სამეფოს აღწერებისას არ აფიქსირებდნენ,⁴ მაგრამ მოგვიანებით თანდათან ქართული სახელმწიფო სისტემას დაექვემდებარნენ და სახელმწიფოს ნაწილი გახდნენ. მიზანი, რომ ქართლის სახელმწიფო მოშლილიყო და შეცვლილიყო, ვერ იქნა მიღწეული და ქართველი მეფეების შრომის შედეგად ჩამოსახლებული უცხო ელემენტი საფრთხის ნაცვლად სახელმწიფო სამსახურში ჩადგა.

საქართველოში ჩამოსახლებული ელის სოციალური ორგანიზაცია შედარებით დაბალ საფეხურზე იყო. ქვემო ქართლში არსებობდა ყაზახის, შამშადილოს, ბორჩალოსა და ბამბაკის, ბაიდრის, „სახანოები“. სამეფო სახასო ელები კი თაბუნებად სახლდებოდნენ, თაბუნი ტომის მეთაურს ან მეფის მოხელეს ემორჩილებოდა. თაბუნები თავის

¹ დასტურლამალი, გვ. 578.

² დასტურლამალი, გვ. 578.

³ დასტურლამალი, გვ. 578.

⁴ მაგ. 1721 წლის აღწერაში შეტანილი არ არის ბამბაკის და ბერდუჯის მხარეები, ლორის, ყაიყაისა და ელის რაიონები (იხ. აღწერა მეწინავე დროში საბარათშვილოსა და სომხეთისა).

მხრივ დაყოფილი ოიმაღად¹ და ობად.²

მეფეზე იყო მთლიანად დამოკიდებული ელის კაცთა გათარხნება, მის მიერვე იყო დადგენილი სახელმწიფო გადასახადები. ელები-სათვის დიდხანს შეუთავსებელი აღმოჩნდა მკვიდრი ცხოვრების წესი. ცნობილია მათი გაპარვისა და მასობრივი გაქცევის უამრავი შემთხვევა.

იასონ ლორთქიფანიძემ, „დასტურლამაღში“ მოცემული ცნობების მიხედვით დაადგინა, რომ XVIII საუკუნის დასაწყისში ქართლში ელის 76 თახუნი არსებობდა.³ ელის კომლი სულ 1078 უნდა ყოფილიყო, მათგან 776 (72%) გადასახადის (10 შაურის) გადახდელი, ხოლო 140 (13%) თარხანი იყო. თუმცა მეცნიერს გარკვეული ეჭვი აქვს დაანგარიშებულ ციფრებთან და აღნიშნავს, რომ მისი ეს გამანგარიშება, მხოლოდ დაახლოებითია.⁴

მეურნეობა. თურქმანული ტომები მასლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებიდან მოვიდნენ, სადაც პრიორიტეტული მომთაბარეობა იყო. საქართველოს ტერიტორიაზე კი მომთაბარული მეურნეობისათვის საჭირო სამეურნეო ბაზა ნაკლებად იყო, ამიტომ ელებმა თანდათანობით ადგილობრივ ტრადიციულ მეურნეობაზე დაიწყეს გადასვლა. ვახუშტი ბატონიშვილის თანახმად, უკვე XVIII საუკუნისათვის „სახლობენ ელნი ქცამდე ველსა ზედა, და სთესენ ყოველსა მარცვალსა და თესლსა ზევით წერილთა და მტილოვანთა, სავსენი პირუტყვითა“.⁵

¹ ოიმაღი/ოიმახი ტომი გვარეულობა (დასტურლამაღი, გვ. 817).

² ობა თურქულ ენებში ობა ქენისგან გაკეთებული სახლს ანუ კარავს ნიშნავს, რომელშიც მომთაბარე ოჯახი ცხოვრობდა (დასტურლამაღი, გვ. 817).

³ იას. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, ნაწილი I და II, გვ. 248.

⁴ იას. ლორთქიფანიძე, ქვემო ქართლი XVIII საუკუნის პირველ მეოთხედში, ნაწილი III და IV, მოსახლეობის და მფლობელობის სტატისტიკა, თბ., 1938, გვ. 144.

⁵ ვახუშტი ბაგრატიონი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, გვ. 116.

ბორჩალოდან და ბაიდარიდან თევზიც შემოდოდა, საიდანაც თბილისის მოურავი თავის სარვოსაც იღებდა.¹

ქართლის ელით დასახლებულ მხარეებში მიწის დამუშავებას სამეფო კარის მოხელეები უზრუნველყოფდნენ. მოჰყავდათ, ბამბა, ფეტვი და სხვ. მაგ., ბამბა და ფეტვი მოჰყავდათ ბაიდარში, ეს ჩანს 1779 წლის დოკუმენტში.² 1780 წელს ეივაზლუ და ბორჩალუ დაობდნენ სახნავზე.³ საჩივარში აღწერილია, რომ „მეფემ ბორჩალოსა და ეივაზლუსა სნორი გაჭრა... ეივაზლუ და ბორჩალუც თქვენია, ასე ბრძანა: აქეთ ეივაზლომ მოხნას, იქით ბორჩალომა.“ მაგრამ, ჩანს, მაინც ვერ მორიგდნენ, „ბორჩალოელები გადმოსულან და აქეთ ხვნენ“. ბატონიშვილმა გიორგიმ ამის საპასუხო ბრძანება გამოსცა, რომლითაც ბორჩალოელებს აუკრძალა სახნავის საზღვრების დარღვევა.⁴

შამშადილოში მოჰყავდათ თამბაქოც, მაგ., 1714 წელს ქართველ მოხელე ოთარ-ბეგს სახელმწიფო ჯამაგირი შამშადილოს თამბაქოს შემოსავლიდან ჰქონდა დანიშნული.⁵

ბორჩალოს, შამშადილოსა თუ სხვათა შემოსავლებიდან თავისი სარვო ჰქონიათ სამეფოს სხვადასხვა მოხელეებსაც. იოსებ მისკარბაში 1803 წელს საქართველოს მთავარმართებელ პავლე ციციანოვს წერილს სწერდა, რომელშიც აღწერილია, თუ როგორ და რამ-

¹ საქართველოს სიძველენი, ტ. II, გვ. 526;

² ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, გვ. 436.

³ შედარებისთვის, მეზობელ სახანოებში, ელებს შორის დაპირისპირების თავიდან ასაცილებლად, სშირად შაჰი გამოსცემდა სპეციალურ ბრძანებას. მაგალითად, 1671 წელს ჩოხურ საადის, ანუ ერევნის სახანოში ყაჯართა განშტოება ბარჰლუს ტომი „ყაჯარების ბარჰლუს საზოგადოება“ ჩასახლდა, შაჰ სულეიმანი მათ მმართველს „ბაჰადურ სულთანს“ უბრძანებს, რომ იქვე მცხოვრებ ჰარაძილუს საზოგადოებას უკანონოდ არ ჩაუსახლდნენ და არ შეევიწროონ (იხ. სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნისაცავებში, წ. I, ნაკვ. 2, გვ. 21-24).

⁴ ქართული სამართლის ძეგლები, ტ. VII, გვ. 492.

⁵ სპარსული ისტორიული საბუთები საქართველოს წიგნისაცავებში, წ. I, ნაკვ. 3, გვ. 84-85.

დენს იღებდა ბორჩალოს შემოსავლიდან ჯამაგირს. იგი აღწერს, რომ მეფემ „...უბოძა მამასა ჩემსა მიშკარბაშობა, ესე იგი ობერ-იეგერმეისტერობა, წყალობის წიგნით და ასი თუმანიც განუწესა ჯამაგირად ბორჩალუს შემოსავლიდამ...“.¹

პირველ ხანებში ჩამოსახლებული თურქმანული ტომები ირანის შაჰს ემორჩილებოდნენ და ქართლის სამეფოს აღწერებშიც არ გვხვდებიან. მოგვიანებით, თანდათანობით ქართულ ფეოდალურ სისტემას შეერწყნენ და აქტიურად მონაწილეობდნენ ქართული სახელმწიფოს ცხოვრებაში. ამის მკაფიო მაგალითია სახალხო ვპირი ხუდია ბორჩალოელი, რომელსაც ღირსეული ადგილი უჭირავს მეფე ერეკლე II-ს ერთგულ თანამებრძოლთა შორის. მას თეიმურაზ ბაგრატიონი ასე ახასიათებს, „ჩინებული და მამაცი ყოვლისა საქართუელისა“.²

ხუდია ბორჩალოელმა განსაკუთრებით ასპინძის ბრძოლაში ისახელა თავი, როგორც ცნობილია, მეფის ბრძანებით, ხუდიამ სხვებთან ერთად 1770 წლის 19 აპრილს ასპინძის ხიდი მოშალა. ასპინძის ციხეში გამაგრებულ ოსმალებსა და ლეკებს არც უკან დახვეის და არც დაშხმარე ჯარის მიღების საშუალება აღარ ჰქონდათ. მეორე დღეს გამართულ გენერალურ ბრძოლის დროს, ერეკლე II-მ შეტევის დროს ოსმალებისა და ლეკების წინა რიგები გატეხა, მოწინააღმდეგე უკან დახევა დაიწყო, რადგანაც უკანდასახევი ხიდი დაზიანებული იყო მათი რიგები აირია, ოსმალებისა და ლეკების ჯარის ერთი ნაწილი ქართველების მსხვერპლი განდა, მეორე ნაწილი ადიდებულ მტკვარში გადაეშვა, 8 ათასიდან, ახალციხეში მხოლოდ 13 კაცი დაბრუნებულია.³

¹ საქართველოს სიძველენი, ტ. III, გვ. 101.

² თეიმურაზ ბაგრატიონი, ახალი ისტორია, გვ. 53.

³ იხ. ვ. მაჭარაძე, ასპინძის ბრძოლა, თბ., 1957, გვ. 67-68.

* * *

XVIII საუკუნეში ბორჩალო და ბანხაკის სეობა ერთიანი „სახანო“ იყო.¹ ხოლო საუკუნის ბოლოს – გიორგი ბატონიშვილის საუფლისწულო.² ერეკლე მეფემ სამეფოს სახასო ტერიტორიები შეიღებეს საუფლისწულოებად 1791 წელს დაუნაწილა. ქვემო ქართლში ელით დასახლებული მხარეები ტახტის მემკვიდრეს, გიორგი ბატონიშვილს, ერგო. XVIII საუკუნის 80-90-იან წლების საბუთებში გიორგი ბატონიშვილი „ქსნისა, თიანეთისა, აღჯაყალისა და ლორეფამბაკის მპყრობელ მქონებელად“ მოიხსენიება.³ ამ მხარეს თავისი წესები დაუწესდა.

„განწესებანი საქართუშლოს მეფის ირაკლისნი ძეთა თვსთადმი სამეფოდსათჳს საქართუშლოდსა“.

„აბა ვთქვათ, როგორ უნდა ამელო ან საუფროსო, ან საუფლისწულო, თუ ამ ქვეყანაში ქალაქში, ქისიფში, თუშეთში, ქსანსა, არაკესა და ლიანხეში, პირაქეთ და პირიქით ოსებში, ხევსურეთში, ყაზახში, ბორჩალოში, შამშადილში და კიდეც სხვას თათრებში, ეს შეუძლებელი იყო. ამისთვის რომ ესენი ასე არც გაიყოფოდენ, არც შეიძლებოდა და მრავალი ხანიც გამოვიდოდა, და რომც კიდეც შეგვძლებოდა, მასუკან კომლუელადაც უნდა გაბართულიყო, უამოსობა აღარ იქნებოდა და სანამდის ეს იქნებოდა, ეგებიც ხმალიც გაშიშვლებოდა და სისხლიც დაიღვრებოდა და არცავის გამართვა შეეძლებოდა და ამ სიდიდე ქვეყანაში არც მომხდარა. აბა, მითხარ გონებაო ჩემო, როგორ სისწორით დაგვეთვალა, არას გზით არ იქნებოდა და ახლა, როგორც საერთოდ დაგვიღვია ეს ხსენებულნი ქართველი, სო-

¹ ვ. გამრეკელი, ზ. ცქიტიშვილი, 1770 წლის 5 აპრილის დემოგრაფიული ნუსხა, გვ. 153.

² საქართველოს სიძველენი, ტ. II, გვ. 550.

³ საქართველოს სიძველენი, ტ. II, გვ. 461-550.

მეხი, თათარი ქართლისა და კახეთისა ქვეყნებში და სხვანი ქვემოხსენებულნი, ესენი ყველანი საუფროსოს და საუფლისწულოებს გარდა საზოგადო ყმანი არიან და მეფე არის ამათი მბრძანებელი და მოქმედი, და რაც სახასოს შემოსავალი იქნება, თუ იმ შემოსავლიდამ შეწირულობა რამ იქნება, და ან რასაც მოხელენი აიღებენ. და ან იქილამ ჯამაგირის განწესება ექნება ვისმე სახასოს შემოსავლიდამ, ჯერ ესეები უნდა გარდაიდვას და, რაც დარჩეს, სამათ გაიყოს; ორი წილი მეფეს და მესამედი უფლისწულთ¹.

მოგვიანებით, როდესაც ქართლ-კახეთის სამეფო ტახტზე გიორგი XII (1798-1800 წწ.) ავიდა, მთელი სამეფო დაყოფილი იყო რამდენიმე სამოურაოებად: „თფილისისა, ქიზიყისა, თუშისა, ხევსურეთისა, ფშავისა, სამშაღილისა, ბორჩალოსი, ფამბაკისა, გორისა, თელავისა, საგარეჯოსი, სურამისა“. სამეფოში იყო ასევე წვრილი სამოურაოებიც.²

ელებით დასახლებულ მხარეებში თავისი მოურაეები გააჩნდათ: „ბორჩალო და შილიხოს“ (ქეშიქჩი ბაში დავით აბაშიძე), „შულავერსა“ (შანშე ერისთვისშვილი), „ახატელსა თათრებსა“ (რევაზ ვახვახიშვილი), „დემურჩასალის“ (თამაზ ორბელიანი), „ბაადარისა“ (მიშკარბაში ოსეფა ბებუთაშვილი), „სარვანში“ (სოლომონ არლუთაშვილი), „ძველს თაქლასა“ (სამ ბარათაშვილი), „ახალს თაქლასა“ (პაატა აბაშიძე), „მულანლოსა“ (სოლომონ გაბაევი), „ელებისა ქოლავირისა, მულანლოსა, ქოშქილისისა, აყლილისა, უზუნლარისა და დისილისა“ (სარდალი დავით ციციშვილი), „ჰასან ხოჯალისა“ (მილახვარი ოსეფა ყორღანაშვილი), „ყაზახის თათრებისა“ (გარსევან ჭავჭავაძე), „ფამბაკისა“ (გიორგი ციციშვილი).³

¹ საქართველოს სიძველენი, ტ. I, გვ. 211.

² ცხოვრება მეფისა გიორგი მეათცამეტისა, გვ. 267.

³ ცხოვრება მეფისა გიორგი მეათცამეტისა, გვ. 243.

მიუხედავად იმისა, რომ ამ მხარეებში თითქოს ქართული კვალი გამქრალი იყო და თურქმანული ელი ცხოვრობდა, ყაზახში და შამშადილოში თავისი ყმები ქართველ ფეოდალებსაც ჰყოლიათ. ამის დასტურად საინტერესოა ერთი დოკუმენტი, რომელიც 1744 წლით თარიღდება. მასში ქვემო ქართლის დიდი ფეოდალური ოჯახის წევრები ყაფლანიშვილები ნადირ შაჰს სთხოვენ, რომ ბორჩალოსა და ყაზახის სანახებში მცხოვრები მათი კუთვნილი სოფლებიდან გაფანტული ვლეხების დაბრუნებაში დაეხმაროს: (ჩვენ) „კუთვნილი სოფლების ვლეხები ყაზახის და ბორჩალოს სანახებიდან გაფანტულან. თხოვნა არის: უსაზღვრო შაჰინშაჰურ წყალობათა შესაბამისად გამოცემულ იქნეს მზეებრ გასხივოსნებული ქვეყნის მპყრობელის კურთხეული ბრძანებულება, რომ მონამორჩილთა კუთვნილი მხარეების სოფლებიდან გაფანტულები, რომელ კუთხეშიც კი აღმოჩნდებიან, თავმოყრილ და დაბინავებულ იქნენ თავიანთ სამკვიდრო სოფლებში, რათა თავიანთ ვლეხურ საქმიანობაში გართული გახდნენ მიზეზი სახელმწიფოს დოვლათიანობის გამრავლებისა და გაზრდისა...“¹

ნადირმა თხოვნას თავისი ბრძანება დაურთო და აღნიშნა, რომ „...მადლადგილოვანმა საქართველოს-ქართლის მეფემ, ზემოაღნიშნულ გაფანტულთა შესახებ, თანახმად წინდაწინ ჩატარებული გამოძიებისა და სხვა ზომების მიღებით გამოარკვიოს ადგილობრივ ვლეხთა შორის ძველი მცხოვრებლები და თუ აღმოჩნდებიან ხსენებულ მხარეთა წევრები, რომლებიც თვითნებურად წამოსულან თავისი სამკვიდრო სამყოფ ადგილიდან, აუცილებელი მეცადინეობით შეკრებილ იქნენ და ისინი თავიანთ სამშობლოში დაბინავებული.“²

1800 წლის 1-ელ მარტს, ბორჩალოს ერთი სოფელი ახილო

¹ მ. ხუბუა, საქართველოს მუზეუმის სპარსული ფირმანები და პოქმები, გვ. 86.

² მ. ხუბუა, საქართველოს მუზეუმის სპარსული ფირმანები და პოქმები, გვ. 86.

მარიამ დედოფალმა თავის მამას, სარდალ გიორგი ციციშვილს, უბოძა. ბრძანებას ამტკიცებს მეფე გიორგი XII (1798-1800 წწ.). სოფელში მოსახლეობის ნაწილი, როგორც მარიამ დედოფალი წერს, ზოგი ჭარიდან, და ზოგიც განჯიდან გადმოუსახლებია.

„...ბატონის ციციშვილის ასულმან მარიამ, ესე წყალობის წიგნი და სიგელი ვიბოძეთ თქუენ, თავადს მამაჩუენს, სარდალ-მოურავს ციციშვილს გიორგის, ძესა თქუენსა ედიშერს და თემურს... ასე რომ, მამულსა და ყმაზედ ნაკლებათ იყავით, ჩვენც ამისთვის ვიბოძეთ ყმათა მათის უმაღლესობისაგან პირის სანახავად ბოძებული ჩვენი საკუთარი სოფელი ბორჩალოში ახილო თავისის სამართლიანის სამძღვრებითა, რაც იქ კაცნი სახლობენ, რომელნიც მათის უმაღლესობისაგან მბოძებია კაცნი, და ზოგნი ჩვენ ჭარიდამ და განჯიდამ მოგვიყვანია და დაგვიყენებია და ან სახლობილან...“¹

* * *

1801 წელს ქართლ-კახეთის სამეფო რუსეთის იმპერიამ დაიპყრო, 1802 წლის 8 მაისს კი თბილისში საზეიმოდ გაიხსნა რუსული მმართველობა. ქართლ-კახეთის ახალ მმართველობას „საქართველოს მმართველობა“ უწოდა. სათავეში იმპერატორის მიერ დანიშნული სამხედრო მოხელე „საქართველოს მთავარსარდალი“ იდგა. ქართლ-კახეთის ტერიტორია ახალ ადმინისტრაციულ ერთეულებად დაიყო, შეიქმნა ხუთი მაზრა – გორის, ლორის, დუშეთის, თელავის და სიღნაღის. ასევე, რამდენიმე საუბნო, ანუ „სადისტანციო“ ერთეული, ქართლ-კახეთის იმ მხარეებში, სადაც თურქმანული მოდგმის, ელის მოსახლეობა ცხოვრობდა. ასეთები იყო: ბორჩალოს, ყაზახის,

¹ საქართველოს სიძველენი, ტ. III, გვ. 343.

შამშადილის, ბამბაკისა და შორაველის რაიონები.¹

უკანასკნელად ალექსანდრე ბატონიშვილი ცდილობდა რუსეთის წინააღმდეგ ბრძოლაში მათ მიმხრობას. შემორჩენილია წერილები, რომლითაც იგი დემურჩი ასანლუს და ბორჩალოს ალებს ქეთხულებსა და რიშეფიდებს (მამასახლისები) სთხოვს, რომ ირანიდან მომავალ ჯარს შესაბამისად დახვდნენ და რუსების წინააღმდეგ ბრძოლაში დაეხმარონ, ასევე, სოლეიმან ბეგს, მელიქ აბოს, საჩქაროდ მოუწოდებდა რომ გადასულიყვნენ ირანელების მხარეს და ცხენოსნები გამოეყვანათ მათ დასახმარებლად.

1805 წელს როდესაც ირანელთა ლაშქარი ყაზახში შეიჭრა, ადგილობრივებმა დიდი წინააღმდეგობა გაუწიეს და უკუაქციეს.² ამის გამო ალექსანდრე ბატონიშვილი წერილებში ყაზახის მმართველს, ალი-აღას, საყვედურობდა „ყაზახის ხალხის მიერ ჩადენილი ურჩობის გამო“.³

XIX საუკუნის I ნახევარში, ყაზახისა და შამშადილოს დისტანციები, მალე გაერთიანდა ყაზახისა და ელიზავეტოპოლის მაზრებში. ხოლო 1868 წელს თბილისის გუბერნიას გამოეყო და შეიქმნა ელიზავეტოპოლის გუბერნია, რომელშიც ყაზახ-შამშადილოსთან ერთად, შუშა, ჯეჯანშირი, ნუხა და სხვა მხარეებიც შევიდა.

¹ მ. დუმბაძე, ქართლ-კახეთის სამეფოს გაუქმება და რუსეთთან შეერთება, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 827-828; ნ. ბერძენიშვილი, საქართველო XIX ს. პირველ მეოთხედში, საქართველოს ისტორიის საკითხები, წ. II, თბ., 1965, გვ. 258-259.

² მ. დუმბაძე, იმერეთის სახელმწიფოს გაუქმება და ცარიზმის ბატონობის გაფართოება საქართველოში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 861.

³ აღმოსავლეთ საქართველოს მეფეების, ბატონიშვილების და ხანების მიერ გაცემული სპარსული საბუთები, გვ. 20.

* * *

ამრიგად, XV საუკუნიდან დაწყებული პროცესი, საქართველოში თურქმანული ელის დასახლება, ძირითადად, საქართველოს გაღმეობისკენ იყო მიმართული. დამპყრობთა მიზანი არა მარტო მოსახლეობის, არამედ ადგილობრივი მიწისმფლობელობის შეცვლა იყო. თუმცა ქართველმა მეფეებმა მოახერხეს და ჩამოსახლებული უცხოტომელები სახელმწიფოს სამსახურში ჩააყენეს. მათმა არაერთმა წარმომადგენელმა თავი გამოიჩინა ქვეყნისთვის ბრძოლისა და აღმშენებლობის საქმეში.

**Southern Border and Southern Districts of
Kartli Kingdom
(15th-18th cc.)**

Summary

This study focuses on Southern border and Southern border districts of 15th-18th cc. Kartli Kingdom. These districts are Kaikuli (Old Abotsi), Tashiri, Somkhiti (except for Melik's lands), Lore, Bambaki. This territory was mainly included in the king's domain. The king ruled the territory through *Mouravis*. The study also covers the social relations, population, and inhabited places in the southern territories of Kvemo Kartli. Moreover, the study also pays attention to the measures Georgian kings were taking for populating the territories, particularly in Kaikuli.

This study also focuses on the migration of the Turkic nomadic tribes (Borchalo, Demurchi Asanlu, Shamshadilu, Baidari, etc.) to the territory of Kvemo kartli in the 15th-18th cc., their settlement and further history. It is well known that Iranian Shahs moved Turkic tribes in 15th-18th cc. on Georgian soil to use them against the Georgian population. Despite the existing differences in religion and life Georgian kings managed to include them into economic, military, and political life of the country. Many of them distinguished themselves and took active part in defending and building Georgia.

საძიებლები

პირთა

ს

- აბას I, ირანის შაჰი (1587-1629 წწ.)
6, 48, 72, 81, 86, 107, 123,
125, 127, 170
- აბას II, ირანის შაჰი (1642-1666 წწ.)
164სკ.
- აბას ყული ხანი, კახეთის გამგებე-
ლი (1688-1695 წწ.) 108
- აბაშიძე დავითი, ბორჩალოს მოურა-
ვი 138, 178
- აბაშიძე პაატა, ასალი თაქლას მოურ-
ავი 178
- აბღ არ რაზიყი 77
- აბღლაძე აღ. 11სკ., 45-46სკ.,
63სკ., 78სკ.
- აბღინასშვილი, მოურავი ყაიყულში
26, 35
- აბღულა, იესე მეფის ძე 131-132
- აბო (ყარაბაღიდან ლტოლვილი მე-
ლიქი) 137, 181
- აბუბეკრ ბინ აბღულაჰი 106
- აბულაძე ი. 23სკ, 66სკ., 108სკ.,
163სკ.
- აბულაძე ც. 17სკ., 81სკ., 93სკ.
- აგათანგელოსი 11
- ადარნასე, გუარამ მამფალის ძმა 12
- აზიზასშვილი, მოურავი ყაიყულში
26, 35
- ავანეზა, სოფ. ყიზილ-ზიარათის მა-
მასახლისი, 50
- აზატ ხანი 131
- ათაბეგა, ყაზახში მცხოვრები 115
- აკოფა, ყაზახში მცხოვრები 97
- აკოფაშვილი გ. 33სკ.
- ალექსანდრე მაკედონელი 75
- ალექსანდრე I, საქართველოს მეფე
(1412-1442 წწ.) 47
- ალექსანდრე II, კახეთის მეფე
(1574-1605 წწ.) 123, 127
- ალექსიძე ზ. 64სკ.
- ალი ბეგი 159
- ალი ალა, ყაზახის მმართველი 181
- ალი სულთან, შამშადილოელი 97,
98
- ალი ხანი 132
- ალი ფაშა ჰეკიმოღლუ, ოსმალეთის
სერასკერი 28სკ.
- ალიხანა, მოურავი ყაიყულში 26,
35
- ალფ-არსლანი, თურქ-სელჩუკთა
სულთან (1063-1072 წწ.) 64

ამილახვარი ნინია 18
ამილახვარი სალომე, იულონ ბატონიშვილის მეუღლე 147
ამილახვრები 13
ამირ ოღლი აღიწყულა, მოურავი ყაიყულში 26, 35
ამირალაშვილი ვართანა 112სკ.
ამირგუენე ხანი 86
ანდრონიკაშვილი დავითი 115
ანდრონიკაშვილი რევაზ, მოურავი 97
ანდრონიკაშვილი ქეთევანი, იოანე ბატონიშვილის მეუღლე 140, 142
არლუთაშვილები 67
არლუთაშვილი შიოში 156
არლუთაშვილი ბაინდურ-ბეგი 128
არლუთაშვილი სოლომონ, სარვანის მოურავი 178
არლენ ხანი, ბორჩალოს ვეკილი 139
არჩილი 12
ასათიანი ნ. 78სკ.
ალა მაჰმად ხანი, ირანის შაჰი (1794-1797 წწ.) 98, 145
ალა ქიში 134
აჯი ჩალაბი 132-135
არშუშა, ქვემო ქართლის პიტიახში (V ს. 20-იანი წლები) 45-46

ბ

ბაგრატი, გუარამ მამფალის ძმა 12
ბაგრატ VII, ბაგრატ ხანი (1616-1619 წწ.) 126
ბაგრატიონები 12
ბამან ხანი 30, 135, 151
ბანდაისძე ავგაროზ 77
ბანდაისძე გრიგოლ 77
ბარათაშვილები 13, 49

ბარათაშვილი დიდი ორბელი 49
ბარათაშვილი იოთამ 49
ბარათაშვილი საამ, ძველი თაქლას მოურავი 178
ბარათაშვილი ყაფლანი 49, 128
ბატონიშვილი ალექსანდრე 146, 181
ბატონიშვილი ანა 96სკ.
ბატონიშვილი ბაგრატი 99, 141
ბატონიშვილი ბაქარი 111
ბატონიშვილი გიორგი, იხ. გიორგი XII
ბატონიშვილი დავითი 99, 138, 157
ბატონიშვილი ელენე 109
ბატონიშვილი ვახუშტი, იხ. ვახუშტი ბატონიშვილი
ბატონიშვილი თამარი 131
ბატონიშვილი თეიმურაზი, იხ. თეიმურაზ ბატონიშვილი
ბატონიშვილი ილია 69, 140
ბატონიშვილი იოანე, იხ. იოანე ბატონიშვილი
ბატონიშვილი ირაკლი 69, 140
ბატონიშვილი იულონ 146-147
ბატონიშვილი ლევანი 50-51
ბატონიშვილი მიხეილი 69, 140-141
ბატონიშვილი ოქროპირი 69, 140
ბატონიშვილი ფარნაოზ 153
ბატონიშვილი ჯიბრაილი 69, 140
ბაქარ მირიანის ძე, ქართლის მეფე (IV ს.) 11
ბაქრაძე ა. 18სკ., 126სკ.
ბეგთაბეგიშვილი სულხან 122
ბაჰადურ სულთანი, ბარჰლუს ტომის მმართველი 175სკ.
ბებუთაშვილი იოსები, მისკარბაში, ბაიდარის მოურავი 143-144, 146-147, 174, 178

ბელოშვილი გ. 34სკ., 70სკ., 100სკ.
ბერიძე თ. 156სკ.
ბერძენიშვილი დ. 10-13სკ., 15,
26სკ., 44-47სკ., 64-66, 76, 82სკ.,
85, 95სკ., 102სკ., 155სკ., 161-
163, 168სკ.
ბერძენიშვილი ნ. 32სკ., 34სკ.,
50სკ., 88სკ., 93სკ., 116სკ., 125,
136სკ., 143სკ., 153სკ., 181სკ.
ბოშიშვილი ალ. 13სკ., 17-18სკ., 46-
48სკ., 124-125სკ., 129სკ., 138სკ.,
164სკ., 168-169სკ.
ბუღალა (ბორჩალოში მცხოვრები)
131
ბუკა ლ. 16სკ., 48სკ., 83სკ.

ბ

გაბაევი სოლომონ, მუდანლოს მოუ-
რავე 178
გაბაშვილი ვ. 164-166, 170სკ.
გამრეკელი ვ. 33სკ., 62სკ., 68სკ.,
95სკ., 102სკ., 122სკ., 143სკ.,
150სკ., 153სკ., 160სკ., 162სკ.,
177
გელაშვილი გ. 162სკ.
გაჩიოსი 10
გვი თუმანიშვილი, მღვიანი (ყაი-
ყულსა და ტაშირში სხვადასხვა
სოფლების მოურავი) 26, 35, 51-
52, 167სკ., 172
გიორგი X, ქართლის მეფე (1600-
1605 წწ.) 81, 123, 127
გიორგი XI, ქართლის მეფე (1675-
1688; 1703-1709 წწ.) 7, 16, 20-
24, 26, 50, 108
გიორგი XII, ქართლ-კახეთის მეფე
(1798-1800 წწ.) 41, 69, 98, 115-
116, 136-138, 140-141, 144-145,
153, 159-160, 174, 177-178, 180

გიულდენშტედტი იოჰან ანტონ 162
გოგიბაშვილი, მოურავი ყაიყულში
26, 35
გუარამ მამფალი 12
გოილაძე ვ. 105სკ.
გოსტაშაბიშვილი დათუა 157
გურჯიზაღე 81სკ., 84-85სკ., 91სკ.,
93-94სკ., 102სკ., 112-113
გურჯიძე ზ. 16სკ., 48სკ., 83სკ.
გუნუა ვ. 105-106სკ.
გუშარი 11, 45, 63

დ

დავით II, იმამყული ხანი, კახეთის
მეფე (1709-1722 წწ.) 109-110
დელი ალია, სარვანში მცხოვრები
157
დავით IV აღმაშენებელი (1089-
1125 წწ.) 13, 75
დოლენჯიშვილები 17-18
დოლენჯისშვილი, მოურავი ყაიყულ-
ში 26, 35
დოლენჯიშვილი 16
დოლენჯიშვილი ზაალ 16
დოლენჯიშვილი იასე 17
დოლენჯიშვილი იოანე 18
დოლიძე ი. 17-18სკ., 48-49სკ., 83-
84სკ., 97სკ., 115სკ.
დოლმაზ ბეგი, ყაზახის ხანი 106
დუმბაძე მ. 95სკ., 97სკ., 132-133სკ.,
181სკ.
დრასხანაკურტი იოანე 44
დუნდუა ნ. 42სკ., 98სკ.
დურეხან ბეგი, შამშადილოს ნაიბი
92,
დურბიშხან ფალავანხოსროშვილი,
იხ. ფალავანხოსროსშვილი დურ-
ბიშხან

მ

ვენატაშვილი ბერი 79სკ., 85, 88,
103-104სკ., 107სკ.

ელიშერი 130-131

ველოშვილი თ. 77სკ.

ელიას ხანი, აღჯაყალის ვეკილი 136
ენუქიძე თ. 18სკ., 34სკ., 70სკ.,
100სკ.

ერეკლე I, ნაზარალი ხანი, კართ-
ლის მეფე (1688-1703 წწ.), კა-
ხეთის მეფე (1703-1709 წწ.) 7,
17-18, 90, 91, 108, 128

ერეკლე II, კართლ-კახეთის მეფე
(1744-1798 წწ.) 30, 82-83, 94,
96-98, 110, 116, 131-136, 144-
145, 150-151, 153, 156, 158-159,
177

ერისთავი (ქსნის) 132

ერისთავი (არაგვის) 132

ერისთავი ბარძიმ, არაგვის ერისთა-
ვი 29

ერისთავისშვილი შანშე, შულავერის
მოურავი 178

პ

ვალარშაკი 11, 45

ვარსკენი, ქვემო კართლის პიტიახ-
ში (V ს. მეორე ნახევარი) 46სკ.

ვასტანგ გორგასალი, კართლის მე-
ფე (V ს. მეორე ნახევარი) 63

ვანნაძე ლუარსაბ 98

ვასტანგ V, შაჰნავაზი (1658-1675
წწ.) 164სკ.

ვასტანგ VI, კართლის ჯანიშინი
(1703-1712 წწ.), კართლის მეფე
(1716-1724 წწ.) 7, 20, 24-27,
51-52, 82, 90, 92, 109-111, 114,
167-168, 170-171

ვასუშტი ბატონიშვილი 7, 9, 10სკ.,
15სკ., 17, 21, 28, 29სკ., 31, 32,
33, 34, 52, 60, 66-67სკ., 78,
80-81სკ., 84სკ., 87, 91, 93სკ.,
107-112სკ., 115, 124, 127-128,
143, 150, 156, 167სკ., 172, 174
ვეზირი, მოურავი ყაიყულში 26, 35
ვეზირის ძმა, მოურავი ყაიყულში
26, 36

ზ

ზურაბიშვილები 67

თ

თაბუაშვილი ა. 146სკ., 158სკ., 163
თალიბეგი, ყაზახის „ხანი“ 132

თამაზ I, ირანის შაჰი (1514-1576
წწ.) 6, 72, 85, 104

თამაზ ხანი, იხ. ნადირ შაჰი

თამაზყელი ხანი, ბორჩალოს „ხა-
ნი“ 129

თაყაიშვილი ექ. 14სკ., 17სკ., 51სკ.,
69სკ., 83სკ., 144სკ., 167სკ.

თეიმურაზ ბატონიშვილი 99, 134,
176

თეიმურაზ I, კახეთის მეფე (1606-
1648 წწ.), კართლ-კახეთის მეფე
(1625-1632 წწ.) 87, 107

თეიმურაზ II, კართლის მეფე
(1744-1762 წწ.) 29-31, 82-83,
94, 96, 131-132, 158

თემურ ლენგი 13, 47, 76-77

თომა მეწოფეცი 78

თოფჩიშვილი რ. 18სკ.

თუმანიშვილები 50

თუმანიშვილი გივი, იხ. გივი თუმა-
ნიშვილი

თუმანიშვილი ოთარ, მდივანი, მოუ-
რავი ყაიყულში 26, 37
თუმანიშვილი შიომ 98

0

იაგულაანთ ისაია 115
იბრაჰიმ ფეჩევი 106სკ.
იაყუბ ყაენი, თეთრბატკნიანთა თურქ-
მანული სახელმწიფოს მეთაური
(1479-1490 წწ.) 79-80
ივანე ბეგი, მოურავი 116
იესე, ქართლის მეფე (1714-1716;
1724-1727 წწ.) 92-93, 109,
111, 114
იესო (ბორჩალოში მცხოვრები) 135
ილურიძე მ. 81სკ., 84სკ., 106სკ.
იმამყული (ბორჩალოში მცხოვრები)
135
იმამყული ხანი, განჯის ხანი 106
ინგოროყვა პ. 64სკ.
იოანე ბატონიშვილი 34, 42, 69-
70სკ., 98-102სკ., 120-121სკ., 124,
137სკ., 141-142, 153
იოსელიანი პ. 138სკ.
ისაყ ფაშა 92-93, 114
იოანე ოძუნელი 46
ისახან, ლორეს სულთანი 49, 128
ისმაილ I, ირანის შაჰი (1501-1524
წწ.) 85
ისმაილ ალა, სარაჯლუს ტომის
ქეთხულა 160
ისმაილ, აღჯაყალის ციხის მცველი
129
ისქანდერ მუნში 86-87, 107სკ.,
123სკ., 126-127სკ.
იუსუფი, ყაზახში მცხოვრები 116-
117

ისმაილ ფაშა გურჯი, ოსმალეთის
სერასკერი 28სკ.

პ

პაციტაძე დ. 85-86სკ., 123სკ.
პაჭვანტირაძე ე. 13სკ., 105სკ.
პირიკე, ტაშირ-ძორაგეტის სამე-
ფოს დამაარსებელი, მისი პირვე-
ლი მეფე (978-989 წწ.) 12
პირიტიანები 12
პირკველია თ. 156სკ.
კლდიაშვილი დ. 18სკ., 126სკ.
კონსტანტინე, ალექსანდრე II, კახ-
თა მეფის ძე 123
კონსტანტინე II, მაჰმად ყული ხა-
ნი, კახეთის მეფე (1722-1732 წწ.)
82, 88, 90-93, 109-113
კონსტანტინე II, ქართლის მეფე
(1478-1505 წწ.) 78, 80
კორიუნი 45-46სკ.

ზ

ლაზარ ფარპეტი 63
ლეონტი მროველი 10-11, 65სკ.,
75სკ.
ლომინაძე ბ. 47სკ., 78სკ.
ლომიძე დ. 16სკ., 48სკ., 83სკ.
ლორთქიფანიძე იას. 49სკ., 52, 67,
143სკ., 155სკ., 157სკ., 174
ლუარსაბ I, ქართლის მეფე (1527-
1556 წწ.) 49
ლუარსაბ II, ქართლის მეფე (1606-
1615 წწ.) 107, 126

მ

მაელა პ. 123სკ.

მანსურ ოღლი (ბორჩალოში მცხოვრები) 131
მანსურ ოღლი მაჰმადი (ბორჩალოში მცხოვრები) 131
მაჭარაძე ვ. 176
მაჰმუდ ალა 159
მაჰმუდ ხანი, იხ. შალიკაშვილი კოკოლა ვარაზას ძე
მამულა, მოურავი ყაიყულში 26, 36
მაჰმუდ I, ოსმალეთის სულთანი (1730-1754 წწ.) 28სქ.
მგალობლიშვილი მ. 14სქ., 103სქ.
მდივანბეგი ერასტი 129
მელიქიშვილები 124, 168-169
მელიქი ლევანი 167
მელიქიშვილი პაპუნა 167
მელიქიშვილი რევაზი 167
მელიქეთ-ბეგი ლ. 13სქ.
მესხია შ. 147სქ.
მეჰდი ხანი, ბორჩალოს „სულთანი“ 129
მზეჭაბუკი, მდივანი, ბაიდარის მემამულე 144
მერაბ ალა, მოურავი ყაიყულში 26, 36
მესროპ მამტოცი 45, 46
მიქელი, ქართლის კათალიკოსი 64
მინორსკი ვ. 103სქ.
მირიმანაშვილები 126, 168
მირიმანი 125-126, 168
მირიმანიძეები 125-126, 168-169
მირიმანიძე ავთანდილი 168
მირიმანიძე ათაბეგი 126, 168
მირიმანიძე ასლან, ყორხმაზის ძე 126
მირიმანიძე თამაწყული ხანი 123, 125-126

მირიმანიძე ლევან, იხ. მელიქი ლევანი
მირიმანიძე სეფი-ყული ხანი 125-126
მირიმანიძე ყორხმაზ II 168
მირიმანიძე ქაძარბეგი 168
მირიმანისძე ყორხმაზ I 125, 168
მირზა იბრეიმა 97-98
მიქიაშვილი ლ. 30სქ., 132სქ., 134სქ.
მოლა მოჰამედ შეიხოლესლაში 116, 138-139
მოვსესიანი ლ. 46სქ.
მოლა აბდულასშვილი, მოურავი ყაიყულში 26, 36
მოვსეს სორენაცი 11, 45-46სქ.
მოჰამედ ალა აჰმედი, დემურჩი ასანლუს „სულთანი“ 153-154
მოჰამედი, შამშადილოს „სულთანი“ 98
მოჰამედი, ყაზახის „ხანი“ 107
მუშა მუსტოფი, მემამულე სოფ. დოლბანდლუში, 54
მურად IV, ოსმალეთის სულთანი (1623-1640 წწ.) 139სქ.
მუსა, ბორჩალოს „ხანი“ 134
მუსაყული ხანი, ბორჩალოს „ხანი“ 134
მუსტაფა ნაიმა 127
მუსტაფა „სულთანი“ 129
მუსხელიშვილი დ. 46სქ., 79-81, 103სქ., 127-128, 157სქ.
მუსრანბატონი იოანე, სახლოუხუცესი 138
მუჰამედ ხუდაბენდუ, ირანის შაჰი (1578-1587 წწ.) 123სქ.

მჭედლიძე გ. 18სკ.
მხარგრძელები 47

ბ

ნადირ შაჰი (1736-1747 წწ.) 7,
14, 28-30, 33, 51, 96, 115,
130, 150-151, 179

ნადირაძე ქ. 105სკ.

ნაზარ ბეგი, ყაზახის ხანი 104

ნასუცრიშვილი ქაიხოსრო 96

ნეზამ ად ღინ შაჰი 77

ნამანგლელავისშვილი როსტომ,
მოურავი ყაიყულში 26, 37

ნურია, მოურავი ყაიყულში 26, 36

ო

ოთარ ბეგი 89, 174

ოთარ თუმანიშვილი, იხ. თუმანიშ-
ვილი ოთარ

ოთხმეზური გ. 18სკ., 105სკ., 126სკ.

ომან ხერხეულიძე 30, 132სკ.

ორბელები 47

ორბელიანები 50

ორბელიანი 16

ორბელიანი დიმიტრი, ეშიკაღასბაში
96

ორბელიანი თამაზ, დემურჩი ასან-
ლუს მოურავი 178

ორბელიანი პაპუნა, იხ. პაპუნა ორ-
ბელიანი

ორბელიანი სულხან-საბა, იხ. სულ-
ხან-საბა ორბელიანი

ორბელიშვილი პაპუა, სოფ. აიღარ-
ბეგის მოურავი 50

პ

პაატა ბეგი, კახეთის მღვივანბეგი
88სკ., 89, 92

პაიჭაძე გ. 91სკ.

პაატა, მოურავი ყაიყულში 26, 37

პაპუნა ორბელიანი 14სკ., 31სკ., 65-
66სკ., 83, 95სკ., 133-135სკ.,
158-159სკ.

პეტრე, სომეხთა ეპისკოპოსი 64

პეტრე I, რუსეთის იმპერატორი
(1682-1725 წწ.) 109

პეტრუშევსკი ი. 166

პლინიუსი 45

ქ

ქლენტი დ. 18სკ.

ქორდანია გ. 88სკ.

ქორდანია თ. 16სკ., 48სკ., 77სკ.,
88სკ.

რ

რატანი ლ. 126სკ.

რაჰიმოზადე იბრაჰიმ ჩავუში 84სკ.,
104-105

რგაკყელი (ბორჩალოში მცხოვრე-
ბი) 131

რევაზბეგი 128-129

როსტომ ხანი, ქართლის მეფე (1633-
1658 წწ.) 49, 87, 107, 128

როჭიკაშვილი გლახა 114სკ.

ს

საკა 144-145

საგინაშვილი 16, 18

საგინაშვილი ბესპაზ, მოურავი ყაი-
ყულში 26, 37

საგინაშვილი ფარემუზის შვილი ბე-
ჟანი, მოურავი ყაიყულში 26, 37

საგინაშვილი ქაიხოსრო 18

სამუელი, ქართლის ეპისკოპოსი 45

სელიძე, შამშადილოს ხანი 86-88
სეფი, ირანის შაჰი (1629-1642 წწ.)
87, 143, 156
სვანიძე მ. 105-106სკ.
სვიმონ I, ქართლის მეფე (1556-
1569 წწ.) 106
სულხან-საბა ორბელიანი 23სკ.,
31სკ., 66სკ., 108სკ., 163
სუმბატ II, ანისის მეფე (977-989
წწ.) 12
სომხთის მელიქი 132
სოლალაშვილი ელიზბარ 164სკ.
სოსელია ო. 116სკ., 143სკ.
სოლეიჰან ალა 159
სოლეიჰან ბეგი 181
სულთან ჰუსეინი, ირანის შაჰი
(1694-1722 წწ.) 74სკ., 88-89,
91-92, 108, 129
სულეიჰანი, ირანის შაჰი (1666-
1694 წწ.) 175სკ.
სულთნისშვილები 98
სულთნისშვილები (ბაიდარის) 144
სულთნისშვილი (ბაიდარის) ბაბაში
144-145
სულთნისშვილი (ბაიდარის) მამად
უსეინი 145
სულთნისშვილი (ბაიდარის) ოსმან-
ჯანა 145
სურგულაძე ივ. 16სკ., 23სკ., 50სკ.,
65სკ., 132სკ.
სურგულაძე მ. 18სკ., 126სკ.
სხირტლაძე ზ. 16სკ., 48სკ., 83სკ.

ტ

ტაბატაძე კ. 76-78სკ.
ტურნეფორი, ჟოსეფ პითონ 14სკ.,
103სკ.

უ

უზბაში, მოურავი ყაიყულში 26, 37
უზუნ ჰასანი, თეორბატქიანთა თურ-
ქმანული სახელმწიფოს მეთაური
(1453-1478 წწ.) 6, 71, 78-79
უსტანესი 64

ფ

ფაზლი სუჰანი 123
ფანა ხანი 159
ფათა, მოურავი ყაიყულში 26, 38
ფალავანსოსროშვილი დურმიშხან,
მოურავი ყაიყულში 26, 35
ფარა, მოურავი ყაიყულში, 26, 37
ფარნავაზი, ქართლის პირველი მე-
ფე 10, 65
ფეროზი, რანის პიტეასში (IV ს.)
11-12
ფირმაძე, მოურავი ყაიყულში 26,
37
ფირმაძეშვილი, მოურავი ყაიყულ-
ში 26
ფერჰად ფაშა 104
ფრიდონი (ყარაბაღიდან ლტოლვი-
ლი მელიქი) 137-138
ფუთურძე ვლ. 52სკ., 84სკ., 86სკ.,
88-89სკ., 129სკ.

ქ

ქალბალი ხანი 51, 105-106, 108
ქეშალუ ყოჯა, მოურავი ყაიყულში
26, 37-38
ქიქოძე მ. 21, 32სკ.
ქოფრულ აბდულა ფაშა, ოსმალ
სარდალი 28სკ.
ქუთათელაძე ქ. 13სკ.
ქორძე თ. 105სკ.

ყ

ყაზარა, ყაზახში მცხოვრები 114სკ.
ყაფლანიშვილები 49, 53-57, 62,
179

ყაფლანიშვილი გიორგი, სოფ. აიდარ-
ბეგის მოურავი 51

ყაფლანიშვილი დემეტრე სოფ. აი-
დარბეგისა და ყულარის მოურავი
51

ყაფლანიშვილი მანუჩარ, მოურავი
ყაიყულში 26, 36

ყაფლანიშვილი მზეჭაბუკ, მოურავი
ყაიყულში 26, 36

ყაფლანიშვილი ოთარ, მოურავი ყაი-
ყულში 26, 37

ყაფლანიშვილი, სარდლისშვილი რა-
მაზ, მოურავი ყაიყულში 26, 37

ყაუხნიშვილი ს. 10სკ., 12სკ.,
47სკ., 64-66სკ., 75სკ., 78-79სკ.

შ

შალიკაშვილი კოკოლა ვარაზას ძე
105

შარაშენიძე ზ. 14სკ.

შარაფადინა, მოურავი ყაიყულში 26,
38

შაჰ აბასი, იხ. აბას I

შაჰ თამაზი, იხ. თამაზ I

შაჰვერდი (ბორჩალოში მცხოვრები)
135

შემადინაშვილი ბეჟანი 53

შენგელია ნ. 27სკ., 58-59სკ., 68სკ.,
91სკ., 127სკ., 129-130, 139სკ.

შოშიაშვილი ნ. 13სკ.

შუქერლი ქალბალი ომან ოღლი
(ბორჩალოში მცხოვრები) 131

ჩ

ჩიქობავა არნ. 23სკ.

ჩოჩიყვი ვ. 71სკ., 171.

ც

ცაგარეიშვილი ე. 14სკ., 44სკ.,
66სკ., 83სკ.

ციციანოვი პავლე 174

ციციშვილები 13

ციციშვილი გიორგი, სარდალი 180

ციციშვილი ედიშერი 180

ციციშვილი თემური 180

ციციშვილი მარიამი, გიორგი XII-
ის მეუღლე 180

ცქიტიშვილი ზ. 33სკ., 62სკ.,
68სკ., 95სკ., 102სკ., 122სკ.,
143სკ., 150სკ., 153სკ., 160-
162სკ., 177სკ.

ჭ

ჭავჭავაძე ალექსანდრე 159-160

ჭეიშვილი 116სკ.

ჭუმბურიძე მ. 16სკ., 48სკ., 83სკ.

ხ

ხანთაძე შ. 88სკ.

„ხალიფა ანსარი“ 106

ხანჯალხანი 115

ხარაძე კ. 73სკ.

ხალილა, მოურავი ყაიყულში 26, 38
ხერხეულიძე ომან, იხ. ომან ხერ-
ხეულიძე

ხოსრო მირზა, იხ. როსტომ ხანი

ხუბუა მ. 18სკ., 19-20სკ., 88სკ.,
92სკ., 164სკ., 179სკ.

ხუდია ბორჩალოელი 176

ჯ

- ჯავახიშვილი ივ. 45სკ., 65
 ჯამბურია გ. 62სკ., 86-87სკ.,
 123სკ.
 ჯანაშია ლ. 12სკ., 63სკ.
 ჯანიაშვილი ლ. 158სკ., 159-160სკ.,
 171სკ.
 ჯაყელები 27სკ., 92
 ჯემშიდი (ყარაბაღიდან ლტოლვილი
 მელიქი) 137, 141, 160
 ჯიქია ს. 17სკ., 27სკ., 58-59სკ.,
 68სკ., 91სკ., 106სკ.
 ჯუანშერი 12სკ.

ჰ

- ჰაიკი 63
 ჰამზა მირზა, ირანელი უფლისწუ-
 ლი, შაჰ აბას I-ის უფროსი ძმა
 123

G

Gürücü İsmail Pasha

H

Hekimoğlu Ali Pasha

K

Köprülü Abdullah Pasha
 Kırzioğlu Fahrettin 104 სკ.

M

Minorsky V. 103

П

Петрушевский, И. П. 166სკ.

გეოგრაფიულ სახელთა

ა

- აბანოთუბანი (თბილისში) 156
 აბდალაჰ ალთუნ თაჰიადი (სოფე-
 ლი ჯავადის ნაჰიეში) 119
 აბდალაჰ ქენდი (ნასოფლარი თერ-
 ქის ნაჰიეში) 120
